



მასწავლებელთა  
პროფესიული  
განვითარების  
ერთეული  
ცენტრი



# მასწავლებლის წიგნი

საკლასო ოთახი

თამთა დოლიძე

ნინო ჭიბერიშვილი

მანანა რატიანი

მაია ფირჩხაძე

ნათია ფურცელაძე

ლელა კოტორაშვილი

მაია მენაბდე

მასწავლებელთა

პროფესიული განვითარების

ეროვნული ცენტრი

2019

სახელმძღვანელოს ავტორები განიხილავენ საკლასო ოთახის სხვადასხვა ასპექტს, რადგან ამ მრავალფეროვან და განსხვავებულ სივრცეს რეალურად არ გააჩნია საზღვრები. საკლასო ოთახი – განათლების, მოსწავლეთა უფლებების, თავისუფლების, ცოდნისა და უნარების რეალიზების საუკეთესო საშუალებაა.

ავტორები გვთავაზობენ პრაქტიკულ მაგალითებს, როგორ გახადეს ეს სივრცე მოქნილი, პოზიტიური და დადებითი ემოციების მომცემი. სადაც მოსწავლეებს დაძლევენ არასასურველი ქცევა, დაბნეულობა და შექმნეს ისეთი გარემო, რომელშიც მოსწავლეები გახდნენ აკადემიურად წარმატებულები. ავტორები გვისაბუთებენ, რომ საკლასო ოთახში არაფერია რუტინული, კონტროლი და შეფასებაც კი კლასის წარმატებაზეა ორიენტირებული. მოსწავლეებს რეალურად შეუძლიათ დაინახონ თავიანთი თავი არა მარტო გარკვეული დროის განმავლობაში, არამედ პერსპექტივაშიც.

ავტორები მსჯელობენ, რამდენად მნიშვნელოვანია საკლასო ოთახის ღირებულებები: არასტანდარტული სწავლება, ინტერაქტიური გაკვეთილები, მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი ამროვნების განვითარება/წარმოჩენა, ურთიერთმზრუნვა, სწორი კომუნიკაცია და კიდევ ბევრი სხვა.

რედაქტორები:

ნათო ინგოროყვა

მანანა ბოჭორიშვილი

სტილის რედაქტორი:

ნანა მატავარიანი

დიზაინერი:

ბისიკ დანელია

ISBN 978-9941-8-1562-1

© 2019, გასწავლემბელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

# თამთა დოლიძე

---

|   |                                                                         |    |
|---|-------------------------------------------------------------------------|----|
| 1 | მასწავლებლის დღიური „საკლასო ოთახის ამბები“                             | 7  |
| 2 | პირველად პირველ კლასში                                                  | 11 |
| 3 | „საკუთარი ოთახი“                                                        | 15 |
| 4 | მასწავლებლის მიერ მომზადებული „სენდვიჩები“, ანუ შეფუთული სიმართლის ძალა | 19 |
| 5 | წიგნიერების გაკვეთილები                                                 | 24 |
| 6 | ემოციური ჰიგიენის გაკვეთილები                                           | 29 |
| 7 | ტერმინების ტყვეობაში: ინკლუზიური საზოგადოება                            | 33 |
| 8 | პირიქითა გაკვეთილები, ანუ ერთი დღე შებრუნებულ საკლასო ოთახში            | 37 |



# მასწავლებლის დღიური „საკლასო ოთახის ამბები“

მე დაწყებითი კლასის მასწავლებელი ვარ!

ბევრს ჰგონია, ყველაზე ადვილი დაწყებითი კლასების მასწავლებლობაა. განა რა არის იმაში ძნელი, ანბანი და წერა-კითხვა ასწავლო?! არადა, სკოლის პირველ მერცხლებთან მუშაობა საძირკვლის გაჭრას ჰგავს. თუ საფუძველი სათანადოდ არ გაამაგრე, სახლს სუსტი ქარიც კი ჩამოანგრევს.

დავიწყებ თავიდან...

პირველკლასელთა მშობლები ყველაზე რთული საზოგადოებაა მათ შორის, ვისაც შევხვედრივარ. ეჩქარებათ შედეგის დანახვა, ერთი სული აქვთ, სანამ მათი შვილი სქელტანიან წიგნებს სხაპასხუპით წაიკითხავს და მაღაზიაში ხურდას ელვის სისწრაფით დაითვლის. შვილის „წარუმატებლობას“ ხშირად მასწავლებელს აბრალებენ, გამუდმებით ცდილობენ პასუხისმგებლობის ჩამოცილებას და კლასის დამრიგებლისთვის გადაბარებას, განსაკუთრებით კერძო სკოლებში – მიაჩნიათ, რომ რაკი ბავშვი ანაზღაურებად სასწავლო დაწესებულებას მიაბარეს, მათ არც თავიანთი შვილების პირადი ნივთების მოწესრიგება ევალებათ და არც საშინაო დავალების შესრულების პროცესში ჩართვა. გაკვირვებული უყურებენ მასწავლებელს, რომელიც მათ სახელმძღვანელოებისთვის დამცავი ყდის შემოკვრას ან დამატებითი სასწავლო ნივთების შეძენას სთხოვს (საჭირო ნივთებს სკოლა არ დაგვახვედრებს? დამრიგებელი ჩანთას არ აწესრიგებს?). გამოდის, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლამ ჯერ მშობელი უნდა „მოამზადოს“ მოსწავლეობისთვის, აუხსნას ორმხრივი ვალდებულებები და წინასწარ განსაზღვროს სკოლის/მასწავლებლის ფუნქციებში ჩარევის დოზა.

მშობლები ხშირად აპროტესტებენ სკოლის შინაგანაწესის სხვადასხვა პუნქტს: ბავშვის საგაკვეთილო პროცესიდან საპატიო მიზეზის გარეშე გაყვანას, სკოლის მენიუს, გარემოსა და სანიტარიულ ნორმებს, მერხსა და დაფას შორის მანძილს, ყველაზე ხშირად კი – სასკოლო ფორმას, რომელშიც უმეტესად თეთრი მაისური ფიგურირებს. გამოგიტყდებით, როგორც მშობელს,

მეც ხშირად გამიპროტესტებია ეს საკითხი, რადგან ძნელია, თეთრი ტანსაცმლისა და ბავშვის შეუთავსებლობას დიდხანს გაუძლო. არადა, სასკოლო ფორმა ყოველ ნაბიჯზე გვახსენებს, რომ „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“. ასეთი მესიჯები მოსწავლეს საგრძნობლად უადვილებს ადაპტირებას. გარდა ამისა, ვის არ ახსოვს, როგორი ამრეზით შესცქეროდნენ შეძლებული ოჯახების გამოპრანჭული შვილები „ნანადერძევ“ ფეხსაცმელებსა და გაცრეცილ ტანსაცმელში ჩამალულ თანატოლებს?! მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. დრესკოდს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, სასკოლო ფორმა დღემდე აქტიურად გამოიყენება მსოფლიოს მრავალ წარმატებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ბოგჯერ გვავიწყდება, რომ სკოლა არა მარტო საგნობრივი ცოდნით, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებითაც გვამარაგებს. დედისა და მამის „ყველაზე ნიჭიერი“ ნებიერები თანატოლთა საზოგადოებაში მოხვედრისას ხვდებიან, რომ ყველა გზა მათკენ არ მიდის და ძალიან უჭირთ ამ არასასიამოვნო აღმოჩენასთან შეგუება. სკოლა კი მათ ჯანსაღი კონკურენციისა და თანამშრომლობის უნარების გამომუშავებაში უნდა დაეხმაროს.

მარტო ბავშვებს კი არა, ხშირად მშობლებსაც ეჩვენებათ, რომ მათ შვილებს უსამართლოდ ექცევიან (ნიშანს/ყურადღებას აკლებენ). აქედან გამომდინარე, გამუდმებით იწუნებენ ყველაფერს (სასწავლო მასალას, სწავლების მეთოდს, მასწავლებლის ფიზიკურ თუ გონებრივ შესაძლებლობებს...) და მიზანმიმართულად ქმნიან კონფლიქტურ სიტუაციებს, რომელთა განეიტრალებაც მასწავლებლებს ხშირად უწევთ.

## მოუსმინე, უთანაბრძნე და განმუხტი!

მასწავლებლის მთავარი იარაღი აქტიური მოსმენაა (თომას გორდონი აქტიური მოსმენის მეთოდს „კარის გაღებას“ უწოდებს). მას უნდა შეეძლოს დაშიფრული სათქმელის ამოცნობა, თავად კი ყოველთვის ცხადად და გარკვევით ილაპარაკოს, რადგან არ არსებობს გარანტია, რომ მის მიერ დაშიფრულ ინფორმაციას სწორად „თარგმნიან“.

მაგალითად, თუ მშობელი გეუბნებათ, რომ მის შვილს ჯერ კიდევ უჭირს კითხვა, ამით მიგანიშნებთ, რომ მეტი დრო უნდა დაუთმოთ ბავშვს ან თქვენს პროფესიონალიზმს ეჭვქვეშ აყენებს. ასეთ დროს თქვენი ინფორმაცია მოსწავლის განსხვავებული სასწავლო უნარების შესახებ კონტრარგუმენტად არ



გამოდგება, რადგან მშობლების უმრავლესობა შვილის წარუმატებლობას სკოლას აბრალებს.

პირადი გამოცდილების საფუძველზე გეტყვით, თუ მასწავლებლობას აპირებთ, კამათის ხელოვნებასაც უნდა დაეუფლოთ. ყველაზე დაძაბულ სიტუაციაშიც კი სიმშვიდე მთავარ იარაღად გამოიყენეთ. რაც უნდა აბსურდული მოგეჩვენოთ მშობლის პრეტენზია, შეეცადეთ, ბოლომდე მოუსმინოთ – დაე, უარყოფითი ენერგიისგან დაიცალოს. პასუხი დაიწყეთ ჯადოსნური სიტყვებით: „მესმის თქვენი“ (თანაგრძნობა), – მერე აუცილებლად გამოხატეთ საკუთარი მოსაზრება საკითხის შესახებ (დაასაბუთეთ ფაქტებით) და ბოლოს ისევ ჯადოსნური სიტყვები მოიშველიეთ: „აუცილებლად გავითვალისწინებთ/განვიხილავთ თქვენს შენიშვნას“ (განმუხტვა). მრავლობით რიცხვში ნათქვამი წინადადებები მშობელს ტაქტიანად შეახსენებს, რომ თქვენ სკოლის ერთი პატარა ნაწილი ხართ და მის შვილზე ერთი ადამიანი კი არა, პროფესიონალთა გუნდი ზრუნავს.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, როგორი განწყობით ამზადებთ სათქმელს. საუბრისას აუცილებლად გაგცემთ სიტუაციისადმი თქვენი ნამდვილი დამოკიდებულება, რომელიც მხერიდან, ჟესტებიდან, დგომის მანერიდან დაუკითხავად ჟონავს და კიდევ უფრო აღრმავებს კონფლიქტის უფსკრულს. ნათქვამია, „თუ ვერ ცვლი გარემოს, უნდა შეიცვალო დამოკიდებულება მის მიმართ“. ურთიერთობის წარმართვისას განწყობას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს. საკუთარ თავზე მუშაობა კი არა მარტო სკოლაში, არამედ ყოველგვარ გარემოში ადამიანის პიროვნული ზრდის უმთავრესი კომპონენტია.

## მასწავლებელი მოსწავლეები

მასწავლებლის მთავარ აუდიტორიას ბავშვები წარმოადგენენ. მათი ყურადღების მობილიზება გაუხედნავი ცხენის მორჯულებასავით ძნელია. ბევრს ჰგონია, რომ მოსწავლეთა მუდმივი კონტროლის ფონზე კლასი მართული ხდება. სინამდვილეში საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში აღვირის მოჭერა—მოშვება ერთმანეთს ისე უნდა ენაცვლებოდეს, როგორც ამას გაწაფული მხედარი აკეთებს. გამიგონია, ცხენზე ჯდომისას მის ნაწილად უნდა იქცე, თუ გსურს, შენგან კარგი მოჯირითე დადგესო. სკოლაშიც ასეა, მასწავლებელი კლასის გულისცემას უნდა გრძნობდეს – ისინი ხომ ერთად უნდა მივიდნენ ფინიშამდე.

მეორე მხრივ, კლასის მართვა არც კი დაგჭირდება, თუ გაკვეთილის დაწყების წინ სწორად განსაზღვრავ მოტივაციას. მასწავლებელი, რომელიც სათანადოდ აფასებს მოსწავლეთა მოტივირების მნიშვნელობას, გაკვეთილის ბოლოს ყოველთვის სასურველ შედეგს იღებს.

ჩაგიტარებით გაკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით? გიკითხავთ ბავშვებისთვის, რისი შესწავლა სურთ თავად? გიფიქრიათ, რას ნიშნავს ბავშვებისთვის „სწავლის პროცესი“ ან სად გადის ზღვარი სავალდებულოსა და საინტერესოს შორის?! ეს ის კითხვებია, რომლებიც ყველა მასწავლებელმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს, რადგან სწავლა თითოეული ბავშვებისთვის სხვადასხვა რამეს ნიშნავს. საგაკვეთილო პროცესი უფრო სასიამოვნო გახდება, თუ მოსწავლე მასში თავის წვლილს შეიტანს. ბავშვებს ძალიან მოსწონთ მასწავლებლის როლის მორგება, ამ დროს ერთდროულად სწავლობენ და ასწავლიან. მოზარდები ხომ საუკეთესო მაძიებლები არიან – თუ სკოლა მუდმივად დაუკმაყოფილებს ძიების წყურვილს, სასწავლო პროცესში მათი ჩართულობა სტაბილური იქნება.

ზემოაღნიშნული საკითხები განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სწავლების დაწყებით საფეხურზე, რადგან თვითგამოხატვა და პროცესის თანამონაწილეობა პატარებს და მათ მშობლებს სკოლისადმი ნდობას უნერგავს და თანამშრომლობისთვის განაწყოებს. სამწუხაროდ, სკოლის ძირითადი რესურსი ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე იხარჯება, არადა დაწყებით კლასებში თითოეული ინდივიდის შესწავლას, მისი განსხვავებული უნარებისა და ინტერესების აღმოჩენასა და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.



მე დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი ვარ და წელს ისევ თავიდან ვიწყებ ყოველი ახალი კარის გასაღების მოსაპოვებლად ბრძოლას. წარმატება მისურვეთ!

# პირველად პირველ კლასში

საზოგადოების ნაწილად ქცევა – არის კი რაიმე ამაზე რთული ექვსი წლის ასაკში?! ყველა ადამიანს აქვს სურვილი – მცირე თუ ხალხმრავალ ადამიანთა ჯგუფში სასურველი ადგილი დაიკავოს. პატარების შიში, რომ თანატოლები არ მიიღებენ (დასცინებენ, გარიყავენ), ხანდახან ყოველდღიურ კოშმარს ემსგავსება.

არასდროს დამავიწყდება სკოლაში წასვლის პირველი დღე. თავდაცვის იარაღად თავიდანვე არასასურველი ურთიერთობებისთვის თავის არიდება ავირჩიე. შემეშინდა, რომ საზოგადოება არ მიმიღებდა და თავად გავრიყე საკუთარი თავი თანაკლასელებისგან. მხოლოდ რამდენიმე ბავშვთან ვმეგობრობდი, მაგრამ ამას ნამდვილად ვერ ვუწოდებ საზოგადოებასთან ადაპტირების წარმატებულ მცდელობას. მე და ჩემი თანაკლასელები ერთმანეთისთვის ბოლომდე ამოუხსნელ ამოცანად დავრჩით. როგორც ხედავთ, კლასთან ადაპტაციას თვეები კი არა, წლებიც შეიძლება დასჭირდეს და, გარკვეულ შემთხვევებში, უშედეგოდაც დამთავრდეს. ამიტომ ვთვლი, რომ მასწავლებლები მოსწავლის სკოლასთან, კლასთან ადაპტირებას დიდ ყურადღებას უნდა უთმობდნენ.



სკოლის პირველი წელი სწავლის დაწყებასთან ერთად ცხოვრების განსხვავებულ რეჟიმს, ახალ ნაცნობებსა და ურთიერთსაწინააღმდეგო შთაბეჭდილებებს უკავშირდება. პატარებმა უნდა შეძლონ სკოლაში არსებული საერთო წესების მიღება და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართვა. გონებრივი და ემოციური დაძაბულობა პირველკლასელებში ხშირად პიკს აღწევს. კვლევების თანახმად, პირველადი ადაპტაციის პერიოდი ორიდან ექვს თვემდე გრძელდება.

პირველკლასელების გარდა, ხანგრძლივი საბაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებული ყველა მოსწავლე მეტ-ნაკლებად საჭიროებს სასკოლო რეჟიმთან ადაპტირებას. არდადეგებისას მეტი დრო ეთმობა თანატოლებთან ერ-

თად თამაშს, ბავშვები გვიან იძინებენ და გვიან იღვიძებენ. მათი ფსიქიკა და სხეული მოდუნებულია. არდადეგების პერიოდში ბავშვები კარგავენ დროის შეგრძნებას, რადგან მათი დღის რეჟიმი ქაოსურია, სკოლაში კი, პირიქით – ყოველი წუთი დაგეგმილია.

ადაპტაცია ინდივიდუალური პროცესია და დამოკიდებულია ბავშვზე – რამდენად მზადაა ის (ინტელექტუალურად, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად) სასკოლო ცხოვრებაში ჩასართველად, რამდენად განვითარებულია სოციალურად, ფლობს თუ არა ჯანსაღი კომუნიკაციისა და ურთიერთთანამშრომლობის უნარებს და ა.შ.

ფსიქოლოგების აზრით, ბავშვების უმეტესობა შვიდი წლის ასაკში აღწევს განვითარების იმ დონეს, რომელიც სკოლისათვის მის მზაობას განსაზღვრავს. ფიზიკური განვითარება, წარმოსახვისა და აღქმის მარაგი, აზროვნების განვითარების დონე და მეტყველება, სკოლაში სიარულის სურვილი – ეს ყველაფერი სისტემატური სწავლის წინაპირობაა.

ბავშვებს, რომლებსაც არ უვლიათ საბავშვო ბაღში, ყველაზე მეტად უჭირთ სასკოლო დღის რეჟიმთან შეგუება. მუდამ ჩივიან მასწავლებელთან გვერდით მჯდომ ბავშვზე, მოუხერხებელ სკამებზე, ატკიებულ მუცელზე და ა.შ. მათ ადაპტირებაში მასწავლებლის სისტემატური მუშაობა მოსწავლის სუსტი კონცენტრირების უნარისა და ნებისყოფის დახვეწაზე და, რაც მთავარია, თანატოლების კეთილგანწყობა ეხმარება.

დაწყებითი კლასების მოსწავლეთა უმეტესობას სურს, რომ მათი კლასი საუკეთესო იყოს, ამიტომ დაუბარებლად ეხმარებიან ერთმანეთს. დაწყებით კლასებში იშვიათად ნახავთ მეტოქე თანაკლასელებს. ამ ასაკში ყველაზე დიდი მნიშვნელობა თანატოლის აზრს ენიჭება. ამიტომ ცდილობს თითოეული მოსწავლე თანაკლასელების პატივისცემისა და ნდობის მოპოვებას. მათი სამეგობრო წრე ამ ასაკში საკმაოდ ფართოა და მასში ყველა ის ადამიანი შედის, რომლის გულის მოგებაც მოახერხეს.

**წარმატებული ადაპტაციის ნიშნები:** ბავშვი მხიარული და მშვიდია, სწრაფად პოულობს მეგობრებს, დადებითადაა განწყობილი მასწავლებლებისა და თანატოლების მიმართ, გაღიზიანების გარეშე ასრულებს საშინაო დავალებებს და ადვილად ეგუება დატვირთული დღის რეჟიმს (არ ტირის ადრე ადგომის გამო, მშვიდად სძინავს ღამით, კარგი განწყობით გადის სახლიდან), არ ავლენს შიშს ან რაიმე სხვა ტიპის დისკომფორტს თანატოლებისა თუ პედაგოგების მიმართ, ადეკვატურად რეაგირებს მათ შენიშვნებზე...

**დებადაპტაციის ნიშნები:** ბავშვი მუდამ დაღლილია და შფოთავს, ვერ იძინებს ღამით და, შესაბამისად, ადრე ადგომაც უჭირს, უჩივის გვერდით მჯდომს, თითქოს ის ხელს უშლიდეს მუშაობაში, ალიზიანებს მასწავლებლის მოთხოვნები და შენიშვნები. მსგავსი პრობლემების მქონე ბავშვებს უჭირთ სასწავლო პროცესში ჩართვა და მასალის სრულყოფილად ათვისება.

**დებადაპტაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია:**

არასაკმარისი ფიზიკური და ფსიქიკური მზაობა: ბავშვის ორგანიზმი მზად უნდა იყოს სკოლის რეჟიმისთვის (ხანგრძლივი ჯდომა, მხედველობის დაძაბვა, გონებრივი დატვირთვა, მოტორიკა). სუსტი ჯანმრთელობის ბავშვები პირველ წელს ხშირად აცდენენ სკოლას, დაძაბული რეჟიმი ასუსტებს მათ ორგანიზმს და ხშირად ავადმყოფობენ.

ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეები ძნელად გადალახავენ ადაპტაციის პერიოდს. დაბალი თვითშეფასება და ყველაფერ უცხო სადმი პანიკური შიში ავტომატურად იჩენს თავს სასკოლო ცხოვრებაშიც. ისინი ნებისმიერ უწყინარ ხუმრობას თუ შეფასებას მასწავლებლებისა თუ თანატოლების მხრიდან შეურაცხყოფად აღიქვამენ და არაადეკვატურად რეაგირებენ.

**წესები:** პირველკლასელების უმეტესობას უჭირს სკოლის წესების, საკუთარი ვალდებულებების აღქმა და მიღება. მოსწავლე მასწავლებლის ნებართვის გარეშე ვერ ახორციელებს ისეთ მარტივ აქტივობებსაც კი, როგორცაა საჭირო ოთახში გასვლა გაკვეთილის მსვლელობის დროს, კითხვაზე პასუხის გაცემის უფლების მოპოვება და ა.შ. მათ ხშირად უნდა ესაუბროთ სკოლის წესების შექმნისა და მნიშვნელობის შესახებ, დაანახოთ, რამდენად მნიშვნელოვანია მათი დაცვა თითოეული მოსწავლის მხრიდან.

**სუსტად განვითარებული ნებისყოფა:** პირველკლასელთა უმეტესობას უჭირს გაკვეთილზე მშვიდად ჯდომა, ყურადღებით მოსმენა და დავალების სწორედ იმ ფორმით შესრულება, როგორც ამას მასწავლებელი მოითხოვს. მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობა და საჭიროებენ მასწავლებელთა მხრიდან მუდმივ ყურადღებას.

სასწავლო მოტივაციის არასაკმარისი განვითარება ხელს უშლის დავალების სრულყოფილად შესრულებას. სასწავლო მოტივაციის განვითარება შესაძლებელი გახდება, თუ მასწავლებლებს, მშობლებსა და თანატოლებს სწავლის გასაუმჯობესებლად მუდმივი რეაგირება ექნებათ და მოხდება მათი სოციალური აღიარება.

ზოგიერთ მოსწავლეს მასწავლებელთან კონტაქტის დამყარება უჭირს. როცა ბავშვს დავალების აღქმა უძნელდება ინტელექტუალური ან სხვა განვითარების პრობლემის გამო, მასწავლებლის ავტორიტეტიც უფერულდება.

შესაძლოა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის ბარიერი უფროსებთან კონტაქტის ჩამოუყალიბებელმა უნარმაც გააჩინოს.

სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს თანატოლებთან ურთიერთობის გაბმის წარუმატებელი მცდელობებიც იწვევს. მსგავს პრობლემას ვაწყდებით ბავშვებთან, რომლებსაც საბავშვო ბაღში არ უვლიათ.

**დაბალი თვითშეფასების** მეორე მოსწავლეებს გამუდმებით ეპარებათ ეჭვი საკუთარ ძალებში, შფოთავენ, ძნელად ეწყობიან თანატოლებს და უჭირთ სასკოლო ჟრიამულის გაძლება. ისინი მონდომებული მოსწავლეები არიან, მაგრამ მათ მიერ შესრულებული სამუშაო ხშირად დაბალ შეფასებას იმსახურებს.

**მშობლების დამოკიდებულება:** ბავშვისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მშობლების მიერ მისი სასკოლო მიღწევების აღიარებაა. ზოგჯერ მოსწავლის საშუალო მაჩვენებელი მშობლების მხრიდან შვილის წარუმატებლობად აღიქმება. ისინი არ აცეკვენ ყურადღებას ბავშვის მონდომებას, მის რეალურ მიღწევებს და მეცადინეობაზე კონტროლის დაწესების, ორმაგი დატვირთვის გზით ცდილობენ შვილის „წინ წაწევას“. ბავშვი ღიზიანდება, კარგავს საკუთარი თავის რწმენას და სკოლასთან ადაპტაციის პერიოდში ხანგრძლივდება.

**როგორ დავეხმაროთ ბავშვს სკოლასთან ადაპტაციის პირველ საფეხურზე:**

ადაპტაციის პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანია მშობლის თანადგომა. შეაქეთ შვილი არა მარტო სასწავლო მიღწევების, არამედ ნებისმიერი ემოციური თუ საზოგადოებრივი ბარიერის გადალახვის გამო (ურთიერთობის გაბმის მცდელობა, სასკოლო ხმაურთან შეგუება და სხვა).

პირველი თვეების მანძილზე მოერიდეთ კრიტიკას. სასურველი არაა, რომ მასწავლებელმა მშობელთან ბავშვის თანდასწრებით ისაუბროს მის პრობლემებზე ან, პირიქით. შენიშვნების მიცემა სხვა ადამიანების გარემოცვაში, მით უმეტეს, იმ საზოგადოებრივ სივრცეში, რომელში დამკვიდრებასაც თქვენი შვილი თავგამოდებით ცდილობს, არაფერს მოიტანს პრობლემის გაღრმავების გარდა.

არასდროს შეადაროთ თანატოლს! უმეტეს შემთხვევაში, ბავშვის თვითშეფასება დაეცემა ან, პირიქით, თავდაცვის ინსტინქტი მის სიამაყეს არაადეკვატურობამდე აამაღლებს. შეადარეთ მისი ახალი მიღწევები ძველ ნამუშევრებს – აჩვენეთ წინსვლის პროცესი. მსგავსი მიდგომით თქვენ მას ადეკვატური თვითშეფასების მოსწავლეად აქცევთ.

სკოლა თქვენი ცხოვრების ნაწილიც უნდა გახდეს: მიიღეთ მონაწილეობა სასკოლო ღონისძიებებში; ყოველდღიურად დაინტერესდით, როგორ გაატარა თქვენმა შვილმა სასწავლო დღე; დაეხმარეთ მას რთული დავალებების შესრულებაში; არასდროს მოიხსენიოთ აუგად მისი მასწავლებლები... მოკლედ, შემოუშვიტ სკოლა თქვენს ცხოვრებაში და თქვენი შვილიც ადვილად მიიღებს მას.

## „საკუთარი ოთახი“

ვირჯინია ვულფი წერს: „თუ თვალს გავუსწორებთ სინამდვილეს, რომ არ არსებობს მაჯა, რომელსაც შეგვიძლია ჩავეჭიდოთ, არამედ მარტონი მივდივართ ცხოვრების გზაზე, მაშინ ცხადად დავინახავთ საკუთარი ოთახის არსებობის აუცილებლობას“. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი აქ მხოლოდ ქალებსა და ლიტერატურაზე ლაპარაკობს, მე ვიტყვდი, რომ ეს მოსაზრება ნებისმიერ პიროვნებასა და საქმიანობას მოერგებოდა.

„გამოსაჯახუნებელი კარის“ არსებობის აუცილებლობა საკამათო აღარაა. წარუმატებლობის მიზეზად ადამიანები ყველაზე ხშირად განმარტოებისთვის აუცილებელი პირადი სივრცის უქონლობას ასახელებენ. და-ძმას შორის ყველაზე მწვავე კონფლიქტი სწორედ საერთო სივრცის, ნივთებისა თუ „გასაყოფი“ სიყვარულისთვის ბრძოლის პროცესში წარმოიშობა.

„ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა“ – ყველას უნდა, სახლში მაინც დაცულად და კომფორტულად იგრძნოს თავი. თანაც, თუ არსებობ, თუ ხარ, ერთ მტკაველ მიწას მაინც ხომ უნდა ერქვას „შენი“. საერთო სივრცის თითოეული გოჯისთვის შინ – დედამამიშვილებთან, სკოლაში კი თანაკლასელებთან გიწევს ბრძოლა. ხანდახან განმარტოების ერთადერთ საშუალებად საკუთარ ფანტაზიაში გაქცევა გრჩება.

პირადი სივრცის უქონლობას მოზარდი მტკივნეულად აღიქვამს. კარგია, როცა მშობელს აქვს ბავშვისთვის ცალკე ოთახის გამოყოფის საშუალება. ოთახი თუ არა, პატარებს საკუთარი კუთხე (მაგიდა, საწოლი, პირადი ნივთების სათავსი) მაინც უნდა ჰქონდეთ. პირადი საკუთრების პატივისცემა კი ოჯახის მთავარ წესად უნდა აქციოთ. ბავშვები ისედაც მოკლებულნი არიან არჩევანის უფლებას: ისინი არ წყვეტენ, სად იცხოვრონ და ისწავლონ, რითი იკვებონ, რა ჩაიცვან... ბაღში, სკოლაში თუ სახლში მცირეწლოვანი ადამიანი უფროსების მიერ წაყენებული პირობების ტყვეობაშია და ნელ-ნელა კარგავს საკუთარი თავისკენ მიმავალ გზას.

მართალია, მშობლებს მხოლოდ საუკეთესო სურთ შვილებისთვის, მაგრამ რატომღაც არასოდეს უსმენენ პატარებს. უმეტესად თავიანთი განუხორციელე-



ბელი, ბავშვობისდროინდელი ოცნებების ასრულებას ცდილობენ და იმას ვე-  
ლარ ითვალისწინებენ, რომ ეს ოცნებები შესაძლოა „მოდაში“ აღარ იყოს.

რა სურთ ბავშვებს? – ალბათ ის, რაც ღიდეებს სურდათ, როცა პატარები იყ-  
ვნენ, – ასე ფიქრობს „ბავშვობაგადატანილთა“ უმრავლესობა. არადა, შეუძ-  
ლებელია, ადამიანები ერთნაირად ოცნებობდნენ, იმ უბრალო მიზეზის გამო,  
რომ არც ერთი ადამიანი, არც ერთი ბავშვი არ ჰგავს ერთმანეთს.

ღიდეები ხმამაღლა და თამამად გამოხატავენ უკმაყოფილებას, ბავშვის ხმა  
კი სუსტია და გაუბედავი. მას არ შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა. მე-  
ტიც – ისიც კი არ იცის, რისი უფლება აქვს და გაქცევას ირჩევს. ბავშვმა არ  
იცის, როგორ დაიცვას თავი არასასურველ გარემოში ყოფნისგან. ის დაჰყავთ  
სტუმრად, სადაც ერთგვარ გასართობ ობიექტად იქცევა ხოლმე, აცმევენ ტან-  
საცმელს, რომელიც მოუხერხებელია, ღიდურია და ბავშვის გარეგნობას მე-  
ტად სანახაობრივს ხდის...

გაგივლიათ ფეხშიშველს ცვრიან ბალახზე? გაჰქცევიათ არასასურველ  
საზოგადოებას ხის კენწეროზე? გიჭამიათ მალულად სტუმრისთვის განკუთვ-  
ნილი შოკოლადი? აი, ასე იწყება ბრძოლა პირადი სივრცის დასაბრუნებლად.

ბავშვს პატარაობიდანვე სურს ჰქონდეს რამე ისეთი, რაც მხოლოდ მისია, მა-  
გალითად, ხეზე აშენებული ქოხი. ასეთი „საკუთარი ოთახის“ მოწყობის ფუფუნ-  
ება კი, სამწუხაროდ, ერთეულებს თუ აქვთ. თუმცა ეს არ არის მთავარი. ქოხმა  
ხის ტოტებიდან შესაძლოა თავისუფლად გადაინაცვლოს მაგიდის ან საწოლის  
ქვეშ, ტანსაცმლის კარადაში ან საკუჭნაოში. „სახლობანას“ თამაში ნებისმიერი  
ბავშვისთვის აუცილებელია, რათა ხანდახან მაინც დააღწიოს თავი უფროსების  
მეთვალყურეობას და თავი სრულფასოვან პიროვნებად იგრძნოს. პატარების  
სამფლობელოში მხოლოდ მათთვის მისაღები კანონები მოქმედებს.

მეც ხშირად ვმჯდარვარ მაგიდის ქვეშ, სად არ „მიმოგზაურია“ ხის ტოტზე  
შემომჯდარს... ისიც კარგად მახსოვს, როგორ განვიცდიდი პირად სივრცე-  
ში უფროსების შემოჭრას. განა რა არის განმარტოებაში ასეთი საშიში?! თუ  
ბავშვს ასე სურს, შეძერეს ტანსაცმლის კარადაში (იქნებ ნარნიაში მოგზა-  
ურობს?!), დაიმალოს საკუჭნაოში, შეჭამოს მურაბა წვნიანის ნაცვლად, და-  
იძინოს საწოლის ქვეშ... მოკლედ, ბავშვებს უფლება აქვთ, იყვნენ ბავშვები!

სამწუხაროდ, პატარები საკუთარ წარმოსახვაში სამოგზაუროდ უდროო  
დროსაც მიიპარებიან და იწყება მათი „გამოღვიძების“ გაუთავებელი მცდე-  
ლობა. უმეტესად მასწავლებლები ჩივიან, რომ მათი მოსწავლე „სადღაც  
დაფრინავს“. გამოკითხვის მიუხედავად, ბავშვები არასოდეს ლაპარაკობენ



წარმოსახვით სამყაროზე. ამ დაკეტილ კარს ვერავინ შეაღებს – მის მიღმა ხომ პატარები ყველასათვის საიდუმლო ფიქრებსა და ოცნებებს ინახავენ.

ე.წ. „ორმაგი ცხოვრების“ მქონე ბავშვების აღმოჩენა ძალიან ადვილია. ისინი ისე ძლიერ ცდილობენ პირადი სივრცის შენარჩუნებას, რომ თითქმის არასდროს სცილდებიან საკუთარ მერხსა თუ კუთხეს, არ ერთვებიან საკლასო/საოჯახო აქტივობებში, თამაშებში, საუბრებში, ვერ ახერხებენ თანატოლებთან საერთო ენის გამონახვას. მიზეზი ერთია – ასეთ ბავშვებს აშკარად „არ აძლევთ ხელს“ გარემო, რომელიც ჩვენ, უფროსებმა შევთავაზეთ.

ბავშვების სამყაროში უხეში ჩარევა გარდატეხის ასაკში აუცილებლად შეგვახსენებს თავს. რაც უფრო მეტს ვიხეითალებთ პატარების პირად სივრცეში, მით უფრო ხშირად მოგვიჯახუნებენ კარს მომავალში. სასურველია, არ დავარღვიოთ საზღვარი აღზრდასა და წვრთნას შორის. თუ ბავშვი იგრძნობს, რომ მას გამუდმებით წვრთნიან, ადრე თუ გვიან ის მწვრთნელს აუცილებლად გაექცევა.

აბა, წარმოიდგინეთ: გადაღებენ საჭმელს, რომელიც არ გიყვარს, ტანსაცმელს, რომელიც გობჭავს, ძილს, რომელიც არასოდეს გერევა საჭირო დროს და გაღვიძებას, რომელიც გულისხმობს პასუხისმგებლობას ოჯახისა და საზოგადოების წინაშე, ან უბრალოდ იმას, რომ სხვანაირად ჯერ არავის უცხოვრია. ბავშვს დღის რეჟიმს, როგორც წესი, უფროსი უდგენს იმ უბრალო მიზეზით, რომ პატარამ „არ იცის დროის ფასი“. მშობელი გეგმავს შვილის ყოველ წუთს და რატომღაც თავგამოდებით ცდილობს, ისე დალალოს ბავშვი, რომ შინ დაბრუნებულს საკუთარი სურვილების ასასრულებლად აღარც დრო დარჩეს და აღარც ენერგია.

ასეთი მკაცრი რეჟიმის ქვეშ მოქცეული ბავშვი ხშირად ავადმყოფობით გამოხატავს პროტესტს. ფსიქოლოგთა აზრით, მოზარდი ინერციით იწყებს ცხოვრებას, მისი არაეფექტური ნელ-ნელა იჟლინდება უსუსურობის შეგრძნებით და თანდათან საკუთარ სხეულზეც კარგავს კონტროლს. შედეგად ვიღებთ იმუნიტეტის დაქვეითებას, სისუსტეს, დეპრესიას...

მშობელი იშვიათად იცავს ერთგვარ ინტიმურ/ესთეტიკურ საზღვრებსაც – 10-12 წლის მოზარდს ისევ თვითონ ბანს და არც კი ეკითხება, სურს თუ არა მას თავისი შიშველი სხეულის გამოჩენა; ურჩევს მისთვის მისაღებ ვარცხნილობას; დაჰყავს სხვადასხვა წრეზე, ბავშვს კი დაღლისა და უგუნებოდ ყოფნის უფლებაც არ აქვს – მისგან გამუდმებით ითხოვენ ღიმინოს, კმაყოფილ გამომეტყველებას, მაღლიერების გამოხატვას მშობლების მიმართ... ასე ნაბიჯ-ნაბიჯ უგეგმავენ მომავალს ცოცხალ თოჯინებს, მიერეკებიან წარმატების აღმართზე და „ფინიშთან“ დაგვიანებულებს დაუნდობლად „ამატრახებენ“.

თავისუფლებაწართმეული და სიამაყეშელახული მოზარდისგან კარგს არაფერს უნდა ელოდო; ის ან ბოლომდე სათამაშოდ დარჩება მშობლის ხელში, ან პირიქით – უკიდურეს მეამბოხედ იქცევა.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ვისაც თავიდანვე არ აკმაყოფილებს უფროსების მიერ შეთავაზებული გარემო და ურთიერთობები, ბავშვობაშივე იღებს გადაწყვეტილებას, როგორ იცხოვროს მომავალში. ხშირად ასეთი მოზარდები მარტოსულ ადამიანებად ყალიბდებიან. ოჯახური უთანხმოებებით თავმოებრებულებს, წლების შემდეგაც ეშინიათ პირად სივრცეში სხვისი შემოშვების. მათ, როგორც იქნა, მოიპოვეს თავისუფლება და არაფრისდიდებით არ დათმობენ მას, თუნდაც იმ სასიამოვნო მიზეზით, სიყვარული რომ ჰქვია. ურთიერთობის კარგად ნაცნობი მოდელი არ აძლევთ მათ საწინააღმდეგო სცენარის წარმოდგენის საშუალებას.

მუდმივი კონტროლის ქვეშ გაზრდილი ბავშვები ხშირად ხდებიან მოძალადეები, უფრო სუსტები კი რეალობას გამოგონილ სამყაროებში გაურბიან: ან კომპიუტერული თამაშებით იკმაყოფილებენ წინააღმდეგობის სურვილს, ან სასმლითა და ნარკოტიკული საშუალებებით მოგვრილ გამბედაობას ეწირებიან მსხვერპლად. ასეა თუ ისე, ბავშვი, რომლის პირადი სივრცე ხშირად ირღვეოდა, მაქსიმალურად ეცდება, მისი სახლისა და ცხოვრების დიდი ნაწილი პირადად მას ეკუთვნოდეს და უნებართვოდ ვერავინ შეუღოს კარი. ისინი სწორედ განმარტოებით უხდიან სამაგიეროს ოჯახს.

იქნებ კობო აბეს მოთხრობის („საბავშვო ოთახი“) გმირსაც ჰგონია, რომ შვილებს საუკეთესო ალტერნატიული რეალობა შესთავაზა. სახლის სარდაფში, ხელოვნური ცის ქვეშ მოწყობილ საბავშვო ოთახს, ერთი შეხედვით, არაფერი აქვს დასაწუნი (სმოგით დაბინძურებულ ცას მაინც სჯობს). მშობლის არჩევანს ბრმად დამორჩილებული, ტყუილისთვის განწირული მომავალი თაობა ნადირობს გარე სამყაროდან შემოჭრილი სიმართლის ყოველ სხივზე – ასე იცავს პირად სივრცეს. აზრი არ აქვს ტყუილის აღიარებას, ისინი უკვე ვეღარ დაიჯერებენ მიწის გევით არსებულ სამყაროს, ვეღარ შეეღევიან უკანასკნელი ადამიანების სტატუსს. მათ ხომ იმ მომავლის გადასარჩენად ამზადებენ, რომელიც დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა.



ისევ ვირჯინიასა და საკუთარი ოთახის მნიშვნელობას თუ დავუბრუნდებით, აღმოვაჩენთ, რომ „მე“ მხოლოდ მოხერხებული ტერმინია ვილაცისთვის, ვინც სინამდვილეში არ არსებობს“. მე კი ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ საზოგადოებას ჯერ კიდევ შეუძლია ჯანსაღი ინდივიდების აღზრდა.

# მასწავლებლის მიერ მომზადებული „სენდვიჩები“, ანუ შეფუთული სიმართლის ძალა

არსებობს კი იმაზე რთული რამ, როგორიცაა ურთიერთობები?! ყველა ადამიანი სხვადასხვანაირად აღიქვამს და იღებს რეალობას. შესაბამისად, ისმის კითხვა: – როგორი ფორმით მივაწოდოთ ამა თუ იმ პიროვნებას ინფორმაცია, რომ მისგან მივიღოთ თანაგრძნობა და არა – თავდაცვა.

სიმართლის მიმართ ყველა ადამიანი სხვადასხვანაირად რეაგირებს. რაციონალურად მოაზროვნე ოპტიმისტები პრობლემის დანახვისთანავე გამოსავლის ძებნას იწყებენ, პესიმისტები თუ მელანქოლიკები – დეპრესიის უფსკრულში ვარდებიან, მაგრამ ხშირად ორივე მათგანისთვის მტკივნეულია შეუფუთავი სიმართლის „მონელება“. შედეგად ვიღებთ უნდობლობას, უკიდურეს შემთხვევაში კი – ზიზღს ამა თუ იმ პროფესიის ადამიანების მიმართ. ყველაზე ხშირად მსგავს პრობლემას სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში ვხვდებით.



ამას წინათ, ერთი შეუხორცებელი იარაღ მეც „დამასახუქრეს“. ერთ-ერთ საავადმყოფოში, გამოკვლევის ჩასატარებლად ოჯახის ახლობელი მივიყვანე. მხოლოდ მუხლი სტკიოდა და უკიდურეს შემთხვევაში წაქცევის გამო გაბზარული ძვლის დიაგნოზს ველოდი. ანალიზის პასუხების გასაცნობად რომ შევედი, ოფიციალური სახით, ყოველგვარი თანაგრძნობის, ანუ შემოვლითი გზების გარეშე მომახალეს, რომ ეს ჩემი ახლობელი უახლოეს დაბადების დღემდე ვერ მიაღწევდა. სამი საათი გაუჩერებლად ვტიროდი მოსაცდელში, პირდაპირ იატაკზე ვიჯექი, შეუფუთავი სიმართლის სპაზმებისგან ოთხად მოკეცილი და ვერავინ მოახერხა ჩემი დამშვიდება... ის ადამიანი გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე გამოვიტირე.

თუმცა დამალული სიმართლეც არანაკლებ მტკივნეულია. რვა წლის ვიყავი, როცა გამზრდელი ბაბუა გარდამეცვალა. არავინ ამიხსნა, დილით სამსახურში თავისი ფეხით წასული კაცი რატომ მოიყვანეს უკან საკაცით და რამ-

დენიმე კვირაში რატომ „დავაფიწყდით“. სამი თვის უშედეგო მკურნალობის შემდეგ, ბაბუა გარდაიცვალა. ახლაც ცხადად მახსოვს, როგორ გამაღვიძა შუალამისას ბიძაჩემმა, ჩამაცვა და პირველ სართულზე ჩამიყვანა. მერე ბებიამ შეიცხადა და გაჩერებული საათის გარდა, ყველაფერი დატრიალდა. პირველი ისტერიკა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაშინ დამემართა. უხმოდ მივვარდი უახლოეს კარს და სანამ ჩემამდე ვინმე მოაღწევდა, რამდენჯერმე მოვასწარი მასზე თავის დარტყმა. რა თქმა უნდა, ბაბუა მიყვარდა, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ასეთი მძაფრი რეაქცია იმ სამთვიანი დუმილის, იმ გაუსაძლისი იდუმალების შედეგი იყო, პატარა გონებამ ხილულ შედეგად გარდაქმნილი რომ ვერაფრით გადახარშა.



„ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ – ამ დილემის წინაშე მასწავლებელი ყოველდღე დგას. პედაგოგიკის ისტორიას შეუძლია გაგაცნოს პედაგოგთა მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება, გასწავლოს ინოვაციური მეთოდების გამოყენება, მოგიწოდოს იყო შემოქმედებითი, საინტერესო მასწავლებელი, მოსიყვარულე მეგობარი... ბავშვებს ასწავლო თანატოლებთან ასეთივე ფორმით ურთიერთობა, თანადგომა, ცხრა ძმისათვის ერთი თხილის გულის გაყოფა... ოღონდ ეს ყველაფერი როგორმე უნდა შეუთავსო ყველაზე ავტორიტეტული ფიგურის – მშობლის მიერ ჩანერგილ, თუნდაც საპირისპირო რჩევებს, რომლებსაც გვერდი ისე ფრთხილად უნდა აუარო, როგორც ტალახში ჩაფლულ უხილავ ქვას. თუ წამოედ, წაგაქცევს ან წონასწორობას მაინც დაგაკარგვინებს. მოკლედ, ახლადაშენებული ტაძრის ცარიელი კედლები ისე უნდა მოხატო, რომ ოჯახის ხატი არ დაჩრდილო, თორემ ერთი უწყინარი შეხედულების გამო, ბავშვის უნდობლობასთან გამკლავება, უკიდურეს შემთხვევაში კი, განრისხებული მშობლის განეიტრალება მოსალოდნელ უმუშევრობაზე მძიმე გადასატანია.

ჩემი აზრით, მასწავლებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების კი არა, სკოლის პროდუქტია – ერთგვარი თემიდას სასწორო, რომელიც საკუთარი თავიდან გამოსული, მუდამ მიუკერძოებელი და სამართლიანი უნდა იყოს. თუმცა ხელს, რომელსაც ეს სასწორო უჭირავს, ხანდახან ძალიან უჭირს სოციალური თუ ადამიანური თანადგომის გარეშე ამხელა პასუხისმგებლობის ზიდვა.

საქართველოში, მასწავლებლის მოვალეობებში ყოველდღიურ სტრესთან ეფექტურად გამკლავებას შედის, მისგან ყველა სიტუაციის შესაბამის, სწრაფ რეაგირებას ელის. სტრესის ძირითად გამომწვევ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს გამუდმებული მოთხოვნები და მინიმალური თანაგრძნობა ადმინისტრაციის, მოსწავლის, მშობლის, კოლეგის მხრიდან. ალბათ დამეთანხმებით, შეუძლებელია წინასწარ ყველაფრის გათვლა. ზოგჯერ უსამართლო სილას გაგაწნავენ, ხან „შესაფუთი ქალაქი“ გითავდება და შესაძლოა, თავად გახდეთ მშობლის ან მოსწავლის განწყობის გაფუჭების მიზეზი... იდეალური არავინაა.

სხვა მხრივ, მასწავლებლის პროფესია ცოცხალი ორგანიზმივითაა, მუდმივად ვითარდები და იზრდები, ერგები სხვადასხვა გარემოს, დროს, ბავშვებს... აქ არ არსებობს მზა ფორმულა – კლიშე, რომელშიც ყველა გაკვეთილი ან ურთიერთობა შეგიძლია ჩამოასხა. მასწავლებლის პროფესია ნარკოტიკივითაა, ერთხელ თუ გემო გაუსინჯე, პრაქტიკის შეწყვეტის შემდეგაც ვერ ივიწყებ. სადაც არ უნდა წახვიდე, ცხოვრების ბოლომდე მასწავლებლად რჩები.

### განმეყვამ და განანეყვამ!

როცა სკოლაში დავიწყე მუშაობა, ყოველდღიური ურთიერთობებისა და რუტინისგან დაღლილს, პირველ რიგში, საკუთარი განწყობის გადაწყობა მომიხდა, რაც არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. სათქმელის ხარისხიანად შეფუთვისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუ როგორი განწყობით ამზადებს მასწავლებელი სათქმელს. რაც შეეხება მშობლებს, მათ დღის ბოლოსაც ისეთივე მხნე და ღიმილიანი უნდა დახვდეთ, როგორიც დილით იყავი. არადა, ხანდახან ღიმილი კი არა, სკამიდან ადგომაც კი გიჭირს.

მასწავლებლობა ნიშნავს მთელი დღით მარსზე გაფრენას, ოჯახის, მეგობრების, კარგი თუ ცუდი ამბებისგან შორს ყოფნას და თუ გარესამყარომ შენს ნატუჯში მაინც შემოაღწია – დაყრუებას სამუშაო დღის დასრულებამდე.

ასეა თუ ისე, აშლილი განწყობის აწყობა ყოველდღე გვიწევს, სანამ მოსწავლის განწყობაზე ვიზრუნებთ, ჯერ საკუთარი ინსტრუმენტის ჟღერადობას უნდა მივხედოთ.

დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია 1910 წელს ჩამოყალიბდა. ის ცდილობდა ზედმიწევნით შეესწავლა ქცევის მიზანშეწონილობის საკითხი და ამტკიცებდა, რომ ყველა ცოცხალი არსება გარემოში თავისი მიზნის შესაბამის

აქტივობას ახორციელებს. ქართველი მეცნიერი დიდხანს ეძებდა ფსიქიკურ მექანიზმს, რომელიც მსგავს პროცესს უზრუნველყოფდა. ხანგრძლივი კვლევის შემდეგ, დიმიტრი უზნაძემ ამ „მექანიზმს“ განწყობა უწოდა.

განწყობა არაცნობიერია. იგი წარმოიქმნება სუბიექტური ან ობიექტური ფაქტორების აღმოცენების შედეგად. სუბიექტურ ფაქტორს მოთხოვნილება წარმოქმნის, ობიექტურს კი – სიტუაცია, ანუ გარემო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ჩნდება მოთხოვნილება, ცოცხალი არსება ეძებს ობიექტს, რომლის მეშვეობითაც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შეძლებს. მაგალითად: თუ ადამიანს სწყურია, ექმნება განწყობა, რომ აიღოს ჭიქა, წყალი დაისხას და დალიოს.

გამოდის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა შეუქმნას განწყობა (სწავლის) და ობიექტის (ცოდნის წყაროს) ძებნა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება თავად მოსწავლის პრეროგატივაა.

ხშირად, მშობლების მიერ შექმნილი „განწყობა“ ნაძალადეგია, რადგან სიტყვები – „აღზრდა“ და „წარმატება“ მათთვის შვილის სოციალურ უპრობლემოდ დასამკვიდრებელი „მწვანე ბარათია“ და მის მოსაპოვებლად მხოლოდ ინტელექტუალური უნარების განვითარება კმარა. უზნაძის თეორიის მიხედვით კი, საჭიროა ბავშვის „მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა“. ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების მისაღებად საჭიროა, რომ აღზრდელმა მოსწავლის მთლიანი სამყარო შეისწავლოს და სრული თანაგრძნობა გამოუცხადოს მას.

აღზრდელის როლის მორგება ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. პედაგოგთა უმეტესობას ურჩევნია ასწავლოს საგანი, ვიდრე – ცხოვრება. არადა, ამ საკითხების ერთმანეთისგან გამიჯვნა შეუძლებლად მიმართია. შეიძლება რომელიმე მოსწავლე გულამოსკვნით ატირდეს შუა გაკვეთილზე, ერთი შეხედვით – ცამოწმენდილზე, მეორემ კი რომელიმე ახლობლის მისამართით ვერგასროლილი სიძულვილის გუნდები ისე მოულოდნელად დაგახალოს, რომ „სენდვიჩის მომზადების“ კი არა, ფიქრის უნარიც დაკარგო. საღამოს კი მოდის მშობელი და გთხოვს, მისი შვილის განწყობა ისე გამოძერწო, მისთვის მისაღები ქანდაკება გამოგივიდეს.

სამწუხაროდ, მშობელთა დიდი ნაწილი ცუდად იცნობს საკუთარ შვილებს, ვერ აფასებს მათ რეალურ შესაძლებლობებს. ყველას სურს, მისი შვილი საუკეთესო მოსწავლე იყოს და თუ საწადელს ვერ მიაღწია, ბავშვის წარუმატებლობას, როგორც წესი, სკოლას და მასწავლებელს აბრალებს.

საინტერესოა, მაინც რა დოზით უნდა იყოს მშობელი ჩართული სასწავლო პროცესში. ჩვენს ქვეყანაში, ამ მხრივაც, უმეტესწილად – ინერტული ან ჰიპერაქტიური მშობლების სახით – ორ უკიდურესობასთან გვაქვს საქმე. არადა, მართო მშობლებთან კი არა, მოსწავლეებთან ურთიერთობისასაც აუცილებელია „ოქროს შუალედის“ დაცვა. იმის გარდა, რომ ბავშვი პატარაობიდანვე ეჩვევა ასაკითა და სოციალური სტატუსით მასზე მაღლა მდგომ ადამიანთან ურთიერთთანამშრომლობას, ზომიერ ურთიერთობას, სწავლობს ნებაყოფილობით მორჩილებას, საზოგადოებაში არსებული წესების დაცვის საჭიროებას.

ამის შემდეგ, მკითხველი შეიძლება ავტორის სოციალური სტატუსითაც დაინტერესდეს. მათ საძიებო სისტემა ჩემი სახელის განსაზღვრებად „საგანმანათლებლო სტატიების ავტორს“ და „ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს“ შესთავაზებს. მე კი ჩემს თავს „სენდვიჩების დამამზადებელს“ დავარქმევდი. სენდვიჩების, რომლებსაც, რბილად რომ ვთქვა, წარუმატებელი დღის, თვის ბოლოს, შვილის „წარმატებით“ დასაწყობებად მოსული მშობლების მიღმა თანაგრძნობის გარეშე დარჩენილი, დამშეული ბავშვის თვალები მოხოვენ.



## წიგნიერების გაკვეთილები

ამ ბოლო დროს ტელევიზორის ეკრანებსა თუ გაზეთების ფურცლებზე ხშირად მოჰკრავთ თვალს ინფორმაციას წიგნიერების დონის ამაღლებისა და წიგნის პოპულარიზაციის მიზნით გამართული სხვადასხვა ღონისძიების შესახებ. ალბათ ბევრს უკვირს, რა საჭიროა ამხელა ხმაურის ატეხა ისეთი ჩვეულებრივი მოვლენის გარშემო, როგორიცაა წიგნის კითხვა. როგორც წესი, ცოტამ თუ იცის, რომ წიგნიერება თავის თავში მოიცავს მრავალმხრივი უნარების განვითარებას, ესენია: კრიტიკული აზროვნება, წაკითხულის განხილვა, ანალიზი, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, არგუმენტირებული მსჯელობა, დისკუსია და სხვა.

განმარტებით ლექსიკონს თუ მოვიშველიებთ, ვნახავთ, რომ „წიგნიერება ეწოდება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობას, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ენის ეფექტურ გამოყენებას სწავლისა და კომუნიკაციის მიზნით როგორც სასკოლო, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში“. თუ დავაკონკრეტებთ, წიგნიერება გააზრებულ კითხვასთან ერთად მოიცავს აქტიური მოსმენის, ზეპირმეტყველებისა და წერიითი აზროვნების უნარებს და მაქსიმალურად განავითარებს ზეპირი, ვიზუალური, ნაბეჭდი თუ ციფრული გზით მიღებული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგებით, ქართველ მოზარდთა წიგნიერების დონე საშუალოზე დაბალია. განსაკუთრებით თვალშისაცემია დაწყებით კლასებში წაკითხულის შინაარსის გააზრებასა და გადმოცემასთან დაკავშირებული სირთულეები.

ამავე კვლევის თანახმად, მოსწავლის წიგნიერებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური ფაქტორი. თუ მშობლები სოციალურად და ეკონომიკურად წელში გამართულები არიან, მათი შვილები უმეტესად მაღალ აკადემიურ შედეგებს აჩვენებენ, ხოლო თუ ოჯახს ფინანსურად უჭირს, ასეთ ოჯახში მცხოვრები მოზარდების წიგნიერების დონე დაბალია. ამიტომაც, სახელმწიფომ პრიორიტეტად უნდა მიიჩნიოს განათლებისა და საგანმანათ-



ღებლო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა. კომპიუტერსაც ამიტომ მივეჯაჭვებ, ვირტუალური საინფორმაციო სივრცე ხომ ყველა შესაძლებლობის ადამიანისთვის ღიაა. ციფრული კედელი ყველა ჩვენს კომპლექსსა თუ არასრულფასოვნების შეგრძნებას საიდუმლოდ ინახავს. სოციალურ ქსელში თავი ლამის ყოვლისშემძლე სუპერგმირებად მოგვაქვს. სულ რაღაცას ვამტკიცებთ, მაშინაც კი, როცა არავინ გვეკამათება, პროვოკაციული თემების დახმარებით ვიპყრობთ ვირტუალურ სცენას და ვიწყებთ მოპოვებული ინფორმაციით „პოზირებას“. თუმცა ამ მოვლენასაც გააჩნია დადებითი მხარე – სოციალურ ინტეგრირებისა და ცალკეული პროცესების მართვის სურვილი, რაც, თავის მხრივ, წიგნიერების განვითარებასაც უწყობს ხელს.

გამოცდილი უფროსები თავიანთ შვილებთან/მოსწავლეებთან დასაახლოებლად თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ბილიკებს იყენებენ. წიგნიერების გავრცელების ეფექტურ გზად მედიაწიგნიერება მიიჩნევა, რადგან ის იყენებს სწორედ იმ რესურსებს, რომლებიც მოიპოვება ვირტუალურ გარემოში.

**მედიაწიგნიერება** მოიცავს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობას, რომლის დახმარებითაც საზოგადოება ანალიზებს სხვადასხვა ტიპის მედიაგზავნილებს, ამასთან ახერხებს გარკვეული ტიპის ინფორმაციის აუდიტორიაზე ზეგავლენისა და შედეგების კრიტიკულ შეფასებას და მასობრივი ინფორმაციის სივრცეში არსებული ყველა ჟანრის/ფორმატის მედიაპროდუქციის შექმნას.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მედიაწიგნიერების უნარების განვითარებაზე ყველა საგნობრივმა ჯგუფმა უნდა იზრუნოს. მოსწავლეს უნდა შეეძლოს გარკვეული ინფორმაციის მულტიმედიური საშუალებებით მიღება, გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება თუ შექმნა, რადგან სწორედ ინფორმაციის ოკეანეში ორიენტირების უნარი, სწორი არჩევის გაკეთება, მასალის დახარისხება და შესრულებული სამუშაოს კრიტიკულად შეფასება განსაზღვრავს განათლების მთავარ პრინციპს – ასწავლე, როგორ ისწავლოს!

მედიაწიგნიერება პასუხობს ციფრული საუკუნის გამოწვევებს და გულისხმობს ინფორმაციაზე კონტროლის დამყარებას. მედიაწიგნიერების მაღალი დონე პიროვნების დამოუკიდებლობის ხარისხსაც განაპირობებს. ის არასდროს ექცევა არასასურველი ინფორმაციის წნეხში, რადგან შეუძლია მსგავსი შემთხვევების თავიდან არიდება. არ ხდება „მედიადამოკიდებული“, რადგან მკაცრად იცავს ციფრულ და რეალურ სამყაროს შორის არსებულ საზღვრებს

და არ უტოვებს მედიას მის ცხოვრებაზე, დღის წესრიგზე, ინტერესებსა თუ დამოკიდებულებებზე გაბატონების უფლებას.

პირველ რიგში, ინფორმაციული წიგნიერება ნიშნავს იმის ცოდნას, თუ რატომ გვჭირდება კონკრეტული ინფორმაცია და სად/როგორ მოვიპოვოთ და გამოვიყენოთ იგი. ამისათვის უნდა შეგვეძლოს:

- საძიებო კითხვის სწორად ჩამოყალიბება;
- მოძიებული მასალების საჭირო და მეორეხარისხოვან რესურსებად დახარისხება;
- მოპოვებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება (მისი სანდოობისა და სიზუსტის შემოწმება);
- ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (მივუთითოთ წყარო, რათა სხვამაც შეძლოს მისი გამოყენება);
- ინფორმაციის დანიშნულებისამებრ, კორექტულად გამოყენება.

სამწუხაროდ, საზოგადოების დიდ ნაწილს არ შეუძლია ზემოაღნიშნული ქმედებების განხორციელება, მის თვალწინ ინფორმაცია მდინარესავით მიედინება და მესხიერებაში ყოველგვარი გაანალიზება-გადამოწმების გარეშე ილექება. შედეგად ადამიანს უყალიბდება არათანმიმდევრული, მცდარი შეხედულებები, რომელთაც ასევე დამახინჯებული სახით ავრცელებს.

წიგნიერების დონის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი სივრცის შეთავაზებაც. თუ გარემოს არ შეუძლია მოზარდთა ინტერესების სრულად დაკმაყოფილება, ინტერესთა სფერო არათუ ფართოვდება, პირიქით, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იკლებს.

გარდა იმისა, რომ გარემო უნდა იძლეოდეს მოაზროვნე მკითხველად ჩამოყალიბების საფუძველს, უნდა შეიცვალოს საზოგადოებაში დღემდე არსებული მცდარი მოსაზრება წიგნიერების როლზე, თითქოს ის მხოლოდ კითხვის უნარს და წაკითხული წიგნების სიმრავლეს ნიშნავს (რაც უფრო მეტ წიგნს წაიკითხავ, უფრო წიგნიერი გახდები). არავინ ფიქრობს იმაზე, რატომ უნდა გაეცნოს ამა თუ იმ ლიტერატურას, რაში გამოიყენოს მისგან მიღებული ცოდნა და საერთოდ, სჭირდება თუ არა მას ამ ტიპის ინფორმაციის მიღება.

თუ გსურთ, მოზარდს კითხვის/ინფორმაციის მიღების სურვილი გაუღვივოთ, გარემო ხარისხიანი და მისი ინტერესების შესაბამისი ტექსტებით უნდა

გამდიდროთ. ტექსტებით მდიდარ გარემოში იგულისხმება, როგორც პერიოდული გამოცემებისთვის (ჟურნალ-გაზეთები) სისტემატურად თვალის მიდევნების ტრადიცია, ასევე მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის კომფორტის უზრუნველყოფას მხოლოდ წიგნიერი მშობლები ახერხებენ.

ჩნდება კითხვა: რა ქნას მოზარდმა, რომლის ოჯახსაც არ შეუძლია მსგავსი გარემოს შექმნა? შეგახსენებთ, რომ მომავალ თაობაზე ზრუნვის ვალდებულება მშობლებთან ერთად სახელმწიფოსაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს აკისრიათ.

სამწუხაროდ, სასკოლო ბიბლიოთეკების უმეტესობას არ შეუძლია მოზარდებისთვის კომფორტული სამკითხველო გარემოს შეთავაზება, რადგან სკოლის წიგნთსაცავების უმეტესი ნაწილი მეორად სახელმძღვანელოებს უჭირავს, მხატვრული ლიტერატურითა და სხვა კლასგარეშე საკითხავი წიგნებით კი სკოლები იშვიათად მარაგდებიან. ჩემი აზრით, სანამ სკოლებში არ არსებობს სამკითხველო დარბაზი, სადაც შესაძლებელია გაკვეთილების შემდეგ ჩასვლა, სასურველი წიგნის არჩევა და წაკითხვა, მოზარდებში წიგნიერების დონის ამაღლებაზე საუბარიც ზედმეტია.

ბავშვებს იშვიათად უშვებენ წიგნის თაროებთან, როგორც წესი, მათ საკითხავ მასალას უფროსები ურჩევენ. არადა, რა მოხდება, თუ მათაც მივცემთ არჩევის უფლებას?! მივიდეს, წიგნი თაროდან გადმოიღოს, ფურცლოს, წინასიტყვაობას ან ილუსტრაციებს გადაავლოს თვალი, რადგან თავდაჯერებულ მკითხველად ჩამოყალიბებას მოზარდისთვის გასაგებ და საინტერესო ტექსტებთან ურთიერთობა და უფროსების მხრიდან მისი არჩევის სწორად შეფასება განაპირობებს.

რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით, მოზარდებს უნდა ვასწავლოთ ციფრულ ბიბლიოთეკაში ორიენტირების წესებიც. მათ უნდა შეეძლოთ სასურველი ლიტერატურის მოძიება და წაკითხვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

კითხვის უნარის დახვეწა გარკვეულწილად დამოკიდებულია კითხვის სწავლების მეთოდებზეც. მრავალფეროვანი და ნაყოფიერი საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას მხოლოდ სახელმძღვანელოში არსებული სასწავლო მასალების გამოყენება არ კმარა. თუ მასწავლებელი შესასწავლ თემას დამატებითი ტექსტებით, აუდიო-ვიდეო თუ ფოტომასალებით გამდიდრებს, მოსწავლეს საშუალება ეძლევა, ერთი და იგივე საკითხი სხვადასხვა მი-

მართულებით შეაფასოს, დაახარისხოს და შეაჯამოს მიღებული ინფორმაცია, დააფიქსიროს საკუთარი დამოკიდებულება.

მოტივაციის ასამაღლებლად საკმაოდ პოპულარული მეთოდია მოსწავლეთა ჩართვა გაკვეთილის, პროექტისა თუ ღონისძიების დაგეგმვის პროცესში. მოზარდები შესაშური ენთუზიაზმით აგვარებენ საორგანიზაციო საკითხებს: ადგენენ სამუშაო გეგმას, იძიებენ საჭირო რესურსს, ამზადებენ თემატურ თვალსაჩინოებას (პლაკატს, აფიშას, მოსაწყვეს), ავრცელებენ ინფორმაციას და სხვ. როგორც წესი, ისინი ირჩევენ შესასრულებელი სამუშაოს იმ სფეროს, რომელშიც თვლიან, რომ ძლიერები არიან. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები სასწავლო პროდუქტის თანაავტორები ხდებიან.

მოტივაციის ამაღლების კიდევ ერთ ეფექტურ ხერხს წარმოადგენს შთაბეჭდილების გაზიარება. სასურველია, შეხვედრები სისტემატური ხასიათის იყოს და მოიცავდეს როგორც წაკითხული წიგნების შესახებ საუბარს, ასევე ფილმების/სპექტაკლების განხილვასაც.

წიგნიერების პოპულარიზაციის მიზნით, ზოგიერთი სკოლა მკითხველთა კლუბს ხსნის ან წიგნიერებას არჩევითი საგნის სტატუსს ანიჭებს. იქიდან გამომდინარე, რომ ზემოაღნიშნული საგანი ტიპურ აკადემიურ დისციპლინებს არ მიეკუთვნება, მასწავლებლებს თავად უწევთ თემატური გეგმისთვის სასწავლო და დამხმარე მასალების შერჩევა და ადაპტირება. თუმცა სწორედ „ესგ“-ს „არტახებისგან“ თავისუფალი საგნის სტატუსი განაპირობებს მასწავლებლის თავისუფლების ხარისხს სასწავლო მასალების შერჩევის დროს, რაც ფანტაზიის ჩემოდნების ჩალაგებისა და სახელმძღვანელოებს მიღმა დარჩენილი ჯადოსნური სამყაროების მოსწავლეებთან ერთად დალაშქვრის საშუალებას გაძლევთ.

# ემოციური ჰიგიენის გაკვეთილები

თანამედროვე სამყაროში ადამიანთა უმრავლესობა ემოციებს თვითრეალობებისა და წარმატების ძიების გზაზე ხარჯავს. აქედან გამომდინარე, მისი ემოციური „ძრავა“ ფლეგმატიკის ტემპერამენტს ძლივს უტოლდება, უფრო და უფრო ჭირს ემოციების მართვა. მიზეზი ბევრია: განსხვავებული აზრის მიუღებლობა, გადაღლა, სტრესი, გარემოში არსებული ნეგატიური ენერგეტიკა... ყოველდღიური რუტინა ხომ ფიზიკურთან ერთად ადამიანის ფსიქიკურ რესურსსაც იყენებს.

ემოციების კონტროლი პიროვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამ გზაზე დამდგარმა აუცილებლად უნდა იზრუნო ფსიქიკის გაძლიერებაზე და რაც მთავარია, ისწავლო ემოციების მართვა, თუ არ გინდა, რომ საკუთარი თავის ტყვედ იქცე.

პირველ რიგში, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ნეგატიური ენერგია, რომელიც უარყოფით ემოციას გამოიმუშავებს (ბრაზი, ბოროტება, შური, წყენა), ხშირად ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებების წარმოშობის მიზეზად გვევლინება.

ადამიანები, რომლებიც საკუთარ ემოციებს ვერ აკონტროლებენ, ხშირად აღმოჩნდებიან აფექტის მდგომარეობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ „პირს ეუფლება უეცრად წარმოშობილი და სწრაფად წარმავალი ძლიერი სულიერი ემოცია რაიმე გარემოების ზეგავლენით, რაც საგრძნობლად ამცირებს შეგნებულ ნებელობით კონტროლს და წარმართავს მის ქცევას.“

სუსტი ფსიქიკის მქონე ადამიანებს არ შეუძლიათ მძიმე განსაცდელის მიღება-გაანალიზება და მათი თავიდან აცილების მიზნით, გაუაზრებელ და ალოგიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ. სამწუხაროდ, აფექტის მდგომარეობიდან ფსიქიკურ აშლილობამდე არც თუ ისე შორია: „განასხვავებენ ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ აფექტს. პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მთლიანად ეკარგება უნარი, გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი ქმედების მნიშვნელობა, გაითვალისწინოს შედეგი, რომელიც ქმედებას შეიძლება მოჰყვეს და უხელმძღვანელოს მას. ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირი განიხილება, როგორც შეურაცხადი, რომელიც კანონის თანახმად, თავის ნამოქ-

მედარზე პასუხს არ აგებს. პათოლოგიური აფექტისაგან განსხვავებით, ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ შესუსტებული აქვს თვითკონტროლისა და ქმედების ხელმძღვანელობის უნარი, ამიტომ მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მსუბუქდება, მაგრამ არ გამოირიცხება.“

ემოციურად გაუწონასწორებელ ადამიანს უჭირს სამსახურებრივი თუ საოჯახო ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება, რადგან ის მიზანმიმართულად არ იყენებს ფსიქიკურ რესურსს. ამასთან შეუძლებელი ხდება მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებაც, რადგან გამუდმებით თავს მოხვეულ ნეგატიურ ემოციას დიდხანს ვერავინ უძლებს.

თანამედროვე ფსიქოლოგია ემოციების კონტროლის პრობლემას სხვადასხვა კუთხით განიხილავს. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ადამიანი თავის მოთოკვას ყველაზე ადვილად თავშეკავებითა და ემოციების დათრგუნვით მიაღწევს, ზოგნი კი ამტკიცებენ, რომ ემოციების დათრგუნვა ჯანმრთელობისთვის საზიანოა. არსებობს პრობლემის აღმოფხვრის უვნებელი მეთოდი, რომელსაც ფსიქოლოგები ემოციურ ჰიგიენას უწოდებენ.

ემოციური ჰიგიენის მთავარი წესი საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის დაწესებაა. ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი ისე ხდება, როგორც ჩვენ გვინდა და სურვილის შემთხვევაში, ყოველთვის შეგვიძლია „კურსის შეცვლა“. არსებობს ემოციური ჰიგიენის რამდენიმე წესი, რომელიც ყველამ უნდა აითვისოს, ვისაც ამ მეთოდის საკუთარ პრაქტიკაში დანერგვა სურს:

- ჯანსაღ სხეულში სულიც ბევრად კომფორტულად გრძნობს თავს. სწორი ფიზიკური დატვირთვის დროს გამოიყოფა ჰორმონები, რომლებიც სტრესის დათრგუნვას უწყობს ხელს. ყოველდღიური გამამხნევებელი ვარჯიშების შესრულება ან სხვა სახის ჯანსაღი ფიზიკური აქტივობა ემოციური ჰიგიენის უმთავრესი ნაწილია.
- შეცვალეთ საცხოვრებელი სახლის დიზაინი ისე, რომ სახლში ყოფნისას კომფორტულად იგრძნოთ თავი. ხანდახან ავეჯის გადანაცვლება ან კოსმეტიკური რემონტი საკმარისია, რომ რამდენიმე თვის სამყოფი პოზიტიური ენერგიით დაიმუხტოთ.
- რაც შეიძლება ჩქარა გაისტუმრეთ ნებისმიერი ტიპის სესხი.
- ხელი მოჰკიდეთ საქმეს, რომელსაც დიდი ხანია სახვალოდ დებთ და თქვენს თავს ზემოთ წლებია დამოკლეს მახვილივით კიდია. რაც უფრო მეტ დასასრულებელ სამუშაოს დაუსვამთ წერტილს, მით მეტი ენერგიისა და გონებრივი რესურსის მფლობელი გახდებით.

- შეეცადეთ, რომ თქვენი საქმიანობისთვის ყოველთვის გამოყოთ საკმარისზე მეტი დრო და რესურსი, რათა თავს ხანდახან სულის მოთქმის საშუალება მისცეთ.
- ნუ შეეჭიდებით ისეთ საქმეს, რომელიც ემოციურად გფიტავთ და სტრესულ მდგომარეობაში გაგდებთ. თუ თქვენი პროფესიული საქმიანობა მსგავს სამსახურს გიწევთ, სჯობს დროულად დაფიქრდეთ პროფესიის შეცვლაზე, რადგან ყოველდღიურად გამოყოფილი ნეგატიური ემოციების ქარიშხალი მართო ემოციების წყაროს კი არა, მის გარემოცვასაც ვნებს.
- არ ჩაერთოთ ისეთ საზოგადოებრივ აქტივობაში, რომელიც სიამოვნებას არ განიჭებთ, თავი აარიდეთ პესიმისტური მუხტის მატარებელ ადამიანებთან ურთიერთობას. მოკლედ რომ ვთქვათ, მოერიდეთ ისეთ ცხოვრებისეულ სიტუაციებს, რომლებიც თქვენში ძლიერ უარყოფით განცდებს იწვევენ.
- შეისწავლეთ საკუთარი თავი: დააკვირდით, როგორი გარემო და ფსიქოლოგიური ფაქტორები იწვევენ თქვენში ემოციურ დისბალანსს. მოიფიქრეთ წესები, რომლებიც დაგიცავთ იმ სიტუაციებისგან, რომლებში მოხვედრასაც თქვენთვის ემოციური ზიანის მოტანა შეუძლია. ადრე თუ გვიან თქვენი ახლობლები ამ წესებს შეეგუებიან.
- გამღიზიანებელი გარემოებების დროულად აღმოჩენის მიზნით, ხშირად მოუწყვეთ დაკითხვა საკუთარ თავს: ვისთან ერთად ვმუშაობ/ვურთიერთობ? რაზე ვხარჯავ დროის დიდ ნაწილს? საინტერესო საკითხზე ვმუშაობ? ამ სამუშაოს მოაქვს ჩემთვის სარგებელი ან სიამოვნება? მართალია, უწყვეტი თვითნაღიზიანებისთვის პირადი დროისა და ემოციური რესურსის დიდი ნაწილი იხარჯება, თან თავიდან ტვინი მტკივნეულად აღიქვამს მსგავს ფსიქონალიზს, მაგრამ თანდათან ჩვევაში თუ გადაიყვანთ, მისგან მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო ნაყოფს მიიღებთ და დროის უსარგებლო აქტივობებში გაყვანასაც გადაეჩვევით.
- ეფექტური კონტროლის განსახორციელებლად პოზიტიური ემოციების საჭირო დროს „გამოძახების“ უნარსაც უნდა ფლობდეთ. არსებობს სპეციალური ტრენინგ-კურსები, სადაც მსმენელებს ემოციის კონტროლთან ერთად, ერთი განწყობიდან მეორეზე გადასვლასაც ასწავლიან. თუმცა ხშირი ვარჯიშის შედეგად, სახლის პირობებშიც შეიძლება ზემოაღნიშნული უნარის დახვეწა.
- იპოვეთ თქვენი მთავარი ცხოვრებისეული მიზანი და დაიწყეთ მისკენ სწრაფვა. ამგვარ დადებითი მუხტის მატარებელ ემოციურ მარათონში ჩართვა ფსიქიკურ ზიანს არასდროს მოგიტანთ.



როგორც ვხედავთ, ემოციური ჰიგიენის მთავარ აქტივობად საკუთარ ემოციაზე დაკვირვება ითვლება. თუ მოზარდისთვის მიმზიდველ იერსახეს მივცემთ, მისი განხორციელება სკოლაშიც თავისუფლად შეიძლება.

მოსწავლეებთან ემოციურ თვითკონტროლზე საუბარი რთულია, დაწყებით საფეხურზე მისი სწავლება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია ნეგატიური ემოციის განმუხტვა მარტივი ფსიქო-სოციალური თამაშებით სცადოს.

დაწყებით საფეხურზე ე.წ სმაილებს მოსწავლეთა აქტივობის შესაფასებლად საკმაოდ აქტიურად ვიყენებთ. გამოდის, რომ ემოცია შეფასების ერთგვარ ფორმას წარმოადგენს. გაგიკვირდებათ და „ლიმილები“ ხშირად აკადემიურ ქულებზე ეფექტურად მოქმედებს, რადგან მასში მოსწავლე აკადემიურ შედეგთან ერთად მასწავლებლის ემოციასაც ხედავს. თან ემოციის გამომხატველი ნიშნებით ნებისმიერი სოციალური თუ სასწავლო აქტივობის შეფასება შეიძლება. აქვე გაგიზიარებთ რამდენიმე აქტივობას, რომელიც კლასში წარმოქმნილ ნეგატიურ განწყობასთან ბრძოლაში დაგეხმარებათ:

### აქტივობა – „გაუგზავნე ემოცია“

მოსწავლეებს სთხოვეთ, ფურცელზე ჩამოწერონ რომელიმე თანაკლასელის რაც შეიძლება მეტი დადებითი თვისება, რომლის დახმარებითაც მისი ამოცნობა იქნება შესაძლებელი (სასურველია, მასწავლებელმა გადაწყვიტოს, ვინ ვისზე დაწერს, რადგან თამაშის მიზანია, მოსწავლემ დაახასიათოს ის თანატოლი, რომელთანაც კონფლიქტურ სიტუაციებში ხშირად ხვდება). იმ ფურცლისგან, რომელზეც თვისებები ჩამოიწერება, მოსწავლეები გააკეთებენ თვითმფრინავებს და ერთდროულად გაისვრიან სხვადასხვა მიმართულებით. თვითმფრინავების დაშვების შემდეგ იღებენ ყველაზე ახლოს დავარდნილ ფურცელს და მასზე დაწერილი ინფორმაციის გაშიფვრას იწყებენ.

### აქტივობა – „დახატე ემოცია“

ყველა ადამიანს ეუფლება ნეგატიური განწყობა. ამ მხრივ არც ბავშვები წარმოადგენენ გამონაკლისს. როდესაც შეატყობთ, რომ მოსწავლეებს უჭირთ საკუთარი ემოციების მართვა, დაურიგეთ ფურცლები და სთხოვეთ, წარმოიდგინონ, ხორცი შეასხან საკუთარ ემოციებს – დახატონ ბრაზი, ზიზღი, შური... შემდეგ კი ამ ნახატებისგან ქალაქის ბურთები გააკეთონ. აქტივობის დასასრულს ერთმანეთს „ბირთვის ტყორცნაში“ შეეჯიბრებიან. ყველა, ვინც თავის ნეგატიურ განწყობას – ქალაქის ბურთულას ნავის ურნაში მოათავსებს, გამარჯვებულად ითვლება და სასურველი ემოციით ჯილდოვდება.



# ტერმინების ტყვეობაში: ინკლუზიური საზოგადოება

„ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“, თუმცა არსებობს კიდეც ერთი ბავშვობა, რომელში მონაწილეობის აუცილებლობაც გვაკისრია. მეტიც, ჩვენ რომ არა, ეს ისტორია არც კი დაიწერებოდა.

ერთი ბავშვობის ამბავი მეც დავწერე. ჩემი შვილი უკვე თოთხმეტი წლისაა, შეიძლება ითქვას, მისი ბავშვობის ხანა დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ჯერ მაინც არ ეთმობა „ვარდისფერი სათვალე“ და ჯიუტად ცდილობს აირიდოს გაზრდის ყოველი მცდელობა, გარესამყარო ასე უტიფრად რომ სთავაზობს. არადა, მისი ცხოვრების მემკვიდრე სასოწარკვეთით, გაუთავებელი ბრძოლით, უძილო ღამეებითა და წყალწყალა იმედებით სავსე ამბების მიღმა ძნელად თუ გაარჩევს წინ გადადგმული ნაბიჯების მკრთალ კვალს, რომელიც ჩემს ბიჭს საკუთარ, გამოტოვებულ ბავშვობაში ამოგზაურებს.

პირადი გამოცდილების გაზიარებაზე არასდროს მითქვამს უარი, რადგან დღემდე მწარედ მასსოვს ინფორმაციულ ვაკუუმში გამეფებული შიშის გემო. სწორედ ამ მიზეზით მოვხვდი, ერთი შეხედვით, „გადარჩენილი“ მშობელი „მშობელთა საინფორმაციო ცენტრის (PIC)“ ვებგვერდზე, სადაც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა მშობლები ერთმანეთს პირად ისტორიებს უყვებოდნენ და გამოცდილებას უზიარებდნენ. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტიპის ორგანიზაციების არსებობა, საზოგადოების სწორად ინფორმირება, მშობლების კავშირი/გამოცდილების გაცვლა, რათა ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე მშობელმა არ მოითხოვოს მისი შვილის თანაკლასელის ერთით მეტი ქრომოსომის გამო კლასიდან გადაყვანა. რაიონებში საქმე ბევრად რთულადაა. იქ შეზღუდული შესაძლებლობები ნიშნავს სირცხვილს და სახლში გამოკეტვას, რადგან ოჯახს, რომელსაც სპეციალური საჭიროების მქონე პირი ჰყავს, სიკვდილზე მეტად საზოგადოების ზიზზნარევი სიბრაულის ეშინია. თან ჯიუტად სჯერა, რომ განსხვავებულობას მკურნალობა სჭირდება, მაგრამ საჭირო სპეციალისტისთვის ვერ მიუგნია.

დღემდე დისკუსიის თემად რჩება ტერმინები, რომლითაც საზოგადოება განსხვავებული შესაძლებლობების მქონე პირების დეფინიციას ცდილობს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის დეკლარაციაში გამოყენებულია ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის (უნარების) მქონე პირი“ შემდეგი განმარტებით: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი არის ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც არ აქვს უნარი მთლიანად ან ნაწილობრივ უზრუნველყოს თავისი თავი ჩვეულებრივი (ნორმალური) ადამიანური ან სოციალური ცხოვრების საჭიროებებით, გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობების თანდაყოლილი ან არათანდაყოლილი დეფექტის შედეგად“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2007 წლის კონვენციის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში იგულისხმებიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ გრძელვადიანი ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური ან სენსორული დაზიანება.

„ბავშვთა უფლებების კონვენციაში“ (1989 წ.) გამოყენებულია ტერმინები: „გონებრივად და ფიზიკურად არასრულყოფილი ბავშვი“ და „არასრულფასოვანი ბავშვი“, მაგრამ არ არის მოცემული ზემოაღნიშნულ ტერმინთა განმარტება.

1995 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ“, რომელსაც 2001 წელს დაემატა საკანონმდებლო აქტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“. აგრეთვე ძველი კანონის მთელ ტექსტში ტერმინი „ინვალიდი“ შეიცვალა ფრაზით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტერმინი „ინკლუზია“ დიდი ხანია სიახლეს აღარ წარმოადგენს. ჩვენი ქვეყანა კი ჯერ პირველ ნაბიჯებს დგამს ინკლუზიურ საზოგადოებად ქცევის გზაზე. ჯანსაღი სოციუმი უნდა უზრუნველყოფდეს განათლებას შეუზღუდავ გარემოში, იმის რწმენას, რომ შეზღუდული უნარების მქონე ინდივიდები თანატოლებთან ერთად ისწავლიან. სასწავლო სტანდარტი განსხვავებულ შესაძლებლობას უნდა ესადაგებოდეს, მოკლედ რომ ვთქვათ, ბავშვი კი არ უნდა ერგებოდეს სისტემას, პირიქით, სისტემა უნდა მოერგოს თითოეული მოზარდის შესაძლებლობასა და საჭიროებებს. შევეცადოთ, პატარებს ადრეული ასაკიდან განვუვითაროთ სწავლის უნარი, რადგან ინკლუზიის მთავარი მიზანი თითოეული მოსწავლის პოტენციალის გააქტიურებაა.

ინკლუზია საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც თავის თავში უამრავ რამეს გულისხმობს. ის ადრეულ ასაკში, ბავშვის განვითარების შეფერხების გამოვლენისთანავე იწყება. განვითარების ადრეულ საფეხურზე უფრო ადვილია ინდივიდის სოციალური, ემოციური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების

განვითარება. ამიტომ ორმაგად მნიშვნელოვანია განვითარების შეფერხების მქონე ბავშვის ადრეული ინტეგრაცია. გამოკვლევების მიხედვით, უნარშეზღუდულ ბავშვთან სწავლება ყველაზე წარმატებულად ინკლუზიურ სკოლებში მიმდინარეობს და არა დღის ცენტრებში, სადაც პატარებს მხოლოდ სპეციალური საჭიროების მქონე მოზარდებთან უწევთ ურთიერთობა.

ინტეგრირებული განათლება ნაწილობრივ შეზღუდულ გარემოს გულისხმობს, მაგალითად: თუ ბავშვი ინდივიდუალური პროგრამის მიხედვით სწავლობს და რამდენიმე გაკვეთილს კლასთან ერთად ესწრება, მისი სწავლების ტიპი ინკლუზიურია. მხოლოდ დღის ცენტრში, სპეციალურ ჯგუფში, ინდივიდუალური მიდგომებით სწავლება კი შშმ ბავშვისთვის შეზღუდულ გარემოში განათლების მიცემას ნიშნავს.

საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის დღემდე რთულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა (განათლების მიღება, დასაქმება...), რადგან მისი შესაძლებლობები და საჭიროებები არ მიესადაგება უმრავლესობის მიერ დაწესებულ სტანდარტებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების არასასურველ რეაქციას ხშირად სსსმ პირის ქმედებაც იწვევს. მათი დაბალი თვითშეფასება ორმაგი სტანდარტებით აგებული გარემოსთვის ხელსაყრელ სამანიპულაციო ბერკეტს წარმოადგენს. ფაქტია, როცა საზოგადოებისგან მოწყალებას ითხოვ, დიდხანს გიწევს ჩაკეტილ კართან დგომა, იმ კართან, რომლის გაღებაც თავად შეგიძლია. მთავარია დაიჯერო, რომ შენც ისეთივე უფლებები გაქვს, რაც – საერთო სტანდარტული უნარების მქონე თანამოქალაქეებს.

განვითარებული საზოგადოება, პირველ რიგში, განსხვავებული ადამიანების ჯანსაღ ურთიერთდამოკიდებულებას გულისხმობს. სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ დღემდე ვერ გაითავისა, რომ განსხვავებულობა არის ნორმა და ერის ერთიანობის ცნება, პირველ რიგში, ინდივიდის აღიარებასა და მიღებულობას ნიშნავს. ინკლუზიურ საზოგადოებაში არ არსებობენ ბოლომდე სხვაზე დამოკიდებული ადამიანები. განსხვავებული შესაძლებლობის მქონე პირებს მარტო პური კი არ უნდა მიაწოდო, არამედ მისი დამოუკიდებლად მოპოვებაც უნდა ასწავლო.

დღესაც ბევრი მშობელი გაურბის შვილის მდგომარეობის სახელდებას. შეიძლება შორიდან ადამიანის სტატუსის ჩარჩოებში მოქცევა არ მოგვეჩვენოს მართებულად, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინდივიდის მდგომარეობის ზუსტად განსაზღვრა მის საჭიროებაზე მაქსიმალურად მორ-

გებული სპეციალური სამედიცინო, სოციალური თუ საგანმანათლებლო სერვისის შექმნის აუცილებელი წინაპირობაა.

სპეციალური საჭიროების მქონე მოზარდთან მუშაობის დაწყებისას ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა სახის ფიზიკური თუ საგანმანათლებლო საჭიროება აქვს მას. შემდეგ შევისწავლოთ გარემო, რომელშიც აღნიშნულ პირს მოუწევს სწავლა, მოვამზადოთ მისი საჭიროების შესაბამისი ფიზიკური სივრცე და მასალები. სასურველია ობიექტის ჩართვა ჩასატარებელი აქტივობების დაგეგმვის პროცესშიც. აქტივობა, რომელშიც შშმ პირი მონაწილეობს, ისე უნდა დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი გახდეს პროცესში მისი აქტიურად ჩართვა. აუცილებელია სასწავლო პროცესზე ხშირი მონიტორინგის განხორციელება, რათა თვალსაჩინო გახდეს წინსვლის თითოეული ნაბიჯი და ამასთან, მოსწავლესაც მიეწოდოს სათანადო უკუკავშირი. ინკლუზიის ძირითადი მიზანი ხომ ისაა, რომ ყველა ადამიანმა უნდა შეძლოს სასწავლო პროცესში თანაბარი თანამონაწილეობა და პროგრესი განიცადოს.

იმედია, ინდივიდზე ცენტრირებული სასწავლო პროგრამები იდეის შესაბამისად განხორციელდება და დროთა განმავლობაში ზემოთ ხსენებული ტერმინების გამოყენების საჭიროებაც შემცირდება.

# პირიქითა გაკვეთილები, ანუ ერთი დღე შებრუნებულ საკლასო ოთახში

სკოლებში, კოლეჯებსა თუ უნივერსიტეტებში სწავლების ერთ-ერთი ინოვაციური მეთოდი – „შებრუნებული საკლასო ოთახი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს.

გადავხედოთ „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდის განმარტებას: სწავლა-სწავლების ზემოაღნიშნული მიდგომა გულისხმობს მასწავლებლისა და მოსწავლის როლების შეცვლას, რაც, თავის მხრივ, მოსწავლეზე ორიენტირების მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. შეგახსენებთ, რომ ინტერაქტიური სწავლება გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში ახალი სტრატეგიების, მიდგომებისა და შეფასების ხერხების დანერგვას, აქედან გამომდინარე, იცვლება სწავლების მიზანიც. გაკვეთილის ახსნა-დასწავლა-ჩაბარების ჯაჭვს ენაცვლება ახალი მასალის დამოუკიდებლად გააზრება და კლასში საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით განმტკიცება.

ტრადიციულ გაკვეთილზე მოსწავლეს უმეტესად ენიჭება პასიური მსმენელის როლი. ახსნილი მასალის გაგების ხარისხი საშინაო დავალების შემოწმების ან გამოკითხვის დროს იზომება. თუ მოსწავლის მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება, შესაძლოა, მან დაბალი შეფასება დაიმსახუროს და თან უცურადღებობისთვისაც უსაყვედურონ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსწავლეთა სიმრავლის გამო, მასწავლებელს ინდივიდუალური მიდგომების განსახორციელებლად დრო არასდროს რჩება. სწორედ მსგავსი სიტუაციიდან თავის დასახსნელად შეგვიძლია გამოვიყენოთ შებრუნებული საკლასო ოთახის ფორმატი, სადაც პედაგოგი თითოეულ მოსწავლესთან უშუალო კონტაქტს შეძლებს. რაც მთავარია, შებრუნებული გაკვეთილის მთავარ მიზანს, ცოდნის მიღებასთან ერთად, მრავალმხრივი უნარების გამომუშავება წარმოადგენს.

ინტერაქტიური სწავლების მომხრენი მიიჩნევენ, რომ გაკვეთილი მოსწავლისთვის სიახლის გაცნობით უნდა იწყებოდეს, რადგან თუ ის გაკვეთილის დასაწყისშივე გაერკვევა მისთვის უცნობ საკითხებში, ფაქტებსა თუ მონაცე-

მებში, მისი მოტივაცია სიღრმისეული სწავლის თვალსაზრისით აუცილებლად გაიზრდება. ასე რომ, აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგნის მიმართ შემეცნებითი ინტერესისა და მოტივაციის გაღვივებისთვის.

სასურველია, მოსწავლე მართო არ დარჩეს უცნობ მასალასთან მუშაობის დროს, ამიტომაც ჯგუფური აქტივობები ინტერაქტიური გაკვეთილის განუყოფელი ნაწილია. ამას გარდა, თანამშრომლობითი სწავლის უნარების განვითარების უკეთეს მიზეზს ვერც წარმოიდგენთ.

აღნიშნული მეთოდით გაკვეთილის დაგეგმვა შეიძლება ხშირად ვერ შევძლოთ, თუმცა მისი ძირითადი ხედვა, რომ მივცეთ მოსწავლეს ახალი მასალის ინდივიდუალურად გაცნობის და საკუთარი დამოკიდებულების გაჩენის საშუალება, ჩემი აზრით, ყველა ახალი საკითხის გავლისას უნდა გავითვალისწინოთ. რაც არ უნდა რთულად ასათვისებელი იყოს მასალა, მოსწავლე-ბელი უნდა შეეცადოს, მოსწავლეს მზა პასუხის ნაცვლად მისკენ მიმავალი გზა დაანახოს.

შებრუნებული გაკვეთილის შედეგიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად არიან მომზადებული მოსწავლეები მსგავსი გამოწვევისთვის. სანამ მათ გაკვეთილის მართვის სადავეებს გადავცემდეთ, საჭირო უნარები უნდა გამოვუმუშაოთ, მაგალითად: გავაცნოთ კლასს ახალ მასალაზე მუშაობის სხვადასხვა ხერხი, განვიხილოთ და ერთობლივად შევასრულოთ ამა თუ იმ ტიპის დავალება და სხვ.

კარგია, თუ გაკვეთილს ტექნიკური მიმართულებითაც გავამდიდრებთ. დავალების შესრულებისას შეგვიძლია გამოვიყენოთ მრავალფეროვანი ინსტრუმენტები: თემატური ვიდეოგაკვეთილები (უკვე არსებული ან, საუკეთესო შემთხვევაში, თქვენ მიერ შექმნილი), საგანმანათლებლო საიტები (buki.ge; kargiskola.ge; ka.khanacademy.org; britishcouncil.ge/english/online და სხვ.), მინიტესტების ელექტრონული ვერსია, რომელთან წვდომა მოსწავლეებს თავიანთი სმარტფონებითაც შეეძლება; ხმის მიცემის მობილური აპლიკაციები, რომელიც საგაკვეთილო თემის თუ ფორმატის არჩევაში დაეხმარებათ. მოსამზადებელ პერიოდში მოსწავლეებს სავარაუდოდ დასჭირდებათ: საძიებო სისტემა (google); საოფისე პროგრამები: Word, PowerPoint, ელექტრონული ლექსიკონი (ena.ge) თემატური ვიდეომასალებისთვის – youtube.com და სხვ.

სასურველია, ახალი ინფორმაციის დაკავშირებაც შევძლოთ მოსწავლის პირად გამოცდილებასთან (სასკოლო, ცხოვრებისეული) დაკავშირებაც შევძლოთ. შეგვიძლია მოსწავლეებთან ერთად დავგვემოთ ცალკეული აქტი-

ვობები: გამოჰკითხეთ, რომელი კონკრეტული უნარის (მაგ., პრეზენტაციის აწყობა) განვითარება სურთ, ან რა ტიპის ჯგუფური თუ ინდივიდუალური სამუშაოს შესრულება იქნება მათთვის საინტერესო. როგორც მემოთ აღვნიშნე, შეგიძლიათ შეადგინოთ მინი კითხვარი სასურველი საგაკვეთილო თემის არჩევის მიზნით ან თავად შესთავაზოთ აუდიტორიას სადისკუსიო თემები და საკვლევი საკითხის განხილვის ფორმატი. ახალი პრობლემების ერთობლივი ძალებით გადაჭრა, პროექტებით/ექსპერიმენტებით სწავლა და სხვა მსგავსი დინამიკური სასწავლო პროცესი მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების და არსებულ სოციუმში თვითდამკვიდრების პროცესს ერთმნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

ინტერაქტიური გაკვეთილის დამაგვირგვინებელ აქტივობას წარმოადგენს შეცდომების და წარმატების ჯგუფური (გეპირი) და ინდივიდუალური (თვით-შეფასების ბარათები) ანალიზი. შეფასების დროს სჯობს, მასწავლებელმა აქცენტი გააკეთოს მოსწავლეთა წარმატებაზე, რადგან აღნიშნული გაკვეთილები საგნით დაინტერესებაზე, თანამშრომლობასა და ჩართულობაზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე – მასალის ათვისების ხარისხის განმსაზღვრელი შეფასებით გაზომვამდე.

რაც შეეხება წესებს, რომელიც გაკვეთილის მსვლელობის რეგულირებისთვის გვჭირდება, მისი დაცვა ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოს და მოსწავლეებთან ერთად უნდა შემუშავდეს. თუ მაინც იჩინა თავი პროცესის დამაბრკოლებელმა მოვლენებმა, მაშინ ე.წ. მეამბოხეს შეგიძლია მაყურებლის როლი შევთავაზოთ, ანუ ჩამოვაშოროთ საინტერესო აქტივობებს.

მოსწავლეს თავიდანვე კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, რომ ის თავად არის გაკვეთილის თანაავტორი – სასურველი მიმართულებით წარმართავს პროცესს, მის ხელშია ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების ბერკეტები, რაც გამბედაობას და მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღების უნარს მოითხოვს. გაკვეთილებზე, სადაც მასწავლებლის როლი შესუსტებულია და მისი ჩართულობა მხოლოდ მოსწავლის ინიციატივის ხელშეწყობით შემოიფარგლება, როგორც წესი, დისციპლინური პრობლემები ნაკლებად იჩენს თავს.

მოსწავლეებს სასწავლო მასალა მიეწოდებათ დისტანციურად. ისინი მოიძიებენ/კითხულობენ დამხმარე მასალას, უყურებენ მითითებულ ვიდეოებს, ხვდებიან ერთმანეთს სკოლაში/სკოლის გარეთ ან აწყობენ ონლაინ-დისკუსიას და ჯგუფურად ამუშავებენ საგაკვეთილო რესურსს საშინაო დავალების



ფორმატში. საკლასო შეხვედრები კი მრავალფეროვან ჯგუფურ აქტივობებს და პრაქტიკულ სავარჯიშოებს ეთმობა. გაკვეთილზე მასწავლებელს გაცილებით მეტი დრო რჩება, რათა დაეხმაროს და დააკვირდეს მოსწავლეებს, დროულად გამოავლინოს ახალ მასალასთან დაკავშირებული სირთულეები და განმარტოს გაუგებარი საკითხები.

ახალ ფორმატზე გადასვლა საკმაოდ რთული პროცესია, როგორც მასწავლებლისთვის, ასევე მოსწავლისა და მისი მშობლებისთვის. გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად სჯობს, დროულად უზრუნველყოთ მათი ინფორმირება თქვენ მიერ დანერგილი სიახლის შესახებ. წერილში ასევე განიხილეთ ზემოაღნიშნული საგაკვეთილო ფორმატის უპირატესობა სტანდარტულ სწავლა-სწავლებასთან შედარების გზით.

შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელს უმეტესად უნივერსიტეტებში იყენებენ, თუმცა აღნიშნული მიმართულების გამარტივება და სასკოლო სიცრცეში დანერგვა დიდ სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენს.

ქართული ენის გაკვეთილებისთვის მოსამზადებლად მცირე რაოდენობის ვიდეოგაკვეთილების გარკვეული ბაზა არსებობს. სასწავლო საფეხურიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შებრუნებული გაკვეთილისთვის მოსამზადებლად უმეტესად ტექსტურ მასალას ვაწვდი. დავალების შინაარსი შედგება მკაფიო ინსტრუქციებისგან, ახალი მასალის გააზრების ხარისხს კი საგნის ფორმატის შესაბამისი მრავალფეროვანი აქტივობებით ვამოწმებ. აქვე გავიზიარებთ ზემოაღნიშნული მიდგომების გათვალისწინებით დაგეგმილ ჩემს ერთ-ერთ გაკვეთილს.

|                      |                                       |
|----------------------|---------------------------------------|
| გაკვეთილის თემა      | ბუნება და ადამიანი                    |
| სასწავლო საფეხური    | დაწყებითი საფეხური, V კლასი           |
| მასწავლებელი         | თ. დოლიძე                             |
| მოსწავლეთა რაოდენობა | 16 (კლასში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე) |



### გაკვეთილის მიზანი

ახალი სასწავლო მასალის სიღრმისეულად გააზრება-განმტკიცება, ორიენტირებული კითხვის და წერითი აზროვნების უნარების დახვეწა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება, სიმბოლოებით აზროვნების, მოვლენებზე დაკვირვების და სათანადო დასკვნების გამოტანის, ურთიერთთანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა.

### სავარაუდო შედეგი

მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ბუნების (მცენარის) მნიშვნელობის გააზრება, ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების დაფიქსირება, ადამიანის მხრიდან გამოჩენილი გულგრილობის მაგალითების და ამ დამოკიდებულებით გამოწვეული სავალალო შედეგების გახსენება-დასახელება. მათ დამოუკიდებლად უნდა მოახერხონ სასწავლო მასალების დამუშავება და მიღებული ცოდნის/გამოცდილების ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ აქტივობებში გამოყენება.

### კავშირი სხვა საგნებთან

ბუნებისმეტყველება, თემა: მცენარეები  
სამოქალაქო განათლება, თემა: მოქალაქე, მისი როლი და პასუხისმგებლობა

### წინასწარი ცოდნა

მოსწავლეებმა IV კლასში იმუშავეს ქართული ენისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლების მიერ ორგანიზებულ ინტეგრირებულ პროექტზე „პატარა ხევის დიდი პრობლემა“ (თემა – „ჩვენი ხევი“; კონტექსტი – თბილისის წყალდიდობა 2015 (საზოგადოებრივი დაუდევრობა და ბუნებრივი კატაკლიზმები: წყალდიდობა, წყლის დაბინძურება და სხვ.))

## გაკვეთილისთვის მზადება

მოსწავლეებს სკოლის ელექტრონული ჟურნალის დახმარებით მიეწოდებათ დასამუშავებელი მასალები (ტექსტური და ვიდეომასალა), მათ ასევე უნდა გადახედონ თემატურ სიახლეებსაც, მაგალითად: მოიძიონ ან მივაწოდოთ ტელერეპორტაჟები საქართველოს ტყის მასივში 2017 წლის ზაფხულში გაჩაღებული ხანძრების შესახებ (ვიდეომიმოხილვა), პორტუგალიაში ხანძრისგან წარმოქმნილი ცეცხლოვანი ტორნადოების ამსახველი კადრები და სხვ. ამას გარდა, სასურველია მოსწავლეებმა ზოგადი ინფორმაცია მოიძიონ „პარტიზანული მებაღების“ და თბილისში ახალგაზრდა ხეების უკანონო ჭრის შესახებ.

რადგან დასამუშავებელი მასალა საკმაოდ დიდია, რამდენიმე მიზნობრივი ჯგუფის შექმნა დაგვჭირდება. მოსწავლეებს ეძლევათ გარკვეული დრო (მაგ., ერთი კვირა) მასალებზე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად სამუშაოდ. ერთი გუნდი დაამუშავებს მხატვრულ ტექსტებს. მეორე – ანიმაციურ, მესამე – საინფორმაციო ვიდეო მასალებს ნახავს და მათში წარმოდგენილ შესასწავლ თემასთან დაკავშირებულ პრობლემებს გააანალიზებს. მეოთხე ჯგუფი კი თემატურ სიახლეებს შეისწავლის.

## რესურსი

მიზნობრივი ტექსტები: სასწავლო მასალა – „მუხა“ (რევაზ ინანიშვილი), პარალელების გავლებისთვის დამატებითი საკითხავი: „ვაშლის ხე და ბიჭი“ (შელ სილვერსტაინი), „შურიანი კაცის ამბავი“ (ერლომ ახვლედიანი); ვიდეომასალა: „ვაშლის ხე“, „მწვანე ტოტი“, მოსწავლეთა მიერ მოძიებული ტელერეპორტაჟები; საკანცელარიო მასალა: ფურცელი (ფლიპჩარტი), წებოვანი ქაღალდი, კალამი, მარკერი; ტექნიკური მხარდაჭერა: ნოუტბუქი, პროექტორი, პრინტერი, ინტერნეტი, USB ფლეშ მეხსიერება.

**აქტივობა N1**  
(20 წთ.)

**პრეზენტაცია (ჯგუფური)** – ჯგუფების მიერ მასალების დამუშავების ფაზაში მომზადებული მინი პრეზენტაციების წარმოდგენა.

შენიშვნა: პრეზენტაციას რიგრიგობით წარმოადგენს ჯგუფის ყველა წევრი. აღნიშნული აქტივობის მსვლელობისას შეფასდება ინფორმაციის ფლობა, გუნდურობა და დროის ლიმიტის დაცვა (თითოეულ გუნდს ეთმობა 5 წუთი). გუნდების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მთავარ ნიუანსებს მასწავლებელი აფიქსირებს დაფაზე/ფლიპჩარტზე.

**აქტივობა N2**  
(10 წთ.)

**დისკუსია (საკლასო)** – მოსწავლეები აჯამებენ პრეზენტაციების მოსმენის შედეგად მიღებულ საერთო სურათს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით და გამოაქვთ დასკვნა.

**აქტივობა N3**  
(10-15 წთ.)

**პერსონაჟზე დაკვირვება (ჯგუფური)** – აღნიშნული აქტივობის შესრულების დროს სასურველია გამოვიყენოთ კოგნიტური რუკა, რომლის მეშვეობითაც აღვწერთ პერსონაჟის ფიქრებს, გრძნობებსა თუ ქმედებებს.

აღნიშნული აქტივობის შესასრულებლად ჯგუფები მუშაობენ სხვადასხვა პერსონაჟის დახასიათებაზე, მაგალითად, პირველი ჯგუფი წარმოადგენს მონადირეს ან მუხას („მუხა“), მეორე – ბიჭს („ვაშლის ხე და ბიჭი“), მესამე – ვაშლის ხეს („ვაშლის ხე და ბიჭი“), მეოთხე კი – ერლომ ახვლედიანის „შურიან კაცს“. შემდეგ კი აუდიტორიას თავიანთ ნამუშევრებს გააცნობენ.

გემოაღნიშნული აქტივობა შეგვიძლია ჩავანაცვლოთ იმავე მიზნის მატარებელი **მინი პროექტით**, რომელიც ასევე ჯგუფებში მუშაობას მოითხოვს.

გუნდებს ვურიგებთ ფურცლებს, რომლებზეც სხვადასხვა ჯიშის ხის (მუხა, ვაშლის ხე, ზეთისხილის ხე) კონტურია დატანილი. მოსწავლეებმა ფოთლის ფორმის წებოვან ფურცლებზე მათთვის დამახასიათებელი თვისებები უნდა ჩამოწერონ და მცენარეთა ტოტები შეავსონ.

|                                    |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>საშინაო<br/>დავალება</b></p> | <p>მოსწავლეები წერენ არგუმენტირებულ ესეს თემაზე – „ადამიანად რომ არ დავბადებულიყავი...“</p> <p>შენიშვნა: ესეს წერის დროს მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ თავიანთი არჩევანი (ადამიანად რომ არ დავბადებულიყვნენ, რომელ მცენარედ ყოფნას აირჩევდნენ და რატომ?!). თუ სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, შეგვიძლია მოსწავლეებს დავალების დეტალური ინსტრუქცია წერილობითაც მივაწოდოთ.</p>                              |
| <p><b>შეფასება</b></p>             | <p>მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ კომენტარებს და განმავითარებელი შეფასების სხვა ინსტრუმენტებს („გასასვლელი ბარათი“, გაკვეთილის შეფასების/თვითშეფასების კითხვარი, ფოკუსირებული დაკვირვების ინსტრუმენტი...) პრეზენტაციის, დისკუსიის თუ ჯგუფური მუშაობის დროს, იგი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს, აფასებს მის ინდივიდუალურ წვლილს და ჩართულობის ხარისხს. მოსწავლეებს ასევე მოეთხოვებათ დროის ლიმიტის დაცვა.</p> |

### ქართული ენა და ლიტერატურა

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვიდეო გაკვეთილები/პრეზენტაციები და დამხმარე ტექსტური თუ აუდიო-ვიდეო მასალა მხოლოდ რესურსია. მიუხედავად იმისა, რომ მასზე მუშაობა საკმაოდ დიდ დროს და ენერგიას წაგვართმევს, მთავარი ყურადღება მაინც საკლასო ოთახში განსახორციელებელი აქტივობებისკენ უნდა მივმართოთ, რადგან ინტერაქტიური სწავლა-სწავლების მთავარ მიზანს სწორედ მოსწავლესთან პირისპირ შეხვედრისთვის გამოყოფილი დროის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება წარმოადგენს.

# ნინო ჭიკაბრიშვილი

---

1 როგორ დავწეროთ გაკვეთილი?

47



# როგორ დავწეროთ გაკვეთილი?

თომას ედისონმა აღნიშნა: „გენიოსი 1% შთაგონებაა და 99% ოფლისღვა“. ის დიდი გამომგონებელი იყო და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, დიდი ნოვატორიც. გამომგონებელი ახალი საქონლისა და მომსახურების შემქმნელია; ნოვატორი კი გამოგონებას ეკონომიკური ღირებულების მქონე პრაქტიკულ საგნად აქცევს.

გაკვეთილის დამწერი გამომგონებელი უნდა იყოს, მაგრამ გამომგონებლობა საკმარისი არ არის, ის ნოვატორიც უნდა იყოს. შეიძლება დამწერს ჰქონდეს გაკვეთილისათვის სანიმუშო იდეა, მაგრამ ამ გაკვეთილს ვერ გამოიყენებს სხვა, თუ ის მხოლოდ ახლებური იქნება. გაკვეთილი უნდა იყოს ნათელიც, მოკლეც, ზუსტიც, სრულყოფილიც და გამოსაყენებლად ადვილიც. როცა გაკვეთილს ყველა აღნიშნული თვისება აქვს, ის ეკონომიკურ ღირებულებას იძენს – ნოვატორული ხდება.

ხშირად მასწავლებელის მიდგომა სწავლებისადმი ღირებულია. მან შეიძლება ეს მიდგომა სხვასაც გაუზიაროს, გამოაქვეყნოს კიდეც რამდენიმე გაკვეთილი. თუმცა, შესაძლებელია, ბევრი მათგანი ვერ გახდეს წარმატებული და ვერ გაიზიაროს სხვა მასწავლებელმა. ის მხოლოდ ერთ საკლასო ოთახში – გაკვეთილის დამწერის საკლასო ოთახში გამოდგება. გაკვეთილის გეგმის აგების უამრავი ვარიანტი არსებობს. უამრავი რამ უნდა იქნეს განხილული ყურადღებით და დეტალურად. კარგი გაკვეთილის დასაწერად საჭიროა დიდი ძალისხმევა.

## გაკვეთილის ფორმატი

განათლების სფეროში მომუშავე ადამიანები ეფექტური გაკვეთილის გეგმის ძალიან ბევრ ფორმატს გვთავაზობენ. ამომწურავი, კარგი გაკვეთილის ფორმატის ერთ-ერთი ვარიანტი ასეთია:

1. გაკვეთილის სათაური;
2. გაკვეთილის აღწერა;
3. შინაარსობრივი სტანდარტები;
4. ტერმინები/ცნებები;

5. მოსაზღვრე საგნები;
6. მიზნები;
7. საჭირო დრო;
8. საჭირო მასალები;
9. მსვლელობა;
10. დასკვნითი ნაწილი;
11. შეფასება;
12. განმტკიცება/დაკავშირება.

განვიხილოთ თითოეული პუნქტი.

**გაკვეთილის სათაური.** სასურველია, გაკვეთილის სათაური არატრაფარეტული იყოს და დაფაზე დაიწეროს – ეს ერთგვარი ანკესის გადაგდება იქნება მოსწავლეებისათვის. სათაური მათ გაკვეთილის მიმართ გარკვეულ განწყობას შეუქმნის და მის მოსასმენად ინტერესს გაუღვიძებს.

**გაკვეთილის აღწერა.** ამ ნაწილით გაკვეთილის ავტორი წარმოგიდგენს გაკვეთილის დანიშნულებასა და მიზნებს და გაკვეთილის მსვლელობის მოკლე აღწერას. მკითხველმა ამ ნაწილის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს, გამოადგება თუ არა ეს გაკვეთილი დასახული სასწავლო მიზნების მისაღწევად. ამის გამო მნიშვნელოვანია, გეგმის ეს ნაწილი იყოს ზუსტი და მოკლე.

**შინაარსობრივი სტანდარტები.** ხშირად მასწავლებლები ეძებენ კონკრეტული შინაარსის მქონე გაკვეთილს. სწორედ ამ ნაწილის მიხედვით მკითხველი ადვილად იგებს, გამოადგება თუ არა მას მოცემული გაკვეთილი მოცემული კონკრეტული მიზნისათვის. აქ ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი სასწავლო შინაარსი. ზოგჯერ ჩამოთვლილია ის საკითხებიც, რომლებიც გაკვეთილში ნახსენებია და არ ისწავლება, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. მაგ., თუ ავტორი ამ ნაწილში ახსენებს „სამოქალაქო უფლებებს“ და არ აზუსტებს ამ უფლებათა სწავლების საფეხურებს, მაშინ არ არის მიზანშეწონილი სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებული შინაარსობრივი სტანდარტის მოხსენიება ამ ნაწილში. როგორ უნდა ისწავლოს მოსწავლემ ის შინაარსი, რომელიც გაკვეთილში არ არის მოცემული? გაკვეთილის ავტორი უნდა ერიდოს იმ შინაარსობრივი სტანდარტების ჩამოთვლას, რომელიც ზუსტად ან სრულად არ არის ახსნილი გაკვეთილში.

**ტერმინები/ცნებები.** ზოგიერთი მასწავლებელი შეიძლება სულ არ იცნობდეს შინაარსობრივ სტანდარტებს და ეძებდეს გაკვეთილს, რომლის საშუალებითაც კონკრეტულ კონცეფციას, მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოებას, ასწავლის. სწორედ ამიტომ არის სასარგებლო კონცეფციების ჩამოთვლა. აქაც იგივე საფრთხეა მოსალოდნელი, რაც შინაარსობრივი სტანდარტ-



ბის წერისას – ავტორმა მხოლოდ ის ცნებები/ტერმინები უნდა ჩამოთვალოს, რომელიც ზუსტად და სრულად არის ახსნილი გაკვეთილში.

**მოსაზღვრე საგნები.** სამოქალაქო განათლების ბევრი გაკვეთილი ინტეგრირებულია სხვა საგნებთან, მაგ., მშობლიურ ენასთან, უცხო ენასთან, ისტორიასთან, გეოგრაფიასთან და სხვ. თუ გავითვალისწინებთ საგაკვეთილო დროის შეზღუდულობას, ინტეგრაცია სასურველია. ინტეგრაცია არა მარტო საშუალებას აძლევს მასწავლებელს სხვადასხვა დისციპლინები ერთდროულად ასწავლოს, არამედ თავად სწავლებასაც სახალისოს ხდის მოსწავლეებისათვის. სამრეწველო რევოლუციასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი სტრუქტურის ცვლილებები, ძალიან მიმზიდველი იქნება მსოფლიო ისტორიის მასწავლებლისთვისაც, რომელსაც ორი კურდღლის მოკვლა სურს ერთი გასროლით. ამ ნაწილში ჩამოთვლილი უნდა იყოს ის საგნები, რომელთანაც ეს გაკვეთილია ინტეგრირებული.

**მიზნები.** გაკვეთილის მიზნებში აღწერილია საგანმანათლებლო მიზნები მოსწავლეებისათვის, ანუ სწავლების სასურველი შედეგები. კარგად დაწერილი მიზნები აღწერს, თუ რა ეცოდინებათ და რის გაკეთებას შეძლებენ მოსწავლეები მოცემული გაკვეთილის შესწავლის შედეგად.

გაკვეთილის დაწერამდე ავტორმა კარგად უნდა ჩამოაყალიბოს სასურველი შედეგები, რადგან გაკვეთილის მთელი მსვლელობა პირდაპირ არის დაკავშირებული შედეგებთან. თუ მიზნები არ არის ნათელი, ავტორმა შეიძლება სულ სხვაგვარი, არასასურველი შედეგებით დაამთავროს გაკვეთილი. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც უნდა გვახსოვდეს გაკვეთილის მიზნების განსაზღვრისას: ისინი უნდა იყოს მოსწავლეებზე ორიენტირებული, გასაგები და არაორობროვანი და მასში ნათლად უნდა ჩანდეს სწავლების მოსალოდნელი შედეგები.

**მოსწავლეზე ორიენტირებული.** მიზანი აღწერს თუ რა ცვლილებაა მოსალოდნელი მოსწავლეში. ხშირად მიზნები იწყება შემდეგი ფრაზით: „მოსწავლეები შეძლებენ“, ანუ ის მიმართულია მოსწავლეზე და არა მასწავლებელზე. უნდა გვახსოვდეს, რომ მიზანი აღწერს, თუ რა შეიძლება მოსწავლეს ამ გაკვეთილის შესწავლის შემდეგ.

**გასაგები და არაორაზროვანი.** განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

„მოსწავლეები გაიგებენ საზოგადოების სტრუქტურას“

და

„მოსწავლეები აღწერენ კავშირს საზოგადოების სტრუქტურასა და სამრეწველო რევოლუციას შორის“.

პირველი მიზანი ძალიან ზოგადია და მასში არ ჩანს, თუ როგორ გამოამჟღავნებენ მოსწავლეები იმას, რომ საზოგადოების სტრუქტურა გაიგეს. ამგვარი მიზანი არ უზრუნველყოფს მასწავლებლისათვის სრულ ინფორმაციას, თუ რა

ეცოდინებათ მის მოსწავლეებს ამ გაკვეთილის შესწავლის შემდეგ და არც იმას, თუ როგორ უნდა შეაფასოს, მიაღწიეს თუ არა მოსწავლეებმა მიზანს. მეორე მაგალითში ნათლად არის ნაჩვენები მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევა.

**საჭირო დრო.** კითხვაზე, რა დრო არის საჭირო გაკვეთილის ჩასატარებლად, მოკლე პასუხი ასეთია, „იმდენი, რამდენიც დასჭირდება!“ ზოგიერთ გაკვეთილს შეიძლება 30წთ დასჭირდეს, ზოგს კი – 2 გაკვეთილი. გაკვეთილის წერისას უნდა გვახსოვდეს, რომ პროგრამა გადატვირთულია. არ უნდა ვეცადოთ „ჩავატიოთ“ რაც შეიძლება ბევრი ერთ გაკვეთილში. თუ გაკვეთილი მოიცავს უხვ მასალას, მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები ისწავლიან ძალიან ცოტას. უნდა ვეცადოთ გაკვეთილის დედააზრის შენარჩუნებას და გამოვცადოთ გაკვეთილი რაც შეიძლება მეტ კლასში, რათა განვსაზღვროთ საჭირო დრო.

**საჭირო მასალები.** საჭირო მასალები ჩამოთვლილი უნდა იყოს გაკვეთილის დასაწყისშივე. მასწავლებლებს არ უნდა ჰქონდეთ მოულოდნელი სიურპრიზები გაკვეთილის მსვლელობისას. მათ ზუსტად უნდა იცოდნენ, როგორი სამუშაო ფურცლები, რა თვალსაჩინოებები, რა სავარჯიშოები უნდა მოამზადონ კლასში შესვლამდე. ყველა სამუშაო ფურცლის, თვალსაჩინოების და სავარჯიშოს ასლი უნდა იყოს მოცემული გაკვეთილში. მასწავლებელმა არ უნდა იზრუნოს მის დამზადებაზე.

**მსვლელობა.** ეს გაკვეთილის ძირითადი ნაწილია. მასში აღწერილია, თუ როგორ ეხმარება მასწავლებელი მოსწავლეებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. ეს ნაწილი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე კრიტერიუმს:

ა) ყოველთვის, როცა შესაძლებელია, გამოყენებული უნდა იყოს აქტიური სწავლების მეთოდი. გამოკვლევები ადასტურებს, რომ მოსწავლეები უკეთ სწავლობენ მაშინ, როცა ისინი ჩართულები არიან სასწავლო პროცესში, ვიდრე მაშინ, როცა ისინი უსმენენ მასწავლებელს.

ბ) ზუსტად უნდა შეფასდეს, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ და რისი არა მოსწავლეებს. აქვთ თუ არა მათ ამ გაკვეთილისთვის საჭირო უნარები? შეძლებს თუ არა გაკვეთილი მათი ყურადღების „დაპყრობას“? საკმარისია აქტივობები მათი ყურადღების შესანარჩუნებლად?

გ) პროცედურა უნდა იყოს ზუსტი და ნათელი. ხშირად გაკვეთილი ისე მაღალფარდოვნად არის დაწერილი, რომ მკითხველს აფრთხობს. თუ მასწავლებელი ვერ მიხვდება, როგორ უნდა ასწავლოს კონკრეტული გაკვეთილი, ის სულაც უარს იტყვის მის გამოყენებაზე. ძალიან კარგი იქნება, თუ ყურადღებით, ზუსტად და ნაბიჯ-ნაბიჯ ავხსნით აქტივობებს. ამ გაკვეთილის „მომხმარებელს“ არაფერი უნდა დაუტოვოთ „გამოსაცნობი“. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მას, ვინც ამ გაკვეთილს გამოიყენებს, მანამდე არასოდეს უსწავლებია.

დ) უნდა დავრწმუნდეთ, რომ სასწავლო შინაარსი ზუსტად არის მოცემული. ავტორი არ უნდა იყოს დაუდევარი საგანთან დაკავშირებული ლექსიკის და/ან საგნის საფუძვლების სწავლებისას. ტერმინები და განსაზღვრებები ისე უნდა იყოს გამოყენებული, როგორც ეს სპეციალისტთა წრეშია მიღებული. გაცილებით ადვილია თავიდანვე სწორად სწავლა, ვიდრე მცდარად ნასწავლის ხელახლა სწავლა.

ე) უნდა ვცვალოთ სწავლების მეთოდები. უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლეები სხვადასხვაგვარად სწავლობენ და ვეცადოთ, ყოველ მათგანს შევუქმნათ მოცემული თემის შესწავლისათვის საჭირო პირობები.

ვ) გაკვეთილში უნდა იყოს კითხვები და მათი პასუხები. გაკვეთილში ასევე აუცილებლად უნდა იყოს კითხვები დისკუსიისათვის და სავარაუდო პასუხები. ხშირი კითხვები გაკვეთილის მსვლელობისას ეხმარება მოსწავლეს, დაიმახსოვროს ძირითადი, იყოს აქტიური და არ მოადუნოს ყურადღება.

ზ) გვახსოვდეს გაკვეთილის მიზნები. ავტორმა აუცილებლად უნდა შეამოწმოს, ყველა მიზანი არის თუ არა მიღწეული გაკვეთილის მსვლელობის დროს.

თ) საფრთხეები. უნდა ვერიდოთ გაკვეთილში ზუსტთარიღებიანი მაგალითების მოტანას, ეს ამცირებს გაკვეთილის „სიცოცხლეს“. ასევე უნდა ვერიდოთ უმიზნო იუმორს.

დასკვნითი ნაწილი. წარმოიდგინეთ ასეთი დიალოგი მშობელსა და შვილს შორის:

- რა გააკეთეთ დღეს სკოლაში?
- ვითამაშეთ.
- რა ისწავლეთ ამ თამაშით?
- არ ვიცი.

როცა გაკვეთილის ყველა აქტივობა დასრულებულია, დავრწმუნდეთ, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი მომენტები. დასკვნითი ნაწილი მათ ამ მნიშვნელოვანი მომენტების გამოყოფაში ეხმარება. ძირითადი მომენტების მიმოხილვა ან სხვა დასკვნითი აქტივობები დაეხმარება მოსწავლეებს ასეთი ასპექტების გააზრებაში. ეს ნაწილი მასწავლებელსაც ეხმარება გაიგოს, მიაღწიეს თუ არა მისმა მოსწავლეებმა დასახულ მიზნებს.

შეფასება. ეხმარება მასწავლებელს გაიგოს, თუ რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა დასახულ მიზნებს, საჭიროა თუ არა შემდგომი მუშაობა. შეფასებისას შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების გამოყენება: მრავალპასუხიანი კითხვები, ესეები, რეფერატები, მინი წარმოდგენის შეფასება, ავთენტური შეფასება.

განვრცობა/დაკავშირება. გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მასწავლებელმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მის მოსწავლეებს მეტის გაგება უნდათ

ახსნილი თემის ირგვლივ. პედაგოგს უნდა ჰქონდეს გაკვეთილისაგან განსხვავებული სხვადასხვაგვარი ვარიანტები, რომელსაც შესთავაზებს მოსწავლეებს ცოდნის გასაღრმავებლად. სასურველია, მასწავლებელმა დააკავშიროს ახსნილი თემა ბავშვების მიერ უკვე ნასწავლ მასალასთან. ნასწავლი მასალის სხვადასხვა კონტექსტებთან დაკავშირების მრავალი გზა არსებობს.

წარმატებული იქნება თუ არა გაკვეთილი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება გაკვეთილის გეგმის შესამოწმებელი კითხვარი:

1. ნათლად გამოხატავს თუ არა გაკვეთილის აღწერა გაკვეთილის მიზნებს? შეეძმნება თუ არა მკითხველს ნათელი წარმოდგენა გაკვეთილში მოცემული სავარჯიშოების შესახებ და გაუჩნდება თუ არა მოცემული გაკვეთილის გამოყენების სურვილი?
2. არის თუ არა დეტალურად და სრულად ახსნილი შინაარსობრივი სტანდარტები და ტერმინები?
3. არის თუ არა ჩამოთვლილი მომიჯნავე საგნები – გაკვეთილის მნიშვნელოვანი დამატება?
4. არის თუ არა მიზნები მოსწავლეზე ორიენტირებული? გასაგები? არაორობროვანი? გამოხატავს თუ არა სწავლების შედეგს?
5. გაკვეთილისათვის „საჭირო დრო“ რეალურია თუ არა?
6. ჩამოთვლილია თუ არა ყველა საჭირო მასალა? სრულყოფილად არის თუ არა მოცემული მოსწავლეთა სამუშაო ფურცლებისა და თვალსაჩინოების ნიმუშები?
7. ნათლად, ნაბიჯ-ნაბიჯ არის თუ არა ახსნილი გაკვეთილის მსვლელობა?
8. შეძლებს თუ არა გაკვეთილის მსვლელობა მოსწავლეთა ინტერესის გამოწვევასა და შენარჩუნებას?
9. მრავალფეროვანია თუ არა გაკვეთილში მოცემული სავარჯიშოები და აქტივობები?
10. ზუსტად და სრულად არის თუ არა ახსნილი გაკვეთილში შინაარსი?
11. შეესაბამება თუ არა გაკვეთილში მოცემული კითხვები ბლუმის ტაქსონომიის სხვადასხვა დონეებს? მოცემულია თუ არა კითხვების პასუხები?
12. უზრუნველყოფს თუ არა გაკვეთილის მსვლელობაში მოცემული ხერხები მოსწავლეების მიერ დასახული მიზნების მიღწევას?
13. შეძლებს თუ არა მასწავლებელი იმის განსაზღვრას, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა გაკვეთილი?
14. არის თუ არა მოცემულ გაკვეთილში ცოდნის გაღრმავებისა და გაძლიერების მეთოდები?

# მანანა რატიანი

---

|   |                                                                                     |    |
|---|-------------------------------------------------------------------------------------|----|
| 1 | მდგრადი განვითარება და საკლასო ოთახი                                                | 55 |
| 2 | განათლება მდგრადი განვითარებისთვის,<br>განათლების სისტემის ახალი გამოწვევა          | 65 |
| 3 | ერთიანი ინსტიტუციური მიდგომა,<br>განათლება მდგრადი განვითარებისთვის ახალი გამოწვევა | 68 |
| 4 | მდგრადი განვითარების კალენდრის ინტეგრირება<br>სასკოლო კურიკულუმში                   | 72 |



# მდგრადი განვითარება და საკლასო ოთახი

დღეს დედამიწა 7,7 მილიარდი ადამიანისთვის საერთო სახლია. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებასა და მედიცინის განვითარებას მოჰყვა ის, რომ უკვე 12-14 წელიწადი საკმარისია, რომ დამატებით 1 მილიარდი ადამიანი შემოგვემტოს. დღესაც სიღარიბის ზღვარს მიღმა 800 მილიონზე მეტი ადამიანია. ისმის არაერთი კითხვა: იქნება თუ არა რესურსების იგივე რაოდენობა საკმარისი მეტი ადამიანისთვის? გაუძლებს თუ არა გარემო ასეთ ბეწოლას? გაგრძელდება თუ არა განვითარება? შევძლებთ თუ არა, შევაჩეროთ სხვაობის ზრდა მდიდრებსა და ღარიბებს შორის? დავძლევთ თუ არა მოსალოდნელ ეკონომიკურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ კრიზისს? ვიპოვით თუ არა ინკლუზიურ, სამართლიან და მდგრად გზას განვითარებისთვის?

ადამიანი, საზოგადოებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური სისტემები სულ უფრო მეტად არიან გადაჯაჭვულები და ერთ-ერთში ცვლილება უცილობლად ახდენს სხვა დანარჩენზე გავლენას. მოსახლეობის ზრდის, რესურსების ექსპლოატაციის, ჭარბი მოხმარების, ბუნებრივი გარემოს ხელოვნურით ჩანაცვლების ფონზე, პრობლემები ჩვენ ირგვლივ ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე სულ უფრო მეტია და მათი სიხშირეც და მასშტაბებიც იზრდება. ალბერტ აინშტაინს უთქვამს, ჩვენ ვერ მოვაგვარებთ პრობლემებს იმავე ამროვნებით, რომლითაც ეს პრობლემები შევქმენით. ალბათ, ცვლილებები ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე გარდაუვალი აუცილებლობა გახდა.

## მდგრადი განვითარების იდეის განვითარება

ტერმინი „მდგრადი განვითარება“ ინგლისელ მწერალსა და ეკონომისტს ბარბარა უორდს და ჰუმანისტ რენე დუბოს მიეწერებათ, რომლებმაც სპეციალურად სტოკჰოლმის კონფერენციისთვის დოკუმენტი „მხოლოდ ერთი დედამიწა“ მოამზადეს (1972). ამავე წელს ტერმინი დენის და დონელი მედოუზების ნაშრომში „ზრდის საზღვრებში“ გამოჩნდა. გლობალური პრობლემების

სამეცნიერო განხილვა რომის კლუბში დაიწყო, რომელიც აურელიო პეჩეის ინიციატივით ჩამოყალიბდა. სწორედ კლუბის წევრებმა მოახერხეს, საზოგადოების ყურადღება პრობლემებისთვის მიეპყროთ და მათ გადაჭრაზეც ემსჯელათ. მათი მთავარი იდეა იყო მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილება გარემოზე ნაკლები ზემოქმედებით, ხოლო მთავარ პრინციპს „იფიქრე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად“ დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. რომის კლუბის ნაშრომთა კრებული ცნობილია „კაცობრიობის სიძნელების“ სახელწოდებით.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საერთაშორისო საზოგადოებამ დაიწყო განათლების შესაძლო როლის კვლევა გარემოსდაცვითი გამოწვევების აღმოფხვრაში, რაც პირველად ბელგრადის ქარტიაში (1975) აისახა, მოგვიანებით კი იდეის განვითარება მოხდა თბილისში გამართულ სამთავრობო-შორისო კონფერენციაზე გარემოსდაცვითი განათლების შესახებ (1977). კონფერენციაზე მიღებულ იქნა თბილისის დეკლარაცია, რომელმაც განსაზღვრა გარემოსდაცვითი განათლების ცნება და შინაარსი.

„მდგრადი გნვითარების“ იდეის წამოყენება ეკუთვნის ბრუტლანდის კომისიას, რომელმაც 1987 წელს კომისიის ანგარიში „ჩვენი საერთო მომავალი“ გამოაქვეყნა. მასში მდგრადი განვითარების სტრატეგიული კურსია მოცემული.

1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციაზე მიიღეს რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ და „დღის წესრიგი XXI საუკუნისთვის“. მრავალი აქ გამოთქმული პრინციპი იქცა საერთაშორისო სამართლის ნაწილად გარემოს დაცვის საქმეში. მათ შორის უმთავრესია პრინციპი მდგრადი განვითარების შესახებ. მდგრადი განვითარება მხოლოდ გარემოს დაცვაზე არ არის ორიენტირებული. იგი გულისხმობს ადამიანის საქმიანობის მრავალსფეროს, მათ შორის – სოციალურს, ეკონომიკურს, კულტურულს, პოლიტიკურსა და დემოგრაფიულს.

## მდგრადი განვითარების მიზნები, მსოფლიოს ახალი დღის წესრიგი

გადაწყვეტილება მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავების პროცესის დაწყების შესახებ მიღებულ იქნა გაეროს წევრი ქვეყნების მიერ, გაეროს კონფერენციაზე მდგრადი განვითარების შესახებ (რიო + 20), რომელიც 2012 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა.



2015 წლის 25 სექტემბერს გაეროში 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას.

ახალი მიზნები წარმოადგენენ გაბედული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს, და ორიენტირებულნი არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

მდგრადი განვითარების მიზნები სამწლიანი გამჭვირვალე მონაწილეობრივი პროცესის შედეგია, უპრეცედენტო შეთანხმება მდგრადი განვითარების შესახებ 193 წევრ ქვეყანას შორის. მიზნებმა მიიღეს მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, პარლამენტარების და სხვა ადამიანების მხარდაჭერა. მათ ათასწლეულის განვითარების მიზნები (2001–2015) ჩაანაცვლეს.

- ათასწლეულის განვითარების მიზნების წარმატების საფუძველზე განისაზღვრა მდგრადი განვითარების მიზნები, რათა აღმოიფხვრას უთანასწორობა, ხელი შეეწყოს ეკონომიკურ ზრდას, ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას, ქალაქებისა და დასახლებების განვითარებას, ინდუსტრიალიზაციას, მოგვარდეს ენერგეტიკასთან, კლიმატის ცვლილებასთან, მდგრად მოხმარებასა და წარმოებასთან დაკავშირებული პორბლემები, დამკვიდრდეს მშვიდობა და სამართლიანობა.
- ახალი მიზნები უნივერსალურია და ყველა ქვეყანას ეხება, როდესაც ათასწლეულის განვითარების მიზნები მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს უკავშირდება და ძირითადად სოციალურ თემებს მოიცავს.
- მდგრადი განვითარების მიზნების ძირითადი მახასიათებელი არის ფინანსური რესურსების მობილიზების საშუალება, ისევე როგორც შესაძლებლობების გაუმჯობესება და გარემოსადმი კეთილგანწყობილი ტექნოლოგიების განვითარება.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება და წარმატება 2030 წლისთვის დამოკიდებულია ქვეყნების მდგრადი განვითარების პოლიტიკაზე, გეგმებსა და პროგრამებზე რომლებსაც თავად ქვეყნები განახორციელებენ. მდგრადი განვითარების მიზნები არის ქვეყნების გზამკვლევი გლობალური ვალდებულებების შესრულების გზაზე. 17 მიზნის მიღწევისადმი ყველა ქვეყნის ასეთი მაღალი ინტერესი გამოწვეულია მიზნების ქვეშ გაერთიანებული თემების აქტუალობით:

### **მიზანი 1. ყველა სახის სიღარიბის საყოველთაო აღმოფხვრა**

2030 წლამდე უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რაოდენობის განახევრება. თუმცა მსოფლიოში 600 მილიონ ადამიანზე მეტს ჯერ კიდევ უწევს ცხოვრება დღეში 1.25 აშშ დოლარად, რაც ეკვივალენტურია იმისა, რომ უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდეს მთელი ევროპის მოსახლეობა. დადგა დრო, მსოფლიომ გააცნობიეროს არსებული მდგომარეობა და ერთობლივი ძალისხმევით დაამარცხოს სიღარიბე, რაც ამბიციური, მაგრამ აუცილებლად მისაღწევი მიზანია.

### **მიზანი 2. შიმშილის აღმოფხვრა, სურსათის უვნებლობის, გაუმჯობესებული კვებისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის მიღწევა**

მრავალ ქვეყანაში, სადაც აღინიშნებოდა შიმშილი, დღეს უკვე ამ მოწყვლადი ჯგუფების ნახევრის საკვებით უზრუნველყოფა შესაძლებელია. ეს დიდი მიღწევაა. უკვე შეიძლება შემდგომი ნაბიჯების გადადგმა და შიმშილის ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრა. ეს ნიშნავს ისეთი ქმედებების ჩატარებას, როგორიცაა სოფლის მეურნეობის მდგრადობის და მცირე ფერმერების ხელშეწყობა. ეს რთული ამოცანაა, მაგრამ აუცილებელია ძალისხმევა ცხრიდან იმ ერთი ადამიანისათვის, რომელიც ყოველ საღამოს მშვიდი იძინებს. ერთობლივი ძალისხმევით, 2030 წლისათვის უკვე შესაძლებელია ყველას საკმარისი და კალორიული საკვები ჰქონდეს.

### **მიზანი 3. ჯანმრთელი ცხოვრებისა და კეთილდღეობის მიღწევა ყველა ასაკის ადამიანისათვის**

ჯანმრთელობა მოქმედებს ხარისხიან და ეფექტურ ცხოვრებაზე. სწორედ ამიტომ არის დასახული მიზნად ყველასათვის ჯანმრთელობის, უსაფრთხო და ეფექტური მედიკამენტებისა და ვაქცინების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. 1990 წლიდან დღემდე ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა 2-ჯერ შემცირდა. თუმცა ზოგიერთი სხვა მაჩვენებელი კვლავაც მაღალი რჩება. მაგალითად, ყოველწლიურად 6 მილიონი ბავშვი 5 წლამდე ასაკში იღუპება, ტროპიკულ აფრიკაში შიდა მობარდთა სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზია. განსაკუთრებული ყურადღება სიცოცხლის ხანგრძლივობის ფონზე უნდა მიექცეს ხანდაზმულთა პრობლემებს, რაც ასაკისთვის სპეციფიკურია.

#### **მიზანი 4. ინკლუზიური და თანასწორი განათლება. საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფა ადამიანის ცხოვრების მანძილზე**

მსოფლიოში მრავალი ბავშვი სიღარიბის, შეიარაღებული კონფლიქტებისა და სხვა საგანგებო მდგომარეობების გამო სკოლის მიღმა რჩება. ფაქტია, რომ განვითარებად რეგიონებში ოთხჯერ უფრო მეტი ბავშვი უღარიბესი ოჯახებიდან სკოლის მიღმა დარჩენილი. 2000 წლიდან, ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელებამ უზარმაზარი პროგრესი მოიტანა განათლების დაწყებით საფეხურზე. განვითარებად რეგიონებში დაწყებით-მა სკოლებმა რეგიონის 91% მოიცვა. ახლა აუცილებელია ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება – მიზანია საყოველთაო და ხარისხიანი სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გარდა იმისა, რომ მეოთხე მიზანს აქვს თავისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული ამოცანები და ინდიკატორები, რომლებიც მიმართულია განათლების სისტემის გაუმჯობესებისკენ, რაც დედამიწას საცხოვრებლად უკეთეს ადგილს გახდის, სხვა დანარჩენი 16 მიზნის მიღწევისთვისაც საკვანძო როლი უკავია ამ თემების ირგვლივ მოსახლეობის განათლებას და მათი ცნობიერების ამაღლებას.

#### **მიზანი 5. გენდერული თანასწორობა. ქალთა და გოგონათა უფლებამოსილების გაზრდა**

მსოფლიოში მიუხედავად პროგრესისა, გენდერული უთანასწორობა კვლავ აქტუალურია. ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი უთანასწორობა სამუშაოზე, მემკვიდრეობაზე ხელმისაწვდომობის, და ანაზღაურების უთანასწორო განაწილების მხრივ. ქალების შრომის დიდი ნაწილი აუნაზღაურებელია. არსებობს დისკრიმინაციის სხვა ფორმებიც, რომლებიც ადამიანის უფლებებს ლახავს, მათ არ აძლევს სრულფასოვანი ცხოვრების და განვითარების საშუალებას. ამავდროულად, 2000 წელთან შედარებით, გოგონების უმრავლესობისთვის დაწყებით საფეხურზე მიღწეულია გენდერული თანასწორობა. თუმცა ეს მხოლოდ მცირე ნაწილია. მდგრადი განვითარებით უზრუნველყოფილი უნდა იქნას ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

## **მიზანი 6. წყლისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა და მდგრადი მართვა**

უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სასმელი წყალი, დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი. მოსახლეობის 40%-ზე მეტი წყლის უკმარისობას განიცდის. პროგნოზული გათვლებით, კლიმატის ცვლილებასთან ერთად ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. არსებული ტენდენციებით, 2050 წლისათვის, სავარაუდოდ, ოთხი ადამიანიდან ერთი წყლის დეფიციტის პირობებში იცხოვრებს. თუმცა, ახალი ტექნოლოგიებით და მიდგომებით, საერთაშორისო თანამშრომლობით, საწყავი სისტემების განახლებით, მდინარეების გამწმენდი და დაცვითი ღონისძიებების გატარებით და წყალგამწმენდი ტექნოლოგიების დამონტაჟებით, მიზნის მიღწევა შესაძლებელი გახდება.

## **მიზანი 7. ხელმისაწვდომი, სანდო, მდგრადი და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა**

1990-2010 წლების შუალედში ადამიანების რაოდენობა, რომელთაც ელექტროენერგიაზე წვდომა მიიღეს 1.7 მილიარდამდე გაიზარდა. თუმცა, რაც უფრო იზრდება მსოფლიოს მოსახლეობა, მით უფრო მეტ ადამიანს სჭირდება ელექტროენერგია განათებისთვის, ტექნოლოგიებისთვის და ყოველდღიური საქმიანობებისთვის. ნავთობიდან მოპოვებული საწვავისა და სხვადასხვა აირების გამოყენება ენერგიისთვის კლიმატის მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს. საჭიროა ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენება და უსაფრთხო, ალტერნატიულ ენერგორესურსებში ინვესტირება, რაც შესაძლებელს გახდის გარემოზე ზემოქმედების გარეშე ელექტროენერგიაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

## **მიზანი 8. ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის, სრული და პროდუქტიული დასაქმებისა და ღირსეული სამუშაოს ხელშეწყობა**

ეკონომიკური ზრდა, დასაქმება, საკმარისი ანაზღაურება ადამიანისთვის, მოსახლეობის საშუალო ფენის მოსახლეობის რაოდენობა უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში განვითარებად ქვეყნებში გასამმაგდა და მოსახლეობის მესამედი შეადგინა. თუმცა, 2015 წლისთვის უთანასწორობა გაღრმავდა: სამუ-

შაო ადგილების ზრდის ტემპი არაა შესაბამისი შრომითი რესურსების ზრდასთან, იზრდება უმუშევრობა. საჭიროა ისეთი პოლიტიკის ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს მეწარმეობის განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას. ყურადღება უნდა გამახვილდეს იძულებითი შრომის აღმოფხვრაზე. ამავდროულად, უნდა გვახსოვდეს, რომ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისთვის ნავარაუდევია 12 ტრილიონის დახარჯვა, რაც შექმნის ახალ 380 მილიონ მწვანე სამუშაოს.

### **მიზანი 9. მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაცია, ინოვაციების ხელშეწყობა**

ენერგოეფექტურობის გაზრდა ტექნოლოგიური პროგრესით დღევანდელობის მოთხოვნაა. ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, კომუნიკაციის ზრდა, მეტი კავშირი მიღწევების, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებისთვის, მდგრადი ტექნოლოგიების განვითარება და ინვესტირება სამეცნიერო კვლევებში – მდგრადი განვითარების ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი გზებია. თითქოს ამ მართივი საჭიროებების უკან დგას 4 მილიარდი ადამიანი განვითარებად ქვეყნებში, რომელთაც არ გააჩნიათ ინტერნეტთან წვდომა. მეტი ინვესტიცია ინოვაციებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში, სარგებელს მოუტანს ყველას.

### **მიზანი 10. ქვეყნებში და ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირება**

რესურსების განაწილება, თუ შემოსავლები ისტორიულად უსამართლოა. განაწილებაში მეტი სამართლიანობა გლობალურ გადაწყვეტილებებს მოითხოვს. საჭიროა ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც შესაძლებლობებს შექმნის თითოეული ადამიანისთვის. ეს ნიშნავს ფინანსური ბაზრისა და ინსტიტუციების მარეგულირებელი მექანიზმების გაუმჯობესებას, მიგრანტების უსაფრთხოების ხელშეწყობას, მათი შესაძლებლობების გამოყენებას და განვითარებაში დახმარების აღმოჩენას იქ, სადაც ეს ყველაზე მეტად არის საჭირო. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნა სიღარიბის დაძლევაში, რაც გასაგრძელებელია. ამასთანავე, ყველა ქვეყნის მიზანი უნდა იყოს მის დასახლებებს, რეგიონებს შორის რაც შეიძლება მცირე სხვაობა, უთანასწორობა იყოს.

## მიზანი 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება

ამჟამად, მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს, 2050 წლისთვის მათი რაოდენობა 2/3-ს მიაღწევს. 1990 წელს იყო 10 „მეგა-ქალაქი“, თითოეულში 10 მილიონი ან მეტი მოსახლით, უკვე 2014 წელს 28 მეგა-ქალაქში 453 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. ქალაქების ზრდის (ურბანიზაციის) ტენდენცია გრძელდება. ადამიანთა უმეტესობას ქალაქში ცხოვრება უნდა: აქ არის კულტურის, ბიზნესის და მეტი შესაძლებლობების ცენტრი. თუმცა ხშირად ქალაქი ასევე უკიდურესი სიღარიბის ცენტრიც არის. იმისათვის, რომ ქალაქი მდგრადად ვითარდებოდეს, უნდა შეიქმნას ხარისხიანი, მაგრამ ფინანსურად ხელმისაწვდომი საცხოვრებელი. შესაძლებელი უნდა გახდეს ღარიბი დასახლებების რეკონსტრუქცია, ინვესტირება უნდა მოხდეს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, გამწვანებული უბნების შექმნაში. საჭიროა ურბანული დაგეგმარების პროცესში სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა ჩართვა. ამით ქალაქების დადებითი მხარეების შენარჩუნება და უარყოფითის შეცვლა გახდება შესაძლებელი.

## მიზანი 12. მდგრადი მოხმარება და წარმოება

მსოფლიოში დოვლათის გადანაწილება უთანაბროა. მოსახლეობის უმეტესობა მოიხმარს საჭიროზე ნაკლებს. ხოლო მოსახლეობის ნაწილი, განვითარებული და სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში მოიხმარს იმაზე მეტს, ვიდრე სრულფასოვანი არსებობისთვის არის საჭირო, ან ბუნებას აქვს მისი რეგენერაციის უნარი. შესაძლებელია შეიქმნას ისეთი სამყარო, რომელშიც თითოეულ ინდივიდს გააჩნია აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. შესაძლებელია მოხმარების ისეთი მოდელების დანერგვა, რომ ბუნებრივი რესურსები შემდგომ თაობებს შევუნარჩუნოთ. საჭიროა ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება და ტოქსიკური ნარჩენების უკეთესი განკარგვა. დახმარება უნდა გაეწიოს მოხმარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებს რაციონალურ მოდელებზე გადასვლაში.

### **მიზანი 13. დაუყოვნებელი მოქმედება კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების დაძლევის მიზნით**

ქვეყნები კლიმატის ცვლილებების კატასტროფულ ზემოქმედებას განიცდიან. ბუნებრივი კატასტროფების შედეგად მიღებული ზარალი ყოველწლიურად ასობით მილიარდ დოლარს აჭარბებს. ამ დანაკარგების შემცირება შესაძლებელია ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის დახმარების გაწევით, განსაკუთრებით ეფექტურია პრევენციებისკენ და მიტიგაციისკენ მიმართული თანხები. პოლიტიკური ნებითა და ტექნოლოგიური ღონისძიებების გატარებით ჯერ კიდევ შესაძლებელია გლობალური ტემპერატურის ჩამოწევა წინასამრეწველო პერიოდის ტემპერატურის დონეზე. აღნიშნული კლიმატის ცვლილებების უარყოფით ეფექტს თავიდან აგვაცილებს და თანამშრომლობით შესაძლებელს გახდის ამ გამოწვევის დაძლევა.

### **მიზანი 14. ოკეანეთა, ზღვებისა და საზღვაო რესურსების კონსერვირება და მდგრადი განვითარება**

ადამიანების სიცოცხლე შეუძლებელია ოკეანის გარეშე. 3 მილიარდზე მეტი ადამიანი უშუალოდ ზღვაზე და სანაპირო ზოლზეა დამოკიდებული. ოკეანე შთანთქავს ადამიანების საქმიანობით წარმოქმნილი ნახშირორჟანგის 30%-ს. თუმცა წარმოებული ნახშირორჟანგის მოცულობა გაცილებით მეტია, და ამან ოკეანის მჟავიანობა 26%-ით გაზრდა, ვიდრე ეს ინდუსტრიამდელ პერიოდში იყო. ოკეანეს ადამიანის მიერ გადაყრილი ნარჩენები აბინძურებს, 1 კვ.კმ-ზე 13 000 პლასტიკური ბოთლია განფენილი. ზღვა და ოკეანე მრავალი ადამიანის გამოკვების წყაროა, რადგან მოსახლეობა თევზის და ზღვის პროდუქციის რეწვით არის დაკავებული, ნაწილი კი ტურიზმში, საზღვაო ტრანსპორტში, პორტებშია დასაქმებული.

მიზანი 15. სახმელეთო ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება. ტყეების მდგრადი გამოყენება. გაუდაბნოების, ნიადაგის დეგრადირებისა და ბიომრავალფეროვნების განადგურების დაძლევა.

ადამიანებს სუფთა ჰაერი და წყალი სჭირდებათ; მათი საკვების 80%-ს მცენარეები შეადგენს. ტყე დედამიწის ზედაპირის 30%-ს ფარავს, ხელს უწყობს ჰაერის და წყლის სისუფთავეს და კლიმატურ ბალანსს. ის მილიონობით ცხოველისთვის თავშესაფარს წარმოადგენს. მაგრამ სიცოცხლე ხმელეთზე გასაჭირშია. ადამიანის მიერ ათვისებული გარემო ანაცვლებს ბუნებრივ ლანდშაფტებს, სულ უფრო მცირდება ხელუხლებელი ლანდშაფტების ფართო-



ბი. სახნავ-სათესი ფართობის გაფართოებასთან ერთად, რაც მოსახლეობის მატებითაა გამოწვეული, მათი დეგრადაცია 30-35-ჯერ უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ეს წარსულში ხდებოდა. უდაბნოები ფართოვდება. ცხოველთა სხვადასხვა ჯიშს გადაშენება ემუქრება. შესაძლებელია ამ ტენდენციის შეცვლა, ეკოსისტემების შენარჩუნება.

**მიზანი 16. მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ხელშეწყობა მდგრადი განვითარების, ხელმისაწვდომი მართლმსაჯულებისა და ყველა დონეზე არსებული ინკლუზიური ინსტიტუტების განვითარების მიზნით**

მშვიდობის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის განვითარება, სწავლა, კვება, შრომა, ოჯახის შექმნა. მშვიდობა შეუძლებელია ადამიანის უფლებების დაცვის, მართლმსაჯულების და კანონმორჩილების გარეშე. რეგიონების ნაწილში დამკვიდრებულია მშვიდობა და სამართლიანობა. თუმცა ბევრგან ხშირია შეიარაღებული კონფლიქტები, დანაშაული, წამების და ექსპლოატაციის ფაქტები, რაც ხელს უშლის განვითარებას. საჭიროა ყველა ფორმის ძალადობის შემცირება, კონფლიქტების მოგვარება, საფრთხეების თავიდან აცილება, კანონის უზენაესობა, არალეგალური იარაღის აკრძალვა და განვითარებადი ქვეყნების ჩართვა გლობალური მართვის პროცესებში.

**მიზანი 17. განხორციელების მექანიზმების დახვეწა და გლობალური პარტნიორობის გამოცოცხლება მდგრადი განვითარებისათვის**

დღეს, როგორც არასდროს მსოფლიო ურთიერთდაკავშირებულია ინტერნეტით, ტრანსპორტით, მიგრაციული პროცესებით, მოგზაურობით, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობით და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობით. სხვადასხვა მიმართულებით ერთობლივი მუშაობის განსახორციელებლად მიღწეულია შეთანხმება. მიზნების მიღწევის საშუალება ქვეყნების უმრავლესობას დამოუკიდებლად არ აქვს, სწორედ გლობალური პარტნიორობა და საერთაშორისო დახმარებები იძლევა მათთვის უკეთესი მომავლის პერსპექტივას. ამ მიზნებზე შეთანხმდა ქვეყნების უპრეცედენტო რაოდენობა – 193, რაც ნამდვილად შთამბეჭდავია. ასევე არსებობს შეთანხმება, რომ ყველა სხვა მიზნის მისაღწევად აუცილებელია ერთაშორისი ერთობლივი მუშაობა. ისევე როგორც მე-4 მიზანი მე-17 მიზანზე არ არის სხვებისგან დამოუკიდებელი. მასზეა დამოკიდებული ბევრი სხვა მიზნის მიღწევა.



# განათლება მდგრადი განვითარებისთვის, განათლების სისტემის ახალი გამოწვევა

დღეისათვის „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ (გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, 2005) საერთაშორისო დონეზე აღიარებულია, როგორც საზოგადოების მდგრადი განვითარების ფუნდამენტური სტრატეგია. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2005-2014 წლები გამოაცხადა „განათლება მდგრადი განვითარებისათვის ათწლეულად“ (იუნესკო, 2005). ათწლეულის ფარგლებში მრავალმა საერთაშორისო და ეროვნულმა ორგანიზაციამ შეიმუშავა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

განათლება მდგრადი განვითარებისთვის უკავშირდება არაერთი დისციპლინის შინაარსს და მოითხოვს ისეთი საკვანძო უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც სხვადასხვა საგანის განსახორციელებელია. განათლება მდგრადი განვითარებისთვის გვაძლევს საშუალებას, გავიაზროთ ძირეული გარდაქმნები, რომელთა დანერგვაც საჭიროა დღეს; ადამიანის ძალისხმევა, რა თქმა უნდა, მიმართულია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისკენ, მაგრამ ყოველივე ეს უნდა ხერხდებოდეს ისე, რომ რესურსები არ გამოიფიტოს უფრო სწრაფად, ვიდრე მათი რეგენერაციის უნარია. იმავდროულად, განათლება მდგრადი განვითარებისთვის უნდა იყოს განათლების პოლიტიკის ნაწილი, მუდმივად განახლებადი და ფართოდ გავრცელებული. მდგრადი განვითარების ჩართვა (ინტეგრირება) საგანმანათლებლო სისტემის ყველა საფეხურზე ხდება. ამით აღიარებულია განათლების საკვანძო როლი პოზიტიურ ცვლილებებში.

როგორი გვინდა იყოს მომავალი, რა ცოდნა უნდა მივცეთ ახალგაზრდებს, რომ მათი ცოდნა და უნარები ადეკვატური იყოს ათწლეულების შემდეგაც, როდესაც ისინი შრომის ბაზარზე გავლენ? განათლება მდგრადი განვითარებისთვის არის ახლებური ხედვა, რომელიც ეხმარება ნებისმიერი ასაკის ადამიანს, უკეთ გაიაზროს სწრაფად ცვალებადი სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ. სიღარიბის, გარემოს დეგრადაციის, ურბანული დაგეგმარების, მოსახლეობის ზრდის, ჯანმრთელობის, კონფლიქტების, უფლებების შელახვისა თუ სხვა პრობლემების აღსაქმელად და გასააზრებლად საჭიროა ჰოლისტიკური,

ინტერდისციპლინური მიდგომები. ამავდროულად, მნიშვნელოვანია გაცნობიერება, რომ ისინი, ვინც ასწავლიან, არიან ცვლილებების მძლავრი აგენტები. განათლებაში ეფექტური ტრანსფორმაცია, უპირველესად, დამოკიდებულია მათზე. ამ უკანასკნელთა ხელშეწყობის გარეშე ცვლილებები ინსტიტუციურ დონეზე მიუღწეველი დარჩება. მასწავლებელს თავად უნდა ჰქონდეს ჰოლისტური მიდგომა, სისტემური აზროვნება, ცვლილებების ხედვა, სწავლობდეს წარსულიდან, აქტიურად იყოს ჩართული ქმედებებში და შეეძლოს მომავლის მოდელირება, მთლიანობაში კი უკეთესობისკენ ცვლილებების მიღწევა. წორედ ასეთ მასწავლებელს შეუძლია აღზარდოს ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც მომავლისთვის მზად იქნებიან. ნავარაუდევია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისთვის ახალი 380 მილიონი „მწვანე სამუშაო“ შეიქმნება.

მდგრადი განვითარებისკენ სავალ გზაზე აუცილებელია:

- გამართული საკანონმდებლო ბაზა;
- ძლიერი მმართველობა;
- ეკონომიკური ზრდა vs ეკონომიკური განვითარება;
- გარემოს დაცვა;
- ადამიანის უფლებები/უსაფრთხოება;
- ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიები;
- საკითხები 21-ე საუკუნის დღის წესრიგში;
- და განათლება მდგრადი განვითარებისთვის.

მდგრადი განვითარებისთვის განათლება მიეკუთვნება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას. ყურადღება უნდა მიექცეს საერთო ინსტიტუციურ მიდგომებს. ნებისმიერ საგანს, სფეროს, მასწავლებელს თუ ადმინისტრაციას შეუძლია წვლილი შეიტანოს მისი გავრცელებისთვის. ინდივიდი და ორგანიზაცია ერთიანად თუ არ იღებენ პასუხისმგებლობას, რთულია პრობლემების იდენტიფიცირება, მათზე რეაგირება და მდგრადი განვითარების დანერგვა. ერთიანი მიდგომით მდგრადი განვითარება შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენი განუყოფელი ნაწილი არა მხოლოდ თემების ცოდნის, არამედ უნარების, ქცევების, დამოკიდებულებების ჩამოყალიბების დონეებზე.

მდგრადი განვითარების მიზნების სწავლება ვერ მოხერხდება საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ტრადიციული მეთოდებით. საჭიროა მაღალი

სააზროვნო უნარების განვითარება, ისეთი აქტივობების კეთება, რაც ალტერნატიული მომავლის განჭვრეტას უწყობს ხელს, საშუალებას იძლევა რესურსების დამზოგი გზების ძიების, გრემოს დაცვის, ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაზრდისა და სოციალური სამართლიანობის. დავალებებს, სწავლების სტილს აქვს მნიშვნელობა. მოსწავლეები მზად უნდა იყვნენ სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის დასაძლევადა. ამით უადვილდებათ პრობლემურ სიტუაციაში გამოსავლის მოძებნა, პრობლემების გადაჭრა. სააზროვნო სტრატეგიების სწავლება შესაძლებელია, ამაზე არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული. მას უნდა შეეძლოს პრობლემის სწორად იდენტიფიცირება, უნდა იცოდეს, როდის უნდა ეცადოს დამატებითი რესურსების მოძიება-აქტივაციას და როგორ უნდა იმოქმედოს პრობლემის გადასაჭრელად.


# ერთიანი ინსტიტუციური მიდგომა, განათლება მდგრადი განვითარებისთვის ახალი გამოწვევა

2005 წელს ვილნიუსში, ლიეტუვა, განათლებისა და გარემოს დაცვის მინისტრები და სხვა ოფიციალური წარმომადგენლები გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის რეგიონიდან შეიკრიბნენ მაღალი დონის შეხვედრაზე „გარემო ევროპისთვის“ და მიიღეს განათლება მდგრადი განვითარებისთვის სტრატეგია. რეკომენდაციები, სხვა დანარჩენებთან ერთად, მოიცავდა მუშაობის დაწყებას ერთიანი ინსტიტუციური მიდგომებით<sup>2</sup>, სადაც მოსწავლეები, თუ სტუდენტები, მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები სხვა პერსონალთან ერთად, მშობლებთან თანამშრომლობით უნდა მისდევდნენ მდგრადი განვითარების პრინციპებს და მდგრადი განვითარების თემების ინტეგრირება უნდა მოახდინონ სასკოლო ცხოვრებაში. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონულ სტრატეგიაშიც იგივე აქცენტები გაკეთდა.

UNESCO-ს განათლება მდგრადი განვითარებისთვის ათწლეულის ფარგლებში (2005–2015) ერთიანი ინსტიტუციური მიდგომა განათლება მდგრადი განვითარებისთვის პროცესის ძირითად მიმართულებად იყო წარმოჩენილი. მისი კურიკულუმში ინტეგრირება ჰოლისტურად გახდა საჭირო, სადაც ყურადღება ინტერდისციპლინურ მიდგომებს უნდა დათმობოდა და არა ცალკე აღებულ რომელიმე საგანში მის შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ სწავლასწავლება ამ მიდგომის უმთავრესი ნაწილია, სკოლის დონეზე სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი სფეროებიც ანგარიშგასაწევია (ნახ.1).

<sup>2</sup> ერთიანი ინსტიტუციური/სასკოლო მიდგომა – whole institutional/school approach

ნახ.1. ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის მოდელი (UNESCO)



აღნიშნული საერთაშორისო ვალდებულებები აისახა ქვეყნების მდგრადი განვითარების სტრატეგიებში და განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში.

სასწავლო დაწესებულებები ახორციელებენ პროექტებს ნარჩენების მართვაზე, განათლებაზე მშვიდობის შესახებ, არაძალადობრივ ქცევაზე, კლიმატის ცვლილებაზე, ბიომრავალფეროვნებაზე, ჩართულნი არიან გამწვანების და დასუფთავების აქციებში, ასწავლიან მდგრადი განვითარების პრინციპებს ამა თუ იმ საგანში. ეს ქმედებები მისასალმებელია, თუმცა მათი ეფექტი მაინც შეზღუდულია.

თუკი ახლო მომავალში ჩვენ გვინდა მეტი ეფექტის მიღწევა, განათლების პოლიტიკა უნდა გადავიდეს განვითარების შემდგომ სტადიაზე და ცალკე აღებული ინიციატივებიდან პრობლემების მოგვარებას სისტემურად უნდა მიუდგეს. სწავლისგან სრული სარგებელი შეიძლება მივიღოთ თუკი ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები და ღირებულებები ყალიბდება არა მხოლოდ საკლასო ოთახში, ფორმალურ გარემოში, არამედ სასკოლო ცხოვრების ნებისმიერ გამოვლინებაში.

მდგრადობის სწავლება არ უნდა იყოს ერთი ან ორი, თუნდაც ძალიან მოტივირებული, მასწავლებლის პასუხისმგებლობა. სწავლა-სწავლების პროცესში მას სკოლის მთელი გუნდი უნდა იზიარებდეს და სასკოლო საზოგადოების ფართე ჩართულობით უნდა ხორციელდებოდეს. ყოველთვის გარკვეული რისკის შემცველია, როდესაც ერთი მასწავლებელი, თუნდაც ძლიერ მოტივირებული და მონდომებული მართა ასეთი მნიშვნელოვანი საქმის კეთებაში, ძალიან მალე ის შეიძლება გადაიწვას, ან ფარ-ხმალი დაყაროს. გასათვალისწინებელია, რომ როდესაც პასუხისმგებლობა გაზიარებულია, სკოლაში არის ხელშემწყობი გარემო, სკოლა იზიარებს გარემოსდაცვით ღირებულებებს, ინოვაციური მასწავლებელი სხვებისთვის ხდება როლური მოდელი მდგრადობის პრინციპების დანერგვაში და აღნიშნული პრაქტიკაც უფრო სწრაფად ვრცელდება. ასეთ სკოლაში, სადაც გაზიარებულია პასუხისმგებლობები და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა წახალისებული, ყოველთვის აღმოჩნდებიან ისეთი კოლეგები, რომლებიც მასწავლებელს თავის საქმიანობაში დახმარების ხელს გაუწვდიან.

სწავლებლებში მდგრადობის ერთიანი, სისტემური მიდგომის დანერგვა, მოსწავლეს საშუალებას აძლევს დაამყაროს არა მხოლოდ საგნის შიდა, არამედ საგანთშორისი კავშირები, ეს ახალი ცოდნა და უნარები კი, ასეთ შემთხვევაში, უკეთესად გადაიტანება ახალ კონტექსტში, რეალურ სიტუაციებში. ერთიანი ინსტიტუციური მიდგომა მდგრად განვითარებაში აკავშირებს სასწავლო თემებს, კონცეფციებს რეალურ ცხოვრებასთან, ჩვენს გარშემო მიმდინარე პროცესებთან თუ მოვლენებთან.

განსხვავება მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვის ფორმებში დიდია, ხოლო პრინციპებში და მიდგომებში თანხმობაა:

- პროგრამა მოიცავს მდგრადობასთან დაკავშირებულ ცოდნას, უნარებს, დამოკიდებულებებსა და ღირებულებებს, სწავლა მოიცავს რეალურ ცხოვრებისეულ საკითხებს, რათა გაიზარდოს სტუდენტთა მოტივაცია და საკითხების აღქმის ხარისხი;
- სასწავლებლის პოლიტიკა ასახავს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკური მდგრადობის თემებს;
- სასწავლებელს აქვს მდგრადი მიდგომა ინვენტართან, ნარჩენების გადამუშავებასთან, წყლისა და ენერგიის დაზოგვასთან;

- საპეციალური ღონისძიებები და ექსტრაკურიკულარული აქტივობები გამოიყენება და ხელს უწყობს მდგრადობის იდეის უკეთ გააზრებას;
- გარე კავშირები წახალისებულია;
- მოსწავლეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში არიან ჩართულნი;
- მდგრადი განვითარების პრინციპები, ღირებულებები და დამოკიდებულებები ყოველდღიურ ცხოვრებაში მკვიდრდება. მოსწავლეებს თუ მათ მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, ჩაბმულები იყვნენ ან წარუძღვნენ პოზიტიურ ცვლილებებს, განივითარონ ისეთი კომპეტენციები, რომ პრობლემების გადაჭრა ეფექტიანად მოახერხონ.

ერთიანი სასკოლო მიდგომა ან განათლება მდგრადობისთვის მიღწეულია, თუ გლობალური საკითხები აისახება ყოველდღიურ პრაქტიკაში, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ კურიკულუმში. ამავდროულად, სასკოლო კულტურა და ეთიკა ასახავს ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს ადმინისტრაციის, მასწავლებლის და მთლიანად სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში.

მთავარი კი არის მოსწავლე, რომელიც უნდა ეზიარებოდეს ერთიანი სასკოლო მიდგომის მოდელებს სასწავლო გარემოში. მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა ჩაბმული იყოს ან წარუძღვეს პოზიტიურ ცვლილებებს, განივითაროს ისეთი კომპეტენციები, რომ პრობლემების გადაჭრა ეფექტიანად მოახერხოს. მდგრადი განვითარების პრინციპები, ღირებულებები და დამოკიდებულებები მის ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა მკვიდრდებოდეს.

არსებობს მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვაში სირთულეები:

- ძნელია სწავლების არსებული სტილის შეცვლა;
- დროს და კომპეტენციებს მოითხოვს კურსების მდგრადობის ტრილში გადახედვა;
- საჭიროა სასწავლებელს ჰქონდეს ერთიანი მიდგომა, გაზიარებული ღირებულებები, გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობები;
- პრობლემური სიტუაციების დასმა და პროექტად ქცევა მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს და ძალისხმევას, ხშირად ფინანსებსაც;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა მოითხოვს მდიდარ სამუშაო მასალას და კვლევას;
- შედეგების შეფასება საკმაოდ რთულია და დროში გაწელილი.

## მდგრადი განვითარების კალენდრის ინტეგრირება სასკოლო კურიკულუმში

არსებობენ „მწვანე“ და „მდგრადი“ სკოლების ქსელები, რომლებსაც უკვე ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება აქვთ ამ მიმართულებით, ისინი აღჭურვილები არიან საჭირო ცოდნით და უნარებით, უკვე მუშაობენ მდგრადობის კრიტერიუმებით. უფრო დიდი ნაწილი სკოლების იზიარებენ სხვათა გამოცდილებებს, რა მუშაობს და რა არა მათ სკოლაში და საკუთარ რეალობასთან მისადაგებას ცდილობენ. ბევრი ქვეყანა კი ეძებს თავის გზას, თუ როგორ მოახდინოს მდგრადი განვითარების პრინციპების სრულად ჩართვა სასკოლო კურიკულუმში. მათი მიზანია, იპოვონ ის სიცარიელე, რომელიც უნდა ამოავსონ შემოქმედებითად, რაც ამავდროულად მათ შესაძლებლობებს (ადამიანურ თუ ფინანსურ რესურსებს) და გამოცდილებებსაც ითვალისწინებს.

გაეროს ასოცირებული სკოლების ქსელი (The UNESCO Associated Schools Network (ASPnet)), რომელიც 182 ქვეყნის 11500 სკოლას აერთიანებს, მუშაობს მშვიდობის, ინტერკულტურული დიალოგის, მდგრადი განვითარების და ხარისხიანი განათლების მიმართულებით. ისინი ხელს უწყობენ გაეროს მეოთხე მიზნის 4.7 ინდიკატორის მიღწევას. ამავდროულად მათ აქვთ პრაქტიკა, აღნიშნონ საერთაშორისო დღეები (<https://aspnet.unesco.org/en-us/international-days>) სხვადასხვა ისტორიულად მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით. ამ დღეების აღსანიშნავად სკოლებში ეწყობა ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები. სწორედ ამ იდეამ გვიბოძა საინტერესო ინიციატივისკენ, წავახალისოთ მდგრადი განვითარების მიზნების სწავლება მდგრადი განვითარების კალენდრით.

მდგრადობის კალენდარზე თითოეული მიზნის გასწვრივ არის დატანილი ფიქსირებული თარიღი. ამ დღეებისთვის სკოლები ემზადებიან. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები გეგმავენ ინტეგრირებულ პროექტებს, ან მასწავლებელი თავისი საგნის ფარგლებში სასწავლო პროექტს ახორციელებს. დაგეგმვის პროცესი შემოქმედებითია, როცა მასწავლებლები ერთად სხდებიან და



იდეებს გამოთქვამენ, თუ რა შეიძლება იყოს მათი კონტრიბუცია და პირიქით, რა საგნობრივი შედეგის მიღწევას დაეხმარება ესა თუ ის აქტივობა. ერთი შეხედვით ნაკლებად დაკავშირებული საგანიც კი იზოვის თავის როლს ამ კალენდრის დანერგვაში. დაწყებითის, საბაზოს თუ საშუალო საფეხურის მასწავლებელი ასევე შეიძლება დანერგვის პროცესში თავისი წვლილი შეიტანოს.

## ნახ.2. მდგრადი განვითარების კალენდარი

|                                                                                     | მიზნები                                             | საერთაშორისო დღე                                  | თარიღი       |
|-------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------|---------------------------------------------------|--------------|
|    | მგმ 1 – „არა სიღარიბეს“                             | სიღარიბესთან ბრძოლის საერთაშორისო დღე             | 17 ოქტომბერი |
|    | მგმ 2 – „ნულოვანი შიმშილობა“                        | საკვების საერთაშორისო დღე                         | 16 ოქტომბერი |
|    | მგმ 3 – „ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“                | ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე                     | 7 აპრილი     |
|   | მგმ 4 – „ხარისხიანი განათლება“                      | მასწავლებლის საერთაშორისო დღე                     | 5 ოქტომბერი  |
|  | მგმ 5 – „გენდერული თანასწორობა“                     | ქალთა ძალადობის აღკვეთის საერთაშორისო დღე         | 25 ნოემბერი  |
|  | მგმ 6 – „სუფთა წყლისა და სანიტარია“                 | წყლის დაცვის საერთაშორისო დღე                     | 22 მარტი     |
|  | მგმ 7 – „ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია“            | ენერგოდაზოგვის საერთაშორისო დღე                   | 11 ნოემბერი  |
|  | მგმ 8 – „ხელმისაწვდომი სამუშაო და ეკონომიკური ზრდა“ | უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დღე სამუშაო ადგილზე | 28 აპრილი    |
|  | მგმ 9 – „ინდუსტრია, ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიები“ | ტექნოლოგიების საერთაშორისო დღე                    | 6 იანვარი    |

|                                                                                     | მიზნები                                                   | საერთაშორისო დღე                     | თარიღი        |
|-------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------|--------------------------------------|---------------|
|    | მგმ 10 – „უთანასწორობის შემცირება“                        | ნულოვანი დისკრმინაციის დღე           | 1 მარტი       |
|    | მგმ 11 – „მდგრადი ქალაქები და დასახლებები“                | ქალაქების საერთაშორისო დღე           | 31 ოქტომბერი  |
|    | მგმ 12 – „პასუხისმგებლიანი წარმოება და მოხმარება“         | მწვანე მომხმარებლის საერთაშორისო დღე | 28 სექტემბერი |
|    | მგმ 13 – „კლიმატისთვის მოქმედება“                         | კლიმატის დაცვის საერთაშორისო დღე     | 15 მაისი      |
|    | მგმ 14 – „სიცოცხლე წყალში“                                | ოკეანის დღე                          | 8 ივნისი      |
|    | მგმ 15 – „სიცოცხლე ხმელეთზე“                              | ბიომრავალფეროვნების მსოფლიო დღე      | 22 მაისი      |
|   | მგმ 16 – „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები“ | მშვიდობის საერთაშორისო დღე           | 21 სექტემბერი |
|  | მგმ 17 – „მიზნების დანერგვისკენ მიმართული თანამშრომლობა“  | საერთაშორისო სოლიდარობის დღე         | 20 დეკემბერი  |

რა სარგებელს მოიტანს მდგრადი განვითარების კალენდრის სკოლებში დანერგვა?

- სასკოლო კურიკულუმი გამდიდრდება მდგრადობასთან დაკავშირებული შინაარსით, მოსწავლეები შეიძენენ მდგრადობისთვის საკვანძო ცოდნას, უნარებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს;
- სასკოლო საზოგადოების წევრების – ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების მდგრადი განვითარების თემებისადმი ცნობიერება მაღლდება;
- ჩნდება ახალი საკვლევი და საგანმანათლებლო თემები, რომლებზეც სკოლას შეუძლია მუშაობა, რასაც გაიტანს საგანმანათლებლო კონფერენციებზე;



მდგრადობის აქტივობების დანერგვა რაიმე ერთი ღონისძიების, აქტივობის ან პროექტის განხორციელებით იწყება, რასაც მოგვიანებით მეორე მიმართება (ნახ.3). სკოლა თანდათან იწყებს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ შეფასებას და იმ სიცარიელების შევსებას, რაც გამოიკვეთება, ყოველ ჯერზე. ეს პროცესი ციკლურად მიმდინარეობს და სასწავლებელი ნელ-ნელა ხდება ადგილი, სადაც მდგრადი განვითარების პრინციპები, თემები, პროექტები და ღონისძიებები სრულადაა ინტეგრირებული.

„ჩვენ ყველანი ვკითხულობთ ერთი და იგივე წიგნს, თუმცა ყველა სხვადასხვა გვერდზე ვართ“ – დაწინაურებული საგანმანათლებლო სისტემები უკვე არაერთი წელია ნერგავენ ერთიან ინსტიტუციურ მიდგომებს მდგრადობაში, სხვები ახლა უწყობენ ფეხს ამ ტენდენციებს. რა თქმა უნდა, დანერგვის მასშტაბები დამოკიდებულია რესურსებზე, თუმცა უმთავრესი მაინც სკოლის და მასწავლებლების ნებაა, შეცვალონ ყოველდღიური რუტინა და სკოლებში სწავლების პროცესს სხვა მნიშვნელობა შესძინონ. პირველი ნაბიჯები სწორედ სკოლის გადაწყვეტილებაა ჩაერთონ მდგრადობის სწავლებაში.

# მანია ფირჩხაძე

---

|    |                                                                                                                |     |
|----|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| 1  | რა არის საკლასო ოთახი, რას წარმოადგენს ის?                                                                     | 79  |
| 2  | მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევების განვითარება<br>საკლასო ოთახში იწყება                                    | 81  |
| 3  | გაკვეთილი-საუბარი – კომუნიკაციური კომპეტენციის<br>ფორმირების საშუალება                                         | 88  |
| 4  | მოსწავლეთა თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების<br>განვითარების სტრატეგიები და დემოკრატიული კულტურის<br>კომპეტენციები | 93  |
| 5  | დიფერენცირებული სწავლება და მოსწავლეთა რეალიზაცია<br>საკლასო ოთახში                                            | 100 |
| 6  | მოსწავლეთა ინტერესის მართვა კლასში                                                                             | 105 |
| 7  | საგანმანათლებლო თამაშები და მოსწავლეთა<br>სისტემური ამროვნების ფორმირება გაკვეთილზე                            | 112 |
| 8  | კრიტიკული და შემოქმედებითი ამროვნების მიდგომების<br>გამოყენება სწავლებაში                                      | 117 |
| 9  | სტრატეგია „იდეალი“ და<br>მოსწავლეთა კრიტიკული ამროვნების განვითარება                                           | 121 |
| 10 | ბლუმის კუბიკები და საკლასო ოთახი –<br>ამროვნების საუკეთესო ადგილი                                              | 127 |
| 11 | სისტემატიზაციის პრინციპები გაკვეთილზე და<br>ეფექტური საკლასო გარემო                                            | 134 |



# რა არის საკლასო ოთახი, რას წარმოადგენს ის?

საკლასო ოთახი ის ადგილია, სადაც მოსწავლეთა ჯგუფი ერთად მეცადინეობს, ერთად გადის სასწავლო მასალას და სადაც ჯგუფის ყველა წევრს მიზნის შესაფერისი ცოდნითა და უნარებით აიარაღებენ.

ეს სივრცე მოქნილი, პოზიტიური და დადებითი ემოციების მომცემია, სადაც დაიძლევა ცუდი ქცევა, დაბნეულობა და იქმნება ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მიღწევას. ამიტომ აქ არაფერია რუტინული, კონტროლი და შეფასებაც კი კლასის წარმატებაზეა ორიენტირებული. მოსწავლეებს რეალურად შეუძლიათ დაინახონ თავიანთი თავი არა მარტო გარკვეული დროის განმავლობაში, არამედ პერსპექტივაშიც.

საკლასო ოთახი შემოქმედებითი ენერგიით სავსე სივრცეა და თვითონაც უბიძგებს მოსწავლეებს შემოქმედებითობისკენ, ამიტომ აქ თავისუფლად გამოხატავენ აზრებს, ფიქრობენ არასტანდარტულად და სწავლობენ სწრაფად და ეფექტურად.

ცოდნის გაფართოებისთვის მოსწავლეს სჭირდება გახსნილი აზროვნება, ამიტომ ყველაფერი, რაც ამ სივრცეშია – კედელზე გაკრული კოგნიტური ცხრილები, რესურსები და იდეები, მათი აზროვნების შეცვლას ემსახურება. ნათელი და მოქნილი ვიზუალური აზროვნება კი აქტიური ცოდნისა და უნარების საწინდარია.

საკლასო ოთახი მოსწავლეთა პრაქტიკის უპირველესი ადგილიცაა, რადგან პრაქტიკული საქმიანობა მასალის უფრო ღრმად დამუშავებისთვისაა საჭირო. აქ განხორციელებული ჯგუფური პროექტები, ინდივიდუალური დავალებები, პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის საქმიანობები – მოსწავლეთა წარმატებების რეალური საფუძველია.

საკლასო ოთახი გადაღლისაგანაც იცავს მოსწავლეს. აქ სრულდება ისეთი დავალებები, რომელიც გათვლილია ადგილის შეცვლასა და გადაადგილებაზე, კლასში თავისუფალი სივრცის შექმნაზე. ემოციებისაგან განტვირთული მოსწავლე კი გაცილებით ყურადღებიანია გაკვეთილზე.

**საკლასო ოთახში ყველაფერი შინაარსიანია.** ეს თაობების შეხვედრის ადგილია და ამიტომ აქ არასოდეს მთავრდება სწავლა და სწავლება, ყველაფერი ინკულუბირია და მუდმივად განახლებადი. ხშირად გვხვდება უჩვეულოც და ზოგჯერ – ლოგიკის საწინააღმდეგოც, რადგან აქ მოსწავლეთა ოცნებებია წინ წამოწეული. პედაგოგიური მეთოდები, შინაარსი, მიდგომები, ინსტრუმენტები და ტექნოლოგიებიც კი, რომელთაც მასწავლებელი იყენებს კლასში, მოსწავლეთა მიზნებისა და ოცნებების ახდენას უწყობს ხელს.

**და კიდევ – აქ ბევრი თამაშია!** – აქ ყველა თამაშობს ან სწავლობს თამაშს, იმიტირებს ცხოვრებისეულ სიტუაციებს და ვერასოდეს გაიგებ, რამდენად გაწაფული მოთამაშე ხარ, თუ დიდი და პატარა, მასწავლებელიც და მოსწავლეც – ყველამ არ დაასრულა მაღალი შედეგით.

**საკლასო ოთახს ღირებულებებიც აქვს:** არასტანდარტული სწავლება, ინტერაქტიური გაკვეთილები, მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება/წარმოჩენა, ურთიერთზრუნვა, სწორი კომუნიკაცია და კიდევ ბევრი სხვა ფასეულობა, საკლასო ოთახის უმნიშვნელოვანესი ღირებულებებია.

**და ყველაზე მთავარი – აქ გაკვეთილი მიმდინარეობს!** საკლასო ოთახი მოსწავლეთა განათლებას ემსახურება, გაკვეთილი კი სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების უმთავრესი ფორმაა. აქ, ამ გაკვეთილზე, მოსწავლეები ინდივიდუალურად, ჯგუფურად და წყვილებში მუშაობენ, წარადგენენ საშინაო დავალებებს, სემინარებსა და პრაქტიკუმებს, ამტკიცებენ ცოდნას და იძენენ ახალს, სრულყოფენ უნარებს. ეს მომავლის სამჭედლოა, მათი სახელოსნოა და ყველაფერი, რაც აქ ხდება – ჩვენი ხვალისდელი დღეა.

**საკლასო ოთახი – მთელი სამყაროა,** რომელსაც რეალურად არ გააჩნია საზღვრები და განათლებაში მოსწავლეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და რეალიზების საუკეთესო საშუალებაა.



# მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევების განვითარება საკლასო ოთახში იწყება

ცოდნის გადაცემისა და მისი მიღება/შეძენისთვის მოსმენისა და დაკვირვების უნარი აუცილებელია. ისინი ადამიანის უნარ-ჩვევების შემადგენელი ელემენტებია. გაიგო, რას საუბრობს თანამოსაუბრე, გქონდეს ადეკვატური რეაგირება მოსმენილზე და შეგეძლოს პასუხის გაცემა – ამ ერთი შეხედვით, მარტივი ოპერაციის შესრულებისთვის აუცილებელია მოცემული უნარების ფორმირება. ამიტომ მოსმენა და დაკვირვება საკლასო ოთახის, და აქ მიმდინარე გაკვეთილის აუცილებელი ატრიბუტებია.

## როგორ მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი?

სწავლის პროცესში მოსწავლეები ჯერ გაიაზრებენ, აღიქვამენ ნათქვამს და შემდეგ, მიღებული ინფორმაციის გაგების საფუძველზე იწყებენ პასუხების გაცემას გაგებულ და აღქმულ ინფორმაციაზე. და რადგან ადამიანი მხოლოდ იმის 10%-ს იმახსოვრებს, რასაც ისმენს, ამიტომ მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებაზე ბრუნვა სწავლა/სწავლების პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

მოსმენის უნარისა და სხვისი გაგების უნარის უზრუნველყოფისთვის საჭიროა მოსმენის ტექნიკის დაუფლება. ის ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის მიღებაში, გააზრებაში, ადრე მიღებულ ინფორმაციასთან შედარებაში, პრობლემური სიტუაციის შექმნაში და პრობლემის გადაწყვეტაშიც.

**აქტიურ მოსმენაში ჩართულია მეორე მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევაც – დაკვირვება, რომელიც აუცილებელია მოსმენის შიდა- და გარეფაქტორებზე, ანუ ქცევაზე ყურადღების გამახვილებისთვის.**

## გარეფაქტორში იგულისხმება:

- მსმენელზე დაკვირვება ანუ მის ქცევაზე დაკვირვება – რამდენად რთულია სასაუბრო თემა, ჰქონდა თუ არა აქამდე ინფორმაცია თემის შესახებ,

რამდენად დამაჯერებელია მოსაუბრე (განსაკუთრებით იმ ადამიანების ქცევაა მნიშვნელოვანი, რომლებიც დამკვირვებლისგან განსხვავებულ კულტურას ეკუთვნიან);

- დაკვირვება გარემოზე – რამდენად შესატყვისია გარემო ინფორმაციის ურთიერთგასაცვლელად და არსებობს თუ არა რაიმე ხელისშემშლელი გარემო ფაქტორები (მაგ., ხმაური, ვიბრაცია, განათება, ტემპერატურა და სხვა).

#### **შიდა ფაქტორში იგულისხმება:**

- საკუთარ თავთან დაკავშირებულ ფაქტორებზე დაკვირვება – ყველა შესაბამო ქცევის შეწყვეტა მოსმენის დაწყებამდე, შესატყვისი მასალის წინასწარ მომზადება (მაგ. ჩასაწერი რეველი, წინა გაკვეთილის შინაარსი), საკუთარი ემოციური მდგომარეობის გაკონტროლება, ყურადღების გამახვილება მოსაუბრის ნებისმიერ ქცევაზე და ა.შ.

#### **სწორედ დაკვირვება აძლევს საშუალებას მოსწავლეს, აღიაროს, რომ**

- მის მიმართ ყველა კეთილგანწყობილია;
- რომ არ აქვს შფოთვის საფუძველი, მშვიდად უნდა შეხვდეს ყველაფერს, რასაც ეუბნებიან, ასწავლიან, რადგან ურთიერთობის საფუძველი მხოლოდ კეთილგანწყობაა;
- მას არ უწყებენ დაკითხვას, ესაუბრებიან ისე, რომ მისგან პასუხს არ ელოდებიან და უხერხულად არ აგრნობინებენ თავს;
- პასუხის გაცემამდე მას აქვს დაფიქრების საშუალება;
- თუნდაც მცდარი აზრის გამოთქმის შემთხვევაში მას არ ედავებიან;
- თუ მზად არაა საუბრისთვის, კონტაქტისთვის, არ აძალებენ საუბრის გაგრძელებას – გადადებენ სხვა დროისთვის;
- ცდილობენ, მიაწოდონ კარგად ილუსტრირებული ინფორმაცია, რათა გაუადვილდეს ინფორმაციის გაგება და ა.შ.

#### **როგორ შევამოწმოთ მოსწავლის მოსმენისა და დაკვირვების უნარი? არსებობს რამდენიმე მარტივი მეთოდი:**

- მაგალითად, დაასახელოს რამდენიმე ციფრი და შემდეგ ჩამოთვალოს ისინი უკუღმა (მაგალითად, ციფრები 1-დან 10-მდე და შემდეგ უკუღმა, ან – ისტორიის სწავლებისას ვთხოვთ მოსწავლეს, დაასახლოს რამდენიმე ისტორიული თარიღი და შემდეგ ჩამოთვალოს ისინი უკუღმა). თუ ის ზედ-

მეტი სირთულის გარეშე გაართმევს თავს დავალებას, მაშინ გავზარდოთ რიცხვების (თარიღების) რაოდენობა გარკვეული ერთეულით და ვთხოვოთ, იგივე გააკეთოს ამ შემთხვევაშიც. თუ ექვს ციფრს (...თარიღს) შეუცდომლად ჩამოთვლის უკუღმა – ეს უკვე კარგ შედეგად ითვლება.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეს გაუაქტიურდება მოსმენისა და დაკვირვების უნარი, ის შეიძენს მნიშვნელოვან კომპეტენციას ამ მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ამავდროულად ის დაეუფლება დემოკრატიული კულტურისთვის მნიშვნელოვან მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევის კომპეტენციასაც, რომელიც ნებისმიერი საგნის სწავლებისას აუცილებელია (თუმცა, შეიძლება, სხვადასხვა დონეზე, ანუ მას ექნება სხვადასხვა დონის კომპეტენცია).

მაგალითად, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მიხედვით მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევების გამოვლენა ხდება შემდეგი ქცევების განხორციელებისას:

#### ■ ელემენტარული კომპეტენციის დონეზე:

- ა) როდესაც მოსწავლეს შეუძლია საკუთარი აზრისაგან განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა და
- ბ) ზოგადად სხვა ადამიანებისთვის ყურადღებით მოსმენა.

#### ■ საშუალო კომპეტენციის დონეზე:

- ა) აკვირდება მოსაუბრის ჟესტიკულაციას და, ზოგადად, მისი სხეულის ენას, რათა განსაზღვროს მის მიერ ვერბალურად გადმოცემული აზრის ზუსტი მნიშვნელობა;
- ბ) შეუძლია სხვისი საუბარი კარგად მოისმინოს, რაც ემსახურება იმის დადგენას, თუ რას გულისხმობს მოსაუბრე და რა განზრახვა ამოძრავებს მას.

#### ■ მაღალი კომპეტენციის დონეზე:

- ა) ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რას გულისხმობს მოსაუბრე;
- ბ) ამჩნევს განსხვავებული კულტურული კუთვნილების მქონე პირების განსხვავებულ რეაქციებსა და რეაგირების მანერას ერთსა და იმავე სიტუაციაზე.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს საგაკვეთილო მუშაობისას მოსმენისა და დაკვირვების უნარის განვითარებაში? უპირველესად გვახსოვდეს, რომ

მოსმენის განვითარებაზე მიმართული სამუშაოს ორგანიზების ფორმები შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფურიც.

**პრაქტიკულ ნაბიჯებად შეგვიძლია გამოვიყენოთ:**

■ თამაში, სავარჯიშო, დისკუსია, დიალოგი, სიტუაციის მოდელირება, მინი-ლექცია, საუბარი, რეფლექსია, განხილვა, ტექსტის კითხვა (მაგალითად, მხიარული ამოცანების, გადმოცემების, ლეგენდების...), კარნახი და სხვ. მიდგომები. მუშაობის პროცესში მასწავლებელი ჩაინიშნავს, კომპეტენციის რა დონეზე გადიან მოსწავლეები და მის მიხედვით დაგეგმავს შემდგომ სამუშაოს.

ზოგადად, რა სახის სავარჯიშოები შეიძლება გამოვიყენოთ მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისათვის? ამ მიმართულებით მრავალი მიდგომა და ხერხი არსებობს, მაგრამ საგაკვეთილო ფორმატში, დროისა და სივრცის ეკონომიიდან გამომდინარე, ეფექტურია მარტივი სავარჯიშოების შესრულება. **განვიხილოთ რამდენიმე მარტივი მაგალითი:**

1. **სავარჯიშო „10 სიტყვა“** – სავარჯიშოს არ სჭირდება განსაკუთრებული რესურსები. საჭიროა, მხოლოდ ნელ-ნელა ჩამოითვალოს 10 სიტყვა და ვთხოვოთ მოსწავლეს მათი დამახსოვრება და შემდეგ – იმ სიტყვების დასახელება, რომელიც დაიმახსოვრა. პეტი მოტივირებისათვის, უმჯობესია, დავალების ჯგუფურად შესრულება. შესაძლებელია, ერთმა მოსწავლემ ჩამოითვალოს ის სიტყვები, რომლებიც დაამახსოვრდა, ხოლო სხვებმა – დაუმატონ ისინი, რომელიც გამოტოვა. სასურველია, თუ სიტყვებს დავაჯგუფებინებთ შინაარსის მიხედვით (**მაგალითად, ცალკე ჩამოთვლის კონკრეტული ნივთიერების შემცველი საგნების ან ბრძოლების სახელებს, ან ცხოველების სახეობებს და ა.შ. შემდეგ – ცალკე ჩამოთვლის ზავის სახელებს ან მეფეთა, ან ცნობილი ისტორიული მოვლენების, ან კონკრეტული სახეობების, ნივთიერებების და ა.შ. სახელებს და სხვ.**);
2. **სავარჯიშო „თოვლის ფანტელები“** – დავალება აგებულია მრავალჯერად გამეორებაზე და დასამახსოვრებელი სიტყვების რაოდენობის თანდათან გაზრდაზე. სასურველია, ამ დროს მოსწავლეები ჯაჭვისებურად, თოვლის ფანტელებით ერთმანეთის მიყოლებით, გადაჯაჭვულებით ისხდნენ და ასრულებდნენ დავალებას. თავდაპირველად, ერთი მოსწავლე ასახელებს სიტყვას, მეორე – იმეორებს მას და ამატებს შემდეგს და ა.შ.

ეფექტურობისთვის, სასურველია, დასახელდეს მაქსიმუმ 15 სიტყვა. თუ მოსწავლეს გაუჭირდება ყველას დასახელება, მაშინ ის მოსწავლე, რომელმაც ყველა ჩამოთვალა, გაიმეორებს სიტყვებს და მოსწავლე ამის შემდეგ ხელახლა ცდის დავალების შესრულებას;

3. **სავარჯიშო „ჭადრაკის დაფა“** – მოსწავლეები ეწყობიან ჭადრაკისებურად და წინასწარ არჩეული „მეთაურის“ ბრძანების მიხედვით გადაადგილდებიან სხვადასხვა მიმართულებით. ვინც ვერ მოისმენს სწორად, არასწორად გადაადგილდება და შესაბამისად, ამოვარდება რიგიდან, ამიტომ მოსწავლეები ცდილობენ, მაქსიმალურად სწორად მოისმინონ მიღებული ბრძანება. სავარჯიშო ძალიან სახალისოა და მოსწავლისგან სულ რამდენიმე ნაბიჯით გადაადგილებას მოითხოვს. მოიგებს ის მოსწავლე, რომელიც ყველა „ბრძანებას“ უშეცდომოდ შეასრულებს;
4. **სავარჯიშო „რა ფერია?!“** – მასწავლებელი კითხულობს რაიმე ტექსტს ან აღწერს რაიმე სიუჟეტს, საგანს, ნივთიერებას, მოვლენას (მაგალითად, მოლექვლების დაშლას, ან ზღაპარს, ან ხელოვნების ისტორიიდან – რომელიმე ნახატს, სასახლის დარბაზს და ა.შ.). მოსწავლემ უნდა დაიმახსოვროს ფერები – რომელი დეტალი რა ფერში იყო დასახელებული, შემდეგ კი ამოარჩიოს ფერადი ფანქრებიდან მითითებული ფერის ფანქარი და შეეცადოს, გაიმეოროს დეტალის აღწერილობა;
5. **სავარჯიშო „ამბის დასურათება“** – დავალება ცოტა რთულია წინასთან შედარებით. წინასწარ გამზადებულია ფურცლები და ფანქრები. მოსწავლეები მოუსმენენ ინფორმაციას, გმირის, პერსონაჟის ან საგნის აღწერილობას და შემდეგ შეეცდებიან, დახატონ ფურცელზე.
6. **სავარჯიშო „არჩევნები“** – მასწავლებელი წინასწარ აფრთხილებს მოსწავლეებს, რა უნდა დაიმახსოვრონ ინფორმაციიდან – მოვლენები, საგნები და ა.შ. შემდეგ კი მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ და ჩამოთვალონ მხოლოდ მითითებული ცნებები და სხვ.

მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევა, ანუ სხვა ადამიანის ქცევაზე დაკვირვება მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროდ გამოადგება მოსწავლეს იმ ქცევების შესახებ, რომლებიც ყველაზე მისაღები და ეფექტურია სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში (თუნდაც სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ კონტექსტში) და შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ინფორმაციის შენახვა და მოგვიანებით თავისებური ქცევის მსგავს სიტუაციებში გამოყენება.

## გაკვეთილი-საუბარი – კომუნიკაციური კომპეტენციის ფორმირების საშუალება

მოსმენასა და დაკვირვებასთან ერთად ცოდნის გადაცემისა და შეძენის გზაზე უმნიშვნელოვანეს ფუნქციას იძენს დიალოგი, საუბარი, სწორი კომუნიკაცია, რადგან ეფექტური ურთიერთობების გარეშე არც სწავლა/სწავლებაა ეფექტური. ამიტომ ძირითადი სასწავლო დისციპლინების სწავლებასთან ერთად ეროვნული სასწავლო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. ისინი სასწავლო მიზნების მიღწევაშიც ეხმარება მოსწავლეს და სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასაც უწყობს ხელს. ასე იქმნება საკლასო ოთახში პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდის ცოდნით შეიარაღებას, თვითრეალიზებასა და სათანადო ადგილის დამკვიდრებას თანამედროვე სამყაროში.

პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანია კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება, რადგან ის პიროვნული პოტენციალის განახლება-განვითარების, გადაწყვეტილებების მიღების, პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივების, უწყვეტი განათლების პროცესში ჩართულობის მნიშვნელოვანი პირობაა.

კომუნიკაციური კომპეტენცია ძირითადად საუბრის, დიალოგის გზით ყალიბდება. ამიტომ საუბრისა და დიალოგის ორგანიზაცია გაკვეთილის აუცილებელი ატრიბუტია. აქ გაკვეთილი-საუბარი განიხილება არა უბრალოდ როგორც პედაგოგიური მეთოდი და ფორმა, არამედ როგორც ურთიერთობის უნივერსალური საშუალება, შემოქმედებითი ურთიერთობის ფორმა მასწავლებელსა და სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეებს შორის. ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს საგნობრივი ცოდნის რაოდენობას, მთავარი საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება, პოზიციის არგუმენტირება, ჯგუფელების პასუხების შეფასება და თვითშეფასებაა. გაკვეთილი-საუბრის დროს, კომუნიკაციური კომპეტენციის ფორმირებასთან ერთად, აქტიურდება მოსწავლეთა შემეცნებითი, ანალიტიკური და განმარტოვებელი უნარებიც, ხდება მასალის უკეთესად გააზრება და საგნობრივი ცოდნის გაღრმავება-გაფართოება.

გაკვეთილი-საუბარი ძირითადად მოიცავს სამ კომპონენტს:

- ა) პრობლემის დასმას;
- ბ) პრობლემის გადაჭრას, ახსნას, განხილვას და
- გ) პრობლემიდან სწორი გამოსავლის პოვნას, რაც თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეებს (თუმცა ევრისტიკული საუბრით მიზნის მიღწევა – შემეცნების გზით პრობლემის არსის დანახვა – მთლიანად მასწავლებლის ოსტატობაზე დამოკიდებული).

გაკვეთილი-საუბარი, როგორც წესი, გაკვეთილის დაწყებისთანავე იწყება. ამ დროს შესავალი-საუბარი ერთგვარი კითხვა-პასუხია, რომლის მიზანია, მოსწავლეებს განამტკიცებინოს მასალა არსებული ცოდნის მობილიზების, სისტემატიზაციისა და განზოგადების გზით. საუბარი საშუალებას გვაძლევს, დაისვას დიაგნოსტიკური კითხვებიც, რომელთა მეშვეობითაც მეტ-ნაკლებად ზუსტად დავადგენთ მოსწავლეთა ცოდნის დონეს და ახალი მასალის მიღებისთვის მზაობას.

გაკვეთილი-საუბარი დიდ ინტერესს იწვევს რთული თემების შესწავლის დროსაც, რადგან მოსწავლეთა მოტივაცია ამ დროს გაცილებით მაღალია:

- ახალი მასალის ახსნისას მოსწავლეები და მასწავლებელი თანამშრომლობენ, მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ეძებენ ასოციაციებს დასახელებულ თემაზე, სვამენ მათთვის სანტერესო კითხვებს, გამოაქვთ დასკვნები, მათი არც ერთი რეპლიკა არ რჩება უპასუხოდ. ამდენად, ასეთი საუბარი ამტკიცებს პედაგოგიური ურთიერთობის ფორმებს, ავლენს ყველა ორგანიზაციული საკითხის დადებით თუ ნაკლოვან მხარეებს;
- სასურველია, დიალოგი/საუბარი ძალადაუტანებლად წარიმართოს იმ კითხვების საფუძველზე, რომლებიც მოსწავლეს აინტერესებს.

**გაკვეთილზე სასწავლო საუბარი-დიალოგის ძირითადი ფორმებია:**

- მასწავლებელი – მოსწავლე;
- მოსწავლე – მოსწავლე;

სასკოლო პრაქტიკაში გაკვეთილი-საუბრის ყველაზე გავრცელებული ფორმაა მასწავლებელი-მოსწავლე, რომლის დროსაც აქტიურდება ცოდნაც და ადვილდება ცოდნის გადმოცემა და შემოწმებაც.

რით განსხვავდება გაკვეთილი-საუბარი ტრადიციული გაკვეთილისგან?



**ტრადიციული გაკვეთილისა და გაკვეთილი-საუბრის ალგორითმი:**

| პრიტერუმი                                | ტრადიციული გაკვეთილი                                                             | გაკვეთილი-საუბარი                                                 |
|------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------|
| მასწავლებლის როლი                        | გაკვეთილის მთავარი წარმმართველი                                                  | გაკვეთილის მიმართულების მიმცემი                                   |
| მოსწავლის როლი                           | არ არის მთავარი მონაწილე                                                         | გაკვეთილის მთავარი მონაწილეა                                      |
| ურთიერთობის ფორმა                        | ძირითადად ავტორიტარული                                                           | დემოკრატიული (მასწავლებელი „მოკავშირეა“)                          |
| სწავლების მეთოდები                       | ძირითადი ფორმაა მონოლოგი (მასწავლებლის ახსნა-განმარტება, თხრობითი სტილი და ა.შ.) | არსებითი ფორმაა დიალოგი-საუბარი (დისკუსია, როლური თამაში და სხვ.) |
| გაკვეთილის ეფექტიანობა                   | ყოველთვის არ არის ეფექტიანი                                                      | გამოირჩევა მაღალი ეფექტიანობით და წარმატებული შედეგებით           |
| ურთიერთობის ფორმა: მასწავლებელი-მოსწავლე | ოფიციალური                                                                       | თანამშრომლობითი, ეფუძნება კონსტრუქტივიზმს                         |
| სწავლის მოტივაცია                        | კარგი შეფასების მიღება, რაც ძნელად მისაღწევია                                    | შემოქმედებითი და ინტელექტუალური ზრდა, მაღალი ინტერესი             |



გაკვეთილი-საუბრის მაგალითი:

**თემა:** ნებისმიერი

**კლასი:** ნებისმიერი

**განსავითარებელი უნარები:** კომუნიკაციური, თანამშრომლობითი, ინფორმაციის ტრანსფორმაციის, ლოგიკური აზროვნების.

**გაკვეთილის მიზანი:**

- გაცნოს მოსწავლეებს ძირითადი მახასიათებლები (მაგ., ფართობი... მოცულობა... მანძილი... თვისებები... მდებარეობა... პირობები... და სხვ.);
- განუვითაროს წყაროებთან, ტექსტთან, სახელმძღვანელოსთან და ა.შ. მუშაობის უნარები;
- ხელი შეუწყოს კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ფორმირებას;
- მოსწავლეებმა თავად დაუსვან კითხვები ტექსტს;
- ლოგიკურად და სწორად გადმოსცენ ინფორმაცია, განუვითარდეთ განზოგადების უნარები;
- განუვითარდეთ მეტყველების კულტურა.

**ძირითადი რესურსები:** სახელმძღვანელო, კოგნიტური ცხრილები, დიაგრამები, გრაფიკები და სხვ. (მაგ., გლობუსი, ატომის მოდელი, მსოფლიოს ფიზიკური რუკა ან ნებისმიერი რესურსი საჭიროების მიხედვით);

**გაკვეთილის ტიპი:** ახალი მასალის ახსნის (ან სხვ.) გაკვეთილი.

**გაკვეთილის ფორმა:** გაკვეთილი-საუბარი.

**გაკვეთილის გეგმა:** ა) ორგანიზაციული ნაწილი; ბ) თემის აქტუალიზაცია; გ) მიზნის ერთობლივად განსაზღვრა; დ) ახალი მასალის შესწავლა; ე) ცოდნის განმტკიცება; ვ) რეფლექსია.

**გაკვეთილის ძირითადი დეტალები:**

**N1 – მასწავლებლის საქმიანობა:** თემის აქტუალიზაცია – რა თემაზე ვსაუბრობთ დღეს? რა იცით საკითხის შესახებ?

**მოსწავლეთა საქმიანობა/პასუხები:** ვიცით, რომ ეს თემა გულისხმობს... (მაგ., მოლეკულებს... ატომებს... სახეობებს... ციფრებს... ფორმულებს... სისხლის ჯგუფებს... ქვეყნებს... სახელმწიფოებს... არტეფაქტებს... მეფეებს... ტომებს... ცხოველებს... მცენარეებს... და ა.შ.);

**N2 – მასწავლებლის საქმიანობა:** მიზნის ერთობლივად დასახვა: რისი გაგება გინდათ მოცემული საკითხის შესახებ? რას შეისწავლით მის შესახებ?

**მოსწავლეთა საქმიანობა:** რისგან შედგება... რისგან კეთდება... რა სახისაა... სად მდებარეობს... ვინ გააკეთა? გამოიგონა? დაადგინა? როგორია მისი ბუნება, მოქმედების წესი, ქცევა, ფორმა და ა.შ.

**N3 – მასწავლებლის საქმიანობა:** ახალი მასალის შესწავლაზე გადასვლა – საიდან იციან მეცნიერებმა ესა თუ საკითხი, როგორ შეისწავლიან მათ?

**მოსწავლეთა საქმიანობა/პასუხები:** გამოკვლევა... გამორკვევა... კლასიფიცირება... აღმოჩენა... წყაროების გაცნობა და სხვ.

**N4 – მასწავლებლის საქმიანობა:** წყაროს/ტექსტის შესწავლის ორგანიზება;

**მოსწავლეთა საქმიანობა:** წყაროებზე/ტექსტებზე მუშაობა წყვილებში. მოსწავლეები ერთმანეთს ეკითხებიან წყაროს/ტექსტის შესახებ.

**N5 – მასწავლებლის საქმიანობა:** საკითხის ახლოს გაცნობის მიზნით კლასთან საუბარი (მაგ., ატომგულის აგებულებისა და მისი მასის შესახებ... რომელიმე ქვეყნის ადგილმდებარეობისა და ბუნების და სხვ. საკითხების შესახებ);

**მოსწავლეთა საქმიანობა:** მასწავლებლის ნაამბობის შესაბამისად პრაქტიკული ნაბიჯების შესრულება (მაგ., ატომის მოცულობისა და მასის შესასწავლად სქემასთან მუშაობა... ან რუკასთან მუშაობა ნილოსისა და მის ნაპირზე არსებული ქალაქების გასაცნობად და სხვ. მიზნის შესაბამისი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა).

**N6 – მასწავლებლის საქმიანობა:** წყაროებზე / ტექსტებზე მუშაობა დავალების პირობების შესაბამისად, წყაროს/ ტექსტის მიხედვით კითხვების მომზადება.

**მოსწავლეთა საქმიანობა:** წყაროებზე/ტექსტზე მუშაობა: ა) ინფორმაციის გაგნობა; ბ) ყოველ ნაწყვეტში ძირითადი სიტყვის პოვნა; გ) ტექსტისთვის კითხვის დასმა; დ) ძირითადი დასკვნების ამოწერა რვეულებში.

**N7 – მასწავლებლის საქმიანობა:** თემის/ტექსტის შესახებ საუბრის ორგანიზება;

**მოსწავლეთა საქმიანობა:** მოსწავლეები სწავლობენ კითხვების დასმას და მათზე პასუხის მოძიებას.

**N8 – მასწავლებლის საქმიანობა:** რატომ იქმნება... ყალიბდება... წარმოიქმნება... დგება ესა თუ შედეგი?

იმისთვის, რომ ამ კითხვას უპასუხონ, მოსწავლეები უსმენენ მასწავლებელს, რომელიც საუბრობს მოცემული საკითხის გამომწვევ პირობებზე;

**მოსწავლეთა საქმიანობა:** შედეგები: კონკრეტული საგნის... მოვლენის... წესის... ბუნების... და ა.შ. მოთხოვნილებებიდან გამომდინარე მივიღეთ ესა თუ ის შედეგი (მაგ., შეიქმნა ქიმიურ ელემენტთა პერიოდულობის ტაბულა... ან – ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო მმართველობა და სხვ.). მოსწავლე რეზიუმირებს მიღებულ საგნობრივ ცოდნას.

**N9 – მასწავლებლის საქმიანობა:** განმტკიცება – აქცენტირება ძირითად შედეგებზე – პასუხი კითხვებზე: რატომ? რისთვის? რა მიზნით? რის გამო? მოიყვანეთ არგუმენტი და ა.შ. (მაგ., რატომ უწოდეს... საიდან ვიგებთ... რომელი თვისება განაპირობებდა. რა ხდებოდა ამა თუ მოვლენისას და ა.შ.);

**მოსწავლეთა საქმიანობა:** პასუხი დასმულ შეკითხვებზე (მაგ., პასუხი დასმულ კითხვაზე: „რატომ?“ – „მდინარე ნილოსი ანოყიერებდა დაბლობს, რაც მიწათმოქმედებას და მოსავლიანობის ზრდას უწყობდა ხელს, სამეურნეო ძლიერება კი სახელმწიფოს ძლიერების საწინდარი“ და სხვ.).

**N10 – მასწავლებლის საქმიანობა:** რეფლექსია: იმუშავეთ წყვილებში და გაუმიარეთ ერთმანეთს შთაბეჭდილებები. რამე ხომ არ დარჩა გაუგებარი? რამ დაგაინტერესათ ყველაზე მეტად?

**მოსწავლეთა საქმიანობა:** შთაბეჭდილებების გაზიარება.

კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი-საუბარი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეთა მიერ საგნობრივ ცნებათა გაგების გამოსავლენად და მათი აზროვნების გასააქტიურებლად, არსებული ცოდნის მობილიზაციისთვის და ახალი მასალის გასაანალიზებლად. ის სოციალურად ზრდის მოსწავლეს, კარგ მსმენელად და აქტიურ პიროვნებად აყალიბებს, უვითარებს ცხოვრებისეული გამოწვევების დაძლევის უნარს და პიროვნული სრულყოფის გზაზე წარმატებული ნაბიჯების გადადგმაში ეხმარება, ამიტომ საკლასო ოთახში ამგვარი მუშაობა და ამ ტიპის გაკვეთილების ჩატარება ეფექტიანი და სასარგებლოა.

# მოსწავლეთა თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარების სტრატეგიები და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები

საკლასო ოთახი ის ძირითადი სოციალურ-კულტურული და საგნმანათ-  
ლებლო სივრცეა, სადაც თანამედროვე განათლების სისტემის ყველა უმნიშ-  
ვნელოვანესი გამოწვევის რეალიზება და მათ შორის ევროპის საბჭოს გა-  
ნათლების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული დემოკრატიული კულტურის  
კომპეტენციების სწავლა/სწავლება მიმდინარეობს.

კომპეტენცია პირის პირადი რესურსია (მაგ., ღირებულებები, დამოკი-  
დებულებები, უნარები, ცოდნა და გააზრება), რომელთა მობილიზება და  
პრაქტიკაში ამოქმედება ხდება კომპეტენტური ქცევის ჩამოყალიბებისას და  
კონკრეტულ ვითარებაში კონკრეტული ქცევის განხორციელებისას. ითვლე-  
ბა, რომ პირი მოქმედებს კომპეტენტურად, თუ იგი არსებული ძირითადი 20  
კომპეტენციიდან სათანადოდ და ეფექტურად აკმაყოფილებს დემოკრატიულ  
კულტურასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და სარგებლობს ამგვარ სიტუ-  
აციებში წარმოქმნილი შესაძლებლობებით.

კომპეტენციების ათვისებაზე მუშაობით სკოლის პედაგოგებს საშუალება  
გვეძლევა საზოგადოების განვითარებაში აქტიურად ჩავერთოთ, აღვზარდოთ  
და გავზარდოთ მომავალი კომპეტენტური მოქალაქეები, რომლებიც რე-  
ალურად გახდებიან დემოკრატიული საზოგადოების ეფექტური მონაწილე-  
ები. მთავარია, სასწავლო აქტივობების დაგეგმვისას ყურადღება მივაქციოთ  
ქცევას, რომლებიც მიანიშნებს, თუ რა დონეზე ფლობს მოსწავლე გარკვეულ  
მოცემულ კომპეტენციას, ღირებულებას/დამოკიდებულებას/უნარს/ცოდნას/  
გაგებას. თუ შევამჩნიეთ, რომ მოსწავლე ამგვარ ქცევებს არ ავლენს, საჭიროა  
დავგვემოთ სასწავლო აქტივობები, რომლებიც კომპეტენციის მაღალ დონეზე  
დაუფლებას შეუწყობს ხელს.

ზოგადად, მოსწავლეების აღჭურვა დემოკრატიული კულტურის კომპეტენ-  
ციებით მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ელემენტს, როგორიცაა:

- შეფასება იმისა, თუ რა დონეზე ფლობენ მოსწავლეები თითოეულ კომ-  
პეტენციას, რაც ემსახურება მოსწავლეთა სწავლის საჭიროებებისა და იმ

სფეროების იდენტიფიცირებას, რომლებიც შემდგომ განვითარებასა და დახვეწას საჭიროებს.

ამგვარი გაგებით „კომპეტენცია“ „უნარის“ ერთგვარი სინონიმაცაა. კონკრეტულ კონტექსტში მას რთული ამოცანებისათვის თავის გართმევის აღსანიშნავად გამოიყენებენ. კონკრეტულად დემოკრატიის კულტურას შესაბამება რვა უნარი:

- დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები; ანალიტიკური და კრიტიკული ამოცანების უნარ-ჩვევები; მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები; ემპათია; მოქნილობისა და შეგუების უნარი; ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები; თანამშრომლობითი უნარ-უჩვევები; კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები.

მოცემული უნარებიდან ძალიან საინტერესოა თანამშრომლობითი უნარ-ჩვევის განვითარება, რომელიც გულისხმობს:

- ჯგუფში სხვებთან მუშაობის პროცესში საკუთარი მოსაზრებებისა და შეხედულებების გამოთქმის უნარს და ჯგუფის სხვა წევრების გამხსენების უნარს, რათა მათ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები აღნიშნულ გარემოში;
- ჯგუფის წევრებს შორის კონსენსუსისა და კომპრომისის მიღწევის ხელშეწყობის უნარს;
- ჯგუფის წევრებთან ერთად კოორდინირებულად მოქმედების უნარს;
- ჯგუფის საერთო მიზნების მისაღწევად მოქმედების უნარს და საკუთარი ქცევის შეცვლის უნარს იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროა ჯგუფის საერთო მიზნების მისაღწევად;
- ჯგუფის წევრების მონაცემებისა და ძლიერი მხარეების სათანადოდ დაფასებას და სხვებისთვის დახმარების გაწევისთვის მზადყოფნას იმ შემთხვევაში, თუ მათ სჭირდებათ ან სურვილი აქვთ, გაიუმჯობესონ თავიანთი მიღწევები კონკრეტული მიმართულებით;
- ჯგუფის სხვა წევრების მოტივირებისა და გამხსენების უნარს, რათა მათ შეძლონ თანამშრომლობა და დახმარება გაუწიონ ერთმანეთს, ჯგუფის საერთო მიზნების მიღწევის მიზნით;
- საჭიროების შემთხვევაში, სხვებისათვის, სამუშაოს შესრულების პროცესში დახმარების გაწევის უნარს;

- ჯგუფის წევრებისათვის სასარგებლო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების უნარს და, ასევე, ჯგუფის სხვა წევრების გამხმნეების უნარს, რათა მათ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ ჯგუფის დანარჩენ წევრებს;
- ჯგუფურ გარემოში კონფლიქტების იდენტიფიცირებას, მათ შორის, საკუთარ თავში და სხვა ადამიანებში კონფლიქტთან დაკავშირებული ემოციური ნიშნების იდენტიფიცირებასა და კონფლიქტურ სიტუაციებზე შესაბამის რეაგირებას, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საშუალებებისა და დიალოგის გამოყენებით.

თანამშრომლობის უნარ-ჩვევა საჭიროა ერთობლივ აქტივობებში, საქმიანობებსა და ახალ წამოწყებებში სხვა ადამიანებთან ერთად წარმატებული მონაწილეობისათვის. ის მოქნილი და მრავალფეროვანი მიდგომაა საჭირო მიზნის მისაღწევად. თანამშრომლობითი, ანუ ჯგუფური მუშაობა თითოეულ მოსწავლეს აძლევს შანსს, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, ცოდნა და უნარები. მოსწავლეები უკეთესად იაზრებენ სასწავლო მასალას, ინაწილებენ როლებს, გეგმავენ მოქმედებას, უმაღლდებთ მოტივაციას, შედარებით დაბალი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები „ძლიერების“ ერთგვარ პასუხისმგებლობას გრძნობენ, რაც ეხმარება მათ ძლიერი მხარის წარმოდგენაში.

თანამშრომლობითი სწავლა მოსწავლის სოციალურ და პიროვნულ განვითარებასაც უწყობს ხელს. ის, გარკვეულწილად, პროფესიული გარემოს სიმულაციას წარმოადგენს და მოსწავლეებს დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი ინტერპერსონალური და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში ეხმარება. ამ დროს მოსწავლეები კომუნიკაციის, მოსმენის და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების გარდა, სტრესისა და ემოციების მართვასაც სწავლობენ, რაც დღეს უაღრესად მნიშვნელოვანია პირად და პროფესიულ ცხოვრებაში.

რა კონკრეტული სტრატეგიები შეიძლება გამოიყენოს  
მასწავლებელმა თანამშრომლობის უნარ-ჩვევის  
განვითარებისთვის და აღნიშნულ კომპონენტთა ათვისების  
დონისა და ხარისხის განსაზღვრისთვის?  
რა აქტივობები შეიძლება დაგეგმოს ამისთვის?

**მაგალითად:** ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მიდგომებიდან და სტრატეგიებიდან ეფექტურობით გამოირჩევა **გამოკითხვა და დისკუსია**.

**ჯგუფური გამოკითხვის პრაქტიკული მაგალითები:**

- თემა: ნებისმიერი
- ჯგუფებისთვის დასმული შეკითხვები შეიძლება იყოს ასეთი:

- 1-ლი ჯგუფი:** დაახასიათეთ... განსაზღვრეთ ფუნქციები... თვისებები... ჩამოთვალეთ ფორმები... სახეობები; შეადარეთ თვისებები... მოცულობა... ხასიათი... ქცევა... ფორმები... სისტემის კომპონენტები და ა.შ. (თემიდან გამომდინარე).
- მე-2 ჯგუფი:** „რას ნიშნავს ტერმინები? რა განსხვავებაა მათ შორის? ახსენით, რა ფუნქციები აქვს .... და ა.შ. (თემის შესაბამისად).

**ჯგუფებისთვის დასმული შეკითხვები:**

- „რა იყო ამა თუ მოვლენის... ჯგუფის... კლასის... გაერთიანების... შექმნის მიზანი? რა დამოკიდებულება შეიმჩნევა ამ საკითხის მიმართ? რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად ამ საკითხის გარშემო? რა შედეგით დასრულდა მოცემული ეტაპი?... დაახასიათეთ შედეგები და ა.შ.“ (თემატური საკითხის მიხედვით).

მუშაობა შესაძლებელია წარმართოს ორ ეტაპადაც:

- I **ეტაპზე** თითოეულმა ჯგუფმა მიიღო ტექსტი და კონკრეტული დავალებები. ჯგუფებს დაევალებათ უპასუხონ შეკითხვებს:
- I **ჯგუფი:** „რა იცით ამა თუ იმ საკითხის... მოვლენის... ფაქტის... შესახებ? რატომ ხდება ასე და ასე? რა მიზეზი განაპირობებს ასეთ შედეგს და სხვა.
- II **ჯგუფი:** რის გამო მივიღეთ ესა თუ ის შედეგი და ა.შ.

ჯგუფები შეისწავლიან საკითხებს, ჩამოაყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს და წარმოადგენენ არგუმენტებს.

- II **ეტაპზე** ყურადღება გამახვილდება კონკრეტულ დეტალზე – ერთმანეთს შედარდება სხვადასხვა მოცემულობები და მიღებული შედეგები აისახება კოგნიტურ სქემაზე, რისთვისაც გამოიყენებენ დაფას და გამართავენ **დისკუსიას**: „რატომ მივიღეთ ასეთი შედეგი და არა – სხვა?“



### **კონკრეტული მაგალითი –**

**XII კლასი, თემა – „პირველი მსოფლიო ომი“:** I ეტაპზე ომში მონაწილე ქვეყნების მიხედვით გამოიკვეთება რამდენიმე ჯგუფი, რომელთა სამუშაო დაუკავშირდება ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, ოსმალეთის, ბულგარეთის, რუსეთის, აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის მიზნებსა და საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებს პირველ მსოფლიო ომში. II ეტაპზე კი საქმიანობა წარიმართება დასახული და შემუშავებული გეგმის მიხედვით.

**შედეგები:** რა გააკეთა მოსწავლეებმა, მოცემული აქტივობების ფარგლებში, თანამშრომლობითი უნარ-ჩვევის განვითარებისთვის და ჩამოყალიბებისთვის და რა შედეგები მიიღო აქტივობების ბოლოს?

### **მოსწავლეებმა:**

■ დაყო მოსწავლეები ჯგუფებად, გააცნო მუშაობის წესები და შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლეებს უბიძგა მუშაობისკენ, კოორდინირება გაუწია ჯგუფში მოვალეობათა განაწილებას, წამოჭრილი მოსაზრებების, ჰიპოთეზების, ვერსიების განხილვას, დაეხმარა დასკვნების გამოტანაში, შესთავაზა დავალების შესასრულებლად საჭირო მასალა, უხელმძღვანელა ჯგუფების საქმიანობას, მუშაობაში კი მხოლოდ მაშინ ჩაერთო, როცა ეს აუცილებელი გახდა (მაგალითად, როდესაც მოსწავლეებს გაუჭირდათ შედარების სქემის დახატვა), ბოლოს კი შეაჯამა შედეგები.

რა გააკეთეს მოსწავლეებმა თანამშრომლობითი უნარ-ჩვევის განვითარებაზე მიმართული აქტივობების დროს?

### **მოსწავლეები:**

■ განაწილდნენ ჯგუფებად, მოემზადნენ საგაკვეთილო საქმიანობისთვის, ჯგუფის შიგნით გაინაწილეს როლები, აირჩიეს ლიდერი, წამოაყენეს ჰიპოთეზა, ჩამოაყალიბეს სასწავლო ამოცანის ამოხსნის ვერსიები, კრიტიკულად შეაფასეს შეთავაზებული ვარიანტები, გააანალიზეს ახალი ინფორმაცია, დაიცვეს პოზიციები, შესარულებს დავალება, შეიძინეს თანამშრომლობითი მუშაობის უნარები და გამოცდილება, განახორციელეს საკუთარი საქმიანობის თვითკონტროლი.

**რეფლექსიის ეტაპზე** გამოიკვეთა, რომ ჯგუფური მუშაობისას:

- მოსწავლეებს ჩამოუყალიბდათ სწორი დამოკიდებულება მასწავლებლისა და თანაკლასელების მიმართ, გამოავლინეს ჯგუფური მუშაობის მიმართ ინტერესი; ისწავლეს სხვისი აზრისა და პოზიციის გაზიარება, საკუთარი აზრისა და პოზიციის ფორმულირება, სხვადასხვა რესურსის გამოყენებით განუვითარდათ ზეპირი და წერიტი მეტყველების, არგუმენტირების, საერთო გადაწყვეტილების მიღების, სასწავლო ამოცანის ამოხსნის, გადაწყვეტილებაზე კონტროლის, ინფორმაციასთან მუშაობის, საქმიანობის დაგეგმვის, კორექტირებისა და შეფასების უნარები.

მაგრამ მაინც, კონკრეტულად როგორ შეიძლება შეფასდეს აღნიშნული თანამშრომლობითი უნარ-ჩვევის კომპონენტთა ათვისების დონე და ხარისხი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა კონტექსტში?

- ამის დადგენა, უპირველესად, ხდება **კომპეტენციის დესკრიპტორით**, რომელიც წარმოადგენს მოცემულობას ან აღწერას იმისა, რისი გაკეთებაც შეუძლია შემსწავლელს/მოსწავლეს იმ შემთხვევაში, თუ მას ათვისებული აქვს კონკრეტული კომპონენტი.

მოცემულ შემთხვევაში, თუ შემსწავლელს/მოსწავლეს შეძენილი აქვს თანამშრომლობის უნარი, შესაძლო დესკრიპტორი იქნება „ჯგუფში მუშაობისას, როგორც ჯგუფის წევრი, მუდმივად და წარმატებით ურთიერთობს ჯგუფის სხვა წევრებთან, ჯგუფის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად“.

**როგორც ზემოთ მითითებულმა შედეგებმა აჩვენა:**

- ა) მოცემულმა დესკრიპტორმა ნამდვილად სწორად აღწერა და აჩვენა მიღებული შედეგი – მოსწავლეებმა ისწავლეს სხვისი აზრისა და პოზიციის გაზიარება, საერთო გადაწყვეტილების მიღება, განუვითარდათ სასწავლო ამოცანის ამოხსნის, გადაწყვეტილებაზე კონტროლის, ინფორმაციასთან მუშაობის, საქმიანობის დაგეგმვის, კორექტირებისა და შეფასების უნარები;
- ბ) ხოლო ჩემი, როგორც მასწავლებლის, მხრიდან კომპეტენციის განვითარებაზე ზრუნვა დაეხმარა მოსწავლეებს სასწავლო ამოცანის ამოხსნისკენ მიზანმიმართულ სვლაში, რამაც გაზარდა მათი წარმატების, კომპეტენ-

ციებით აღჭურვისა და შესაბამისად, ცხოვრებისათვის უკეთ მომზადების შანსი.

მიუხედავად, ერთი შეხედვით, წარმატებით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ერთეულ შემთხვევაში მოსწავლის მიერ გამოვლენილი ქცევა, რომელიც კონკრეტულ დესკრიპტორს შეესაბამება, არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლე ფლობს შესაბამის კომპეტენციას იმ დონეზე, რა დონესაც შეესაბამება ამ ქცევის ამსახველი დესკრიპტორი, ამიტომ მასწავლებლებმა, შესაძლებლობების ფარგლებში, მუდმივად უნდა ვიზრუნოთ კომპეტენციათა განვითარებაზე და ასეთი აქტივობების მრავალმხრივი გამოყენების შემდეგ მოსწავლეებს შეეძლებათ, თვითონაც გამოიყენონ მიღებული გამოცდილება სხვადასხვაგვარ გარემოში და არა მხოლოდ საკლასო ოთახში ჩატრებულ გაკვეთილზე, რაც ხელს შეუწყობს მათ, ჩამოყალიბდნენ დემოკრატიულ მოქალაქეებად.

# დიფერენცირებული სწავლება და მოსწავლეთა რეალიზაცია საკლასო ოთახში

საკლასო ოთახში პოულობს განხორციელებას განათლების ჰუმანიზაციისა და სწავლების ინდივიდუალიზაციისკენ მიმართული თანამედროვე სტანდარტები, რომელიც თითოეული მოსწავლის რეალიზაციას უწყობს ხელს. მოცემული მოთხოვნის შესრულების ეფექტური საშუალებაა სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომა.

დიფერენცირებულ მიდგომებს ხშირად ვიყენებთ პრაქტიკაში, მაგალითად, როდესაც ვვგეგმავთ გაკვეთილს, ვცდილობთ, ვუპასუხოთ კითხვას: როგორ მოვიქცეთ, რომ მოსწავლემ უბრალოდ კი არ დაიბეპიროს გარკვეული რაოდენობის მასალა, არამედ ისწავლოს იმისდა მიუხედავად, რა საშუალება და როგორი პოტენციალი აქვს. და როდესაც მსგავს გეგმას შევადგენთ, აღმოჩნდება, რომ:

- ა) სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლის პიროვნება (რაც დამახასიათებელია სწავლებაში დიფერენცირებული მიდგომებისთვის);
- ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება აქცენტირებულია ინდივიდუალიზაციასა (რაც წარმოადგენს დიფერენცირებული სწავლების მეთოდურ საფუძველს) და დავალებების დიფერენციაციაზე (გაკვეთილის ჩატარების მეთოდოლოგიაზე).

**დიფერენციაცია** ნიშნავს დაყოფას, დანაწილებას, მთელის გაყოფას ნაწილებად, ფორმისა და საფეხურების მიხედვით დალაგებას და თითოეულის ცალ-ცალკე შესწავლას. **დიფერენცირებული სწავლებისას** მასწავლებელი მუშაობს მთელ ჯგუფთან, რომლის თითოეულ წევრსაც სხვადასხვა ხარისხის ცოდნა აქვს, მაგრამ პროცესი მიმართულია „გათანაბრებისკენ“ – დავალებები დახარისხებულია თითოეულის შესაძლებლობის მიხედვით, რაც ერთიანობაში ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის მოტივირებას და შესაძლებლობებისა და ინტერესების მაქსიმალურ გამოვლენას, ერთმანეთით სწავლას და თვითსწავლას.

სწავლებაში დიფერენცირებული მიდგომა პირველად გამოიყენეს XX საუკუნის დამდეგს და ის დაკავშირებულია ჰუმანიტარული ფსიქოლოგიის წარმომადგენლების კ. როჯერსის, ა. მასლოუს, რ. მეის სახელებთან.

**დიდაქტიკის კუთხით** დიფერენცირებული სწავლება თავის თავში მოიცავს განათლების მიზანს, შინაარსს, სწავლა-სწავლების საშუალებათა ორგანიზაციას და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობის თითქმის ყველა კრიტერიუმს. ის ეძებს გზას, უკეთესად დააკმაყოფილოს მოზარდის შემეცნებითი ინტერესი, გაუღვივოს და გამოიწვიოს კიდეც ის და მხარდაჭერა გაუწიოს განვითარებისა და პიროვნული ზრდის პროცესში.

#### **დიფერენცირებული მიდგომის ვარიანტებია:**

- მოსწავლეთა დაყოფა ინტელექტუალური განვითარების მიხედვით, მათი მომავალი განვითარებისა და შემდგომი გაერთიანების მიზნით;
- სრული თავისუფლება სასწავლო მასალის არჩევაში, მის შესწავლაში;
- თვითშეფასება;
- ინტეგრირებული სწავლებისა და, საზოგადოდ, საგანთაშორისი კავშირების აქტიური გამოყენება ცოდნის გასაღრმავებლად.

#### **სხვადასხვა სახის დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებისას შედეგებიც სხვადასხვანაირია:**

- სიმძიმის ცენტრი გადატანილია სწავლებიდან მოსწავლეზე, რომელიც დამოუკიდებლად გადაამუშავებს და აითვისებს ინფორმაციას;
- მასწავლებელი ორიენტირებულია სამუშაოს შინაარსზე;
- კლასი ობიექტურადაა დაყოფილი მიკროჯგუფებად – მოსწავლე თვითონ ვერ აირჩევს სამიზნე დონეს, რომელიც შეესაბამება მის შესაძლებლობებს და მოთხოვნილებებს;
- კლასში მეფობს ურთიერთდობისა და თანხმობის ატმოსფერო, მოსწავლეებს უყვართ ჯგუფური სამუშაო, რომლის დროსაც უვითარდებათ მოთმინების, ჯგუფური მუშაობის, მხარდაჭერის, კომუნიკაციის უნარები.

დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლის მოსწრების დონე. ამ მხრივ, მოსწავლეები ძირითადად 3 დონედ იყოფიან: სუსტ, საშუალო და ძლიერ მოსწავლეებად. ჩვეულებრივი გაკვეთილი შეიძლება ჩავატაროთ მოსწავლეთა დონეების გათვალისწინებით:

- I დონე** – ძლიერი მოსწავლეები, რომლებიც დამოუკიდებლად ასრულებენ რთულ სავარჯიშოებს, შეუძლიათ ცოდნის გამოყენება უცნობ სიტუაციაში და აქვთ შემოქმედებითი უნარები, გამოყოფენ საკითხიდან არსებითს, ძირითადს, კანონზომიერს, იღებენ მაღალ შეფასებებს;
- II დონე** – შედარებით განვითარებული უნარების მქონე მოსწავლეები, რომლებსაც უჭირთ, ერთბაშად აღიქვან საკითხის არსი, გამოყონ კანონზომიერებები; ამისთვის სჭირდებათ გარკვეული დრო, მაგრამ შეუძლიათ დაინახონ ზოგადში კერძო და კერძოში – ზოგადი ელემენტები. სათანადო დახმარების პირობებში ამ ჯგუფის მოსწავლეებს შეუძლიათ, თავი გაართვან I დონის მოთხოვნებსაც;
- III დონე** – სუსტი, არასაკმარისად მომზადებული მოსწავლეები, ანუ ისინი, რომლებიც დიდ ინტერესს არ ამჟღავნებენ ისტორიის საგნის მიმართ და თითქმის არ გააჩნიათ ისტორიულ მასალასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. მათ არ შეუძლიათ ისტორიული მასალის აღქმა, წარმოსახვა, გადამუშავება, ემოციური დამოკიდებულების გამომჟღავნება, დამოუკიდებლად ანალიზი და შედარება. ისინი მასალას ითვისებენ მრავალჯერადი განმეორების გზით და ყოველთვის სათანადოდ ვერც ახერხებენ ამას, დავალებების შესრულებას ანდომებენ ბევრ დროს.

**რაც შეეხება ჯგუფების შედგენას**, დიფერენცირებული მუშაობის დროს ჯგუფები მუდმივი არ არის. ისინი არა მარტო დროთა განმავლობაში, არამედ ერთი გაკვეთილის ფარგლებშიც კი შეიძლება შეიცვალოს.

დიფერენციაციის საშუალებები:

- დავალების შინაარსი მთელი კლასისთვის ერთნაირია, მაგრამ ძლიერ მოსწავლეებს ნაკლები დრო ეძლევათ მის შესასრულებლად;
- დავალების შინაარსი ყველასთვის ერთნაირია, მაგრამ ძლიერ მოსწავლეებს გაცილებით დიდი მოცულობის დავალება ეძლევათ, ვიდრე სხვებს;
- დავალება მთელი კლასისთვის საერთოა, მაგრამ სუსტ მოსწავლეებს ეძლევათ დამხმარე მასალა, რომელიც გაუადვილებთ მუშაობას (საყრდენი სქემები, ცხრილები, ნიმუში და ა.შ.);
- სხვადასხვა დონის მოსწავლეებს გაკვეთილის ერთ-ერთ ეტაპზე ეძლევათ სხვადასხვა შინაარსისა და სირთულის ამოცანები;
- მოსწავლეები თვითონ ირჩევენ დავალების ვარიანტს;
- მასწავლებელი ხშირად მიმართავს მასალის განმტკიცებას.

**დიფერენციაციის დროს** მიმდინარე, თემატური და შემაჯამებელი დავალებები სხვადასხვა დონისაა და განსხვავებულია უნარ-ჩვევების კუთხითაც. მაგალითად:

- დამოუკიდებელი მუშაობის დროს დიფერენცირებული დავალებები მიმართულია ცოდნის გამჭვირვალობისკენ, მოქნილობისკენ, კონკრეტულობისკენ, გაცნობიერებისკენ. მათი შესრულებისთვის გამოიყოფა 10-15 წუთი.
- სხვადასხვა დონის დავალებების დროს მოსწავლეებს ურიგდებათ განსხვავებული ფერის ბარათები სხვადასხვა დავალებით: მწვანე – I დონე, ლურჯი – II დონე, წითელი – III დონე. დავალებების რაოდენობა დამოკიდებულია შესასწავლ საგანზე, თემის სირთულეზე, მოსწავლეთა ინდივიდუალურ თვისებებსა და დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილ დროზე.

საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია შეცვალოს დავალება ან ხელახლა შეასრულოს იმავე დონის სხვა დავალება. **შეფასება** დამოკიდებულია დავალების სირთულეზე: I დონე – 5/6 ქულა; II დონე – 7/8 ქულა; III დონე – 9/10 ქულა; **მოსწავლეთა თვითშეფასებაში** კი გამოჩნდება, რამდენად სწორად იქნა შერჩეული დონე.

**დიფერენცირებულ დავალებებს შორის გვხვდება ადაპტირებული (შედარებით ადვილი) დავალებებიც, რომლებიც:**

- შეიცავს დავალების შინაარსს, ალგორითმს და მის მიხედვით შესრულებულ ნიმუშს;
- დავალებას, რომელიც უნდა შესრულდეს წყვილში;
- სხვადასხვა დონის დახურული ტიპის ტესტურ დავალებებს – მოსწავლეს სთავაზობენ 10-15 ტესტს, რომელთაგან თითოეულის შესასრულებლად დასჭირდება 7-10 წუთი.

**მაგალითისთვის განვიხილოთ გაკვეთილის ფრაგმენტი დიფერენცირებული დავალებებით:**

**გაკვეთილის თემა** – „საღვთო რომის იმპერია კარლ V-ის დროს“  
**დრო** – 15 წუთი

**დაახლოებით 5/6-ქულიანი დავალება:**

- დაასახელეთ კონკრეტული რეფორმები, რომლებიც გატარდა კარლ V-ის ეპოქაში;
- რას გეუბნებათ სახელები: ა) მ. ლუთერი? ბ) ფილიპე II?
- როგორი იყო კარლ V-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგები?

**დაახლოებით 7/8-ქულიანი დავალება:**

- რას წარმოადგენდა „95 თეზისი“? ვინ იყო მისი ავტორი?
- დაახასიათეთ, როგორ გაიყო ჰაბსბურგთა იმპერია ორ შტოდ.

**დაახლოებით 9/10-ქულიანი დავალება:**

- რატომ თქვა უარი კარლ V-მ ნიდერლანდის სამეფოსა და ესპანეთზე და არა გერმანიაზე?
- რატომ დათანხმდა კარლ V 1555 წლის აუგსბურგის რელიგიურ ზავზე და არ გააგრძელა ბრძოლა რეფორმაციის წინააღმდეგ? მიაღწია თუ არა ამით მიზანს?

**ადაპტირებული დავალებები:**

- მოამზადეთ პატარა დავალებები მოცემულ თემაზე (სუსტი მოსწავლისთვის);
- დაწერეთ ესე მოცემულ თემაზე (დავალება ყველასათვის);
- პრეზენტაციის მომზადება გაკვეთილის თემის მიხედვით და პრეზენტირება კლასის წინაშე;
- კროსვორდის მომზადება (ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის – პასიური მოსწავლეებისთვისაც);
- პორტრეტ-ამოცანის მომზადება (დავალება ყველასათვის).

დიფერენცირებული სწავლების უპირატესობები: ადვილად დაიძლევა სიძნელები; კლასში არც ერთი მოსწავლე არ არის ჩამორჩენილი; ყველა ჩართულია სამუშაოში; აქტიურად ფორმირდება პიროვნული თვისებები; იზრდება დამოუკიდებლობა, შრომისმოყვარეობა, თავდაჯერება, შემოქმედებითობა, მოტივაცია, შემეცნებითი ინტერესი; აქტიურად მიმდინარეობს მასალის შინაარსის გადამუშავება; მეტოდი უზრუნველყოფილია დიდაქტიკის კუთხითაც; მოსწავლეები წინასწარ ემზადებიან ამგვარი სამუშაოსთვის; ექვემდებარება მონიტორინგს.



# მოსწავლეთა ინტერესების მართვა კლასში

საკლასო ოთახში თავშეყრილი მოსწავლეების შემეცნებით პროცესში ჩართულობისთვის და შესაძლებლობების რეალიზებისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია მათი ინტერესები და მოტივაციები, რადგან ინტერესი რისამე გაგების, გაცნობის, შესწავლის სურვილი, მიზანი, მისწრაფება და მოთხოვნილებაა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების აქტიურობას კონკრეტული მიმართულებით.

**ინტერესი ის ინსტიქტია**, რომელიც გარკვეულ მომენტში აღძრავს კონკრეტული საქმიანობის სურვილს, რომლის დაკმაყოფილებისას ინტერესი კიდევ უფრო ღრმავდება და ახალ ინტერესებს წარმოშობს, ამიტომ რაც უფრო მძაფრია ინტერესი, მით უფრო მეტად ცდილობს ადამიანი მის დაკმაყოფილებას, მით მეტად აქტიურადაა ჩართული ინტერესის დაკმაყოფილებისა და საინტერესოს შემეცნების პროცესში. ზოგადად **ინტერესი რამდენიმე სახისაა**:

- უშუალო, პირდაპირი ინტერესი, რომელიც გამოწვეულია ობიექტის გარეგნული იერ-სახით;
- და არაპირდაპირი ინტერესი, რომლის დაკმაყოფილებისთვის გარკვეული საქმიანობის გაწევაა საჭირო.

**უშუალო და არაპირდაპირი ინტერესი შეიძლება დაიყოს:**

**უშუალო** – როდესაც ინტერესი მიმართულია თავად საქმიანობის პროცესზე, შემოქმედებაზე, რომლის მიზანია რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილება;

**არაპირდაპირი** – როდესაც ინტერესს იწვევს საქმიანობის შედეგები: განათლების ცენზი, პროფესიის შეძენა, საზოგადოებრივი მდგომარეობა, ანუ ერთგვარად ცხოვრებისეული მოთხოვნილებები.

**ინტერესში შეიძლება გამოიყოს:**

- **პასიური**, ანუ განსჯის, დაფიქრების პერიოდი;
- **აქტიური** – ქმედების პერიოდი.

**მასშტაბის მიხედვით ის შეიძლება იყოს:**

- ფართო – როდესაც ბევრია დაინტერესებული ღრმად გაიაზრონ რაიმე;
- ვიწრო – რომლის საფუძველია უბრალო ცნობისმოყვარეობა.

**სიღრმის მიხედვით:**

- ღრმა – როდესაც ადამიანი მიისწრაფვის ღრმად „შეიჭრას“ საგნის შიგნით მის შესამეცნებლად;
- ზედაპირული – როდესაც ინტერესი ზერელეა;

**სამყაროს სიმტკიცის მიხედვით ინტერესი შეიძლება იყოს:**

- მდგრადი – როდესაც ხდება საკუთარი როლის გაცნობიერება და აღიარება, რომ ამის გაკეთება (ინტერესის დაკმაყოფილება) აუცილებელი და საჭიროა;
- არამდგრადი – ის, რაც მდგრადის საწინააღმდეგოა (ის დამახასიათებელია მოზრდილებისა და ბავშვებისთვის).

გამომდინარე იქედან, რომ ინტერესი მრავალგვარია, თავის მხრივ, წარმოიშობა ინტერესის კატეგორიის პრობლემის გადაჭრის მოთხოვნილება. ასეთ შემთხვევაში ადვილია ინტერესთან დაკავშირებული ყველა სფეროს საქმიანობა, მათ შორის საგანმანათლებლო სისტემის, რადგან განათლება უპირველეს ყოვლისა მიმართულია პიროვნების განვითარებისკენ, მისი შემოქმედებითი შესაძლებლობების გააქტიურებისკენ, დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდების ათვისებისკენ, თვითკონტროლისკენ, სწავლის აქტიური ფორმების და მეთოდების გამოყენებისკენ, რომელიც შესაბამისი ინტერესების გარეშე ვერაფრით მიიღწევა.

**მოსწავლეთა ინტერესი ძალიან მრავალგვარია, რომელთა ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგი პრინციპის მიხედვით ხდება. მათ აინტერესებთ:**

- შინაარსი (რისკენაა მიმართული);
- მატერიალური სარგებლიანობა;
- საზოგადოებრივი და პოლიტიკური ხასიათი;
- პროფესიული და შრომითი საქმიანობა;
- შემეცნებითი ფორმა – სასწავლო, სპეციალური, სამეცნიერო;
- ესთეტიკა;

- მკითხველი;
- სპორტი და
- ა.შ.

ინტერესის ეს ნიშნები იჭრება ერთმანეთში და ერთ მთლიან სისტემას ქმნის, რომლის საერთო მიზანი შემეცნებითი პროცესის – ინტერესის დაკმაყოფილებას – ემსახურება. მაგრამ თუ გარემომცველი სამყაროდან ადამიანი ირჩევს არა ყველა ობიექტს, არამედ მხოლოდ მას, რომელიც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მაშინ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ „მნიშვნელოვანი“ და „საჭირო“ მხოლოდ ინტერესის ფორმაა მოსწავლისთვის, რადგან შემეცნებითი ინტერესი გაცილებით ღრმაა და ის პიროვნების შინაგანი მდგომარეობის გამოვლინებაა. მისი ფასი ის გახლავთ, რომ პიროვნება ინტელექტუალურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს, ის ელოდება ახალს, ინტელექტუალურ სიხარულს, წარმატებას. შეუძლებელია ადამიანის შემეცნებითი ინტერესის გარეშე პიროვნული განვითარება.

შემეცნებითი ინტერესის გაღვივება მოსწავლეებში სხვადასხვა კუთხით შეიძლება გამოიქვეყნდეს. პედაგოგიკის თეორიაში ძირითადად მითითებულია, რომ ის წარმოადგენს მოსწავლის შინაგან სტიმულს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული მისი აქტიურობა, მასწავლებელს მისი დახმარებით ადვილად შეუძლია მოსწავლის მოტივირება, სწავლის შედეგების ამაღლება, სწავლებაში იმ ასპექტების გამოყოფა, რომელსაც შეუძლია მოსწავლის ყურადღების მიპყრობა და აზროვნების გააქტიურება.

#### **მეტწილად მოსწავლეთა ინტერესის ფორმირება ორ საკითხს უკავშირდება:**

1. მოსწავლის შემეცნებითი სამყაროზე მეცნიერების მიღწევათა ასახვას, მის მიმართ ინტერესის გამოხატვას;
2. ცოდნის შეძენის პროცესში მხარდაჭერას, სწავლისა და ცოდნის შეძენის მიმართ დამოკიდებულების განმტკიცებას, რომელიც აღუძრავს მოსწავლეს ცოდნის დაუფლების სურვილს.

#### **ძირითადად მოსწავლის შემეცნებითი ინტერესის დაკმაყოფილება ხდება:**

- სახელმძღვანელოების შინაარსით;
- სასწავლო პროცესის ორგანიზებით;
- მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის კომუნიკაციური პროცესით.

ეს დეტალები სტიმულების ფართო სპექტრს წარმოშობენ, ავითარებენ ინტერესს და ხელს უწყობენ მის დაკმაყოფილებას. მაგრამ არის **ინტერესის გაზრდის** კიდევ ერთი საინტერესო გზა, როგორცაა ისეთი **სიტუაციების შექმნა გაკვეთილზე**, რომელიც მოსწავლეს საშუალებას მისცემს:

- გამოხატოს საკუთარი აზრი;
- დარჩეს საკუთარ აზრზე;
- მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებსა და განხილვებში;
- დაუსვას შეკითხვები თანაკლასელებს და მასწავლებელს;
- გააკეთოს რეცენზია თანაკლასელის ნაშრომზე, მიიღოს მონაწილეობა მათ სწავლა/სწავლებაში;
- აუხსნას შედარებით სუსტ მოსწავლეებს მათთვის გაუგებარი ადგილები სახელმძღვანელოს ტექსტიდან;
- მოიძიოს დავალების შესრულების ალტერნატიული გზა;
- შეასრულოს შემეცნებითი ხასიათის დავალება და გადაჭრას პრობლემა;
- შეაფასოს საკუთარი თავიც და სხვებიც;
- გამოიყენოს სწავლის პროცესში თანამედროვე ტექნიკური საშუალებები.

ინტერესის გამოხატვის სხვადასხვა დონე არსებობს, რომლის მიხედვით მასწავლებელს შეეძლება თვალი ადევნოს მოსწავლის განვითარებას, რამდენადაც დაინტერესება სწავლის შედეგის პირდაპირპროპორციულია.

**ინტერესის გამოხატვის I დონეა**, როდესაც მოსწავლე ცდილობს დაიმახსოვროს, გაიგოს და გამოიყენოს ცოდნა, დაეუფლოს მისი გამოყენების გზებს. ამ ეტაპს შეესაბამება ინტერესის „არამდგრადობა“, როდესაც მოსწავლე არ ინტერესდება ცოდნის სიღრმით და არ იყენებს შეკითხვის ტიპს: „რატომ?“

**ინტერესის გამოხატვის II დონეა**, როდესაც მოსწავლე მიისწრაფვის შესწავლილი მასალის გამოვლენისკენ, როდესაც გამოხატავს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარების სურვილს, აკეთებს შედეგების ინტერპრეტაციას. ამ ეტაპს შეესაბამება ინტერესის მკვეთრად გამოხატული „მდგრადობა“, როდესაც მოსწავლე ცდილობს, მიიყვანოს დაწყებული საქმე ბოლომდე, არ უშინდება სიძნელეს და ეძებს პრობლემის გადაწყვეტის გზას.

**III დონეა** – შემოქმედებითი ეტაპი, როდესაც მოსწავლის ინტერესი არა მარტო იჭრება მოვლენათა „სიღრმეში“, არამედ ის ცდილობს ამ მიზ-

ნით ახალი საშუალებების მოპოვებას. ამ ეტაპზე ინტერესის ყველა თვისება ჯაჭვური რეაქციის სახით გამოვლინდება და მოსწავლის წინარე ცოდნის, გამოცდილებისა და ახალი ცოდნის სინთეზის ეტაპად გარდაიქმნება.

მაგრამ ერთია მოსწავლის ინტერესის გამოწვევა გაკვეთილზე და მეორეა მისი განვითარება, რომლისთვისაც მასწავლებელმა სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები და ფორმები უნდა გამოიყენოს. ამ დროს, ცხადია, გათვალისწინებულია სწავლების შინაარსი, თემის შინაარსი, აქტუალობა და ასაკობრივი თავისებურებები.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემს შემოქმედებით საქმიანობაში გამოვყოფდი შემდეგ მიმართულებებს:

- სახელმძღვანელოსთან მუშაობას (ესაა პროცესი ტექსტის კითხვიდან და ელემენტარულ კითხვებზე პასუხების ძიებიდან გაკვეთილის დიდი ნაწილის დამოუკიდებლად შესწავლამდე);
- სამუშაო რვეულების წარმოებას (საშინაო დავალებების აუცილებლად შემოწმება);
- ნარატივზე მუშაობას (პროცესი ნარატივის ანალიზიდან პროდუქტიული, შემოქმედებითი დავალებების დამოუკიდებლად შესრულებამდე);
- დავალებების შესაბამისი მოსწავლეთა ორგანიზაციის ფორმას (ინდივიდუალური და ჯგუფური);
- ნარატივზე/ტექსტზე მუშაობის სხვადასხვა მეთოდებს და ა.შ.

მოსწავლეთა ინტერესის შენარჩუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება დაწყებითი საფეხურის V-VI კლასებში და მომდევნო საფეხურის – საბაზო – საწყის ეტაპზე. პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, თუ ამ პერიოდებში მოსწავლეებს შეუნარჩუნდებათ საგნობრივი ინტერესები (კონკრეტულად ერთი ან სხვადასხვა საგნის მიმართ ინტერესი), ის გაჰყვებათ მომდევნო საფეხურზეც.

პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე V-VI-VII კლასებში ინტერესის განვითარებისკენ მიმართული პრაქტიკული საგაკვეთილო საქმიანობა და ინტერესის მართვის სტრატეგიები ასეთ სურათს გვაძლევს:

| V კლასი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           | VI კლასი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               | VII კლასი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <ul style="list-style-type: none"> <li>– გაკვეთილის ტექსტის უმეტესი ნაწილის წაკითხვა და შემეცნებითი ხასიათის კითხვებზე პასუხის გაცემა;</li> <li>– სავარჯიშოების შესრულება, როგორიცაა: სურათის აღწერა, კროს-ვორდების შევსება, ჩანახატების წარმოდგენა და სხვ.</li> <li>– სხვადასხვა სახის პრეზენტაციის მომზადება, მაგალითად, „ჩემი მშობლიური მხარე“, „ჩემი საყვარელი დასვენების ადგილი“; „ჩემი საყვარელი რიცხვები“ და ა.შ.</li> <li>– სხვადასხვა სახის სქემებზე, რუკებზე, დიაგრამებზე მუშაობა და დასახელებული ობიექტების, საგნების, რიცხვების და ა.შ. მოძებნა;</li> <li>– თამაშის გამოყენება გაკვეთილზე;</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>– გაკვეთილის თითქმის 1/2-ის დამოუკიდებლად სწავლა;</li> <li>– მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება და სინქრონიზება;</li> <li>– დრო რომ არ დაიკარგოს, თანაკლასელების პასუხის დროს დანარჩენებს შეუძლიათ სამუშაო რვეულებში მუშაობა;</li> <li>– შედარებების გაკეთება (ცხრილები), გეგმების მომზადება;</li> <li>– ჯერ მარტივი გეგმების, შემდეგ, წლის ბოლოს – რთულზე მუშაობა;</li> <li>– მუშაობა ისტორიულ პერსონალებზე, ან ლანდშაფტურ თავსებურებებზე და ა.შ.;</li> <li>– მოთხრობების შედგენა სხვადასხვა თემაზე, კონკრეტული მოვლენების მოდელირება;</li> <li>– გენეალოგიური/ან კლასიფიკაციური ცხრილების მომზადება;</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>– გაკვეთილის დიდი ნაწილის დამოუკიდებლად სწავლა;</li> <li>– სამუშაო რვეულების დამოუკიდებლად წარმოება;</li> <li>– სხვადასხვა გეგმისა და ცხრილის შედგენა;</li> <li>– დავალებების დამოუკიდებლად არჩევა;</li> <li>– სქემების, რუკებისა და ნარატიული მასალის ერთმანეთთან და სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებთან შედარება; შეხედულებების გადამოწმება;</li> <li>– შემოქმედებითი დავალებების შესრულება, ჯგუფური მუშაობის ფორმების მოძიება;</li> <li>– ზეპირი პრეზენტაციის მომზადება წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით.</li> </ul> |

| V კლასი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           | VI კლასი                                                                                                                                                                             | VII კლასი |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| <ul style="list-style-type: none"> <li>– ნარატივის/ტექსტის გაანალიზება და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;</li> <li>– კონკრეტულად გაკვეთილის ტექსტზე მუშაობა და ტექსტის ბოლოში დასმულ შეკითხვებზე პასუხი;</li> <li>– მოთხრობების / ამოცანების /კროს-ვორდების და ა.შ. შედგენა სახელმძღვანელოს სურათების მიხედვით;</li> <li>– და სხვ.</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>– ყველაზე მნიშვნელოვანი ცნებების, ტერმინების და თარიღების ამოწერა;</li> <li>– მასწავლებლის მონათხრობის მიხედვით მოთხრობის შედგენა.</li> </ul> |           |

საკლასო ოთახში სწორად წარმართული სასწავლო პროცესი, სათანადო მეთოდური მიდგომები და მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე და მოტივაციამდე ორიენტირებული სწავლება თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნების ადეკვატური და წარმატებული შედეგების მანიშნებელია.

# საგანმანათლებლო თამაშები და მოსწავლეთა სისტემური აზროვნების ფორმირება გაკვეთილზე

საკლასო ოთახი ის ადგილია, სადაც მოსწავლეები ყველაზე მეტ დროს ატარებენ და სადაც ყველაზე დიდხანს თამაშობენ. და როგორც თეატრში ელოდება მაყურებელი, რა იმალება სცენის ფარდის მიღმა, ასევე ელოდებიან მოსწავლეებიც ზარის დარეკვის შემდეგ კლასში შემოსული მასწავლებლის „საიდუმლო სცენარის“ გაცნობას და ამ მოლოდინში თამაშთან ერთად მუდმივად ყურადღებით არიან. მასწავლებელი ასეთ სიტუაციებში ემგვანება კარგ მსახიობს, რომელიც წარმოდგენის დასასრულს ყველა „საიდუმლოს“ ახდის ფარდას და ინტერესს დაუკმაყოფილებს მოსწავლეებს.

საგანმანათლებლო ხასიათის თამაშები აქტიური ფიზიკური და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ინტელექტისა და შემეცნებითი პროცესების, მეტყველების, მეხსიერების, ყურადღების, დაკვირვების, სენსორული გამოცდილების, მტკიცებულებითი უნარების განვითარებას უზრუნველყოფს, რომლის საფუძველზეც მოსწავლეს უვითარდება ცნობისმოყვარეობა, გამოცდილება, ნებელობა, ჯგუფური მუშაობის უნარი, აცნობიერებს თავის ადგილს საზოგადოებაში. გამოცდილ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა თამაშსა და საგაკვეთილო საქმიანობას შორის კავშირის დამყარება და გაკვეთილის ნამდვილ სახალისო საქმედ გარდაქმნა.

გაკვეთილის რომელ ეტაპზეა მოხერხებული თამაშის ელემენტების გამოყენება? ალბათ ყველა ეტაპზე, თუმცა ადვილია შეთანხმება იმაზე, რომ გაკვეთილის ყველაზე საინტერესო ნაწილი დასაწყისია, რომელზეც მთელი შემდეგი საქმიანობის წარმატებაა დამოკიდებული. ეს ნაწილი ისე უნდა გაიაროს მასწავლებელმა, თითქოს აქ და ამ წუთში წყდებოდეს გაკვეთილის ბედი. მასწავლებლის ემოციური განწყობა გადამდებია მოსწავლეებისთვის და კარგად დაწყებული გაკვეთილი წარმატებული შედეგის გარანტიაა. თუ მასწავლებელი ასეთივე განწყობას შეინარჩუნებს გაკვეთილის დანარჩენ ეტაპზეც (ცოდნის შემოწმების, გადაცემის, რეფლექსიის ეტაპზე) მიზნის მიღწევა გარანტირებული იქნება (ცხადია, ამ დროს არ უნდა დაგვავიწყდეს მასწავლებლის,



როგორც მეთოდისტის, მკვლევრის, აღმზრდელის, საგაკვეთილო პროცესის ორგანიზატორის ფუნქცია).

მასწავლებელიც და მოსწავლეც თამაშის პროცესში მრავალგვარ იდეას წამოაყენებენ, რომელთა შორის ძალიან საინტერესოა **სისტემური აზროვნების ფორმირებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა**. ბიოადეკვატური, ანუ რელაქსაციური სათამაშო მიდგომების გამოყენება სწავლებაში ხელს უწყობს ასეთი პირობების შექმნას და სისტემური („ინტეგრირებული“) აზროვნებისა და გაკვეთილის „გაცოცხლებას“.

აღსანიშნავია, რომ სისტემური („ინტეგრირებული“) აზროვნება არ გულისხმობს ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიის, ხატვისა და სხვა საგნების უბრალოდ ინტეგრირებას ერთი გაკვეთილის ფარგლებში, რომელიც, თავის მხრივ, შესანიშნავი იდეაა, რადგან ამ დროს შემეცნებით პროცესში ერთვება აღქმის ყველა არხი, მაგრამ სისტემური, ანუ ინტეგრირებული მიდგომა რეალურად წარმოიშობა მაშინ, როდესაც ადგილი აქვს შემეცნების ყველა კომპონენტის ერთობლიობას. მაგალითად, კულტურის ისტორიის შესწავლისას სისტემური აზროვნების გამოვლენაა, თუ მოსწავლე შეძლებს გაკვეთილზე კონკრეტული რელიგიისათვის დამახასიათებელი ტაძრის (შუა საუკუნეების ან სხვ. ისტორიული პერიოდის) მოდელის (ქართული ტაძრები, ბიზანტიური ტაძრები, ბაროკოს ან სხვა. სტილის ტაძრები, ბუდისტური ტაძრები და მეჩეთები და ა.შ.) აგებას და სხვა. რომლისთვისაც მას სხვადასხვა საკითხის საკმაოდ ღრმა ცოდნა სჭირდება.

სისტემური აზროვნების ფორმირებისთვის გამოიყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო თამაშებს, როგორიცაა, მაგალითად:

1. **„ექსპრესკარნახი“, რომლის მიზანია ტერმინების, თარიღების, განსაზღვრებების, ცნებების ცოდნის შემოწმება** (სულ 2-3 წთ.);

**აქტივობის ალგორითმი:** ა) მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს დადგენენ მერხებთან ან გააკეთონ წრე (როგორც მოუხერხდებათ ადგილის მიხედვით); ბ) მასწავლებელი სწრაფად სვამს შეკითხვებს, ეკითხება ყველას. ასეთი ზეპირი გამოკითხვით მასწავლებელი ამოწმებს ისტორიის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ქიმიისა და ა.შ. საგნების ცოდნას (წერილობითი გამოკითხვის დროს მოსწავლეები მერხებთან სხედან); გ) სპეციალური

უნარების (სწრაფი წერის, ყურადღების და ა.შ.) განვითარებისთვის მასწავლებელი ცვლის პირობას – სთავაზობს, რომ პასუხები დაწერონ მხოლოდ ფურცელზე, მხოლოდ დაფაზე და ა.შ.

## 2. „დაასრულე ფრაზა“: მიზანია განვლილი მასალის ექსპრესგამეორება.

**აქტივობის ალგორითმი:** ა) მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს დადგენენ მერხებთან ან გააკეთონ წრე (როგორც მოუხერხდებათ ადგილის მიხედვით), ან დაჯგუფდნენ სურვილის მიხედვით; ბ) მასწავლებელი აცხადებს მტკიცებით წინადადებას, რომელიც საჭიროებს დასრულებას; გ) გამარჯვებულია ის, ვინც სწორად და სწრაფად შეძლებს ფრაზების დასრულებას (სულ 2-3 წთ.).

მაგალითად, გეოგრაფია, VI კლასი:

*„თანამედროვე გეოგრაფია – ესაა მეცნიერება... ამისა და ამის შესახებ (ბუნების, მოსახლეობის, საქმიანობის...)“;*

*„ეკოლოგია – ესაა მეცნიერება, რომელიც შეისწავლის... (ადამიანისა და გარესამყაროს ურთიერთობას...)“;*

და სხვა.

## 3. „თავისუფალი დავალება“: მიზანია, ვასწავლოთ მოსწავლეებს დავალების დამოუკიდებლად არჩევა.

**აქტივობის ალგორითმი:** ა) მასწავლებელი აჯგუფებს მოსწავლეებს რამდენიმე ჯგუფად; ბ) ჯგუფებს ურიგებს დავალებებს, რომლებიც ჩამოწერილია ბარათებზე ან განთავსებულია კომპიუტერის ეკრანზე, ან მონიშნულია წიგნში და ა.შ. გ) დავალებები სხვადასხვა დონისაა; დ) მოსწავლეებმა (ჯგუფებმა) უნდა აირჩიონ დავალება განთავსების ადგილის მიხედვით; ე) მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფები დავალებას და პასუხებს წარუდგენენ მთელ კლასს; ვ) პრეზენტაციების დასრულების შემდეგ მასწავლებელი შეაჯამებს ჯგუფების გამოსვლას (სულ 3-5 წთ.).

## 4. „შემოქმედებითი სურათის შექმნა“: მიზანია, ვასწავლოთ მოსწავლეებს სასწავლო მასალის სურათ-ხატის შექმნა, რომელსაც ის ხანგრძლივ მესიერებაში შეინახავს.

**აქტივობის ალგორითმი:** ა) მასწავლებელი ქმნის 3-5-კაციან ჯგუფებს და ყველას აძლევს ერთი ტიპის დავალებას – შემოქმედებითად „გადაამუშაონ“ საშინაო დავალებიდან მიღებული ინფორმაცია; ბ) მასწავლებელი აძლევს ნიშანს შემოქმედებითი სამუშაოს დაწყებისთვის, მოსწავლეები კი ცდილობენ დახატონ დავალების შესრულების შედეგად მიღებული ინფორმაცია; გ) შემდეგში ხდება შემოქმედებითი პროდუქტის „დაცვა“ (სულ 4-5 წთ.).

5. **„ახალი სახე-სიმბოლოს შექმნა ჯგუფურად“:** მიზანია შემოწმდეს ინტეგრირებული თემის ცოდნა, თემის პიროვნული და ჯგუფური აღქმის პროცესი. ეს თამაში ხელს უწყობს მეხსიერებაში ინფორმაციის ხანგრძლივად შენახვას.

**აქტივობის ალგორითმი:** ა) მოსწავლეთა დაჯგუფება; ბ) თითოეული ჯგუფი იღებს დავალებას თემის ცალკეულ ნაწილზე. მასალა შეიძლება განმეორებითიც იყოს; გ) მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები იწყებენ შემოქმედებით მუშაობას. ჯგუფის წევრები ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე ქმნიან ერთიან სურათს და ხატავენ იმ ინფორმაციას, რომელიც დაამახსოვრდათ; დ) დასრულების შემდეგ ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას, მასწავლებელი კი აფასებს მათ (სულ 4-5 წთ.).

6. **„ვაქანდაკებთ“ – ჯგუფური სამუშაო, რომლის მიზანია დავალების შესრულებისათვის საჭირო შემოქმედებითი და მოტორული უნარების განვითარება. თემა შეიძლება შერჩეული იყოს განვლილი მასალიდანაც (4-7 წთ.).**

**აქტივობის ალგორითმი:** ა) მოსწავლეებს, ჯგუფის წევრებს, ურიგდებათ ფურცლები, რომლებზეც ჩამოწერილია რომელიმე საგნობრივი ლექსიკის ერთეულები, მაგალითად, სინონიმები, ომონიმები, შედარებები და სხვა; ბ) დავალების მიხედვით მოსწავლეებმა უნდა შექმნან „ლექსიკის“ სიმბოლო-ქანდაკება (ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს გვირილის ან სხვა ყვავილის სახით); გ) განმარტონ დასახელებული ცნებები და მოიყვანონ მაგალითები; დ) ჯგუფები გააკეთებენ პრეზენტაციებს და დაიცავენ თავიანთ მოსაზრებებს; ე) მასწავლებელი შეაჯამებს ჯგუფების შედეგებს.

7. **„ცოდნის ინჟინრები“:** მიზანია, ასწავლოს მოსწავლეს ცოდნის გამოყენება პრაქტიკულ ცხოვრებაში.

**აქტივობის ალგორითმი:** ა) მასწავლებელი აჯგუფებს მოსწავლეებს პატარა-პატარა ჯგუფებად და სთავაზობს დავალებას – როგორ წარმოუდგენიათ მათ უკვე შესწავლილი თემების პრაქტიკაში გამოყენება? ქალაქების მშენებლობაში? სამეურნეო საქმიანობაში? მოგზაურობაში? განათლების რეფორმაში? და ა.შ. ბ) ის, ვინც უკეთესად და უფრო მეტს უპასუხებს დასმულ შეკითხვაზე, გადაეცემა პრიზი; გ) მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლეთა ცოდნის დონეს.

**8. „ფანტასტიკური დაბოლოება“: მიზანია ახალი ინფორმაციით დაინტერესება, სასწავლო სიტუაციის გადატანა უჩვეულო პირობებში.**

**აქტივობის ალგორითმი:** ა) მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს საშინაო დავალების თემა გადაიტანონ ფანტაზიის სამყაროში და მოუძებნონ ფანტასტიკური დასასრული – ეს შეიძლება იყოს ლიტერატურული გმირის „გადასახლება“ სასურველ ეპოქაში ან ისტორიული პიროვნებების „თანამედროვე“ მოღვაწეებად წარმოსახვა, ადრე მომხდარი კონფლიქტების „გაცოცხლება“ და განსხვავებული დასასრულის მიცემა, უჩვეულო სიტუაციების შექმნა და ა.შ. მაგალითად,

■ „ანტარქტიდაში მინიმალური ტემპერატურა 10 გრადუსამდე ავიდა. მოიფიქრეთ, რას მოიმოქმედებენ პინგვინები?“...

■ „კლიმატის ცვლილებამ ალპებზე მყინვარების დნობა და მდინარეების აღიდება გამოიწვია. წარმოიდგინეთ, როგორ გააგრძელებდნენ ბრძოლას ჰანიბალის ჯარისკაცები?“

■ „ნივთიერებათა ქიმიური რეაქციის შედეგად ვარდისფერი ქალაქლები გალურჯდა. წარმოიდგინეთ, როგორ გამოიყენებდნენ მოსწავლეები ქიმიის ცოდნას საყოფაცხოვრებო პირობებში?“

ბ) მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა შემოქმედებით უნარებს და წარმოდგენილ მასალებს.

საგანმანათლებლო თამაშებისას მეცნიერული თეორია და ცოდნის სისტემატიზაციის პრაქტიკული ასპექტები „ერთად მუშაობენ“ მოსწავლეთა წარმატებისთვის და სისტემური აზროვნების ფორმირებისთვის, ხელს უწყობენ სწავლის მოტივაციას, მაღალი შედეგების მიღწევას, არაერთგვაროვანი დავალებების გადაწყვეტას, რთული და ხანდახან მოსაწყენი მასალის მარტივად შესწავლას, კომუნიკაციას, ამიტომ შეგვიძლია ისინი მეტი აქტიურობით გამოვიყენოთ კონკრეტულ საგაკვეთილო საქმიანობაში.

# კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მიდგომების გამოყენება სწავლებაში

მოსწავლეთა შორის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება თანამედროვე განათლების სისტემის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საკლასო სივრცეში მის განვითარებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს.

კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, რომელიც სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მრავალი თავისებურებები გააჩნია, რომელთა გათვალისწინება გაცილებით ეფექტურს გახდის მასწავლებლების მოღვაწეობას. ამ თავისებურებებიდან რამდენიმე ნიშანი გამოიყოფა:

უპირველესად ის, რომ **კრიტიკული აზროვნება დამოუკიდებელი აზროვნებაა**. ამიტომ მასწავლებლებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რომ ყველა მოსწავლემ ისწავლოს თავისი იდეისა და მტკიცებულებების ჩამოყალიბება, ფაქტებისა და მოვლენების შეფასება და საკუთარი აზრის დაფიქსირება. მხოლოდ ამ ეტაპის შემდეგ მიეცემა მასწავლებელს საშუალება, იმუშაოს მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების დახვეწაზე.

**მეორე მხრივ**, კრიტიკული აზროვნების ძირითადი საფუძველი ინფორმირება, ანუ ინფორმაციის ფლობაა. რაიმე რომ კრიტიკულად შეაფასო, ამისათვის ობიექტის შესახებ ინფორმაცია უნდა გქონდეს. ამიტომ წიგნიერების კომპეტენციაზე მუშაობა და კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება პირდაპირი მნიშვნელობით აისახება ერთმანეთზე.

**მესამე** — კრიტიკული აზროვნება იწყება შეკითხვის დასმით, ანდა იმ პრობლემის განსაზღვრით, რომლის გადაჭრაც აუცილებელია. ამიტომ შეკითხვის სწორად დასმა, ანუ პრობლემის იდენტიფიცირება და აზრის განვითარება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების აუცილებელი პირობაა.

**მეოთხე** — კრიტიკული აზროვნება მიისწრაფვის მტკიცებულებებისკენ და დამაჯერებელი არგუმენტაციისკენ, თანაც ისე, რომ სხვის გამოცდილებას აქვერ გამოიყენებ, ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობისას ეს თავისებურებაც ანგარიშგასაწევი და საგულისხმოა.

**მესუთე** – კრიტიკულ აზროვნებას სოციალური ხასიათი გააჩნია. ბუნებრივია, რომ ყველანაირი აზრის, იდეის შემოწმება ხდება, თუკი მას სხვასაც გაუზიარებ. ფილოსოფიური გამონათქვამის მიხედვით „სრულყოფილება მიიღწევა მხოლოდ ერთი გზით – ყოფნით, არსებობით – რაც უნდა დადასტურდეს სხვათა მიერ“. შესაბამისად, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისკენ მიმართული სამუშაოების დაგეგმვისას უნდა დავუშვათ იდეის განხილვაზე მიმართული აქტივობებიც.

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების მოცემული თავისებურებები შეიძლება აისახოს მოსწავლეთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროზე, მისი განხორციელების გზა კი მრავალფეროვანი მეთოდური მიდგომებია, რომლებიც თავისთავადაც ძალიან საინტერესოა, მაგრამ თუ გამოვიყენებთ სასურველი მიმართულებით, შედეგები კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება.

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე მიმართულ მიდგომებს შორის, სადაც ყველაზე უფრო ხაზგასმულად ჩანს აღნიშნული თავისებურებები, გამოირჩევა სინქვეინები და დიამანტი, რადგან მათი შედგენა მრავალმხრივ ცოდნასა და უნარებს მოითხოვს.

სინქვეინი 5 სტრიქონიანი ლექსია, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი მკაცრად განსაზღვრული ფორმა. აქედან I ხაზი – არსებითი სახელია, რომელიც ნარატიული მასალისაგან ქმნის ლექსს (ნარატივს გარდაქმნის ლექსად); II ხაზზე წარმოდგენილია – თითო არსებით სახელთან დაკავშირებული ორი განსაზღვრება; III ხაზი უკავია სამ ზმნას (შემასმენელს), რომელიც ერთ არსებით სახელთანაა დაკავშირებული; IV ხაზი – ეს უკვე მთელი ფრაზაა, რომელსაც გარკვეული აზრი გააჩნია; V ხაზზე წარმოდგენილია თემის სინონიმი, ანდა ერთი კრებითი სიტყვა (წინადადება), რომელიც განსაზღვრავს იმ ემოციურ დამოკიდებულებას, რომელიც აერთიანებს ყველა ზემოთ მითითებულ თემას. მაგალითად:

I – შემოდგომა

II – სხვადასხვა ფერია, დიდებულია

III – მოსვლისას გვაფერადებს, გვაოცებს

IV – მე ძალიან მიყვარს შემოდგომა

V – წელიწადის დრო.

სინქვეინის გამოყენება ყველაზე ეფექტურია უცხო ტექსტის ინპერპრეტაციისას, რადგან ის ერთგვარი კონსპექტის როლსაც ასრულებს, მასში „ჩატეულია“ დიდი ინფორმაცია, აღწერა, ან დახასიათება ვინმესი ან რომელიმე მოვლენის. მაგალითად, პერიკლეს შესახებ (ისტორია, VII) მოსწავლის მიერ შედგენილი სინქვეინი ასე გამოიყურება:

- I – პერიკლე – ადამიანია
- II – ჭკვიანია, წესრიგიანია
- III – ცხოვრობდა, იღწვოდა, შრომობდა
- IV – მისი მიგნებები ძალიან საინტერესოა
- V – ის დემოკრატია.

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ყველა უპირატესობა ძირითადად იკვეთება წერილობითი სამუშაოების დროს. მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მათ ნამუშევრებს ყურადღებით მოვეპყროთ, უნდა დავანახოთ, რომ ისინი რეალურად გვაინტერესებს, რომ აქვთ საშუალება, თავიანთი იდეები სხვებსაც გაუზიარონ, აზრების დალაგება და შემოქმედება კითხვითი ერთი და იგივე პროცესია. ამიტომაც ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა მიდგომა საინტერესო და საჭიროა მოსწავლეთა შორის კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის.

ამ მიმართულებით, სინქვეინის გარდა, საყურადღებოა დიამანტის გამოყენებაც. დიამანტი – ესაა მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითობას და, შესაბამისად, კრიტიკული აზროვნების განვითარებასაც, ასევე ინფორმაციის გადამუშავებას, ტექსტის ანალიზს, ავითარებს მოსწავლის ყურადღებას, ხელს უწყობს მოსწავლის ინტერესების გაღვივებას, შემოქმედებითობასა და საგნის მომზადებასთან დაკავშირებულ სხვა უნარებს. სინქვეინისგან განსხვავებით ის ძირითადად 7 სტრიქონისაგან შედგება:

- I ხაზზე – არის თემის განსაზღვრა.
- II ხაზზე – მითითებულია ორი ზედსართავი სახელი.
- III ხაზზე – ორი რეალური მონაწილის ქმედებას ასახავს.
- IV ხაზზე – ორი განმარტებაა ზედსართავი სახელის.
- V ხაზზე – ორი რეალური მონაწილის დახასიათება.



VI ხაზზე – ორი ზედსართავი სახელია.

VII ხაზზე – არსებითი სახელია, რომელიც თემის შვიდივე ხაზს აერთიანებს: კლისთენეს ეპოქის შესწავლისას (ისტორია, VII) მოსწავლეებმა ასეთი ტიპის დიამანტი შეადგინეს:

I – კლისთენე – კანონმდებელი

II – არაჩვეულებრივია, ტალანტიანია (ტალანტის პატრონია)

III – წერს, შრომობს, თხზავს

IV – გამოქვეყნებულია ხელნაწერების ფორმით

V – სხდომებზე გამოდიოდა, აქვეყნებდა, მაგრამ უშედეგოდ

VI – ცნობილია, ცნობადი სახეა

VII – დემოკრატია

დიამანტი ასევე გამოიყენება მეტყველების (საგნობრივი ლექსიკის) სავარჯიშოების შედგენისას:

I – ზაფხულია

II – ცხელია, დუღს

III – ირწყვება ხეები, გადუნებს

IV – მზე, სანაპირო, მდინარე, გარუჯვა

V – დამსვენებელი, აღშფოთებული, განსაცვიფრებელი

VI – მიზანდასხულია, დიდებულია

VII – ზამთარი.

აღნიშნული მიდგომების გამოყენებით მოსწავლეები კარგად გაიაზრებენ წაკითხულ ტექსტებს, გვთავაზობენ წაკითხულის ორიგინალურ დაბოლოებას, თანაც სამუშაოს შესრულებისას ინარჩუნებენ თავისუფლებას და საშუალება აქვთ, თავისებურად აღიქვან წაკითხული და გაგონილი.

მოსწავლეები, რომლებიც ეუფლებიან სინქვინისა და დიამანტის გამოყენებას, უვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, კომუნიკაციური უნარები და თანამედროვე განათლების სისტემის სხვა პრიორიტეტული მიმართულებები, ამიტომ მსგავსი ტიპის სავარჯიშოების გამოყენება და კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების თავისებურებების გათვალისწინება გაკვეთილზე, საგაკვეთილო პროცესის წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა.



# სტრატეგია „იდეალი“ და მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარება

საკლასო ოთახი მოსწავლეთა იდეების ნამდვილი სამჭედლოა. მასწავლებელს შეუძლია სწორად, საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად გამოიყენოს, ერთგვარად „უბიძგოს“ მოსწავლეთა კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას და შემდეგ, საგაკვეთილო პროცესში, გამოიყენებს რა სწორად შერჩეულ რესურსებს, ინფორმაციის ტრანსფორმაციისა და ცნებებთან მუშაობის სხვადასხვა გზებს, მოსწავლეებს საშუალებას მისცემს „დაზეპირების“ გარეშე აითვისონ ვრცელი სასწავლო მასალა.

პრობლემის გადაჭრასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება თანამედროვე საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე ოპტიმალური გზაა, რომლის შესაბამისი მრავალი სტრატეგია არსებობს. მათ შორისაა სტრატეგია „იდეალი“ (ავტ. ჯ. ბრემფორდი), რომელიც საშუალებას გვაძლევს, პრობლემას სხვადასხვა რაკურსით შევხედოთ, გავაანალიზოთ საჭირო ვარიანტები და ამოვიჩიოთ ყველაზე ოპტიმალური.

## სტრატეგია „იდეალის“ მუშაობის ეტაპებია:

- ი – „იდენტიფიცირება“ (პრობლემის, სამუშაოს მიზნის) და საკითხის ფორმულირება;
- დ – „დასვლა“ ძირითად აზრამდე, შინაარსში ბოლომდე წვდომა, აღწერა, პრობლემის გააზრება და შეკითხვის ჩამოყალიბება. ის უნდა იყოს ზუსტი, კონკრეტული, უნდა იწყებოდეს კითხვითი სიტყვით – „როგორ?“ და არ უნდა შეიცავდეს უარყოფას, მაგალითად, ნაწილაკს – „არა“;
- ე – „უამრავი ვარიანტი!“ – ამ ეტაპზე „გონებრივი იერიშის“ გზით ბევრი იდეა წამოიჭრება. ამ დროს დაუშვებელია კრიტიკა;
- ა – „ყველა ვმუშაობთ!“ – ამ ეტაპზე ირჩევა სათანადო ვარიანტი, ვლინდება „პლიუს-მინუსები“ და დგება სამუშაო გეგმა;
- ლ – „ლოგიკური დასკვნების დროა!“ – ესაა შესრულებული მოქმედების ანალიზის, საჭირო გადაწყვეტილების მიღებისა და ლოგიკური დასკვნების ეტაპი;

- ი – „იხილეთ რაოდენობრივი და თვისებრივი შედეგები!“ – რეფლექსიის ეტაპი (მიღებული რაოდენობრივი ცოდნისა და ათვისებული უნარების, აღიარების, შეფასების, საკუთარი გამოცდილების დაგროვების ეტაპი).

მოცემული სტრატეგია განსაკუთრებით ეფექტურია ტექსტურ მასალასთან მუშაობისა და სიტუაციის ანალიზისას.

### სტრატეგია „იდეალი“ – სამუშაო ფურცელი

|                                                                                                                                        |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |                                                                                     |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>მასწავლებელი</b><br/><b>კითხულობს</b><br/>(აჩვენებს...)<br/>წიგნის (ფილმის...)<br/>ფრაგმენტს, რომელიც<br/>შეიცავს პრობლემას.</p> | <p><b>მოსწავლეები ახდენენ</b><br/>პრობლემის ფორმული-<br/>რებას შემდეგი შეკითხ-<br/>ვების საფუძველზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>■ რომელი მთავარი<br/>პრობლემაა გადასაწყ-<br/>ვეტი?</li> <li>■ რა მნიშვნელოვან ინ-<br/>ფორმაციას შეიცავს<br/>მოცემული ტექსტი..<br/>ვიდეო-მასალა და<br/>ა.შ. პრობლემის<br/>შესახებ?</li> </ul> | <p><b>მოსწავლეთა ორ-<br/>განიზების ფორმა –</b><br/>ინდივიდუალური და<br/>ჯგუფური</p> |
| <p><b>მასწავლებელი მი-<br/>მართავს „გონებრივ<br/>იერიშს“</b> ჰიპოთეზების<br/>წამოყენებისთვის.</p>                                      | <p><b>მოსწავლეები განსაზღ-<br/>ვრავენ, რა ინფორმა-<br/>ცია მიიღეს მოცემული<br/>ფრაგმენტიდან და რა<br/>იციან მის შესახებ საკუ-<br/>თარ გამოცდილებაზე<br/>დაყრდნობით.</b></p>                                                                                                                                                                  | <p><b>მოსწავლეთა ორგანიზე-<br/>ბის ფორმა –</b> ინდივიდუ-<br/>ალური და ჯგუფური.</p>  |

|                                                                                                                                                                      |                                                                                                                                                                                    |                                                                        |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------|
| <p><b>მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს</b> შეკითხვით: „როგორ ფიქრობთ, კიდე როგორ შეიძლება პრობლემის მოგვარება? რა იცით ამის შესახებ? კიდევის ცოდნა გჭირდებათ?“</p> | <p><b>მოსწავლეები წამოაყენებენ</b> პრობლემის გადაჭრის მინიმუმ სამ ძირითად გზას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. _____</li> <li>2. _____</li> <li>3. _____</li> </ol> | <p><b>მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა –</b> ინდივიდუალური და ჯგუფური.</p> |
| <p><b>მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს,</b> „განსაზღვრეთ, რისი ცოდნა და რომელი მონაცემის ფლობაა საჭირო, რომ პრობლემა გადაიჭრას?“</p>                               | <p><b>მოსწავლეები აყალიბებენ</b> პრობლემის გადაჭრის გზებს და ირჩევენ ყველაზე ოპტიმალურს.</p>                                                                                       | <p><b>მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა –</b> ინდივიდუალური და ჯგუფური.</p> |
| <p><b>პრობლემის გადაჭრის მრავალი ვარიანტიდან ერთი კონკრეტულის ამორჩევა.</b></p>                                                                                      | <p><b>არჩევნის დასაბუთება –</b> „მე ვთვლი“ ... „მიმანია, რომ...“</p>                                                                                                               | <p><b>მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა –</b> ინდივიდუალური.</p>            |

კონკრეტულ ეტაპზე შესაძლებელია თითოეულმა მოსწავლემ ან საკითხის ფორმულირების მისეული გზა აირჩიოს, ან – შეჯერდეს ზოგადად კლასისთვის სამუშაო ერთ ვარიანტზე. სწავლის ზედა საფეხურზე სასურველია პირველი გზის არჩევა, რადგან მათ უკვე აქვთ პრობლემაზე ორიენტირებული დავალებების შესრულების გარკვეული გამოცდილება (თანაც ისინი პასუხისმგებელი არიან საკუთარ არჩევანზე), ხოლო საბაზო საფეხურზე ეფექტურია ჯგუფური მუშაობის ფორმა.

**გთავაზობთ მაგალითს ჩემი საგაკვეთილო პრაქტიკიდან:**

**საგანი** – ისტორია;

**საფეხური** – საშუალო;

**თემა** – „საქართველო V საუკუნეში. ვახტანგ გორგასალი“; ისტ. XI.5;

**გაკვეთილის ძირითადი ნაწილი** – ნარატივის გაცნობა: „ათი წლისა იქნებოდა ვახტანგი, ქართლს მტერი შემოესია, მოაოხრეს იქაურობა, წაიყვანეს თან უამრავი ტყვე, მათ შორის ვახტანგის სამი წლის და მირანდუხტიც და უკან გაბრუნდნენ. რთული ვითარებით სხვებმაც ისარგებლეს და ახლა დასავლეთით მდებარე აფხაზეთიც დაიპყრეს ეგრისწყლიდან ციხეგოჯამდე. და ასე იყო ქვეყანა უპატრონოდ, ვიდრე ვახტანგი თხუთმეტი წლისა არ გახდა“.

**სტრატეგია** „იდეალის“ ნაბიჯი N1:

**მიმართვა მოსწავლეებს:** „დაასახელოთ, რა პრობლემას ხედავთ?“

**მოსწავლეები უთითებენ** ვახტანგ მეფეზე, ზოგადად ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე და **იყენებენ** შეკითხვის ფორმულირების ზოგად წესს – პრობლემის ფორმულირება დაიწყეს კითხვითი სიტყვით: „როგორ...?“, ამავე დროს ცდილობდნენ, ფორმულირება მაქსიმალურად კონკრეტული ყოფილიყო. პრობლემის ფორმულირებისთვის კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხეს ტექსტი, დაფაზე ჩამოწერეს ყველა იდეა და ამოირჩიეს მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნები:

- როგორ უნდა იპოვოს გამოსავალი ვახტანგმა, როგორ უნდა დაიბრუნოს თავისიანები და როგორ უნდა გაათავისუფლოს ქვეყანა? როგორ უნდა მიაღწიოს მიზანს?
- როგორ უნდა მოიკრიბოს ძალა, შეძლოს სამხედრო ძალის ორგანიზება, მტრის დამარცხება და ქვეყნის პატრონობა?
- როგორ უნდა მოიცვას არსებულ ვითარებაში, როგორი ურთიერთობა უნდა დაამყაროს მტერთან, რომ მიზანსაც მიაღწიოს და ნაკლები ზარალი ნახოს?
- (ყველაზე „სუსტი“ ფორმულირება ასეთი იყო: „როგორ უნდა გადაწყვიტოს ვახტანგმა პრობლემა?“)

მას შემდეგ, რაც განსაზღვრეს პრობლემა, მოსწავლეები გადავიდნენ შემდეგ ეტაპზე:

**ნაბიჯი N2:** მიმართვაზე: „მოდით, ვივარაუდოთ პრობლემის გადაჭრის რაც შეიძლება ბევრი ვარიანტი!“ – შევთავაზე „გონებრივი იერიში“ და მოსწავლეებს საშუალება მივეცი იდეების მაქსიმალური რაოდენობა წამოეყენებინათ. ყველა იდეა ჩამოწერეს დაფაზე (დაახლ. 10 წთ.), განსაზღვრეს იდეების რაოდენობაც – მაქსიმალური – 25 იდეა (იყო ასეთი იდეაც – თითო მოსწავლეს წამოეყენებინა დაახლოებით 2 იდეა).

ასე შეიქმნა კლასში კრიტიკული აზროვნებისათვის სასურველი გარემო, მას შემდეგ კი, რაც გამოიკვეთა იდეები, დადგა მომდევნო ეტაპიც:

**ნაბიჯი N3** – პირველადი შეფასებების პერიოდი „წამოჭრილი ვარიანტებიდან რომელია ყველაზე უფრო მეტად მისაღები გადაწყვეტილება?“ მოსწავლეებმა დაახასიათეს პრობლემის გადაწყვეტის ყველა „პლიუსი“ და „მინუსი“.

**ნაბიჯი N4** – მოსწავლეებმა აირჩიეს პრობლემის ერთი კონკრეტული ვარიანტი და დაასაბუთეს საკუთარი არჩევანი (განსაკუთრებით რადიკალურად განსხვავებული პოზიციების დროს). ამავე დროს წარმოადგინეს პრობლემის მოგვარების გეგმა.

**ძირითადი გადასატრელები პრობლემა:** „როგორ უნდა მოიქცეს არსებულ ვითარებაში, როგორი ურთიერთობა უნდა დაამყაროს ბერძნებთან და ჩრდილოკავკასიელებთან, რომ მიზანსაც მიაღწიოს და ნაკლები ზარალი ნახოს?“

**პრობლემის მოგვარების გეგმა:** „არსებული სამხედრო ძალების მობილიზება, მაქსიმალურად ცოტა ძალებით ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხებისთვის მომზადება, სასაზღვრო პუნქტების გამაგრება; სათანადო მოკავშირის მოძებნა, რომლის სამხედრო ძალასაც ანგარიშს გაუწევდნენ ქართლის მეფის მოწინააღმდეგენი; ქვეყნის შიგნით მხარდამჭერი ძალების მობილიზება და ეკლესიის საქმეების გადახედვა, რომელიც მეფის ყველაზე დიდ მოკავშირე იდეოლოგიურ მხარეს წარმოადგენდა; შინაური მტრების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღება, ციხე-ქალაქთა მშენებლობა და ქვეყნის სტრატეგიული მოკავშირეების განსაზღვრა და ა.შ.

**მოსწავლეებმა თითოეული მოსაზრება დაასაბუთეს.** ამით გაიუმჯობესეს ფაქტობრივი მასალის ცოდნაც და გამოავლინეს არგუმენტირების უნარიც (მაგალითად, „მიუხედავად ბიზანტიის მხრიდან წინააღმდეგობისა, ქართლს აუცილებლად სჭირდებოდა მასთან კავშირი, რადგან ტერიტორიული

სიახლოვე და საერთო კულტურული ღირებულებები გაცილებით შორს-მიმავალ პერსპექტიულ თანამშრომლობას სთავაზობდა ქართლს, ვიდრე პოლიტიკურად და კულტურულად განსხვავებულ სპარსეთთან ურთიერთობა, ამიტომ სტრატეგიულ მოკავშირედ ქართლს შეიძლებოდა მხოლოდ ბიზანტიაზე (საბერძნეთის) შეეხერხებინა არჩევანი..“).

რეფლექსიის ეტაპზე მოსწავლეებმა მუშაობის საწყის ეტაპზე არსებული რაოდენობრივი და თვისებრივი ცოდნა შეადარეს პრობლემის გადაჭრის შედეგად მიღებულ გამოცდლებას და განუმტკიცდათ ფაქტობრივი ცოდნა და უნარები.

**ნაბიჯი N4**–ის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს შევთავაზე ტექსტის სრული ვარიანტი (საგაკვეთილო დროის გათვალისწინებით), რითაც საშუალება მიეცათ, წარმოედგინათ საკუთარი გადაწყვეტილებების რეალურობა.

#### **ნარატივის გაგრძელება:**

მართალია, **მოსწავლეებმა** პრობლემების გადაჭრის იმაზე მეტი ორიგინალური გზა შემოგვთავაზეს, ვიდრე ეს ტექსტშია ნაჩვენები, მაგრამ მთავარია, რომ მათ შეძლეს სტრატეგიის ყველა ეტაპის რეალურად გაგება, ტექსტის ღრმად გააზრება და კრიტიკულად შესწავლა. **ძნელი სათქმელია**, როგორ მივიდა თავად ვახტანგ მეფე პრობლემების გადაჭრის გზამდე, აზროვნების რა სტრატეგიას იყენებდა, ინდივიდუალურად უფრო გადაწყვეტდა, თუ მრჩევლების აზრს მეტად ითვალისწინებდა, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსწავლეებმა მისი ცხოვრების მაგალითზე შეძლეს რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღების გზების მოძიება და შესაძლო შედეგების განსაზღვრა. მუშაობის პროცესში მათ ჯერ ინტუიციით იმოქმედეს, შემდეგ კი მიხვდნენ, რომ საკითხის შესწავლისთვის ამდგგვარი მიდგომები ძალიან პროდუქტიულია და წარსულის რეალური სურათების აღდგენა სავსებით შესაძლებელია.


პრობლემების გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ მიმართული სტრატეგია „იდეალი“ ხელს უწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობას, კომუნიკაციური კულტურის გაზრდას, მოტივაციას, ხალისიანს და საინტერესოს ხდის გაკვეთილს და მისი სისტემატური გამოყენება საკლასო სივრცეში რეალურად აუმჯობესებს მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებს.

# „ბლუმის კუბიკები“ და საკლასო ოთახი – აზროვნების საუკეთესო ადგილი

მოგისმენიათ რა ფრაზები ისმის ყველაზე ხშირად საკლასო ოთახში, როდესაც მოსწავლეები ერთმანეთს ესაუბრებიან, რაღაცაზე დაობენ, კამათობენ, ერთმანეთს თავიანთ მოსაზრებას უმტკიცებენ? დამერწმუნებით, რომ ესაა „ვიცი“, „შემიძლია“, „გავაკეთე“. ხშირად ეს ფრაზები საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებსაც ეხმიანება. ეს ემოციური და ამავე დროს მოსწავლეთა კოგნიტური და ფსიქომოტორული განვითარების მანიშნებელი ფრაზები იმის დასტურია, რომ მათ შეუძლიათ მიღებული ცოდნის, საკუთარი გამოცდილებისა და შემეცნების საფუძველზე იპოვონ პრობლემის გადაჭრის გზები და წამოჭრილ საკითხებზე პასუხები მიიღონ. რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მოსწავლეთა ცოდნა უფრო აქტიური გავხადოთ, შევთავაზოთ მზა ცოდნა თუ პრობლემა, რომლის გადაწყვეტისთვის მათი გონება მთლიანად იქნება ჩართული?

საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის პედაგოგიურ თეორიებს შორის გამორჩეულია ბ. ბლუმის პედაგოგიური თეორია („ტაქსონომია“), რომელიც საგანმანათლებლო მიზნებს კოგნიტურ, ფსიქომოტორულ და აფექტურ ნაწილებად ჰყოფს. სხვაგვარად იგი შეიძლება ასეც განისაზღვროს – „ვიცი“ (კოგნიტური), „ვქმნი“ (ფსიქომოტორული) და „შემიძლია“ (აფექტური), რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოსწავლეს ვთავაზობთ პრობლემას, რომელიც მან ცოდნად უნდა გადააქციოს.

სხვადასხვა პედაგოგიურ სტრატეგიას შორის, ე.წ. „ბლუმის კუბიკი“ გამორჩეულად ხელსაყრელია მოსწავლეთა ცოდნის, სააზროვნო პროცესების გააქტიურებისა და დასკვნების გაკეთებისთვის. ამავდროულად, ის ხელს უწყობს თემის მიმართ მოსწავლეთა დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას და რეფლექსიას მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე (იხ. სურ.1):




სურ. 1.

### მეთოდის გამოყენება:

**პირველი** – გაკვეთილის თემის ფორმულირება, რომელიც შეკითხვების მთელ ჯგუფს მოიცავს. მათ აუცილებლად გაეცემა პასუხი გაკვეთილის მსვლელობისას;

**მეორე** – ესაა თავად კუბიკის, ჩვეულებრივი ქალაქის კუბიკის გამოყენება, რომლის წვეროებზეც „ბლუმის ცნებებია“ დაწერილი (სურ.2):





სურ. 2.

- დაასახელე... ჩამოთვალე... დაალაგე... აღწერე... განსაზღვრე... გაიხსენე... შეარჩიე... დააკავშირე...;
- რატომ...;
- ახსენი... შეაჯამე... განსაჯე... მოიყვანე მაგალითი... დააჯგუფე... შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე...;
- შემოგვთავაზე, როგორ... გამოიყენე... გადაწყვიტე... განახორციელე... მოამზადე... შეცვალე... ააგე...;
- გააანალიზე...; შეამოწმე...; ააგე დიაგრამა...; შეადარე...;
- მოიფიქრე...; შეიმუშავე გეგმა; გადაამოწმე; გარდაქმენი; ააწყვე; შეცვალე; შეიმუშავე ჰიპოთეზა და შეამოწმე...;
- „გამოყავი... ხაზი გაუსვი... შეაფასე... დაასაბუთე... გამოიკვლიე... მოიყვანე არგუმენტები...;

**მესამე** – ვისვრით კუბიკს, დაცემის კუთხე მიგვითითებს შეკითხვაზე, რომელიც უნდა დაისვას.

**მეოთხე** – კუბიკის კუთხეების ვარირება – შეკითხვების მრავალგვარობა – საკითხის ყველა მხრიდან შესწავლის საშუალებას იძლევა, რაც სასწავლო მიზნების მიღწევაში გვეხმარება.

„ბლუმის კუბიკის“ გამოყენებისას შეკითხვას აყალიბებს ან თავად მასწავლებელი (შედარებით მარტივი გზა, როდესაც მაგალითს, ნიმუშს აძლევს თავად მასწავლებელი), ან მოსწავლეები (რასაც განსაკუთრებული მომზადება სჭირდება – შეკითხვის მოფიქრებისა და კითხვის დასმის უნარის გამომუშავება). სწავლის ზედა საფეხურზე შეკითხვებისათვის გამოიყენება ცხრილიც – მოსწავლეებს სთავაზობენ, შეავსონ ცხრილი შესაბამისი ტიპის შეკითხვებით, რომლის მიხედვითაც ისინი გააანალიზებენ თანკლასელების პასუხებს, მაგალითად:

| საპროგრესო დონეები | ზმნები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
|--------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ცოდნა              | დაალაგე; აღწერე; განსაზღვრე; გაიხსენე; შეარჩიე; დააკავშირე; დაასახელე; გაიხსენე (მაგალითად, „დაასახელე“ /რეპროდუქციული ხასიათის ცოდნა/ – ამ ტიპის შეკითხვა ყველაზე მარტივია. მოსწავლემ უბრალოდ უნდა დაასახელოს მოვლენა, ტერმინი, საგანი და ა.შ. მაგ. „დაასახელე „ვეფხისტყაოსნის“ ან „აბოთბილელის ცხოვრების“ და ა.შ. ძირითადი პერსონაჟები“, ანდა „დაასახელე კონფლიქტისთვის დამახასიათებელი სამი ძირითადი ნიშანი“, ან – „რას ნიშნავს „წელიწადის დრო?“ და სხვ. მთავარია, შეკითხვა ისე დაისვას, რომ თემის შესახებ მოსწავლის ზოგადი ცოდნა გამოჩნდეს, ანუ შეკითხვამ უნდა „უბიძგოს“ მოსწავლეს, გამოავლინოს ტექსტის ცოდნა). |
| გაგება             | ახსენი; შეაჯამე; განსაჯე; მოიყვანე მაგალითი; დააჯგუფე; შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე (მაგალითად, „ახსენი“ – ამ ტიპის შეკითხვები „აზუსტებს“ ინფორმაციას. ისინი გვეხმარებიან პრობლემის სხვადასხვა კუთხით დანახვაში. ამავდროულად, არსებობს ფრაზები, რომლებიც გვეხმარებიან ამ საფეხურის შეკითხვების ფორმულირებაში, როგორიცაა – „შენ ნამდვილად ფიქრობ, რომ...“, „შენ დარწმუნებული ხარ, რომ...“ მაგალითად, „შენ ნამდვილად ფიქრობ, რომ დავით IV-ის მიერ გატარებული რეფორმები აუცილებელი იყო?“ „დარწმუნებული ხარ, რომ ვარსკვლავების გაქრობა მათ ასაკზეა დამოკიდებული?“ და ა.შ.).                                               |

| საპროგრესო<br>დონეები | ზმნები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
|-----------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>გამოყენება</b>     | გამოიყენე; გადაწყვიტე; განახორციელე; მოამზადე; შეცვალე; ააგე („შემოგვთავაზე“ – მოსწავლემ უნდა შემოგვთავაზოს ისეთი დავალება, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ესა თუ ის წესი, ან უნდა შემოგვთავაზოს პრობლემის მისეული ხედვა, თავისი იდეა, უნდა ახსნას, როგორ გამოიყენება ესა თუ ის ცოდნა პრაქტიკაში, კონკრეტულ სიტუაციაში. მაგალითად, „სად და რა სიტუაციაში შეიძლება რეფორმების გატარება?“ „როგორ შეიძლება გამოვიყენოთ კოპერნიკის ჰელიოცენტრული სისტემა კოსმოსის შესასწავლად?“ და სხვ.). |
| <b>ანალიზი</b>        | გაანალიზე; შეამოწმე; ააგე დიაგრამა; შეადარე; გამოყავი. ხაზი გაუსვი („გამოყავი... ხაზი გაუსვი...“ – ძალიან ააქტიურებს მოსწავლის აზროვნებას, ასწავლის გაანალიზებას, ფაქტებისა და დასკვნების გამოყოფას, შედეგების შეფასებას).                                                                                                                                                                                                                                                                     |
| <b>სინთეზი</b>        | შეიმუშავე გეგმა; გადაამოწმე; გარდაქმენი; ააწყვე; შეცვალე; შეიმუშავე ჰიპოთეზა და შეამოწმე; მოიფიქრე („მოიფიქრე“ – ეს შემოქმედებითი ხასიათის შეკითხვაა, რომელიც შეიცავს „შეთავაზების“, „გამონაგონის“ ელემენტს. მაგალითად, „რა მოხდება, თუ დედამიწაზე მტკნარი წყლის მარაგი მთლიანად დადნება?“ „მოიფიქრე, როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ცხოვრებაში ქვეყნის ძირითადი კანონი – კონსტიტუცია?“ და ა.შ.).                                                                                                  |
| <b>შეფასება</b>       | შეაფასე; დაასაბუთე; გამოიკვლიე; მოიყვანე არგუმენტები (უმჯობესი იქნება, თუ ამ საფეხურის შეკითხვას „ემოციას დავუმატებთ“, გრძნობებს გამოვიწვევთ. მაგალითად, „რას გრძნობ, როდესაც მოცარტის მუსიკა გესმის?“ ანდა – „რატომ აირჩიე მაინდამანც ეს საგანი?... მოვლენა...?“ და ა.შ.).                                                                                                                                                                                                                    |

**რაც შეეხება დაწყებით საფეხურს,** შეკითხვები სტანდარტულის ნაცვლად შესაძლოა იყოს შემდეგნაირი:

- დაასახელე ასოციაცია (რასთან ასოცირდება მოცემული საგანი, მოვლენა?);
- აღწერე (ფორმა, ზომა, ფერი და ა.შ.);
- გამოიყენე (მოიყვანე მაგალითები მისი გამოყენების მიხედვით, ანდა გვიჩვენე, როგორ გამოიყენება);
- შეადარე (მოცემული საგანი ანდა მოვლენა შეადარე მსგავსს, მიუთითე მსგავსება და განსხვავება);
- გააკეთე ანალიზი (მოგვითხრე, გვიამბე, რისგან შედგება, როგორაა გაკეთებული და ა.შ.);
- შეაფასე (მიუთითე ყველა „პლიუსი“ და „მინუსი“).

ბლუმის კუბიკის საფეხურებს ადვილად იმახსოვრებენ მოსწავლეები, მასწავლებლებს კი ის ეხმარება, განავითაროს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნება.

### **„ბლუმის კუბიკის“ გამოყენების მაგალითები ისტორიისა და სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე:**

*ისტორიის გაკვეთილზე:*

- დაასახელე (ამა და ამ) საუკუნის მთავარი მოვლენა;
- რამ უბიძგა კულტურის განვითარებას ევროპის ქვეყნებში შუა საუკუნეებში?
- ახსენი, რა მიზნებს ისახავდა სახელმწიფო ხელისუფლება, როდესაც გეოგრაფიულ მოგზაურობებს გეგმავდა?
- მოიყვანე არგუმენტები ფაშისტური ხელისუფლების ანტიხალხური ხასიათის შესახებ;
- როგორ ფიქრობ, XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რომელი მიმართულებაა დღეისათვის ძალიან მნიშვნელოვანი?

*სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე:*

- დაასახელე ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი თავისებურებები;

- რატომაა შრომის ბაზარი ძალიან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში?
- ახსენი, რა კავშირი არსებობს სახელმწიფო შემოსავალსა და შრომის ბაზარს შორის;
- რა სტრატეგიას შესთავაზებდი ხელისუფლებას შრომის ბაზრის გაზრდისთვის?
- მოიფიქრე, როგორ შეიცვლება ეკონომიკა, თუ გაქრება უმუშევრობა?
- როგორ ფიქრობ, შეიძლება თუ არა, შრომის ბაზრის მდგომარეობის მიხედვით მთლიანად საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე მსჯელობა?

რამდენადაც თანამედროვე სკოლა მოწოდებულია, აღზარდოს თავისუფალი, განათლებული და კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ზრუნავს თვითგანათლებაზე, ორგანიზებულობაზე, ფლობს გარკვეულ სუბიექტურ გამოცდილებას, შეუძლია რთულ პირობებში ორიენტირება და გადაწყვეტილებების მიღება, „ბლუმის კუბიკი“ პედაგოგების ხელში ამ ამოცანების განხორციელების ერთ-ერთ ეფექტურ სტრატეგიას წარმოადგენს.

# სისტემატიზაციის პრინციპები გაკვეთილზე და ეფექტური საკლასო გარემო

საკლასო ოთახი მიკროსოციუმია, სადაც შეძენილი კომპეტენციები საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში დაეხმარება მოსწავლეს. ამ თვალსაზრისით, საკლასო ოთახი და იქ მიმდინარე გაკვეთილი კულტურულ-ისტორიული მოვლენის ნაწილადაც აღიქმება და, შესაბამისად, მისი კარგად ჩატარებისადმი ინტერესიც დიდია.

რომელი შედეგები გახდის მოსწავლეს კომპეტენტურად? ესაა სპეციფიკური, გაზომვადი უნარ-ჩვევები და ცოდნა, რომელიც მიიღწევა გაკვეთილზე მოსწავლის მიერ შესრულებული ოპერაციებით: გაგებით, ახსნით, აღწერით, შედარებით, შექმნით, გაანალიზებით, პრობლემის გადაჭრით, შეფასებით, გამოკვლევით და ა. შ. მხოლოდ ასეთი შედეგები შესძენს მოსწავლეს სათანადო კომპეტენციებს.

კარგი შედეგის მისაღებად რა მეთოდები, მიდგომები და ტექნოლოგიური ხერხებიც არ უნდა გამოვიყენოთ გაკვეთილზე, მაინც დაგვჭირდება ისეთ პრობლემასთან გამკლავება, როგორიცაა ცოდნის მთლიან სისტემად წარმოდგენა. ამ მიზნის მისაღწევად ძირითად იდეაზე აქცენტირება, ინტერვალებით სწავლა, კონტექსტის დამახსოვრება და ა.შ. ხშირად არ არის საკმარისი. ცოდნის სისტემატიზაციისთვის აუცილებელია, მოსწავლემ ყოველი თემის დასრულების შემდეგ შეასრულოს პრაქტიკული დავალებები, რომლებითაც მიღებულ ცოდნას სისტემაში მოიყვანს. მნიშვნელოვანია ნასწავლი მასალის გამეორებაც, ოღონდ გამეორება არ უნდა გადაიქცეს ნასწავლი საკითხების ჩამოთვლად – მოსწავლეს შესწავლილი საკითხების მიმართ საკუთარი დამოკიდებულება უნდა ჩამოუყალიბდეს. აზროვნების სისტემატურობა ასოციაციური წარმოდგენების, წარმოსახვების, კავშირების დამყარების უნარსაც მოითხოვს, ამიტომ ამ მიმართულებით მოსწავლის გააქტიურება ხელს უწყობს საგანთაშორისი კავშირების დამყარებას და ტრანსფერული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისებას. ამისათვის აუცილებელია, წინასწარ გამოიყოს ე. წ. „შემხვედრი წერტილები“ ანუ ის მოვლენები, რომლებიც შეისწავლება

სხვადასხვა საგანში და გაკვეთილებზე სისტემატურად დაისვას მათზე აქცენტი (მაგალითად, რომელიმე ისტორიულ ეპოქაში კულტურის განვითარების დონე, რომლის თავისებურებებსაც შეისწავლიან ისტორიისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე და ა. შ.).

**სწავლის პროცესი გაცილებით გაადვილდება და გაუმჯობესდება, თუ გავითვალისწინებთ სისტემატიზაციის პრინციპებს, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე შეძლებს სწავლის პროცესში თანმიმდევრულობისა და სისტემატურობის როლის დანახვას და ნასწავლი მასალისა და მიღებული ცოდნის სისტემატურად გააზრებას. სისტემატიზაციის პრინციპებიდან ზოგიერთი მართლაც უმნიშვნელოვანესია. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მათი გამოყენება. შევჩერდეთ რამდენიმეზე:**

1. **„ნუ ისწავლი, სანამ არ გაიგებ“** – იმ ინფორმაციის დასწავლის მცდელობა, რომლის აზრიც არ გვესმის, ნამდვილად უაზრობაა, მოსწავლეთა უმრავლესობა კი ხშირად ისე ცდილობს მასალის დასწავლას, რომ არც ესმის, რას სწავლობს. რა კარგადაც არ უნდა „დაიბეპიროს“ მოსწავლემ ვესტფალიის ზავის პირობები, ეს არ ნიშნავს, რომ მან ისტორიის შესახებ რაიმე იცის, მაგრამ თუ მასალის სტრუქტურირებაში დავეხმარებით, ის გაიგებს ინფორმაციას და სავსებით შესაძლებელია, დიდ წარმატებას მიაღწიოს ისტორიის შესწავლაში.
2. **„შეისწავლე, სანამ დაიმახსოვრებდე“** – სანამ მოსწავლეს გონება გადაეტვირთება ათასგვარი წესითა და წვრილმანი საკითხით, შესასწავლი საგნის საერთო სურათის წარმოდგენაში, მის შესახებ მკაფიო წარმოდგენის შექმნაში უნდა დავეხმაროთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება მას ინფორმაციის ცალკეული დეტალებისგან მთლიანი მოვლენის აგება. ეს ხელს შეუწყობს აზროვნების გააქტიურებასაც, რადგან წინა პლანზე წამოიწევს ძირითადი პრობლემა და არა მისი შემადგენელი ნაწილები.

მაგალითად, გაკვეთილებზე თემის შესწავლისთვის ჯერ უნდა დავსვათ და განვიხილოთ კონკრეტული ფაქტის, მოვლენის, მდგომარეობის შესწავლის საკითხი. როცა მოსწავლის გონება აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას გააქტიურდება, პასუხებსაც ადვილად მიაგნებს და ადვილადაც დაიმახსოვრებს.

3. **„დააშენე ბაზისზე“** – ზოგადი სურათის წარმოდგენისთვის სულაც არაა აუცილებელი სრული სურათის შექმნა. პირიქით, რაც უფრო მოკლეა ძირითადი ინფორმაცია, მით უკეთესია, რადგან მისი დამახსოვრება და ათვისება გაცილებით იოლია. მოსწავლეს უნდა დავეხმაროთ, ბაზისურ ინფორმაციას „გემოდან დააშენოს“ დანარჩენი დეტალები და ამით მიაღწიოს სასურველ შედეგს.

4. **„ინფორმაციის მინიმუმის პრინციპი“** – მოსწავლეს მასალა რაც შეიძლება მარტივად და გასაგებად უნდა მივაწოდოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს ძირითადი საკითხების გამოტოვებას. „მარტივი“ არ უნდა გავაიგივოთ „ცოტასთან“. ცალკეულ ასპექტებად დანაწილებული ინფორმაციის სისტემატიზაციას კი მოსწავლე ისევე ადვილად მოახერხებს, როგორც პატარა ნაწილებად დაყოფილი ინფორმაციის დამახსოვრებას. მაგალითად, თუ მოსწავლეს გაუჭირდება მრავალრიცხოვანი დამახასიათებელი ნიშან-თვისებების დამახსოვრება, უფრო ეფექტური და სწორი იქნება, თუ საკითხს დავყოფთ ქვეკითხვებად, რომელზე პასუხის დროსაც მოსწავლე მიზანს ნელ-ნელა მიუახლოვდება. მაგალითად, კითხვები შეიძლება იყოს ასეთი:

ა) როდის ...? ბ) სად ...? გ) რამ...? დ) რატომ ...? ე) რისთვის ...? ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლეს თემის შესახებ გაცილებით მეტი ეცოდინება და უფრო ადვილადაც დაიმახსოვრებს ინფორმაციას.

5. **„გამოტოვების მეთოდი“** – წინადადების ცალკეულ ადგილებში წერტილები ჩავსვით და მოსწავლეს გამოტოვებული ფრაზების აღდგენა დავავალით.

მაგალითად, „ჯორჯ ... იყო აშშ-ის პირველი პრეზიდენტი, რომელიც აქტიურად იბრძოდა შტატების დამოუკიდებლობისათვის“. აქ საჭიროა პრეზიდენტის გვარის გახსენება. ერთი შეხედვით, მშრალი ინფორმაცია – ვინ იყო აშშ-ის პირველი პრეზიდენტი? – მოსწავლეს ადვილად დაამახსოვრდება განსაზღვრულ კონტექსტთან კავშირში.

6. **მასალის ვიზუალურ ხატს ანუ ინფორმაციის გრაფიკულ გამოსახულებას** გაცილებით მეტხანს იმახსოვრებს გონება („ასჯერ გაგონილს ერთ-



ხელ ნანახი სკობია“), ამიტომ მოსწავლე ასეთ დავალებებზე უნდა ვაგარჯიშოთ.

7. **„გრაფიკული გამოტოვებები“** – ჰგავს „გამოტოვების მეთოდს“. განსხვავება ის არის, რომ სიტყვისა და ფრაზის ნაცვლად გამოსახულებაა გამოტოვებული. მაგალითად, პირველ სავარჯიშოში გვაქვს მთლიანი სურათი, მაგალითად, „მიწათმოქმედი გლეხი“, და მხოლოდ პატარა დეტალია გამოტოვებული; მომდევნო დავალებებში სხვა ნაწილს გამოვტოვებთ და მოსწავლეს ვავალებთ მთლიანი სურათის წარმოსახვით აღდგენას. ამგვარად, ერთი სურათი შეიძლება ჩაენაცვლოს ათობით შეკითხვას, რისი წყალობითაც ცნებები – „მიწათმოქმედება“ და „გლეხი“ ადვილი გასაგები გახდება მოსწავლისთვის.
8. **მნემოტექნიკა** ამარტივებს დამახსოვრების პროცესს. ფსიქოლოგების აზრით, ამ ტექნიკის სისტემატური გამოყენებისას მოსწავლეს ინფორმაციის 90% ამახსოვრდება.
9. **„უარი სიმრავლეს“** – მრავალრიცხოვანი ობიექტების დამახსოვრება ძნელია. მაგალითად, მოსწავლეს უჭირს ამგვარად ფორმულირებულ კითხვაზე პასუხის გაცემა: „რომელი ქვეყნები შედის ევროკავშირში?“ – მაგრამ გაცილებით ადვილად ასრულებს სხვა ოპერაციას: „ჩამოთვალე ევროკავშირის ქვეყნები“. ასეთი დავალება მოითხოვს დანაწევრებული ცოდნის გადმოცემას, ანუ ცალ-ცალკე ქვეყნის დამახსოვრებას, რასაც ადვილად ახერხებს გონება.
10. **„არ გვინდა სია“** – სიაც ცუდი ფორმატია დამახსოვრებისთვის, თუმცა შესასწავლ საკითხებში მოსწავლე უამრავ ჩამონათვალს ხვდება და მათი დამახსოვრება გარდაუვალია. „გამოტოვების მეთოდის“ დახმარებით შედეგი გაცილებით უკეთესი იქნება.

ცოდნის სისტემატიზაციას მასწავლებელმა შეიძლება ცალკე გაკვეთილი დაუთმოს განსაზღვრული თემების დასრულების შემდეგ, ან გაკვეთილის სტრუქტურულ ერთეულად გამოყოს სისტემატიზაციისა და ავტომატიზაციის ფაზა, რომელიც გულისხმობს საშინაო დავალების შემოწმებას, იდეების გე-

ნერაციას, ახალი ცოდნის გადაცემას და ამ ცოდნის ავტომატიზაციის მიღწევას.

ამგვარი გაკვეთილის ძირითადი მახასიათებლებია: ცოდნის აქტუალიზაცია, ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონსოლიდაცია, მოვლენათა სრული სურათის შექმნა, ადრე ნასწავლი საკითხების ერთ სტრუქტურაში მოქცევა, განზოგადება, მთავარი პროცესების, შესასწავლი პერიოდის მოვლენების, მთავარი მოქმედი პირების გამოყოფა, მოვლენათა შორის კავშირის დამყარება, რთულ საკითხებში ჩაღრმავება, რაც საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ კიდევ უფრო მეტი თეორიული მასალის გაცნობას მოითხოვს, მოსწავლეთა მიერ სავარჯიშოების შესრულება და საგნის შინაარსის ერთიანობაში დანახვა.

# ნათია ფურცელაძე

---

|   |                                                                 |     |
|---|-----------------------------------------------------------------|-----|
| 1 | საკლასო ოთახი, სადაც მეგობრები წიგნს ერთად კითხულობენ           | 141 |
| 2 | თვითშემეცნება კლასში                                            | 147 |
| 3 | ეფექტიანი საკლასო გარემო და კითხვა ნიშანთა სისტემით             | 151 |
| 4 | როცა კლასში მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად<br>კითხულობენ... | 154 |
| 5 | როლური თამაში და თოჯინების თეატრი საკლასო ოთახში                | 159 |



# საკლასო ოთახი, სადაც მეგობრები წიგნს ერთად კითხულობენ

ხშირად ვსაუბრობთ იმაზე, როგორ დავაინტერესოთ ბავშვები წიგნის კითხვით. ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახისა და მასწავლებლის როლი, მაგრამ არანაკლები ძალა აქვს მეგობრების რჩევასა და მათი გამოცდილების გათვალისწინებას. საკუთარ თავზეც რომ წარმოვიდგინოთ, ხშირად დაგვიწყია ისეთი წიგნის კითხვა, რომელიც ჩვენს მეგობარს მოსწონს. რატომ? პასუხი მარტივია – ვენდობით მის გემოვნებას.

შარშან ჩემი ექვსი მოსწავლე კონკურსში მონაწილეობდა. ამ მოტივით წაიკითხეს „ჰარი პოტერის“ შვიდივე ნაწილი. ბავშვები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და მათი განწყობა მთელი კლასისთვის „გადამდები“ აღმოჩნდა. „ჰარი პოტერის“ კითხვა დაიწყეს არა მხოლოდ თანაკლასელებმა, არამედ – მათმა დამრიგებელმაც. ბევრი საინტერესო თავგადასავალი მოჰყვა კითხვის პროცესს – ერთად ვუყურებდით ფილმებს, მოვაწყვეთ ლიტერატურული კაფე, შევქმენით ტექსტის სიუჟეტთან დაკავშირებული ხელნაკეთი ნივთები. მერე ერთმა მოსწავლემ ლიტერატურულ დღიურში ჩაწერა, ჰარი პოტერის კითხვამ მე და ჩემს კლასელებს საერთო ენა გვაპოვნინაო. ჩემთვის ყველაზე მთავარი ეს შედეგი აღმოჩნდა – წიგნი იქცა კლასელების სასაუბრო თემად, წაკითხულმა ისინი უფრო მეტად გააერთიანა და საერთო ინტერესები გაუჩინა.

ცოტა ხნის წინ მკითხველთა კლუბის შესახებ საზღვარგარეთული გამოცდილების გასაზიარებლად მასალებს ვეცნობოდი და საინტერესო ინფორმაციას წავაწყდი – გერმანიაში არსებობს საბავშვო სამკითხველო კლუბების გაერთიანება, რომლის დევიზია „Mit Freu(n)den lesen“ და ორ მნიშვნელობას მოიცავს – კითხვა მეგობრებთან ერთად, კითხვა სიხარულით. ვფიქრობ, სწორი მიდგომაა და ნამდვილად გასათვალისწინებელია ეს პრაქტიკა ჩვენთვის.

კლასელებთან ერთად კითხვას მართლაც შეუძლია ბავშვების დამეგობრება და მათი გახალისება, მთავარია, ამას მასწავლებელი აცნობიერებდეს. ასეთ დროს არა მხოლოდ წიგნიერების კომპეტენცია უვითარდებათ მოსწავლეებს, ისინი ერთმანეთთან ურთიერთობასაც სწავლობენ.

## თვის წიგნი

„თვის წიგნი“ – ამ ორ სიტყვას ყველასთვის სხვადასხვა დატვირთვა აქვს, ჩემი მოსწავლეებისთვის კი ნიშნავს აქტივობას, რომელიც უკავშირდება წაკითხულ წიგნ(ებ)ს და ზოგჯერ კედლის გაზეთის მომზადებას გულისხმობს, ხანაც – მეგობრებთან ერთად კლუბში შეკრებასა და საუბარს, ხანდახან შემაჯამებელი დავალებაც ყოფილა, ლიტერატურული თამაშიც და სახალისო ვიქტორინაც. კითხვა რომ მოსაწყენ პროცესად არ იქცეს, ფორმას ცვლით, უცვლელი რჩება მთავარი მიზანი – ბავშვებმა წიგნი უნდა წაიკითხონ, თანაკლასელებს გააცნონ და შთაბეჭდილებები ერთმანეთს გაუზიარონ.

ჩვენი „თვის წიგნი“ ორი სახისაა: კლასელები საკუთარი სურვილით ირჩევენ საკითხავს და შემდეგ ერთმანეთს წარუდგენენ ან კითხულობენ ერთსა და იმავე წიგნს – მასწავლებლის მიერ შეთავაზებულს.

პირველი უფრო მარტივია. კითხვის სასიამოვნო პროცესად ქცევას თავისუფალი არჩევანი განაპირობებს. მოსწავლეებს როცა გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას ვაკისრებთ, მათი მოტივაცია იზრდება. თანაკლასელები ერთმანეთის წიგნებით ინტერესდებიან და კითხვას იწყებენ.

მეორე ვარიანტი მეტ ძალისხმევას საჭიროებს. წიგნების სამყაროში ბავშვებს მრჩეველი სჭირდებათ. ამ დროს ძალიან ბევრია დამოკიდებული მასწავლებელზე, მან ყურადღებით უნდა შეარჩიოს საკითხავი მოსწავლეთა ინტერესების, გემოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით და ისე შეთავაზოს მათ, რომ კითხვის სურვილი გაუჩნდეთ. ცხადია, კლასის ესა თუ ის წევრი ერთნაირად ვერ დაინტერესდება, არსებობს იმის საფრთხეც, რომ ბავშვებს მასწავლებლის შეთავაზებული წიგნი არ მოეწონოთ. ეს ბუნებრივია და ამისთვისაც უნდა ვიყოთ მზად. წაკითხულის არმოწონება უკვე ნიშნავს იმას, რომ მკითხველმა ტექსტი შეაფასა, ეს ხომ გემოვნების ჩამოყალიბების თანამდევია პროცესია. მთავარი ისაა, რომ კლასელები წიგნის გარშემო ერთიანდებიან, ერთსა და იმავე ტექსტს კითხულობენ, თუმცა ყველა თავისებურად აღიქვამს, საკუთარი თავისთვის ნათქვამს პოულობს ფურცლებზე. თუ ერთი რომელიმე პერსონაჟის ქცევას განიხილავს, მეორე ხვდება, რაზე საუბრობს, თუ მესამე შეკითხვას სვამს, მეოთხე პასუხობს. ხანდახან ისეც ხდება, რომ წაკითხული წიგნის განხილვისას პერსონაჟების მაგალითით ბავშვები ერთმანეთს ეუბნებიან სათქმელს. მთელი ეს პროცესი ტექსტის გააზრებას უფრო

საინტერესოს ხდის და ასე ნელ-ნელა ყალიბდება საკლასო გარემო, რომელშიც წიგნის კითხვა პრიორიტეტულია.

ზემოთ ნათქვამში შესაძლოა დამეთანხმოთ, მაგრამ მთავარი სირთულე ხომ მოსწავლეთა წიგნამდე მიყვანაა. ამ დროს ჩნდება კითხვა – როგორ წავაკითხოთ ბავშვებს ტექსტი ისე, რომ ამის სურვილი თავად ჰქონდეთ და ეს არ იყოს მათთვის ვალდებულება? გაგიზიარებთ გამოცდილებას, გიამბობთ ჩემი მოსწავლეების მიერ ბოლო ხანს წაკითხული წიგნის შესახებ და იმასაც გეტყვით, როგორ გაახალისა მათი ყოველდღიურობა მეგობრებთან ერთად კითხვამ.

### „სახატავ რვეულში ჩაწერილი ზღაპრები“

წიგნების ფესტივალზე ხეტიალისას დიანა ანფიმიადისა და გიორგი ბარბაქაძის ახალგამოცემული წიგნი ჩამივარდა ხელთ.

„ერთმა პატარა ბიჭმა, გიორგიმ, სანამ ლაპარაკს დაიწყებდა, ჯერ ხატვა ისწავლა. მერე დიდხანს, დიდხანს ელაპარაკებოდა დედას ნახატებით.

დედას კი ხატვა არ შეეძლო, სამაგიეროდ, ამბების მოყოლა უყვარდა.

ჰოდა, ასე დაიწერა ეს წიგნი...“ ჯერ ანოტაცია წავიკითხე, მერე ილუსტრაციები გადავთვალიერე და მაშინვე შევიძინე. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ თანამედროვე ქართულ საბავშვო ლიტერატურას, ერთი, რომ არაჩვეულებრივი ტექსტები იქმნება დღეს და მეორე – მოსწავლეების დასაინტერესებლად მშვენიერი საშუალებაა.

მოლოდინი გამიძარტლდა. ბევრი თვალთა წავიკითხე „სახატავ რვეულში ჩაწერილი ზღაპრები“ – მასწავლებლის, დედის, ბავშვის... და ძალიან მომეწონა. იმასაც მიხვდით, რომ ჩემი მოსწავლეები დაინტერესდებოდნენ. ვიდრე ბავშვებს წიგნს წარვუდგენდი, დავუკავშირდი მწერალს და ვკითხე, შეძლებდა თუ არა ჩვენს ლიტერატურულ კლუბში სტუმრობას და იმ მოსწავლეებთან შეხვედრას, რომლებიც მის „სახატავ რვეულში ჩაწერილ ზღაპრებს“ წავიკითხავდნენ. დიანა დამთანხმდა.

ამ ამბით გახარებულმა სკოლისკენ დავიმგზავრე ზღაპრების ფერად-დიანი კრებული და ბავშვებს გავაცანი. ნაწყვეტები ხმამაღლა წავუკითხე, ნახატები დავათვალიერებინე. ამ დროისთვის რამდენიმეს საკუთარი ინიციატივით უკვე წაკითხულიც ჰქონდა. შემდეგ მეხუთე და მეშვიდეკლასელ მოსწავლეებს ვუთხარი, რომ მალე ავტორი ლიტერატურულ კლუბში გვესტუმრე-

ბოდა და ერთად ვისაუბრებდით „სახატავ რვეულში ჩაწერილი ზღაპრების“ შესახებ. ვისაც სურვილი ჰქონდა, შეეძლო წიგნის წაკითხვა და შემდეგ მწერლის ნახვა, მასთან საუბარი, მისი მოსმენა (ოდესმე აუცილებლად დავწერ, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებისა და თანამედროვე ავტორების შეხვედრა, როგორ უმაღლესს მოსწავლეს კითხვის მოტივაციას მწერალთან შეხვედრის მოლოდინი).

მოხდა ის, რასაც ველოდი. უმრავლესობამ თავიდანვე გამოთქვა წიგნის წაკითხვის სურვილი. თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას ჯადოსნური ძალა აქვს, გადაწყვეტილების მიღებასაც ასწავლის ბავშვებს. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი მგონია.

თუ თქვენი მოსწავლეები სქელტანიანი წიგნების კითხვას ერიდებიან, „სახატავ რვეულში ჩაწერილი ზღაპრები“ ამ შემთხვევაშიც დაგეხმარებათ. 60-გვერდიანი კრებული პატარ-პატარა საინტერესო ამბებისგან შედგება და მკითხველს აფიქრებს მეგობრობაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, სიყვარულზე. მარტივად, სწრაფად იკითხება.

„სახატავ რვეულში ჩაწერილი ზღაპრები“ სასწავლო რესურსადაც შეგიძლიათ გამოიყენოთ. მას შემდეგ, რაც ბავშვებს შევატყობინებთ, ეს ლიტერატურული ზღაპრები დედამ შვილის ილუსტრაციების მიხედვით შექმნა, იმასაც ვეტყვით, რომ ავტორმა მკითხველზეც იფიქრა, წიგნში გამოყოფილია 2 გვერდი, რათა მსურველმა ჩახატოს, დაწეროს და ამით წიგნის ნაწილი გახდეს. ჩემი მოსწავლეები დასაწყისშივე ძალიან დაინტერესდნენ ამ შეთავაზებით.

რამდენიმე დღეში პირველი მკითხველებიც გამოჩნდნენ. დაიწყო ემოციების გაზიარების პროცესი. ზოგიერთმა წიგნის შეძენა ვერ მოახერხა და მეგობრები სიხარულით სთხოვნიდნენ საკუთარს.

რომელი ილუსტრაცია მოგეწონა? ეს ზღაპარი გაიგე? მწერალს რომ ვკითხო, შეიძლება? გადაწყვიტე, რას სახატავ? ზღაპარი უნდა დაწერო? როგორი ამბავია, ეს როგორ მოიფიქრა?

შეკითხვები არ ილეოდა. არც პასუხები. მეგობრები ერთმანეთის განცდების თანაზიარნი ხდებოდნენ.



ერთ-ერთ კლასში წიგნის წაკითხვის ყველაზე ცოტა მსურველი აღმოჩნდა. მოსწავლეს, რომელსაც უკვე წაკითხული ჰქონდა, გაკვეთილზე ვთხოვე, შთაბეჭდილება გაგიზიარებინა ჩვენთვის. გვითხრა, თავიდან არ ვაპირებდი




წაკითხვას, „ზღაპრები“ პატარებისთვის განკუთვნილად მივიჩნიე, მაგრამ პირველივე ფურცლებმა მიმახვედრა, ეს წიგნი ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვისაა დაწერილი. ყველაზე მეტად რომელი სიტყვები მოეწონა, ისიც კი გაგვანდო: „ძველ მეგობარს არაფრის გამო არ აწყენინო, ყველაფერი ძველდება, მეგობარი კი ყოველთვის შენთან რჩება“.

მაღევე გაიზარდა მსურველების რაოდენობა. ალბათ, ხვდებით, რატომაც – მეგობრის შეხედულებამ ბავშვები დააინტერესა.

კიდევ ერთი იდეა გაგვიჩნდა იმ მომენტში – შეგვექმნა ხელნაკეთი წიგნი და სტუმრად მოსული მწერლისთვის გვეჩუქებინა. შევადგინეთ კითხვარი:

1. თქვენი აზრი ამ წიგნის შესახებ;
2. თქვენთვის გამორჩეული ზღაპარი;
3. საინტერესო სიტყვები, ფრაზები;
4. რომელი ილუსტრაცია მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ;
5. შეკითხვა მწერალს...



ვერ წარმოიდგენთ, რამდენ ხანს ფიქრობდნენ პასუხებზე, როგორი მონდომებით წერდნენ, ხატავდნენ და აბედნიერებდათ ის, რომ მათ ნააზრევს ავტორი წაიკითხავდა.

ჩემი ერთი მოსწავლე 2 წლის წინ სხვა სკოლაში გადავიდა. მეგობრებს მოსანახულებლად ესტუმრა. გაიგო, რომ კითხულობდნენ წიგნს, რომლის ავტორსაც მალე შეხვდებოდნენ. მთხოვა, თუ შეიძლება, მეც წავიკითხავ და შეხვედრაზეც მოვალო. სიხარულით დავთანხმდი. წიგნმა მეგობრებთან კიდევ უფრო დააკავშირა.

მწერლის სტუმრობამ საოცარი ემოციებით აგვავსო. ყველაზე მთავარი – ბავშვებს უხაროდათ და ეს სიხარული კითხვას მოჰყვა შედეგად. გარდა ამისა:

- მოსწავლეებმა გაუზიარეს თავიანთი შეხედულებები ავტორს;
- თავისუფლად გამოთქვეს აზრები;
- იმსჯელეს წაკითხულის შესახებ;
- აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოვიდნენ;
- დასვეს შეკითხვები და მიიღეს პასუხები;
- შეიტყვეს წიგნის შექმნის ისტორია;
- დიანა ანფიმიადისგან ბევრი საინტერესო ამბავი მოისმინეს, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ავტორი მოსწავლეებს ესაუბრა აუტიზმის შესახებ და აუხსნა, რამდენად მნიშვნელოვანია, ვიპოვოთ ადამიანებთან ურთიერთობის გზა;
- მწერალს აჩვენეს საკუთარი ნახატები და ნაწერები;
- იყვნენ ბედნიერები.

მეგობრებთან ერთად წაკითხული წიგნი ჩემი მოსწავლეებისთვის საინტერესო თავგადასავლად იქცა. რაც მთავარია, მათ უნდათ, რომ ასეთი ამბები ხშირად გადახდეთ თავს.

# თვითშემეცნება კლასში

**„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:  
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“.**

*დავით გურამიშვილი*

ხანდახან დღე ისე გადის, საკუთარ თავთან მარტო დარჩენას ვერ ვახერხებთ. ზოგჯერ ვერც იმაზე დაფიქრებას ვასწრებთ, რამ გაგვახარა ან რატომ მოვიწყინეთ, ფიქრებში ვიძირებით და ჩვენი ქცევის მიზეზის ძებნას ვიწყებთ, პასუხს რომ ვერ ვპოულობთ, ვშფოთავთ, ვღელავთ. და თუ საკუთარ თავში გაჩენილ შეკითხვას ვუპასუხებთ, რაღაცნაირად ამოვისუნთქავთ და უფრო მშვიდად ვაგრძელებთ საქმეს.

აღბათ, გიფიქრიათ, როგორ იქცევიან ასეთ დროს ბავშვები, რას განიცდიან ისინი. რთულია, მოსწავლემ ხარისხიანად იმეცადინოს, თუ მის შინაგან სამყაროში ქაოსია ან არ იცის, როგორ მოერიოს იმედგაცრუებას, წყენას, ბრაზს, როგორ მართოს ემოციები. ეს საკმაოდ ძნელია არა მხოლოდ მცირეწლოვნებისთვის, არამედ – ზრდასრულებისთვისაც, თუმცა არა – შეუძლებელი. ვიდრე ბავშვი ემოციების მართვას მოახერხებს, მას სჭირდება თვითშემეცნების უნარი, რომლის გამომუშავებაზეც ყოველდღიურად უნდა ვზრუნავდეთ მშობლები და მასწავლებლები.

## რას ნიშნავს თვითშემეცნება?

განასხვავებენ ემოციური ინტელექტის ხუთ ძირითად უნარს: თვითშემეცნებას, თვითრეგულაციას, მოტივაციას, ემპათიასა და სოციალურ უნარ-ჩვევებს.

თვითშემეცნება რთული სააზროვნო უნარ-ჩვევაა. იგი არის საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავების პროცესი, რომელიც გულისხმობს საკუთარი ქცევის და აზროვნების ანალიზს, გაცნობიერე-

ბას, შეფასებას, დაგეგმვასა და კონტროლს. თვითშემეცნებას, ანუ რეფლექსიას მოსწავლე იყენებს მაშინ, როდესაც ფიქრობს საკუთარ მოქმედებებზე: მაგ., ფიქრობს იმაზე, თუ რამ განაპირობა მისი წარმატება ან წარუმატებლობა [1,10].


თვითშემეცნების დროს ადამიანი აცნობიერებს საკუთარ განცდებს, რაც მას ეხმარება გადაწყვეტილების მიღებასა და საკუთარი შესაძლებლობების სწორად შეფასებაში [2,9].

ალბათ, ყველა მასწავლებელს უნდა, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ მაღალი ემოციური ინტელექტი, ანუ ახერხებდნენ საკუთარი გრძნობების განცნობიერებას, ობიექტურ თვითშეფასებას, იყვნენ ემპათიურები და შეძლონ ემოციების ეფექტური მართვა. ემოციური ინტელექტის თეორიის მიხედვით (ავტორი – ამერიკელი ფსიქოლოგი დანიელ გოლმანი), „ადამიანის წარმატების წინასწარმეტყველებისათვის უფრო მნიშვნელოვანია მაღალი დონის ემოციური ინტელექტის ქონა, ვიდრე მაღალი დონის ზოგადი ინტელექტისა“ [2,9] და, რაც მთავარია, შესაძლებელია, ემოციური ინტელექტი ვასწავლოთ, ჩვენი გაკვეთილები ისე დავგეგმოთ, რომ მოსწავლეებს დავეხმაროთ ზემონახსენები უნარების გამომუშავებაში.

მინდა გაგიზიაროთ ერთი აქტივობა, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ არა მხოლოდ მოსწავლეებთან ან სტუდენტებთან, არამედ – ზრდასრულებთან, საკუთარ თავთანაც კი. ვფიქრობ, იგი უფრო ეფექტური სემესტრის დასაწყისში აღმოჩნდება, როცა ბავშვები თავიანთი სასწავლო ცხოვრების ახალ ეტაპს იწყებენ და სწორედაც რომ სჭირდებათ საკუთარ თავში ჩაღრმავება და ფიქრი.

ამ აქტივობის სახელწოდებაა „პირადი გერბი“ [3,80]. მის შესახებ მიაბო მამიდაძე, რომელიც მასწავლებელია. მერე გონებაში ამომიტივტივდა, რომ წლების წინ ახალგაზრდულ ბანაკში მეც შევქმენი ჩემი გერბი. მაშინ პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი და ეს მეთოდი ძალიან დამეხმარა უცხო თანატოლებთან ურთიერთობაში, თუმცა ისიც მომაგონდა, რომ ხატვა არ გამომდიოდა და უხერხულ სიტუაციაშიც აღმოვჩნდი ამის გამო. ამიტომ ეს გამოცდილებაც გავითვალისწინე, რაღაცები შევცვალე, დავუკავშირე ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილს, დავუმატე წერისა და არგუმენტაციის ელემენტები და ისე შევთავაზე ბავშვებს. აქტივობამ დიდი ინტერესი და მოსწავლეთა ჩართულობა გამოიწვია.

- I. მოსწავლეებს შევთავაზებ, რომ ფურცლის შუაგულში დაეხატათ/დაეხაზათ ფიგურა, რომელსაც თავად ისურვებდნენ, გაეთვალისწინებინათ, რომ იმ ზომის უნდა ყოფილიყო, მასში საბოლოოდ რამდენიმე სიტყვის ჩაწერა მოეხერხებინათ.



- II. შემდეგ ვთხოვე, ფურცელი ოთხად გაეყოთ და თითოეულ ნაწილში ჩაეხატათ:
1. ამინდი, რომელიც უყვართ და სიამოვნებთ;
  2. შენობა, რომელშიც თავს კომფორტულად იგრძნობდნენ;
  3. ცხოველი/ფრინველი, ხასიათით ან რამე ნიშნით რომ მიამაგვსებდნენ საკუთარ თავებს;
  4. მცენარე, რომელთანაც საერთო თვისებას იპოვიდნენ.

თუ რომელიმე მოსწავლეს არ უნდოდა დახატვა, შეეძლო უბრალოდ დაეწერა მცენარის, ცხოველის ან ფრინველის სახელი, ამინდი და შენობა კი აღეწერა. ყველაზე მნიშვნელოვანი – უნდა აეხსნათ და დაესაბუთებინათ, რატომ ფიქრობდნენ ასე.

III. საბოლოოდ, ფურცლის შუაგულში ჩახატულ ფიგურაში უნდა ჩაეწერათ თავიანთი დევიზი ან ცხოვრებისეული პრინციპი.

ეს აქტივობა გამოვიყენე VI-VIII კლასის მოსწავლეებთან. ძალიან საინტერესო იყო არა მხოლოდ მუშაობის პროცესი, არამედ ბავშვებზე დაკვირვებაც. მახარებდა მათი ჩაფიქრებული სახეების ყურება.

აქტივობა „პირადი გერბი“, გარდა თვითშემეცნებისა, მოსწავლეებს უვითარებს: წარმოსახვის, ობიექტური თვითშეფასების, კრიტიკული აზროვნების, არგუმენტაციის უნარებს. ბავშვებს აფიქრებს საკუთარ შინაგან სამყაროზე, ხასიათზე, თვისებებზე, სურვილებსა და ცხოვრებისეულ პრინციპებზე.

ამ აქტივობის გამოყენება სხვადასხვა საგნის მასწავლებლებსაც შეუძლიათ. წარმოიდგინეთ, როგორ „პირად გერბს“ შეადგენდნენ მოსწავლეები ისტორიული პერსონაჟებისა და მოვლენების მიხედვით, ან ქიმიური ფორმულებით, მათემატიკური განტოლებებით, პლანეტებით, ლიტერატურული გმირებით, უცხოური ფრაზებით, რა საინტერესო ნამუშევრებს შექმნიდნენ ხელოვნების, ბიოლოგიის, გეოგრაფიის ან მუსიკის გაკვეთილებზე.

ჩვენ, ყველას, გვჭირდება „პირადი გერბი“, რომელიც დაგვეხმარება ჯერ საკუთარი თავის, მერე კი – სამყაროს შეცნობაში.

# ეფექტიანი საკლასო გარემო და კითხვა ნიშანთა სისტემით

ჩვენი მოსწავლეები ყოველდღე კითხულობენ.

კითხულობენ გაკვეთილებს, ამოცანების პირობებს, ლექსებს, ახალგამოცემულ თუ ძველ წიგნებს, ერთმანეთის წერილებს. ტექსტებს ხვდებიან სახლში, სკოლაში, ქუჩაში, აბრეგებე, მაღაზიებში, ყველგან.

და ყველაზე მთავარი ამ დროს არის ის, თუ როგორ იგებენ, იაზრებენ და შემდეგ იყენებენ ისინი წაკითხულს. ჩვენ კი, მოსწავლეებზე, უნდა გავაცნობიეროთ, რამდენად მნიშვნელოვანია, ვასწავლოთ, როგორ იკითხონ და გამოეუმუშაოთ ტექსტის გააზრების, ინფორმაციის დახარისხების უნარები. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან თუ მოსწავლეები წაკითხულის გააზრებას ახერხებენ სკოლაში, შემდეგ უადვილდებათ სწავლა უნივერსიტეტში, საქმეს იოლად ართმევენ თავს სამსახურში, უმარტივდებათ ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრა.

როგორ ვასწავლოთ წაკითხულის გააზრება? ამისთვის ბევრი გზა არსებობს, ერთ-ერთია ყველასთვის ნაცნობი მეთოდი – კითხვა ნიშანთა სისტემით, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტის წასაკითხად ნებისმიერ საგანში, სწავლების სამივე საფეხურზე.

სასურველია, მოსწავლეებთან ერთად შევიმუშაოთ რამდენიმე სიმბოლო. მაგალითად:

გაუგებარი სიტყვა – ?

ნაცნობი ინფორმაცია – +

მნიშვნელოვანი ცნობა – ! და ა.შ.

ეს ნიშნები მკითხველებმა უნდა გამოიყენონ ტექსტზე მუშაობისას. სიმბოლოები შესაძლოა შეეცვალოს გემოვნებისა და საჭიროების მიხედვით. ინფორმაციის ამგვარად დახარისხება უფრო საინტერესოს ხდის კითხვის პროცესს და ბავშვები უკეთ იმახსოვრებენ წაკითხულს. „მთავარია, შერჩეული სიმბოლოები გვაძლევდეს საშუალებას, გავიგოთ, რა გაიგეს მოსწავლეებმა, რა – ვერ გაიგეს, რა დარჩა ბუნდოვანი, რა მოეწონათ ან არ მოეწონათ. ამგვარი მიდგომა ეხმარება მოსწავლეს ტექსტის არა მარტო უკეთ გაგებასა და

სწავლაში, არამედ ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიმართ საკუთარი და-  
მოკიდებულების განსაზღვრასა და გამოხატვაში. ეს ყოველივე კი აუცილებელ  
საფუძველს წარმოადგენს მასში აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებისათ-  
ვის“ (კითხვის ეფექტური მეთოდები, მასწავლებელთა პროფესიული განვი-  
თარების ეროვნული ცენტრი, 2013, გვ. 80).

რამდენიმე თვის წინ მოსწავლეებთან ერთად ერთგვარი სამკითხველო  
ექსპერიმენტი წამოვიწყე სწორედ ნიშანთა სისტემით.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ დღესაც მოსწავლემ მითხრა, ბო-  
ლოს წიგნს როცა ვკითხულობდი, არ მომწონდა და ვაღიარებ, ფურცლებს  
ვტოვებდიო. ჩვეულებრივი ამბავია, არ გამკვირვებია, პირიქით, გამახარა  
მისმა გულწრფელობამ. წიგნით დაინტერესება არ არის მარტივი და უამრავი  
რამის გამოგონება გვიწევს, თუ გვინდა, რომ ბავშვებმა სიამოვნებით იკით-  
ხონ. იმ მომენტიდან დავიწყე ფიქრი, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა, რომ  
მომდეგნო წიგნი, მიუხედავად იმისა, მოეწონებოდა თუ არა, მისთვის საინტე-  
რესო ყოფილიყო, არა მხოლოდ ტექსტი, კითხვის პროცესიც.

ასეთი რამ მოვიფიქრე: ბავშვებს შევთავაზე, წაგვეკითხა ისეთი წიგნი,  
რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის იქნებოდა უცხო, აქამდე არც ერთს არ  
უნდა გვეჩონოდა წაკითხული, მოგვეფიქრებინა ნიშნები, სიმბოლოები მხო-  
ლოდ ამ ტექსტისთვის, კითხვისას ფურცლებზე გადაგვეტანა და ამგვარად გა-  
მოგვებატა ჩვენი ემოციები, შეხედულებები. წაკითხვის შემდეგ შემთხვევითი  
შერჩევის მეთოდით გაგვეცვალა წიგნები და დაგვიკვირებოდათ ერთმანეთის  
განცდებს, შთაბეჭდილებებს. ჩემი მიზანი არ იყო ის, რომ ჩემს მოსწავლეებს  
მხოლოდ მოსწონებოდათ ან არ მოსწონებოდათ წაკითხული ამბავი, მინდო-  
და, მიმხვდარიყვნენ, რომ წიგნი, ისევე როგორც ცხოვრება, იქმნება დეტალებით,  
რომლებიც უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ, მსურდა, გაეაზრებინათ  
ის, რასაც კითხულობდნენ, ეს კი დაკვირვების გარეშე შეუძლებელია.

ჩემი შეთავაზება, როგორც ერთგვარი გამოწვევა, მიიღო მოსწავლეთა აბ-  
სოლუტურმა უმრავლესობამ, სამი კლასის ნი-მდე მოსწავლიდან მხოლოდ  
ერთმა არ მოინდომა ამ ექსპერიმენტში მონაწილეობა.

მეხუთეკლასელებს შევთავაზე ანე-კატარინე ვესტლის „ანტონის პატარა  
საჩუქარი“, რადგან პირველი სამი ნაწილი უკვე წაკითხული გვექონდა. ბავშ-  
ვებმა ნიშანთა სისტემას კითხვის ენა დაარქვეს.

შევთანხმდით, რომ, გარდა საერთო სიმბოლოებისა, თუ რომელიმე ჩვენ-  
განს მოუნდებოდა, ინდივიდუალური ნიშნებიც მოეფიქრებინა. ასე გაჩნდა სა-



ოცარი მინიშნებები, ილუსტრაციები. ბავშვების ფანტაზიას ხომ არასდროს არ აქვს საზღვარი.

მეშვიდეკლასელებმა წაიკითხეს სარა პენიპეკერის „პაქსი“ (პაქსის სიმბოლოები) და ლინდა მალალი ჰანთის „თევზი ხეზე“ (კითხვის ემოციები).

კითხვა ნიშანთა სისტემით ჩემთვის ნაცნობი მეთოდი იყო პროგრამული ნაწარმოებების სწავლებისას, წიგნი კი ამგვარად მოსწავლეებთან ერთად პირველად წავიკითხე. პროცესიც და შედეგებიც იმაზე სასიამოვნო და შთაბეჭდილი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. გვდილობდი, უყურადღებოდ არ დამეტოვებინა არც ერთი გვერდი, არც ერთი ეპიზოდი, ფრაზა, სიტყვა.

ასევე იყვნენ ბავშვებიც. მათი წაკითხული წიგნების ფურცელამ გამაბედნიერა. რომ იცოდეთ, რამდენ რამეს ამჩნევენ, რამდენ რამეზე ფიქრობენ ეს პატარა/დიდი ადამიანები.

მათი თქმით, ხშირად წაუკითხავთ ჩქარ-ჩქარა, ზოგჯერ – უყურადღებოდ, ამ მეთოდით კითხვის დროს კი უფრო ჩაუღრმავდნენ წიგნს.

მოსწავლეებს ვთხოვე, შთაბეჭდილებები დაეწერათ. თითოეულის წერილი ერთმანეთზე საინტერესოა, მე ბევრ რამეზე დამაფიქრა (სამომავლოდ რომ გავითვალისწინებ) და კარგად მაჩვენა, თუ რა მოჰყვა შედეგად წიგნების კითხვას ნიშანთა სისტემით.

არანაკლებ ეფექტური აღმოჩნდა მეორე ეტაპი, როცა ერთმანეთს წაკითხული წიგნები გავუცვალეთ. ერთი მხრივ, ეს იყო ტექსტის სიღრმისეულად გააზრების კიდევ ერთი გზა და, მეორე მხრივ, თითოეული ჩვენგანის (მკითხველების) უკეთ გაცნობისა და დაახლოების საშუალება.

ვაკვირდებოდი, რას მიაქცევს ყურადღება კითხვისას ჩემმა მოსწავლეებმა, ბავშვები კი მეგობრებისა და მასწავლებლების განცდებს ეცნობოდნენ (ჩემ გარდა წიგნი დასახელებული კლასების დამრიგებლებმა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა წაიკითხეს). საინტერესო იყო იმის ნახვა, რომელი ქცევა აღმოჩნდა ჩვენთვის მიუღებელი, რომელი სიტყვები მოგვეწონა, რას გავითვალისწინებდით და სხვა ბევრი რამ.

ლიტერატურას აქვს საოცარი ძალა და ამ თავგადასავალმა ემოციურად კიდევ უფრო დაგვაკავშირა, ეს კი დღეს განსაკუთრებით გვჭირდება. როცა მასწავლებელმა იცის, რა ახარებს მოსწავლეს, ეცნობა მის გემოვნებას ან კიდევ – პირიქით, ბავშვი ხედავს, როგორ კითხულობს მისი პედაგოგი და რა აფიქრებს, მათი ურთიერთობა უფრო ჰარმონიული ხდება.

# როცა კლასში მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად კითხულობენ...

უაღრესად მნიშვნელოვანია, ბავშვებს ჰყავდეთ მოდელი...

მოწიფული ადამიანისა, რომელსაც უყვარს კითხვა.

სასურველია, ეს იყოს, უპირველეს ყოვლისა, მშობელი და მასწავლებელი.

*თამარ კერძაია, მარინე ჯაფარიძე,*

*კვლევა – კითხვის ინტერესები 13-17 წლის მოზარდებში, 2012*

როდის კითხულობენ მოსწავლეები?

მაშინ, როცა მათი მასწავლებლებიც კითხულობენ.

ეს არაა ამ შეკითხვის ერთადერთი სწორი პასუხი, თუმცა ერთ-ერთი ნამდვილად არის.

მასწავლებლობა რომ დავიწყე, ჩემი მთავარი მიზანი იყო, მოსწავლეებისთვის კითხვა შემეყვარებინა, მინდოდა, თავისუფალ მოაზროვნეებად ჩამოყალიბებულიყვნენ და ყოველი წაკითხული წიგნი მათთვის გამოცდილებად ქცეულიყო. მალევე მივხვდი, რომ მხოლოდ საბაფხულო საკითხავის სიის შედგენით ან სარეკომენდაციო ლიტერატურის შეთავაზებით ამას ვერ შევძლებდი, მეც მოსწავლეებთან ერთად უნდა მეკითხა. ვკითხულობდი იმას, რაც მათ მოსწონდათ და კითხულობდნენ იმას, რასაც ვურჩევდი. ამან ძალიან დაგვაახლოვა და ლიტერატურამ ერთმანეთი უკეთ გაგვაცნო. ვფიქრობ, როცა მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად კითხულობენ, მათი ცხოვრება უფრო შინაარსიანი ხდება.

მიუხედავად ამისა, მარტივი არ არის წიგნით დაინტერესება. ყოველ ჯერზე საჭიროა სიახლეები და მოტივაცია კითხვისთვის.

ცოტა ხნის წინ მეშვიდეკლასელებს ჰინ ვებსტერის „გრძელფეხება მამილო“ შევთავაზე წასაკითხად. წიგნი რამდენიმე ნიშნით შევარჩიე:

1. მოსწავლეები ხშირად მეკითხებოდნენ, რომელი იყო ჩემი ბავშვობის უსაყვარლესი წიგნი და გადავწყვიტე, გამეცნო მათთვის;

2. გარდა იმისა, რომ „გრძელფეხება მამილო“ სასიამოვნო საკითხავია, სასწავლო რესურსადაც შეგვიძლია გამოვიყენოთ. ორენოვანია, ტექსტი დაბეჭდილია ქართულ და ინგლისურ ენებზე და ერთვის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. იგი გვეხმარება არა მხოლოდ წიგნიერების, არამედ მრავალენობრივი კომპეტენციების გამოსამუშავებლად.
3. მას შემდეგ, რაც ბავშვები ამ წიგნს წაიკითხავდნენ, ინტეგრირებული შედეგებითი თამაშის ჩატარება მოვინდომე.

ვიდრე მოსწავლეებს „გრძელფეხება მამილოს“ წარუდგენდი, ჩემს კოლეგებს გავაცანი იდეა და შევთავაზე, თუ მოისურვებდნენ, წაგვეკითხა ეს წიგნი ბავშვებთან ერთად, დაგვეგეგმა და ჩაგვეტარებინა ინტეგრირებული თამაში, ლიტერატურულ კლუბში მოგვეწყო შეხვედრა, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შთაბეჭდილებები ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა.

ვვარაუდობდი, რომ მხოლოდ ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები შემოგვიერთდებოდნენ, რადგან წიგნი ორენოვანი იყო, თუმცა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა – მოსწავლეებთან ერთად „გრძელფეხება მამილოს“ წაკითხვა მოისურვეს ქართულის, მათემატიკის, ინგლისურის, რუსულის, ბუნებისმეტყველების, ისტორიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებმა.

ცხადია, ბავშვების კითხვის ინტერესი და მოტივაცია გაიზარდა, როდესაც ამის შესახებ შეიტყვეს. აქამდე მათ ჰქონდათ ერთ მასწავლებელთან ან კლასის დამრიგებელთან ერთად კითხვის გამოცდილება, მაგრამ მსგავსი რამ ნებისმიერი ჩვენგანისთვის უჩვეულო იყო.

მოსწავლეებმა დაიწყეს კითხვა. დავიწყეთ ჩვენც. ეს პროცესი რომ უფრო შთამბეჭდავი ყოფილიყო, გადავწყვიტეთ, ყველა მასწავლებელს ერთი წიგნიდან წაგვეკითხა. „გრძელფეხება მამილო“ ხელიდან ხელში გადადიოდა, ნებისმიერ აზრს ვიწერდით, რომლებიც კითხვის დროს გვჩინდებოდა ან ინტეგრირებული თამაშის ჩასატარებლად გამოგვადგებოდა. კომუნიკაციაც უფრო ეფექტური გახდა.

წიგნმა გაგვაერთიანა და უფრო საინტერესო გახადა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. საოცარი პასუხისმგებლობა ვიგრძენით. ვცნობოდით ერთმანეთის მინაწერებს და გვიანტერესებდა, რას ფიქრობდნენ მოსწავლეები ამა თუ იმ ეპიზოდის შესახებ, ვცდილობდით, მათი თვალითაც წაგვეკითხა.

მოსწავლეებთან ერთად კითხვამ ახალი იდეები გაგვიჩინა:

## 1. წერილების დაფა

მოვინდომე, სამასწავლებლოში წერილების დაფა გაგვეკეთებინა და პედაგოგებს ერთმანეთისთვის მიგვეწერა. ეს სამომავლო, შორეული სურვილი მეგონა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ერთ დილას სამასწავლებლოში შესულს მათემატიკის მასწავლებლის ყვითელი წერილი დამხვდა. ჩემი კოლეგა შთაბეჭდილებებს მიზიარებდა და მწერდა, როგორ შეიძლებოდა ამ ტექსტის გამოყენება მათემატიკის სწავლების დროს.

## 2. ილუსტრაციები

ხელოვნების მასწავლებელმა „გრძელფეხება მამილოს“ კითხვის პროცესში ხატვა დაიწყო და ასე გადმოსცა თავისი ემოციები. ბუნებრივია, ეს ილუსტრაციებიც ინტერგირებული თამაშის ელემენტებად მოვიამრეთ. მკითხველებმა უნდა გამოიცნონ, რომელი ეპიზოდია დახატული.



## 3. დავალებები

მოვიფიქრეთ განსხვავებული დავალებები, დავგვემეთ და ჩავატარეთ გაკვეთილები „გრძელფეხება მამილოს“ თემატიკის გათვალისწინებით. ამან, ერთი მხრივ, გაამრავალფეროვნა სასწავლო რუტინა, მეორე მხრივ კი, ბავშვებმა პრაქტიკულად დაინახეს მასწავლებლების ჩართულობა, პასუხისმგებლობაც მოემატათ და მეტად ჩაუღრმავდნენ ტექსტს.

#### 4. თვითრეფლექსია

ჩვენს პრაქტიკას სხვა პოზიციიდან შევხედეთ და თვითდაკვირვების სურვილიც გაგვიჩნდა, დავინტერესდით, რომელ სიტყვას ვიყენებდით ხშირად და ვიპოვეთ კიდევ პასუხები.

გზა წიგნის კითხვის დაწყებიდან დასრულებამდე განსაკუთრებული და ემოციებით სავსე იყო. მთავარი ლიტერატურულ კლუბში გამართული შეხვედრა აღმოჩნდა. მასწავლებლებმა მოსწავლეებს ვუამბეთ, თუ როგორ წავიკითხეთ „გრძელფეხება მამილო“, რას განვიცდიდით, რამ მიიქცია ჩვენი ყურადღება და ყველაზე მნიშვნელოვანი – როგორ გვაინტერესებდა, რას ფიქრობდნენ ისინი. ბავშვებმა თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვანდეს. თითქოს ერთმანეთი თავიდან აღმოვაჩინეთ, მივხვდით, რამდენი რამ გვქონდა საერთო, რამდენი – განსხვავებული და საოცრად გვიხაროდა. საგაკვეთილო რეჟიმი ისეთი აჩქარებულია, მუდამ რაღაცის (პროგრამული მასალის) მოსწრებას ვცდილობთ და ნაკლები დრო გვრჩება საუბრისთვის, ერთმანეთის მოსასმენად. სინამდვილეში ეს ყველაზე ღირებულია.

საინტერესო იყო ისიც, რომ თითოეულმა მასწავლებელმა თავის საგანთან დაკავშირებული იპოვა წიგნში და ეს დაკვირვება გაგვიზიარა. ამან თვალსაწიერი უფრო გაგვიფართოვა, ისეთ საკითხებს მივაქციეთ ყურადღება, იქამდე რომ გამოგვჩნა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორი შედეგიანი იყო ერთად კითხვა და რამდენად მრავალმხრივია ნებისმიერი წიგნი. ყოველთვის ახლის პოვნა შეგიძლია, მთავარია, ეს მოისურვო. განსაკუთრებით ამის დანახვა ესაჭიროება ბავშვს, რომელიც მკითხველად ყალიბდება – კითხვა ხომ არ არის მხოლოდ შინაარსის გაცნობა, უმთავრესი ტექსტის ინტერპრეტაცია, მისი გააზრება და ესეც უნდა ისწავლოს. მასწავლებელი მოდელია ბავშვისთვის და მოსწავლე როდესაც ხედავს, როგორ კითხულობს იგი, თავადაც ითვალისწინებს მის გამოცდილებას.

ინტეგრირებული თამაშის ჩატარებას სემესტრის ბოლოს ვგეგმავთ. მოსწავლეების ინტერესი მაღალია.

ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ იმდენად ვისიამოვნეთ ერთად კითხვით, ერთმანეთის აზრების მოსმენით, შეხედულებების გაზიარებით, რამდენიმე დღეში მეორე წიგნის კითხვას შევუდექით. ეს ორმხრივი სურვილი იყო.

მსგავსი აქტივობის განხორციელება შეუძლია ნებისმიერი საგნის მასწავლებელს. მთავარია, წიგნი ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შევარჩიოთ და კითხვის მსურველი პედაგოგები შემოვიკრიბოთ. მოსწავლეები უზომოდ გაიხარებენ, როცა გაიგებენ, რომ მასწავლებლები მათთვის და მათთან ერთად კითხულობენ.

შეიძლება ერთი დაბრკოლებაც შეგხვდეთ, პასუხად მიიღოთ, რომ ამისთვის დრო არ აქვთ, მაშინ შეგიძლიათ დანიელ პენაკის სიტყვები მოიშველიოთ. მისი აზრით, კითხვა სიყვარულს ჰგავს და განა შეიძლება ვთქვათ, რომ დრო არ გვაქვს სიყვარულისთვის? ასევე ვერ ვიტყვით, რომ საკითხვად არ გვცალია. უბრალოდ, ეს ჩვენი არჩევანი ან იქნება, ან – არა.

სცადეთ, რადგან...

როცა მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად კითხულობენ:

- მათი სასკოლო ცხოვრება, გაკვეთილები უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება;
- ისინი უკეთ ეცნობიან ერთმანეთს;
- გამოცდილებას იძენენ;
- ცდილობენ, ერთიმეორეს გაუგონ, უფრო ემპათიურები ხდებიან;
- ერთად კითხვით სიამოვნებას იღებენ.

შედეგების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება.

# როლური თამაში და თოჯინების თეატრი საკლასო ოთახში

## როგორ დაიწყო

ქართულის გაკვეთილი ჰქონდათ მეხუთეკლასელებს. ოთარ ჭილაძის ლექსი ისწავლეს:

მას ფეხქვეშ ბევრჯერ ჩაუტყდა ხიდი  
და ბევრჯერ იგრძნო გაქრობის შიში.  
დღეს კი შენ დგახარ ნანგრევის ჩრდილში  
და უცქერ ქალაქს ჩრდილივით მშვიდი.  
დღეს შენ ხარ და დღეს შენი ბრალთა,  
რაც შეემთხვევა: კარგიც და ცუდიც.  
არც ერთი წუთით, მე გთხოვ ძალიან,  
არ დაივიწყო არც ერთი წუთით.

ვიფიქრეთ – თითოეული ჩვენგანის მოვალეობებზე, ვისაუბრეთ – რა შეიძლება ღებოდეს „შემთხვევით“ ადამიანებისგან ქალაქს „კარგი ან ცუდი“. მოსწავლეები მსჯელობდნენ ბავშვურად, ჭკვიანურად. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ისე საინტერესო შეხედულებებს გამოთქვამდნენ, გული სიხარულისგან მეკუმშებოდა. იმ პერიოდში ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემით გაშუქდა მიუსაფარ და სოციალურად დაუცველ ბავშვთა პრობლემები. ეს თემაც ახსენეს. მერე გარემოს დაბინძურებაზე ილაპარაკეს, ისიც თქვეს, როგორ არ მოსწონთ, გამვლელი სიგარეტის ნაშვს ან შოკოლადის შესაფუთ ქაღალდს რომ მოისვრის ქუჩაში. ბოლოს ვთხოვე, შეეფასებინათ მძღოლის ქცევა, რომელიც ფეხით მოსიარულეს გებრა გადასასვლელზე გზას არ უთმობდა, ან კიდევ მანქანას არასწორად აჩერებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილ ადგილას. ბევრი არ უფიქრიათ, მაშინვე მიუღებლად მიიჩნიეს ეს ქმედება. იმ დღეს გადავწყვიტე, ლიტერატურული ნაწარმოებებისა და



აქტუალური თემების გასააზრებლად როლური თამაში დამეგეგმა, ერთ-ერთი მიზანი ცხადი იყო – მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

ბავშვებს უყვართ როლური თამაში. მეც მომწონს, რადგან გარდა იმისა, რომ მათი მოტივაცია მაღლდება, ისინი დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან სამზადისში... ამ მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციასა და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.

## სამზადისი

ორი გაკვეთილი მოვანდომეთ გეგმებისა და იდეების ჩამოწერასა და სცენარზე ფიქრს. გადავწყვიტეთ, ჩვენი ხელით შეგვექმნა თოჯინების თეატრი. ყველაფერი გავთვალეთ – რა მასალა დაგვჭირდებოდა, როდის ჩავატარებდით სპექტაკლს, ვის მოვიწვევდით. უნდა შევთანხმებულიყავით, სად გათამაშდებოდა სიუჟეტი. ბავშვებმა მოქმედების ადგილად მიუსაფარ ბავშვთა სახლი და სკოლა მოისურვეს. არ შევწინააღმდეგებივარ, ესეც საჭირო იყო ისევ და ისევ მათი ემპათიის გამოსაწვევად.

სცენარის მოფიქრების პროცესი აღმოჩნდა უაღრესად სასიამოვნო. ვის-ხედით წრეზე, თითოეული ბავშვი ამბობდა თავის იდეას და მე ვინიშნავდი. საოცარი არსებები არიან ეს პატარა ადამიანები! რომ იცოდეთ, როგორ უკავშირებდნენ თავიანთ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილს!

კაციც ადამიანია და ქალიც...

განსაკუთრებულად დამამახსოვრდა 10 წლის ლევანის სურვილი. მერე რომ გავაცნობიერე, რა შედეგი მოჰყვა ერთ გაკვეთილს, უზომოდ გავიხარე.

ამ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე ერთ-ერთ ბიჭს ქართულის გაკვეთილზე ცრემლებით აევსო თვალები. გაოცდნენ კლასელებიც, არ ელოდნენ. ბავშვებს ვუთხარი, რომ გასაოცარი არაფერი მომხდარა, ტირილის უფლება აქვს როგორც გოგოს, ისე ბიჭს. თუ ადამიანს ეტირება, თავისუფლად შეუძლია, ასე გამოხატოს ემოცია.

...და ლევანმა ეს მთხოვა – სცენარში რომელიმე პერსონაჟს ეთქვა ბიჭისთვის, რომ ტირილი სირცხვილი არ არის. რა თქმა უნდა, ჩავიწერე მისი სურვილი. გულში გვიიმობდი, ჩვენ იმ გაკვეთილზე დავამარცხეთ სტერეოტიპული შეხედულება – „ნუ ტირი, კაცი არა ხარ?“



## როლების გადანაწილება და რესურსების შექმნა

როლებს ვიდრე გადავანაწილებდით, მოსწავლეებს გავახსენე თეატრის სტრუქტურა. შემდეგ ვთხოვე, თითოეულს ფურცელზე დაეწერა, რისი კეთება სურდა. ალბათ, განსაკუთრებულს არაფერს ვიტყვი იმით, რომ მოსწავლეთათვის თავისუფალი არჩევანის უფლების მინიჭებას უდიდესი ძალა აქვს. ერთი, რომ მოტივაციას ამაღლებს, მეორე – პასუხისმგებლობის გრძნობას აძლიერებს და მთავარი – ამით მათ უვითარდებათ გადაწყვეტილების მიღების უნარი. ბავშვებმა გაიხარეს – გააკეთებდნენ იმას, რაც მათთვის სასიამოვნო იყო, ამიტომაც ყველა სიხარულით ჩაერთო პროცესში.

ორმა რეჟისორობა მოინდომა. ნება ჩვენს ხელში იყო, რადგანაც ასე ძალიან უნდოდათ, დაეწინაურებინათ თეატრს ორი რეჟისორი. ერთი მუსიკალური ხელმძღვანელი გახდა, სამი – კოსტიუმების მხატვარი, თერთმეტმა მსახიობობა მოისურვა. მე სცენარისტის ფუნქცია დამაკისრეს. გადავინაწილე საქმე. ერთ ლამეში სცენარი მზად იყო. მართალია, ტექსტი ბავშვების შეხედულებებისა და სურვილების გათვალისწინებით დავწერე, მაგრამ ვიდრე გავაცნობდი მათ, ძალიან ვლეღავდი. ისე მისმენდნენ, ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა არჩევანის სისწორეში. ვერ წარმოიდგენთ, როგორ უხაროდათ, როდესაც მათი აზრები პერსონაჟების მეტყველებაში გამოჩნდა. საინტერესო სცენარი გამოვიდა. ჩვენი თეატრის მსახიობები 10-11 წლის ადამიანების ენით საუბრობდნენ იმაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი თანატოლებთან ერთად უნდა სწავლობდეს, რომ თავისუფალი აზრის გამოხატვა სასიხარულო და საჭიროა, მოსწავლისთვის მნიშვნელოვანია გულწრფელობა და სამართლიანობა და სხვა. მიწოდდა მათი დაფიქრება და ეს გამოვიდა.

სცენარის გაცნობის შემდეგ ვთხოვე, სახელები მოეფიქრებინათ თავიანთი პერსონაჟებისთვის. ესეც ერთგვარი გამოწვევა იყო – ბავშვებმა უნდა იგრძნონ, რომ მათ ვენდობით. თვალეები აუციმციმდათ. მერე ახსენს, რა ნიშნით შეარჩიეს ესა თუ ის სახელი.

მომდეგნო დღიდან დავიწყეთ გმირების კოსტიუმებისა და რესურსების შექმნა. წიგნების ერთ-ერთ ფესტივალზე ნანახი მქონდა, როგორ ამზადებდნენ ბავშვები თოჯინების თეატრს. ამის შესახებ ერთი საინტერესო ბლოგიდან ვიცოდი. (<https://tinyurl.com/yyadobn7>). ეს გამოცდილება მოსწავლეებს გავუზიარე, თეატრის ფარდის ფერი თავად შეარჩიეს – მწვანე. ქსოვილიც შევიძინეთ და შეუდგნენ დამზადებას.

უაღრესად საინტერესო იყო კოსტიუმების შექმნა. მსახიობობის მსურველ ბავშვებს შევთავაზე, მოეფიქრებინათ თავიანთი პერსონაჟების ხასიათი. თითოეული მხატვრებს ხვდებოდა და უხსნიდა, როგორი ტიპაჟი უნდა ყოფილიყო მისი გმირი, რა ფერისა და სტილის ტანისამოსი უნდა სცმოდა და როგორი ვარცხნილობა ჰქონოდა.

ამან კიდევ უფრო საინტერესო გახადა საქმისადმი მოსწავლეების დამოკიდებულება, პასუხისმგებლობით მოეკიდნენ უმნიშვნელო დეტალებსაც კი და უკეთ გაითავისეს როლები. მხატვრები შეუდგნენ ხატვას, მარტივი მასალა შევარჩიეთ – მუყაოს ქაღალდი და ფერადი ფანქრები. 2 დღეში გმირები მზად იყვნენ.

### რეპეტიციები...

ვერ ვიტყვი, რომ მარტივი აღმოჩნდა. მეხუთეკლასელი გოგო-ბიჭები ერთი ფარდის მიღმა შეიყუჩებოდნენ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ტექსტს ამუშავებდნენ, რეჟისორებს სცენარი მოემარჯვებინათ და ყურადღებით აკვირდებოდნენ მსახიობებს, რჩევებსაც აძლევდნენ, მუსიკალური ხელმძღვანელი შერჩეულ სიმღერებს რთავდა, ისე ოსტატურად იყენებდა კომპიუტერს და ხმის დამარეგულირებელს, მეც კი სასიამოვნოდ გაოცებული ვიყავი.

დადგა სპექტაკლის დღე. ემოციებს ველარ ვმალავდით. ყველაფერმა არაჩვეულებრივად ჩაიარა. რაც მთავარია – ბავშვები თავს ბედნიერად გრძნობდნენ, მე კიდევ სიხარულის ცრემლებს ჩუმ-ჩუმად ვიწმენდდი.

ყველაფრის მომზადებას 2 კვირა დასჭირდა. დღემდე სიამოვნებით იხსენებენ ამ პერიოდს. მე, როგორც მასწავლებელმა, დასახულ მიზანს მივაღწიე – ამ მეთოდმა ხელი შეუწყო ბავშვების შემოქმედებითი აზროვნებისა და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და ყველაზე მნიშვნელოვანი – თითოეულმა მათგანმა იგრძნო, რომ მათ არჩევანს პატივს სცემენ და ითვალისწინებენ.

# ლელა კოდორაშვილი

---

|   |                                                    |     |
|---|----------------------------------------------------|-----|
| 1 | რამდენიმე იდეა პირველი გაკვეთილისთვის              | 165 |
| 2 | ჩრდილების თეატრი – არაჩვეულებრივი სასწავლო რესურსი | 169 |
| 3 | ლიტერატურული დღიური, როგორც სასწავლო აქტივობა      | 172 |
| 4 | პერსონაჟთა გალერეა                                 | 177 |
| 5 | არაფრით სავსე ჩანთა                                | 181 |
| 6 | მედიათეკის როლი სკოლაში                            | 185 |



# რამდენიმე იდეა პირველი გაკვეთილისთვის

ახალი სასწავლო წელი იწყება. სკოლისთვის ემზადებიან მშობლები, ბავშვები, ვემზადებით ჩვენც, მასწავლებლებიც.

ბაფხულის არდადეგებზე დაგროვებული შთაბეჭდილებები, ემოციები, წაკითხული წიგნები ახალი იდეებით გვავსებს. ვიწყებთ ფიქრს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს პირველი გაკვეთილი. მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანია პირველი ემოციები, რომ ბავშვი დადებითად განვაწყობთ და სასიამოვნო მოლოდინი აღვუძრათ.

გადავწყვიტე, ჩემი პრაქტიკიდან რამდენიმე აქტივობა გაგიზიაროთ.

## პოსტერი ჩვენ შესახებ

შარშან პირველად მომიწია პირველ კლასთან შესვლა, რაც მასწავლებლისთვის საკმაოდ დიდი გამოწვევაა. რა თქმა უნდა, აქტივობებზე ფიქრისას ვითვალისწინებთ მოსწავლეთა ასაკს, მათ ფსიქო-ემოციურ განვითარებას, წინარე გამოცდილებას და შესაბამისად ვაწყობთ გეგმებს. პირველკლასელებისთვის დაგეგმილი აქტივობა უნდა იყოს ეფექტური, რაღაც ისეთი, რომ მათი ყურადღება მიიქციოს. ბევრი ვიფიქრე, თუ ცოტა, გადავწყვიტე, პოსტერი დამემზადებინა ჩემ შესახებ. რადგანაც წერა-კითხვა არ იცოდნენ, ამიტომ დიდ ვარდისფერ ფორმატზე დავხატე ჩემი ცხოვრების ძირითადი ფაქტები: მთები, საკვამურიანი სახლი, ნაძვები, გოგო, ბიჭი და ირემი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცოტა ხნის წინ ნაძვებიან გარემოში ვცხოვრობდი, მყავდა ორი შვილი და ცხოველებიდან ყველაზე მეტად ირემი მიყვარდა. ჩემი ფერადი პოსტერი, რომლის დახატვაში ჩემი გოგონა დამეხმარა, გულზე ჩამოვიკიდე და ვფიქრობ, ჩანაფიქრმა გაამართლა. ინტერესით მისმენდნენ და მაკვირდებოდნენ. მერე მთელი წელი საგულდაგულოდ ვუფრთხილდებოდით ვარდისფერ გრაგნილს, რომელიც ყველას სკოლის პირველ დღეს ახსენებდა. ანბანის შესწავლისას მის ქვეშ ხშირად ვმაღავდით გამოტრილ ასო-ბგერებს და როგორც

კი მინიშნებას გავახიანებდი, რომ ასეთი და ასეთი ასო-ბგერა იმალება ისეთ ადგილას, რომელიც სკოლის დაწყების პირველ დღეს გვახსენებს-მეთქი, მაშინვე ყიჟინით მიქროდნენ ჩვენი ძვირფასი რესურსისკენ.

## ნარწარებიანი ჩარჩო

ეს აქტივობა ვებპორტალზე – Pinterest.com – აღმოვაჩინე. როგორც კი საძიებო ველში ჩაწერთ „სკოლის პირველი დღის ჩარჩოს“, წაშში მრავალფეროვანი რესურსი დაიწყებს ეკრანზე ციმციმს. მერე თქვენს ფანტაზიასა და ინდივიდუალურ შტრიხებს მოარგებთ და მზად გექნებათ ძალიან სახალისო და დასამახსოვრებელი რესურსი. საინტერესო იქნება ასეთივე ჩარჩოს დამზადება წლის ბოლო დღისთვის. შედეგად კი გვექნება ფოტომასალა, რომელსაც სხვადასხვა მიზნით გამოვიყენებთ.

## შეკითხვების მოძრავი დაფა

აქტივობა მეხუთე კლასისთვის დავგეგმე. ერთმანეთი პირველად უნდა გაგვეცნო და ისეთი რამ უნდა მომეფიქრებინა, რაც თითოეულ მოსწავლესთან საუბრისა და მოსმენის საშუალებას მომცემდა. ვიყიდე ნატრისებური ფორმატი, მოვიფიქრე კითხვები (21 შეკითხვა, ზუსტად იმდენი, რამდენიც ვიყავით), სათითაოდ დავწერე ფერად ბარათებზე და ჭიკარტებით დავამაგრე. შემდეგ წარწერიანი ბარათები ბავშვებს დავურიგე. თითოეული მოსწავლე კითხულობდა კუთვნილ შეკითხვას, რომელსაც ჯერ მე ვპასუხობდი, შემდეგ კი -თვითონ. ჩანაფიქრი კი ის იყო, რომ ჩემს გულწრფელობას მათთვის სითამამე შეემატებინა. შედეგად ის მივიღე, რომ მთელი წელი იხსენებდნენ და დაუვიწყარ შთაბეჭდილებად გადაეცათ ჩვენი პირველი გაკვეთილი.

ჩემი მობილურის მახსოვრობა მოვექექე და იმ დღის კითხვები შენახული დამხვდა:

1. რაზე ოცნებობ?
2. რა გამოგდის კარგად?
3. რას აკეთებ თავისუფალ დროს?
4. სპორტის რომელი სახეობა მოგწონს?
5. რა განიტებს სიხარულს?

6. როდისმე მთაში თუ ყოფილხარ?
7. ხეებს თუ აკვირდები?
8. სად იმოგზურებდი?
9. ბოლოს რომელი წიგნი წაიკითხე?
10. რა გაინტერესებს ყველაზე მეტად?
11. რომელი ცხოველი გიყვარს?
12. როდის ტირი ხოლმე?
13. გაბრაზებისას როგორი ხარ?
14. მგზავრობა თუ გიყვარს?
15. ვინ არის ის ადამიანი, რომელსაც ბაძავ?
16. რომელი მომღერალი გიყვარს?
17. რომელია შენი საყვარელი მულტფილმი?
18. ვარსკვლავები თუ გიყვარს?
19. მზეს უყურებ ხოლმე?
20. ცაში ხშირად იხედები?
21. შენს თავს წიგნის რომელ პერსონაჟს შეადარებდი?

წარმოიდგინეთ, მცირე დროში ერთმანეთის შესახებ რამდენ რამეს ვიცობთ. შეგვიძლია, ეს აქტივობა წერით დავალებად გადავაქციოთ და კუთვნილი შეკითხვის წერილობით დაფიქსირებაც ვთხოვოთ.

წელს მეორე და მეექვსე კლასთან მაქვს დასაგეგმი პირველი გაკვეთილი. ვიცი, რომ ბავშვები მოუთმენლად ელიან. მეც დავეძებ იდეებს. ზუსტად ვიცი, რომ მათზე ფიქრის მცდელობაც კი არ ჩაივლის უკვალოდ.

## საწმელური ჩანთა სასკოლო ნივთებით

გადავწყვიტე, მოსწავლეების მსგავსად მეც მეზრუნა სასკოლო ნივთებზე და იმ ნივთებისთვის მომეყარა თავი, რომლებიც გაკვეთილის ჩატარებისას გვჭირდება. ამისთვის საგანგებოდ ვაპირებ საწმელური ჩანთის შეკერვას, რომელშიც მოვათავსებ ყველა საჭირო ნივთს, გაკვეთილზე შესვლის წინ წელზე მოვირგებ და დროს აღარ დავკარგავ გაფანტული ნივთების ძებნისას. თან პირადი მაგალითის გავლენით, იქნებ, შევამცირო სასკოლო ნივთების სახელში დარჩენის ფაქტი და მოსწავლეებიც მასწავლებლის მსგავსად საგულდაგულოდ მომზადებულები მოვიდნენ სკოლაში. დარწმუნებული ვარ, ბავშვებს

ძალიან მოეწონებათ სიახლე და ინტერესით დააკვირდებიან ჩემს ნივთებს.

ნივთების ჩამონათვალი კი ასეთი აღმოჩნდა:

- ფერადი ცარცები;
- კალმები;
- მარკერები;
- სტიკერები;
- ხის ჩხირები (გამოსაძახებელი ჩხირები);
- მაგნიტები;
- ქვიშის საათი;
- წამმზომი.

ცხადია, ნუსხა საჭიროებისამებრ შეიცვლება.

როგორც უკვე აღვნიშნე, ფიქრი სიახლეებზე, გაკვეთილის განხვავებულ ფორმატზე, უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. თავისუფლებიდან სასკოლო რუტინაში დაბრუნებულ ბავშვებს რაც უფრო მეტი სიახლისითა და სიახლით დავხვდებით, მით უფრო საინტერესო გახდება სწავლა-სწავლების პროცესიც.

მშვიდობიან და სიხარულით სავსე სასწავლო წელს გისურვებთ!



# ჩრდილების თეატრი – არაჩვეულებრივი სასწავლო რესურსი

საგაკვეთილო პროცესის ვიზუალური წარმოდგენა გაკვეთილის ნაბიჯ-ნაბიჯ დაგეგმვაში მეხმარება. მთავარია, გაკვეთილზე გატარებული დრო სახალისო იყოს, რაღაც ისეთი მოხდეს, რაც ბავშვს არასდროს დაავიწყდება, ისიამოვნებს და თან გარკვეული უნარ-ჩვევის გააქტიურებასაც შეძლებს.

ასეთი ფიქრის დროს დაიბადა ჩრდილების თეატრის იდეა, რომელსაც ახლა უკვე ხშირად მივმართავთ და სხვადასხვა მიზნით ვიყენებთ: გარკვეული თემის დასრულებისას, პერსონაჟთა ხასიათზე მუშაობისას, ეპიზოდების გასაცოცხლებლად თუ რომელიმე პოეტის ლექსების გასაცნობად.

ჩრდილების თეატრი პირველად უწერის სკოლაში გალაკტიონის დაბადების დღეს დავუკავშირეთ. ნაცრისფერყდიანი ლექსების კრებული გულისხმიერმა უცნობმა გვაჩუქა და ძალიან გვიყვარს. ხის თაროზე ისეთ ადგილას დავაბინავეთ, ოთახში შემოსვლისთანავე თვალში რომ მოგვხვდეს. თეატრისთვის მზადების პროცესი კი ასეთი იყო: ამოვარჩიეთ რამდენიმე ლექსი, ამოვწერეთ ყველა ლირიკული პერსონაჟი და სქელი მუყაოსგან ერთობლივად გამოვჭერით საათი, მთვარე, ყვავილები, ღაღლა, ალგები, ვერხვები, ხელები, ატმის ხე, მთები. თითოეულს გამოვავით სქელი ძაფი, ფანჯრები სახლიდან ჩამოტანილი პლედებით ჩამოვაბნელებთ, სურათის ჩარჩოს ბიამი გადავაკარით, მოვიმარაგეთ ხელის ფარნები, მაყურებლებისთვის შუაგულ ოთახში გრძელი სკამი დავდგით და სტუმრების მოსვლას დაველოდეთ.

წარმოდგენისთვის მუსიკა დიდხანს ვეძებე. მერე ვახტანგ ჯავახაძის „უცნობში“ ამოვიკითხე, რომ გალაკტიონი შუბერტსა და შუმანს უსმენდა ხოლმე. ამიტომ სწორედ ამ ორი კომპოზიტორის რამდენიმე სონატა შევარჩიეთ.

ლექსები სათითაოდ ამოვბეჭდეთ, ფარნების შუქი ჩარჩოს უკნიდან მივანათეთ. ერთი მოსწავლე ხმამაღლა კითხულობდა ლექსს, ორი მათგანი კი შესაბამის ლირიკულ გმირებს ჩარჩოს უკან ამოძრავებდა. მაყურებელი ხედავდა ჩრდილებს, კლასიკური მუსიკის ფონზე ისმენდა ლექსებს და ყოველივე ამით გალაკტიონის ირეალურ სამყაროს სულ ოდნავ მივუახლოვდით.

„დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს...“ – კითხულობენ, ამ დროს ჩარჩოს უკან თითებზე გამობმული მუყაოს ალვები ჩნდებიან, ნაჭრის აქეთ ჩრდილებად გადაიქცევიან და მაყურებლისთვის ივლისისფერი ყინვის წარმოდგენა თითქოს შესაძლებელი ხდება.

აქვე დავამატებ, რომ ბავშვებმა ლექსების ზეპირად თქმაც სცადეს. ხმამაღალი კითხვით შესაბამისი განწყობა უფრო მეტად იქმნება.

გალაკტიონის დაბადების დღეს ჩრდილების თეატრი ქალაქშიც გავიხსენე. როცა სოფლის სკოლაში იმდენი მოსწავლეა, რამდენიც ქალაქის სკოლის ერთ კლასში, შეიძლება, რომ პროცესის მართვა გართულდეს, თუმცა ორგანიზების სხვადასხვა ფორმის დახმარებით მთელი აქტივობა ორ გაკვეთილში ჩაეგდოს.

კლასი რამდენიმე ჯგუფად დავყავი, თითოეულს ორი ლექსი შეხვდა და როლები გადავანაწილე: ზოგს ლექსის წაკითხვა ერგო, ზოგს კი პერსონაჟების ჩრდილებად გადაქცევა, შემდეგ კი როლებს ცვლიდნენ. ხმამაღალი ფიქრის მეთოდით ნაბიჯ-ნაბიჯ ვაცნობ, რას და როგორ ვაკეთებ, ვიწყებ პერსონაჟისთვის შესაბამისი ფორმის დახატვას, ვუხსნი, ვაჩვენებ და შემდეგ ბავშვებს ვთხოვ ჩემი წამოწყებული საქმიანობის გაგრძელებას. თავდაპირველად ამბობენ, რომ არ გამოუვათ, რომ ხატვა არ იციან, ასეთ დროს მათი ყურადღების მისაპყრობად და შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევას საჭირო. მე კი არაფერს განსაკუთრებულს არ ვაკეთებ, გარდა იმისა, რომ მათ თვალწინ ტელეფონში ვხსნი საძიებო ველს, ვწერ სასურველი საგნის სახელს, მერე მათთან ერთად ვარჩევ შესაბამის ვარიანტს და სურათის მიხედვით შავ მუყაოზე სილუეტს ვხაზავ. ჩემ შემდეგ მათი ჯერი დგება, თავდაპირველად გაუბედავად იწყებენ ქმედებას, მერე, როცა ხვდებიან, რომ გამოსდით, თამამდებიან, ამ დროს მათი მართო დატოვების დრო დგება.

გამოტრილ სილუეტებს ძაფებს ამაგრებთ, მაგალითად, ვაჟას სილუეტი ინტერნეტში ნაპოვნ პოეტის ფაფახიან ფოტოსურათს ადვილად მივამსგავსეთ, ხოლო ილიას ჩრდილისთვის მისი ახალგაზრდობის ფოტო დავგვხმარა, რომელზეც შავი პალტოთი და ცილინდრით არის აღბეჭდილი.

ლექსები წინა დღით სახლში წაიღეს, რათა ხმამაღლა კითხვაში გაწაფულიყვნენ. წარმოდგენისთვის სკოლის კაფე შევარჩიეთ, მოვიწვიეთ სტუმრები და დაუვიწყარი შთაბეჭდილებები დავაგროვეთ.

როგორც მიხვდით, ჩრდილების თეატრისთვის წინასწარ მომზადება აუცილებელია. პირველ რიგში, ოთახის გარემოზე უნდა ვიზრუნოთ. შემდეგ მოვი-

ძიებთ ჩარჩოს, რომელზეც გადავაცრავთ თეთრ ნაჭერს ან კალკის ქაღალდს. სქელი შავი მუყაო, მაკრატელი და ძაფი პერსონაჟთა სილუეტების დასამზადებლად დავვჭირდება. კომპიუტერსა და ხმის გამაძლიერებლებს მუსიკისთვის მოვამზადებთ – ყოველივე ამას მოვარგებთ შესაბამის თემას და აქტივობებს გაკვეთილის ფაზების მიხედვით ავაწყობთ.

შესაძლოა, თავდაპირველად ყველაფერი იდეალურად არ გამოვიდეს, თუმცა, ჩემი აზრით, მთავარია, განსხვავებული გარემოს შექმნის მცდელობა და ახალი შთაბეჭდილებები, რაც ჩრდილების თეატრს მუდმივად თან ახლავს.

გალაკტიონის მერე მოვაწყვეთ „პერსონაჟების დღე“ ჩრდილების თეატრთან ერთად. „ბიჭი და ძაღლი“, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „მწვანეთითება ტისტუ“ – ამ მოთხრობების გმირები გავაცოცხლეთ და პარალელურად ბავშვებმა საყვარელი ეპიზოდები წაიკითხეს. ამჯერად მიზნად დავისახეთ ორი სიტყვის – პერსონაჟისა და ეპიზოდის – გააზრება.

ჩრდილების თეატრის გამოყენება შეიძლება ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფთან. არაჩვეულებრივი მეთოდია იმპროვიზირებული წარმოდგენებისთვის, რაც ხელს უწყობს ფანტაზიის, ლექსიკური მარაგისა და ზეპირმეტყველების განვითარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ მორცხვი და გაუბედავი მოსწავლეები იმდენად იჭრებიან როლში და იმდენად სიამოვნებთ თამაშის პროცესი, რომ თავდაჯერებულობა ემატებათ, რის გამოც სკოლა მათთვის კიდევ უფრო საყვარელი ადგილი ხდება.

# ლიტერატურული დღიური, როგორც სასწავლო აქტივობა

## როგორ დაიბადა იდეა

ბაფხულის არდადეგებზე mastsavlebeli.ge-ზე სტატიის სათაურმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ავტორი – ნინო ლომიძე – საინტერესოდ წერდა ლიტერატურული დღიურის შესახებ. ძირითად პრობლემად ასახელებდა იმას, რომ ბავშვებს ხშირად უჭირთ პერსონაჟების სახელების დამახსოვრება, სიუჟეტის გადმოცემა, სათაურის გააზრება, ლიტერატურული დღიური კი შესანიშნავი გზაა მკითხველისთვის სხვადასხვა დეტალზე ორიენტირებისა და თვითგანვითარებაზე დაკვირვებისთვისო. სტატიას დღიურისთვის დართული ჰქონდა გარკვეული ქარგა.

## ინდივიდუალიზმი

ლიტერატურული დღიურის იდეა ძალიან მომეწონა. გადავწყვიტე, სასწავლო პროცესის დაწყებისას სამოქმედო გეგმაში შემეტანა, როგორც ერთ-ერთი აქტივობა. წერილს კიდევ ერთხელ მივუბრუნდი, დავამუშავე და მიზნები ჩამოვწერე. სხვის იდეებს ცვლილებები და ინდივიდუალური შტრიხებით გამრავალფეროვნება უხდება, ამიტომ გადავწყვიტე რამე განსხვავებული მომეფიქრებინა.

## დღიურის ფორმა

იმავე ბაფხულს ნაჭრების უცნაურ დახლოთან მოვხვდი – გადავსებული იყო ჭრელი გობელენებითა და ფერადი ბარხატებით. ჩამოვდექი და ფიქრი დავიწყე, თუ რაში შეიძლებოდა გამომეყენებინა ისინი. მაშინ მომაფიქრდა, დღიურის ყდების ამ ნაჭრებით გაფორმება. შევარჩიე სხვადასხვა ფერის გობელენი და რაჭის გზას გამოვუყენე. ნაჭრები შემოვაცვით რვეულებს და მათაც მოიხდინეს საინტერესო იერ-სახე.

დღიურისთვის ჩვენეული ქარგა შევიმუშავეთ, რომელმაც საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

**ავტორი** – მოკლე ინფორმაცია მის შესახებ, მოვიძიოთ ავტორის სურათი;

**სათაური** – რატომ შეურჩია მწერალმა ამ ნაწარმოებს ეს სათაური; შევქმნათ ისეთი ნახატი, რომელიც სათაურს შეესაბამება;

**სიუჟეტი** – სიუჟეტი არის ძალიან მოკლე შინაარსი წიგნში განვითარებული მოვლენებისა; შევქმნათ ნახატი წიგნის სიუჟეტის მიხედვით;

**პერსონაჟები** – ამოვწეროთ მთავარი და არამთავარი პერსონაჟის სახელი და გვარი; დავახასიათოთ/აღვწეროთ/დავხატოთ თითოეული მათგანი; პარალელი გავავლოთ სხვა ლიტერატურული ნაწარმოებების მოქმედ გმირებთან (საერთო თვისებები, თავგადასავლები და ა. შ.)

**ეპოქა** – მოვიძიოთ ცნობები ნაწარმოების დაწერისა და მასში ასახული ეპოქის შესახებ;

**ქუჩები** – ამოვწეროთ ქუჩებისა და ქალაქების სახელები; შევეცადოთ ისინი ჩვენი ფანტაზიით დავხატოთ; მოვიძიოთ ფოტო მასალა ინტერნეტში, ამოვბეჭდოთ და ჩავაკრათ დღიურში;

**ჟანრი** – მოვიძიოთ ინფორმაცია, რომელი ჟანრისაა წიგნი;

**შენიშვნა:** დავიხმართოთ მასწავლებელი.

ეპიზოდი, რომელიც ყველაზე მეტად დამამახსოვრდა:

- მოკლედ აღვწეროთ მისი შინაარსი;
- დავწეროთ მიზეზი, რატომ შევარჩიეთ;
- შევქმნათ ნახატი ეპიზოდის მიხედვით;

**ფრაზები** – ამოვიწეროთ საინტერესო ფრაზები;

**წინადადებები** – ზოგჯერ გვხვდებიან ისეთი წინადადებები, რომლებიც ლექსების სტრიქონებს გვაცონებენ.

- ვეძებოთ ისინი და ამოვწეროთ;
- მათზე დავწეროთ თავისუფალი თემები;
- შევქმნათ ნახატები;

**რეცენზია** – მოკლე აღწერილობა წიგნის შესახებ;

**გაითვალისწინეთ:** რეცენზია არ უნდა შეიცავდეს ისეთ დეტალებს, რომ სხვამ წიგნის წაკითხვის ინტერესი დაკარგოს.

შთაბეჭდილებები და პარალელები საკუთარ ცხოვრებასთან, წიგნებთან, ფილმებთან, ადამიანებთან, მუსიკასთან:

- რომელი სხვა ნაწარმოები გაგახსენათ ამ წიგნმა?
- წელიწადის რა დროს კითხულობდით?
- სად და როდის კითხულობდით?
- რატომ გადაწყვიტეთ მისი წაკითხვა?
- ყველაზე მეტად რომელ ადამიანს გახსენებთ ეს წიგნი?

**რჩევა:** დღიურები შეგიძლიათ გააფორმოთ ფოთლებით, ყვავილებით, დაამზადოთ საინტერესო სანიშნეები, თქვენი კვალი დატოვოთ ფურცლებზე.

## პროცესი

როგორც ხდება ხოლმე, ნებისმიერი მეთოდისა და აქტივობის ასათვისებლად მოსწავლეებს გარკვეული დრო სჭირდებათ, ამიტომ თავდაპირველად მუდმივი ყურადღება და თვალისდევნების რეჟიმში მყავდნენ, რომ პატარ-პატარა სირთულეებს არ შეეშინებინათ და გული არ აცრუებოდათ.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყე ქმედება.

შევიკრიბეთ სკოლის მედიათეკის ოთახში, ქარგის თითოეული საფეხური განვიხილეთ, ამოვუბეჭდე განმარტებები და სახლში გავატანე, შემდეგ ეს ჭრელ-ჭრელი რვეულები დავურიგე და ერთად განვსაზღვრეთ რამდენი ფურცელი დასჭირდებოდა ავტორს, სათაურს, პერსონაჟებს, საყვარელ ეპი-

ზოდებს, ფერად ფურცლებზე დავაწერეთ შესაბამისი მნიშვნელობები და რვეულის კიდეზე კიბეებივით ჩამოვამწკრივეთ.

რადგანაც პედაგოგიკის წარმატებულობის უპირობო მიზეზი პირადი მაგალითია, ამიტომ მეც მათთან ერთად შევექმენი ჩემი დღიური. ასეთი ამბებით გამოწვეული სამზადისი, ფუსფუსი და ერთად ყოფნა ყველაზე სასიამოვნოა მასწავლებლისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც. პროცესი თავისთავად მოიცავს კეთებით სწავლებას, უვითარდებათ შემოქმედებითი და ლოგიკური უნარ-ჩვევები, არაფორმალური გარემო ამაღლებს მოტივაციას, ერთმანეთს ეხმარებიან და განსხვავებულ გარემოში ურთიერთობას სწავლობენ, უმაღლდებათ წიგნიერების დონე და, რაც მთავარია, სწავლობენ პრობლემების მართვას.

### კავშირი სასწავლო პროცესთან

ცარიელი დღიურები დავინაწილეთ და სახლებში გამოვამგზავრეთ, რომ კითხვის პარალელურად შეგვეცხო და ასე ნელ-ნელა მის ფურცლებზე დავაბინავეთ სხვადასხვა ავტორი, სათაური, პერსონაჟი, საყვარელი ეპიზოდი.

დღიურების ერთმანეთისთვის ჩვენება ლიტერატურულ კაფეში გადავწყვიტეთ, რომელსაც ჩვენს პატარა სკოლაში ყოველ ორ თვეში ერთხელ ვაწყობთ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად მოფიქრებული ქარგის მიუხედავად, დღიურს ერთნაირი ხალისითა და მონდობით აწარმოებდნენ მეორეკლასელი თეკლა თუ მეცხრეკლასელი თამუნა და გიორგი.

ყველაფერს ადვილად გაართვეს თავი, მაგრამ რეცენზიისა და ჟანრის გაგება-გააზრება გაუჭირდათ და აქილევსის ქუსლის სტატუსი მიანიჭეს.

არადა, ერთ-ერთი საინტერესოდ და სპონტანურად მოფიქრებული რეცენზიის გამო ახლაღა შემომეკითხა ბავშვობაში ვერწაკითხული გულივერის მოგზაურობა – იცით, რატომ უნდა წაიკითხოთ გულივერი? იმიტომ, რომ მიხვდეთ, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ზემოდან დაგყურებთ ჩვენ და ისეთი ადამიანებიც – რომლებიც ჩვენ დაგვყურებენ ზემოდანო, – მერვეკლასელმა თამუნამ საუბრისას მითხრა და ინტერესი გამიღვივა.

ორი თვე უკვე გავიდა და მეათედ ვიკრიბებით ლიტერატურულ კაფეში „მირამისი“. წიგნის წარდგინების ფორმად ისევ ლიტერატურული დღიური

ავირჩიეთ. ამჯერად პერსონაჟებისთვის განკუთვნილ გვერდებს ესტუმრებიან: ანე ფრანკი, ბიძია თომა, ჰოლდენ კოლფილდი, კაპიტანი ნემო, ჰარი პოტერი, ატიკუსი და ჭყიტა, რობიზონ კრუზო, ექიმი აიბოლიტი, ცქნაფი და ნინცო, ბიულერბიელი ბავშვები და კუნძულ სალტკროკას მცხოვრებლები...

ლიტერატურული დღიურების მიხედვით სლaid შოუს აწყობაც მოგვაფიქრდა, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებასა და სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას შეუწყობს ხელს.

### დასკვნითი აზგაცისთვის

ასე რომ, mastsavlebeli.ge ერთ-ერთი საინტერესო საგანმანათლებლო ვებპორტალია ინტერნეტ სივრცეში. ინსპირაციის წყაროდ ნებისმიერი სტატია შეიძლება გვექცეს, შემდეგ კი ჩვენი ინდივიდუალიზმით შევაზავებთ და სასწავლო პროცესს გავახალისებთ.



# პერსონაჟთა გალერეა

სკოლაში ერთი ოთახი გვაქვს – თანამედროვე მედიათეკობა დავაკისრეთ, მართალია, ურბანული სივრცისგან სრულიად განსხვავებულ ადგილსა და შენობაშია – ირგვლივ უზარმაზარი მთები აქვს შემორტყმული, ახლოს მდინარე რიონი მოდგაფუნობს, ფანჯრიდან ტყე მოჩანს, მთელი თავისი იდუმალი სამყაროთი, მაგრამ ეს ყოველივე სულაც არ უშლის ხელს, რომ თანამედროვე სტანდარტებს „ეხმიანებოდეს“.

შემოდგომაზე ერთ-ერთი ლიტერატურული კაფესთვის ვემზადებოდით. ეს არის დრო, როცა ჩვენი გონება მაქსიმალური დაძაბვით მუშაობს და სიახლეებზე ფიქრობს. მაშინ მომაფიქრდა, დაგვეხატა პერსონაჟები და ჭერში ჩამოგვეკიდა. როგორც კი ეს მშვენიერი იდეა მოფრიალდა, მაშინვე გაუუმხილე ჩემს არაჩვეულებრივ მოსწავლეებს და სამოქმედო გეგმაც გაჩნდა:

1. პერსონაჟების ამორჩევა;
2. მათი დახატვა;
3. ფორმა, რომელზეც გაცოცხლებულ ლიტერატურულ მეგობრებს დავხატავდით;
4. ფერადი ძაფები;
5. საღებავები;
6. კიბე.

ჩემი სამწლიანი მასწავლებლობის შედეგად ყველაზე დიდ მიღწევად მიმაჩნია ის, რომ პატარა ადამიანებმა პრობლემების მართვა ისწავლეს. არ არსებობს დაბრკოლება, რომელიც ხელს შეგვიშლის, რადგან წამოიჭრება თუ არა ის, მაშინვე მისი გადაჭრის გზებზე ვიწყებთ ფიქრს. ეს პროცესი კიდე უფრო საინტერესოა ქალაქისგან მოშორებულ ადგილას, სადაც ყველაფერი ძნელად იშოვება.

პერსონაჟთა გაღერებამ კიდევ იმაში დამარწმუნა, რომ პასუხისმგებლობების გადაცემის ეტაპმა წარმატებით მიაღწია განვითარების მწვერვალს. ადრე თუ ყველაფერი ჩემი გასაკეთებელი იყო, ახლა ასე აღარაა – პატარა მითითებები საკმარისია, რომ ბავშვებმა თვითონ გაართვან თავი საკმაოდ რთულ პროცესებს.

ერთი სიტყვით, დავსახეთ თუ არა გეგმა, მოქმედების დრო დადგა. პერსონაჟთა შერჩევა მათ მივანდე, შეიკრიბნენ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები და მალევე მომირბენინეს სია, რომელიც ასე გამოიყურება:

- ჯენი ეარი;
- ჰარი, რონი და ჰერმიონი;
- ელისი საოცრებათა ქვეყნიდან;
- მაღალა იუსაფზაი;
- ლოტა აურზაურის ქუჩიდან;
- ჯერუშა და გრძელფეხება მამილო;
- ბიძია თომა;
- პატარა პრინცი;
- ჰოლდენ კოლფილდი;
- მეფე მათიუში;
- ოლივერ ტვისტი;
- ზურიკელა, ილიკო და ილარიონი;
- ბიულერბიელი ბავშვები.

საყოველთაოდ აღიარებული ხომ არის ის ფაქტი, რომ მასწავლებლებმა უნდა იარონ სპექტაკლებზე, გამოფენებზე, იკითხონ წიგნები, ერთი სიტყვით, საკუთარ თავზე თუ არ იმუშავე და თუ არ აგროვე შთაბეჭდილებები, რთულდება სწავლების ამბავიო, მე კი დავამატებდი იმას, რომ მასწავლებლებისთვის არაჩვეულებრივი შთაგონების წყაროა ბაზრობები, სადაც ათასნაირი და სხვადასხვა სახეობის ნივთი იყიდება, მაგალითად, ნაჭრებით, ძაფებით, თმისამაგრებით, შპალიერებით, ლურსმნებით, ღილებით, ჭიქებით, ნამცხვრის საცხობი ფორმებით აჭრელებულ დახლებში ბოდიალისას იდეები დაფრინავენ. მთავარია, რაღაცის შექმნისა და გამოგონების სურვილი წაიყოლო თან, დანარჩენი თავისით მოხდება.

ქალაქ ონში ერთი სამეურნეო საქონლის მაღაზიაა. შევდგამ თუ არა ფეხს ათასი წვრილმანითა და ლითონის სუნით გაჯერებულ ოთახში, გამოსვლა აღარ მინდა ხოლმე. იქ ვყიდულობ შპალიერის უკან გასაკრავ ქალაღდს. აქვე აღმოვაჩინე ბაწარი, რომელსაც თბილისში ვერაფრით მივაგენი. ამ ბაწარს სოფელში ბოჩოლების დასაბმელად იყენებენ, ჩვენ კი ინტერიერის გასაფორმებლად ამოვიჩემეთ.

ასე რომ, ონიდან ამოქროლებული ქალაღდის თოფები დავტყერით შესაბამის ზომებად, სიმყარისთვის რამდენიმე ფენა დავაწებეთ, ფერადი ძაფი გავუყარეთ და ხატვის დროც დადგა. არც ეს არის რთული, ზოგი პერსონაჟი წიგნის ყდიდან გადმოვხატეთ, ზოგი კი ინტერნეტში მოვძებნეთ. ხატვას რაც შეეხება, პირადი მაგალითის მომწესხველი ძაღის ამღიარებელი მასწავლებელი თავდაპირველად თვითონ შევეჭიდე პერსონაჟების ილუსტრირებას, მაგრამ ბოლომდე არ დამასრულებინეს, პროცესის წარმმართველებად მოსწავლეები გადაიქცნენ და ზოგმა ერთად, ზოგმა კი ინდივიდუალურად დაიწყო ხატვა. მეორეკლასელი თეკლადან დაწყებული, მეათეკლასელი ნინოს (ციყვინას) ჩათვლით, ყველამ შეიტანა თავისი წვლილი ამ პროცესში და ასე დაიბადნენ ჩვენი საყვარელი ლიტერატურული მეგობრები, რომელთაც წამსვე ლუმელის ქვეშ მივუჩინდით ხოლმე ბინას გამოსაშუშებლად და გამოსაშრობად.

ამის მერე დადგა დრო მხიარულებისა. სკოლის ალუმინის კიბე ამოვიტანეთ, დახმარება ბიჭებს ვთხოვეთ და მედიათეკის ოთახში ჩვეული ქაოსი შეიქმნა – არეულობის, რჩევების კითხვისა და მიღების, შეკითხვების, წვრილმანებით გახარების, მოლოდინის და სიცილის, ანუ ჩვენი საყვარელი დრო.

თავდაპირველად ფერადი ძაფების ტყერი ჩამოვკიდეთ, მერე პერსონაჟები ჩამოვამწკრივეთ და სხვადასხვა ქვეყნისა და დროის ადამიანებს ერთმანეთის მეზობლობა დავაკისრეთ.

ბოლოს დავდექით მათ წინ და ყურებით ვერ ვძლებოდით, ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის, კიდევ უფრო სასიხარულო იყო იმის გამო, რომ იდეა ხალისით აიტაცეს და ამასთანავე დამოუკიდებლად განახორციელეს. ჩავთვალეთ, რომ სიტყვა „დამოუკიდებლობა“ გასულიერებული დალივლივებდა ჩემსა და პერსონაჟებს შორის, თან თვალს მიკრავდა და პატარა ადამიანებზე მიმანიშნებდა.

გარდა იმისა, რომ პერსონაჟთა გალერეამ ოთახი გააღამაზა, შესვლის-

თანავე ლიტერატურულ სამყაროში მოგზაურობისთვის განაწყობს ყველას, გვიანი შემოდგომის დღეები დაუვიწყრად აქცია, ამასთანავე, არ მასვენებდა სურვილი, რომ ბავშვების ხელით გაკეთებული რესურსისთვის ჭერში ყოფნის გარდა სხვა რამეც მომეფიქრებინა, გამეაქტიურებინა, გამეცოცხლებინა და ამ სურვილმა სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვა გადამაწყვეტინა, ძალიან ბევრი ვიფიქრე, რჩევებისთვის მეგობრები შევაწუხე, საბოლოოდ, გეგმამ საინტერესო სახე მიიღო და დაუვიწყარი გაკვეთილიც გამოგვივიდა.

# არაფრით სავსე ჩანთა

სოფლის პატარა სკოლაში ყოველდღიურად ათამდე მოსწავლეს ვასწავლიდი, თუმცა თითქმის ყველა მოსწავლესთან ვურთიერთობდი სხვადასხვა პროექტისა და აქტივობის დროს. სამწლიანმა პრაქტიკამ უზარმაზარი გამოცდილება შემძინა, საკუთარი შესაძლებლობები აღმომაჩენინა. სურვილსა და მოქმედებას სოფლის მონოტონური რიტმი, ბევრი თავისუფალი დრო და მოსწავლეთა მცირე რაოდენობა დაერთო, ყოველივე ამან კი მე და ჩემს მოსწავლეებს ნაყოფიერი სამი წელი გვაჩუქა.

ახლა ქალაქის ერთ-ერთ კერძო სკოლაში ვმუშაობ. ყოველდღიურად სამოცამდე ბავშვს ვასწავლი, რაც საკმაოდ რთული გამოწვევა აღმოჩნდა, თუმცა ნელ-ნელა სიყვარული მოვიდა და პროფესიული თვითკმაყოფილებაც დამიბრუნდა.

ქალაქელ ბავშვებს რაჭველებზე ვუამბობ, რაჭველებს კი წერილებს ვწერ და ქალაქელებს ვაცნობ. ასე ვქსოვ ურთიერთობებს და თბილისელმა გოგობიჭებმა რაჭაში გამგზავრების სურვილი რომ გამოთქვეს, უზომოდ გამიხარდა. ლიტერატურული პროცესები არც უწერაში შეწყვეტილა და ახალ გარემოშიც ნელ-ნელა იკიდებს ფეხს. ბავშვების აქტიურ მკითხველებად გადაქცევამდე დიდი და რთული გზაა. პირველ ნაბიჯად ხმამაღალი კითხვა და მორის დრიუნის „მწვანეთითება ტისტუ“ ავირჩიე, პარალელურად ვგეგმავ როლურ თამაშებს. ვმუშაობთ მრავალი კუთხით. აღსანიშნავია ისიც, რომ მეხუთეკლასელების ცხოვრებაში პირველად ჩნდება ქულები და დიდი სიფრთხილეა საჭირო განმსაზღვრელი შეფასების რთულ სამყაროში გზის გასაკვლევად. ასტრიდის დაბადების დღეც გვიახლოვდება, მერე გალაკტიონის ლექსებს წავიკითხავთ კლასიკური მუსიკის ფონზე და სილუეტურ თეატრს გავცნობით. ამასობაში პირველი ლიტერატურული კაფეს დროც მოვა.

საინტერესო გაკვეთილისთვის იდეა ლურჯ ავტობუსში დაიბადა. ოქტომბრის მზიან შაბათ დღეს ლექციაზე მივდიოდი, გზაში მეგობრის რჩევით წიგნს „თევზი ხეზე“ ვკითხულობდი. წიგნის მთავარ გმირს, ელის, დისლექსია აქვს,

რის გამოც მისი ყოველდღიურობა სკოლაში მხოლოდ პრობლემებსა და ტკივილს უკავშირდება. მერე ელის ცხოვრებაში ახალი მასწავლებელი – მისტერ დენიელსი ჩნდება და ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება. ერთ-ერთ ეპიზოდზე ცრემლები ვერ შევიკავე და როცა მივხვდი, სად ვიყავი: ხალხით სავსე ავტობუსში, გვერდით ჩემი რვა წლის გოგო მეჯდა, ხელში ტრელებიანი წიგნი მეკავა და წიგნის სიუჟეტით მთელი არსებით მოცულს არაადეკვატური სახე მამხელდა, – საკუთარ თავზე გამეცინა, მერე სურვილი გამიჩნდა, მისტერ დენიელსი მსგავსად, მეც დამევალებინა მეხუთეკლასელებისთვის საყვარელი ნივთების მოტანა, რათა ჩვენც უკეთესად გაგვეცნო ერთმანეთი. მცირეოდენი მასწავლებლური გამოცდილება საკმარისი აღმოჩნდა, რათა ვირტუალურად წარმომედგინა მოვლენების სავარაუდო განვითარება და ასე დაიგეგმა ქალაქის ტრანსპორტში მეორე დღის გაკვეთილი.

### პირადი მაგალითი

შემიმჩნევია, როცა მოსწავლეებთან ერთად თავადაც ვაკეთებ იმას, რასაც მათ ვავალებ, საოცარ შედეგს ვიღებ, ამიტომ გადავწყვიტე, მეც გამეცნო მათთვის საყვარელი ნივთი. ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, სკოლაში წასაღებად ჩემი პატარა გოგოს ნაჭრის თოჯინა შევარჩიე. ერთი ქართული საწარმოა – „სოკომორო“, ბავშვების ნახატებს აცოცხლებენ, თეკლას მერვე დაბადების დღის აღნიშვნა უჩემოდ მოუწია, საჩუქრად თბილისიდან რაჭაში გავუგზავნე „სოკომოროს“ მიერ გაცოცხლებული თავისივე ნახატი. რამდენიმე თვის წინ სახლის ფარდაზე მე დამხატა. სწორედ ეს ნახატი „გავაცოცხლეთ“ და ფიზიკურად ვერ, მაგრამ წარმოსახვით შექმნილი დედა ესტუმრა პატარა გოგოს ნაძვების სამყაროში. ამ ყოველივეს მეხუთეკლასელებს ვუამბობ, ნივთებისადმი დამოკიდებულებასა და პირადი ამბების მოგროვებაზე ვსაუბრობთ, მერე „თევზს ხეზე“ ვაცნობ და მეცხრე თავს, სახელად „არაფრით სავსე ჩანთას“, ვუკითხავ.

„– მე მჯერა, რომ ის, რასაც რიცხვებით განვსაზღვრავთ, შესაძლოა, სულაც არ იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი. ვერ გაზომავ იმას, რაც ადამიანებს ადამიანებად აქცევს“, – ეუბნება მისტერ დენიელსი ერთ-ერთ მოსწავლეს. აბა, როგორია?! შეუძლებელია, არ დაეთანხმო. ეს თავი ელის სიტყვებით მთავრდება, მას (მისტერ დენიელსს), მგონი, ჩემი განსხვავებულობაც მოსწონსო.

ათი წლის ადამიანებს ვეუბნები, რომ მათი განსხვავებულობა ჩემთვისაც ძალიან საინტერესოა, კიდევ ერთხელ ვუმეორებ დავალების ინსტრუქციას და

ერთმანეთს ვემშვიდობებით. არ ვიცი, რა მელის მეორე დღეს, რა და როგორ მივიდა მათ გულუბამდე.

### ბუცები, ცეკვის ჩუსტები, საყვარელი ძაღლის სურათი

საყვარელ ნივთებზე სასაუბროდ პრეზენტაციის ფორმა ავირჩიეთ, ერთად შევიმუშავეთ შეფასების კრიტერიუმები, განვსაზღვრეთ დრო და აქტიურ მსმენელად გადავიქციე.

გაკვეთილი ძალიან ემოციური გამოვიდა. რა აღარ მოიტანეს: ბუცები, წიგნები, ცეკვის ჩუსტები, თოჯინები, სიგელები, სოფლის სახლის ჭიშკრის გასაღები, საყვარელი ძაღლის სურათები, ერთცენტიანი, დაბადების დღის მისალოცი ბარათები. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ორმოცი ზომის ბოტასები და სანდროს განმარტება, კალათბურთელობაზე ვოცნებობ, ერთხელ ცნობილი კალათბურთელი მესტუმრა სახლში, რომელი ფირმის ბოტასებიც მირჩია, მაღაზიაში მხოლოდ სამი ზომით დიდი დამხვდა, მაინც ვიყიდე, თავიდან ფეხი მისრიალებდა, მაგრამ მაინც გაუხდელად მეცვაო.

მერე ბეპირად მოყოლილი ამბები დაწერეს, ერთმანეთი შეაფასეს, უკვირდათ და უხაროდათ, როგორ აღმოაჩინეს კლასელებში მოცეკვავეები, ფეხბურთელები, კარატეს მოყვარულები, მკითხველები.

პირადად ჩემთვის გაკვეთილი მაშინ შედგა, როცა საკლასო ოთახში დადებითი ემოციების მოზღვაება ვიგრძენი და გაკვეთილის ბოლოს დაფასთან ჩამწკრივებული ნივთებისთვის სურათების გადაღების ნებართვა მთხოვეს. რალაც დროის მერე მეკითხებოდნენ, კიდევ ჩაუტარდებოდათ თუ არა „ასეთი“ გაკვეთილი. ვეთანხმები ბავშვებს, დროდადრო საგაკვეთილო პროცესის მსგავსი როლური თამაშებით გახალისება სასკოლო რუტინას ამრავალფეროვნებს.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე მინდა ყურადღების გამახვილება. კერძოდ, ის, რომ მცირერიცხოვან საკლასო ოთახში სწავლა-სწავლება მეტად ეფექტურია, ვიდრე – მრავალრიცხოვანში, რადგან ქალაქის აჩქარებულ რიტმში დრო არ რჩება მოსწავლე-მასწავლებელს პირადი ურთიერთობისთვის. არადა, სკოლის უმთავრესი დანიშნულება სწორედ რომ ჯანსაღ დამოკიდებულებებსა და ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა მგონია, ინდივიდუალური მიდგომა და მოსწავლის ინტერესების გაცნობა ათბობს სიტუაციას და როცა ამგვარი დადებითი განცდებითაა გაჯერებული მათი სასწავლო ცხოვრე-

ბა, სკოლის შესაყვარებლად განსაკუთრებული მიზეზი უნდებათ. ჩემ მიერ აღწერილმა აქტივობამ კი საშუალება მოგვცა უფრო ახლოს გაგვეცნო და შეგვეყვარებინა ერთმანეთი, სიამოვნებასთან ერთად შევეჭიდეთ საპრეზენტაციო უნარ-ჩვევებზე ფიქრს, დროის მართვას, შეფასების კრიტერიუმებზე მუშაობას, განმავითარებელი კომენტარების წერასა და ურთიერთშეფასებას.

ძალიან მინდა, საყვარელი ნივთების შესახებ ჩატარებული გაკვეთილის მერე თითოეულმა მოსწავლემ ელის მსგავსად იფიქროს, მგონი, ლელა მასწავლებელს ჩემი განსხვავებულობა მოსწონსო.



# მედიათეკის როლი სკოლაში

მედიათეკა მულტიმედიური ბიბლიოთეკაა, რომელიც გვთავაზობს სხვადასხვა სახის მომსახურებას: უახლეს წიგნებს, წვდომას ელექტრონულ-სებთან, სამუშაო სივრცეს, ხელსაყრელ ინფრასტრუქტურას შეხვედრებისთვის, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

მედიათეკასთან ჩემი პირველი შეხება სამი წლის წინ უწერიდან თბილისის წიგნის ფესტივალისთვის მოსწავლეების წამოყვანას უკავშირდება. ფესტივალის პარალელურად ვათვალიერებდით ქალაქს, მოვინახულეთ მუზეუმები, მთაწმინდის პანთეონი, ძველი თბილისის ქუჩები. ეროვნულ ბიბლიოთეკაში სტუმრობისას ვესტუმრეთ ფრანგულ მედიათეკას. თანამედროვე ინფრასტრუქტურამ, ფერადმა წიგნებმა, ძველმა ვინილებმა, საბავშვო ოთახმა იმდენად მოგვხიბლა, რომ სურვილი გამიჩნდა მსგავსი სივრცე ჩვენს სკოლაშიც მოგვეწყო. ყველაზე მეტად კი მედიათეკაში არსებულმა არაფორმალურმა გარემომ გამიღვივა მოქმედების სურვილი.

სოფელში დაბრუნდით და თან ჩამოვიტანეთ ას ორმოცდაათამდე ძველი თუ ახალი წიგნი. მერე სკოლის დირექტორს – ქალბატონ ნაილის – გავუზიარე იდეა და მანაც სიხარულით აიტაცა. გამოგვიძებნა თავისუფალი ოთახი, მოგვცა საჭირო ინვენტარი და ბიბლიოთეკიდან ახალნაყიდი რამდენიმე თაროც დაგვითმო. ხმაურით მოვფინეთ ნაჩუქარი წიგნები მაგიდებზე, თაროებზე დავაბინავეთ და ჩვენი მცირედი ქონება რვეულის რამდენიმე ფურცელზე დავტეთეთ. ასე სპონტანურად დაიწყო ამბავი სკოლის მედიათეკისა, რომელსაც ბავშვებმა „ჯადოსნური სამყაროს ოთახი“ უწოდეს.

თავდაპირველად ოთახი ცარიელი და უღიმღამო იყო. გადავწყვიტე, ნელ-ნელა იქაურობა ისეთ სივრცედ მექცია, სადაც მოსწავლეებს ყოფნა გაუხარდებოდათ, სადაც მოვაწყობდით ლიტერატურულ კაფეებს, ჩავატარებდით სამოდელო გაკვეთილებს, ერთმანეთს ხმამაღლა წავუკითხავდით წიგნებს, დავგეგმავდით სპექტაკლებს, გავივლიდით რეპეტიციებს, აღვნიშნავდით მწერლების დაბადების დღეებს, ვუმასპინძლებდით სტუმრებს, მოვუსმენდით სხვადასხვა ჟანრის მუსიკას.

რაც მთავარია, ოთახის მოწყობაში ბავშვებს უნდა მიეღოთ აქტიური მონაწილეობა. მართლაც, არა მხოლოდ დირექტორი, მასწავლებლები და მოსწავლეები, არამედ მშობლებიც კი ავიყოლიეთ. მოსწავლის მამამ ფიცრები გვაჩუქა, რომლებიც სკოლის წითელი მოფახფახებული ავტობუსით მოვაქროლეთ. ჩემმა მეგობრებმა ხის ღია კარადა აგვიწყვეს წიგნებისთვის, მეთორმეტეკლასელმა ბიჭებმა კი ოთახშივე დაამზადეს მაგიდა, სკამები, ტანსაცმლის საკიდი, საპრეზენტაციო სკამი. მერე ოთახი ნელ-ნელა აივსო და გაფერადდა რესურსებითა და საჩუქრებით. ახლა კი რას არ ნახავთ აქ: ერთგან გოდერძი ჩოხელის მოთხრობებისთვის დამზადებული ნაჭრის პოსტერი გვიკიდია; კარზე ორიგამის ხელნაკეთი ნივთია ჩამოკონწიალებული, ზამთრის ერთ დღეს გაღმა სოფლიდან სტუმრად მოსულმა გოგომ რომ მოგვითანა; ხის ყუთში წიგნების მიხედვით დამზადებული პრეზენტაციები მოვათავსეთ და კუთხეში მივუჩინეთ ბინა; საკიდზე ჰალსტუხები და ხის წკეპლებზე დამაგრებული ჭრელი ბადეები ჩამოგვიდეთ, რომლებზეც ეპიზოდები და ახალი სიტყვები გვახსენებენ წაკითხულ წიგნებს, საპრეზენტაციო სკამის უკანა კედელზე ბავშვებმა ფერადი ცარცით პლანეტები მიახატეს, მზის სხივებზე წიგნების სათაურები დაწერეს და უსასრულობის კედელი უწოდეს. აქვეა გოდერძი ჩოხელის საექტაკლისთვის შეკერილი მთვარე და თევზები; დარდების შემგოვებლის გუდა, რომელშიც ძველი სცენარები დავაბინავეთ. მეორე მსოფლიო ომში გამოვლილი ძველებური ჩემოდანი ჯერ ხომ წიგნის ფესტივალზე ვამოგზაურეთ, მერე ოთახში გამოვკეტეთ და შიგნით სხვადასხვა ნივთი ჩავალაგეთ: განსაკუთრებულ ყურადღებას შავი ბუმბულები იქცევს, უფროსკლასელმა პაატამ რიონის პირას ნაპოვნ მკვდარ ჩიტს დააცალა და საექტაკლზე რეკვიზიტად – კალმად – გამოვიყენეთ. კედელზე გაბმულ თოკზე ერთად შეკერილ-მოხატული ხელნაკეთი ნაჭრის თოჯინები გვიკიდია; ოთახის ფანჯრებზე ლიტერატურული პერსონაჟები გავაცოცხლეთ, რომელთაც დროდადრო ვცვლით; ჭერში პერსონაჟთა გაღერება მოვიწყვეთ – თავზე დაგვყურებენ კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურიდან გაცოცხლებული ქართველი და უცხოელი გმირები. ზამთარში ოთახს შეშის ღუმლით ვათბობთ, რომელზეც ცაცხვის ჩაის ვიდუღებთ, ლიტერატურულ კაფეებში კი გლინტეინს ვათუხთუხებთ. კარს შემოაღებთ თუ არა, იგრძნობთ კვამლის, ხისა და წიგნების სუნს, რომელსაც სტუმრად მოსულმა ბავშვობის მეგობარმა თავისუფლების სურნელი უწოდა.

მედიათეკის ოთახის ყველაზე მთავარი დანიშნულება მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებაა. ყოველდღიურად წიგნებთან თავისუფალი ურ-

თიერთობის შესაძლებლობამ ბავშვებს შემეცნებითი თვალსაწიერი გაუფართოვა და ახლა თითოეულმა მათგანმა – მკითხველმა თუ არამკითხველმა – თითქმის ზეპირად იცის, რომელ თაროზე რა წიგნი დევს, თავისუფლად ცნობენ ავტორებსა და სათაურებს.

ჩვენი ჯადოსნური სამყაროს ოთახი სამი წლის ხდება და მინდა გითხრათ, რომ არცერთი ნივთი არ დაკარგულა. ყოველი წიგნის თავგადასავალი იციან: ვინ და როდის გვაჩუქა, ვის აქვს წაკითხული ან ვის რომელი აქვს წაღებული. ოთახის გასაღები მეცხრეკლასელ გოგოებს აქვთ და მათ ევალებათ გაღება-დაკეტვა. დროდადრო ყველა ერთად ალაგებს, უვლის, ზრუნავს, ხელნაკეთ ნივთებს ამზადებს. ზაფხულში მთის ყვავილებს აგროვებენ და ახმობენ ხელნაკეთ მაგიდაზე დადებულ შუშაში გამოსამზეურებლად ან წიგნის ფურცლებში ჩასატოვებლად.

ჩვენი პატარა სკოლის მედიათეკის ქონება ხუთასამდე წიგნს ითვლის, თითოეულს თავისი თავგადასავალი აქვს. მათ ჩვენამდე მოსასვლელად ნაქერალას უღელტეხილის გადმოვლა მოუხდათ. წიგნები გვაჩუქეს გამოცემლებმა, მთარგმნელებმა, მწერლებმა, უცნობებმა, ჩემმა ჯგუფელებმა, უფროსმა მეგობრებმა. გასულ შემოდგომას პროექტი „ეკვილიბრიუმი“ გვესტუმრა და თაროები კიდევ უფრო აფერადდნენ და გადაივსნენ ახალი წიგნებით.

მედიათეკის ოთახი ჩემი მასწავლებლური პრაქტიკისთვის დაუშრეტელი იდეების წყაროა. აქ დატრიალებული ამბები და წიგნიერების განვითარებისთვის გამიზნული აქტივობები მიგროვებს დიდ გამოცდილებას, რომელსაც ვარგებ პრაქტიკის კვლევას, სტატიის შინაარსსა თუ კონფერენციის თემას. ოთახში განთავსებული რესურსები კი საინტერესო აქტივობების გამოგონებაში მეხმარებიან.

ხშირად ვფიქრობ, თუ რა არის მიზეზი იმისა, რომ ინტერესი ამ ოთახისადმი არ იკლებს და რატომ უყვართ ბავშვებს ასე განსაკუთრებულად. პირველ რიგში, ალბათ, ეს არის ნდობასა და თავისუფლებაზე აგებული ურთიერთობის ხელშემწყობი წიგნიერი გარემო, სადაც სკოლის ერთფეროვნებიდან არაფორმალურ გარემოში ხვდებიან ბავშვები, საუბრობენ, ათვალიერებენ და კითხულობენ წიგნებს, ერთმანეთს უსმენენ, ირგვლივ კი საკუთარი ხელით შექმნილი ნივთები ახვევიათ. ნაჩუქარი წიგნები პირად მაგალითად ციმციმებენ და ახლა თვითონ მიგზავნიან წიგნებს სოფლიდან ქალაქში, თვითონ ზრუნავენ ოთახზე, ალაგებენ, აკვირდებიან, უფროხილდებიან, პასუხისმგებ-

ლობით ეკიდებიან ყველაფერს, რაც თავისთავად ბავშვებში კმაყოფილების განცდას ბადებს.

ახლა, როცა რამდენიმე თვეა მათთან ერთად აღარ ვარ, „ჯადოსნური სამყაროს ოთახის“ კარი მაინც ყოველდღე იღება, სკოლის დირექტორი მეუბნება, რომ ის ისევ აქტიურად მოქმედებს და პერიოდულად ლიტერატურულ დღესასწაულებსაც მასპინძლობს.

სოფლის პატარა სკოლაში, სადაც სულ 21 მოსწავლეა, ადვილია მედიათეკის მსგავსი სივრცის მოწყობა, რისი განხორციელებაც ქალაქის მრავალრიცხოვან სკოლაში, რა თქმა უნდა, გაჭირდება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ყველა სკოლაში მოიძებნება ერთი ცარიელი ოთახი, რომლის გასულიერება მოსწავლე-მასწავლებლების ძალისხმევით მეტ სიხარულს შეიტანს სასკოლო ცხოვრების რუტინაში. გარკვეული მექანიზმების გამოგონებით, მართვაც შესაძლებელი გახდება და ნდობის გაღვივებითა და პასუხისმგებლობის დაკისრებით უფრო რეალიზებულად იგრძნობენ თავს მოზარდები.

რამდენიმე რჩევა ჩვენი პატარა გამოცდილებიდან: დაისახეთ მიზანი და გააცანით ის სკოლის ადმინისტრაციას, გაუზიარეთ მოსწავლეებს, გადაანაწილეთ პასუხისმგებლობები – ზოგი ხელმარჯვეა, ზოგი კარგად ხატავს, ზოგს კარგი ორგანიზების უნარი აქვს. შემოიკრიბეთ ირგვლივ მოხალისეები, დააკისრეთ ვალდებულებები. ოთახის წიგნებით შესავსებად სოციალურ ქსელში წამოიწყეთ საქველმოქმედო აქცია და შედეგი ნამდვილად გაგაკვირვებთ. თავდაპირველად თქვენ თავად მოგიწევთ ყველაფრის კეთება, თანდათან კი ფასილიტატორობას მოსწავლეები გადაიბარებენ. ყოველდღიური ზრუნვა დადებით ენერგეტიკას შესძენს ოთახს და ნელ-ნელა დაგიგროვდებათ თქვენი პირადი ამბები, რომლებსაც შეიძლება ბლოგის შექმნა მოჰყვეს. რაც მთავარია, დროდადრო აუცილებელია ინტერიერის განახლება და მისი გამრავალფეროვნება.

ქალაქში დაბრუნებულმა სწავლა მაგისტრატურაში განვაგრძე. როცა ლექციებს შორის თავისუფალი დრო მაქვს, ვაკის მედიათეკას ვაკითხავ. შენობის თანამედროვე ინფრასტრუქტურა მიმზიდველია. ადგილ-ადგილ ამოჭრილი ტერიდან ცამდე აწვდილ ხეებსა და ცას ვხედავ. შუშის კედლების წინ გამჭვირვალე სამყაროა – საბავშვო ატრაქციონებით, ასწლოვანი ხეებითა და პარკში მოსეირნე ადამიანებით. მედიათეკის შიდა სივრცე დაყოფილია სხვადასხვა დანიშნულების მიხედვით. მიყვარს თვალთვალი, როგორ მეცადინეობენ სტუდენტები, მათ მეტაკოგნიტურ უნარ-ჩვევებზე დაკვირვებაც ჩვევად მექცა. ღია

კაფეში ვსადილობ, ყავას ვსვამ და ფოთლების, მზისა და წვიმის სურნელით ვტკბები. უნებურად ვისმენ ერთად შეკრებილი მეგობრების საუბარს, ჰიჩკოკის ერთ-ერთი ფილმის შესახებ იმდენს საუბრობენ, რომ სახლში დაბრუნებული ვეძებ და ვუყურებ. აქედან ვწერ წერილებს რაჭველ მოსწავლეებს და ვუამბობ ახალი სკოლის, მოსწავლეების, სტუდენტობისა და წიგნების შესახებ. ვუყვები, როგორია ნამდვილი მედიათეკა, სადაც სკოლის დამთავრების შემდეგ მინდა, რომ მათი სტუდენტური ცხოვრება გაგრძელდეს.

როცა ქალაქში მსტუმრობენ, აუცილებლად მიმყავს და ვათვალიერებინებ ვაკის მედიათეკას. ისინიც „ჯადოსნური სამყაროს ოთახის“ შემდეგ ადვილად ერგებიან ახალ გარემოს, წიგნების თაროებს შორის თვალეზაციმციმებული იწყებენ სიარულს და საყვარელი ავტორებისა და სათაურების ძებნას. რამდენიმე კვირის წინ ვაკის მედიათეკაში მეცხრეკლასელი გოგო წავიყვანე და თამაში წამოვიწყეთ, რაც შეიძლება მეტი ნაცნობი წიგნი უნდა ეპოვნა. მე კი უკან დავევებოდი ჩემი წითელყდიანი დღიურითა და ფანქრით ხელში. ჩემდა სასიხარულოდ, სამოცზე მეტი ავტორი ჩამოვწერე, რომლებიც მარიამმა წიგნებით სავსე თაროებზე აღმოაჩინა. ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტი“ კი დიდხანს ამაოდ ვეძებეთ. როგორც ჩანს, ვილასა გატანილი ჰქონდა და ვინ იცის, სანამ ჩვენ მას ვეძებდით, უცნობი მკითხველი ოლივერს ფეხდაფეხ დაჰყვებოდა ლონდონის ქუჩებში.



# მარია მენაბდე

---

|   |                                                            |     |
|---|------------------------------------------------------------|-----|
| 1 | ახალბედა მასწავლებლის კრიალოსანი                           | 193 |
| 2 | დათოს ფიქრის გეოგრაფია და ერთი თემის<br>ნაღვლიანი ისტორიის | 198 |
| 3 | ორშაბათი მძიმე დღეა                                        | 202 |





# ახალბედა მასწავლებლის კრიალოსანი

დიდი დასვენებაა, საკლასო ოთახში ვარ და სანამ ბავშვები გარეთ არიან, რაღაცას ვწერ დაფაზე საკლასო სამუშაოსთვის. უცნობი ქალი შემოვიდა, ამ-  
კარად მშობელია და ვიღაცას ეძებს.

– ხომ არ იცი, აჩიკო სად არის?

– დერეფანში ან ეზოშია, დასვენებაა. თქვენ აჩიკოს დედა ბრძანდებით?

– დიახ.

– მე მისი ქართულის მასწავლებელი ვარ (უხერხული ღიმილით – თავის წარდგენა რომ მიხდება)

– უი, მე კლასელი მეგონეთ! ( გულწრფელი გაოცება და ღიმილი ერთად)

აჩიკო მაშინ მე-9 კლასში იყო და მე 24 წლის ვიყავი და მოცუცქნული არა-  
სოდეს ვყოფილვარ! აჩიკოს ძალიან უყვარხართო, კი დააყოლა გაოცებიდან  
გამოსულმა.

ამ შემთხვევამ ვერ მასწავლა, რომ ცოტა მკაცრად და აკადემიურად ჩამეც-  
ვა ხოლმე.



დირექტორმა გვთხოვა, თუ რომელიმე მოსწავლე ხელს ძალიან შეგიშ-  
ლით გაკვეთილზე, ჩემთან გამოუშვით კაბინეტში და მე დაველაპარაკებო.

სოსო მე-6 კლასში სწავლობდა, ძალიან ნიჭიერი, გონებაგახსნილი, მაგ-  
რამ საოცრად ცელქი და მოუსვენარი ბიჭი იყო. რამდენჯერმე ძალიან შემაწუ-  
ხა და დავემუქრე: სოსო, იცოდე, გაგიყვან დირექტორთან! თუმცა ერთხელაც  
არ გამიყვანია. ერთ დღესაც რაღაცაზე გავუბრაზდი კლასს და დანამუსება გა-  
დავწყვიტე: როგორ არ გრცხვენიათ, ასე უნდა გაითვალისწინოთ ჩემი თხოვ-  
ნა-მეთქი?! ცოტა დაირცხვინეს და უხერხულობა იგრძნეს, მაგრამ რამდენიმე  
წამში სოსომ წაიბუტბუტა: აბა, თქვენ რომ სულ დირექტორთან დაგყავართო?!

**გაკვეთილი:** არასოდეს არ უთხრა ბავშვს ის, რისი გამკეთებელიც არ ხარ და  
თუ ეტყვი, უნდა შეუსრულო კიდევ.

ახალ გარემოსთან ადაპტაცია ყოველთვის მიჭირს. ჩავატარებდი ჩემს გაკვეთილებს და წამოვიდოდი სასწრაფოდ სახლში. არავის ვეკონტაქტებოდი ზედმეტად, უბრალოდ, გამარჯობა-გაგიმარჯოს და ეგ იყო. ერთი ახალგაზრდა კაცი იყო, შავგვრემანი, შავი, ოდნავ ჭაღარაშერეული წვერითა და მკაცრი შეხედულებით. მუდამ სწრაფი და მტკიცე ნაბიჯებით დადიოდა, სულ სადღაც მიიჩქაროდა, რაღაც პატარ-პატარა ტვირთები მიჰქონდა-მოჰქონდა ხოლმე. მაღალი არა, მაგრამ ჩასკვნილი კი იყო და ძლიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. აშკარად ეხმარებოდა დირექტორს სკოლის სამნეო საქმეებში. ჩავთვალე, რომ სკოლის მნე იყო. სიარულისას სულ ქვემოთ იყურებოდა ხოლმე და ვერ მაშინევდა, როცა დერეფანში გვერდს ჩავუვლიდით ერთმანეთს და ვესალმებოდი. რამდენიმე უპასუხო საღმის მერე, გაბრაზებულმა მისალმება შევწყვიტე. თუმცა მუდამ საქმიანსა და ქვემოთმყურებელს არც ეს შეუმჩნევია. ზოგადად, ყოველთვის მაფრთხობდნენ და დღესაც მაფრთხობენ ზედმეტად მკაცრი ადამიანები. ჰოდა, ასე დამფრთხალ- გაბრაზებული ავუვლიდი ხოლმე გვერდს, როცა დერეფანში კვლავ გადამეყრებოდა.

ერთ დღესაც „ფანჯარა“ მაქვს, ვზივარ სამასწავლებლოში ეკლებზე, ერთი სული მაქვს, ზარი დაირეკოს, გაკვეთილზე გავვარდე, რომ ამ უცხო ადამიანებს არ ვუყურო. შემოვიდა ეს მკაცრი, სალამმეძვირე კაცი და დადგა თავისთვის. ძალიან ჩვეულებრივად, ადამიანურად გამოეღაპარა ვიღაცებს ისევ სკოლის საქმეებზე. მე ვზივარ შინაგანად მაქსიმალურად შეკუმშული და „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ გამოცემას მექანიკურად ვფურცლავ. სამასწავლებლო პატარაა, ახლოს დგას ჩემთან, ფაქტობრივად, თავზე მადგას. უცებ: ეს მინიატურები ძალიან მომწონს, მაგრამ სპარსული გავლენა იგრძნობაო. გაცეზულმა პირდაპირ შუბლიდან ავხედე! რამდენიმე წამის მერე: მე-17 საუკუნეა და რა გასაკვირია-მეთქი. – აი, ფონს დააკვირდი, წერტილები რომა აქვს, ეგ დეტალი ქართულისთვისაც დამახასიათებელია და სპარსულისთვისაც... და დავიწყეთ მამუკა თავაქალაშვილის მინიატურებზე საუბარი. გულდასმით ლაპარაკობდა ყველა დეტალზე. მე ახლა შუბლიდან არა მხოლოდ ვუყურებდი, ვუსმენდი კიდევ.

მეორე შემთხვევა სასადილოში: ვსხედვართ მე (უკვე ცოტა მოშინაურებული) და ჩემი ტოლი კოლეგა და ვსაუბრობთ. შემოვიდა, დაჯდა, შემოგვხედა. თქვენ რამდენი წლისეები ხართო, ვუთხარი. დასაქორწინებლებიო? დიახო-გავვლიმა. ცოტა ხანს ფიქრობდა. წარმოდგენა არ მაქვს, რა უნდა ურჩიო

დასაქორწინებელ ადამიანსო. აი, მეო, უბრალოდ, გამიმართლა, ქეთი რომ შემხვდაო.

გოჩა მხატვარი და 5 შვილის მამა აღმოჩნდა და ხატვას ასწავლიდა პატარებს სკოლაში.

**გაკვეთილი: მკაცრსახიან და საქმიანგამოხედვიან ადამიანებსაც შეუძლიათ სათუთი რამეების სწავლება ბავშვებისთვის.**

დილით მივდივარ სკოლაში და დამხვდა ორი ცალი აწრიალებული წერტილი მეხუთეკლასელი, ეტყობოდათ, დიდი ხანია მელოდებოდნენ. მასწავლებლო, ბოდიშს გიხდით, გუშინ რომ გაგაბრაზეთო. ვუყურებ გაოგნებით გაორებული: ერთი იმიტომ, რომ ოდნავადაც არ მახსოვს, რაზე გავბრაზდი გუშინ და მეორეც იმიტომ, რომ ეს ბოდიშები როგორ მოიფიქრეს! ასე გაორებულმა დავამშვიდე წერტილები, კარგი, აღარ გიბრაზდებით-მეთქი. სამასწავლებლოში შევედი. დამხვდა მათი დამრიგებელი, რა ქნეს, გიპოვეს, ძალიან წუხდნენო? სულ არ მახსოვს, რატომ გამაბრაზეს-მეთქი. არაო, ეგ არ შეიძლებაო, თუ გაუბრაზდები, აუცილებლად უნდა იცოდე, რატომ გაბრაზდი და არ უნდა დაგავიწყდესო. ეს მორიგი გაკვეთილი იყო.

ერთმა უფროსკლასელმა გამატანა თავისი რვეული, მას, რალაც დავწერე და წაიკითხეთო. მეორე დღეს სამასწავლებლოში ვზივარ და კართან მოვიდა მორიდებით. დამარტყა თავში, რომ სახლში არ გამხსენებია მისი რვეული. რა ვქნა ახლა, ბავშვი როგორ ელოდებოდა და მე დამავიწყდა! მომწყდა წელი, სანამ ავდგებოდი და კართან მივიდოდი. საშინლად ვიგრძენი თავი, როგორ დამავიწყდა!!! რა იცის ამ ბავშვმა, რომ დაბადებიდან გულმავიწყი ვარ... წამის მესაღეში გამიელვა, ხომ არ ვუთხრა, რომ წავიკითხე და მომეწონა- მეთქი. არ მიქნა გულმა: თეო, ვერ წავიკითხე შენი ნაწერი, გადამავიწყდა- მეთქი. არა უშავს, მას, მაინც შეცდომით სხვა რვეული გამიტანებიაო...

**გაკვეთილი: ყოველთვის, ყოველ მიზეზ და შედეგ გარეშე, ბავშვებთან უნდა იყო, აუცილებლად უნდა იყო გულწრფელი!**

დილით სკოლაში მისულს ისედაც ასაკის ახირებებს აყოლილი და აუიტი-რებული მეცხრეკლასელები მთლად გადარეულები დამხვდნენ: ზოგი საფრანგეთის დროშის ფერებში იყო გამოწყობილი, ზოგი იტალიის. სასტვენებიც წამოეღოთ, უცნაური ქუდებიც...ცოტა ხანში დავადგინე, რომ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ქომაგები იყვნენ და იმ დღეს საფრანგეთი და იტალია ხვდებოდა ერთმანეთს ფინალში. ისედაც სწავლაზე არ იკლავდნენ თავს და ახლა ხომ წარმოუდგენელი იყო ამათი გრამატიკის გაკვეთილზე გაჩერება! მასწავლებლისთვის არჩევანი არ ან იშვიათად არსებობს, შესვლის ბარიც დაირეკა და გარდაუვლობის კანონმა მიკარნახა, რამე უნდა მომეფიქრებინა: სასწრაფოდ დავყავი კლასი საფრანგეთისა და იტალიის გულშემატკივრებად და დაფა – ორ ნაწილად: ერთ მხარეს საფრანგეთის დახატული დროშა გააკრეს, მეორე მხარეს – იტალიისა. შევთავაზე, რომ ერთგვარი თამაში – ბედისწერა გვეთამაშა, ერთმანეთს უნდა გაჯიბრებოდნენ წინადადებების გარჩევაში, რომელი ქვეყნის გულშემატკივართა გუნდიც მოიგებდა, საღამოს ის გაიმარჯვებდა ფინალში. ასე ჩართული და მობილიზებული ეს კლასი არასოდეს ყოფილა. არც ის მახსოვს, რომელმა გუნდმა მოიგო, არც ის, ჩემპიონატის ფინალი რა ანგარიშით დასრულდა, ჩემთვის მთავარი პროცესი იყო.

### **გაკვეთილი: სწავლებისას კარგი და აუცილებელია ექსპრომტები და ექსპერიმენტები.**

ერთი ბიჭი იყო. მე რომ მასწავლებლად შევედი მეთერთმეტე კლასში, უკვე თავისი ამბლუა მორგებულ-გააზრებული ჰქონდა: არავინ სთხოვდა დავალებას, მთავარი იყო გაკვეთილზე მეტისმეტად შემაწუხებელი არ ყოფილიყო. თავიდან ფერებით და „შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ“-ით დავიწყე. წამომყვა 2-3 გაკვეთილი. მინიმალურს აკეთებდა. მერე იმასაც შეეშვა. არ თვლიდა საჭიროდ და მორჩა. არ მბეზრდებოდა, ყოველ დღე ვთხოვდი დავალებას. რამდენჯერმე მკაცრად რომ მოვთხოვე, ლამის კონფლიქტამდე მივიდა საქმე და დავანებე თავი. აღარ ვაქცევდი ყურადღებას, მაქსიმალურად შორს ვიჭერდი თავს. ერთ დღესაც ბრალი დამდო, დავალებებს ვწერ და არ მისწორებს, ზედაც არ მიყურებსო. გავბრაზდი ძალიან. რაღაც გრძელი ლექცია წავუკითხე მას და მის კლასელებს, განრისხებულმა კლასის დატოვება გადავწყვიტე და

მოვემზადე, კარი კარგად რომ გამომეჯახუნებინა (მეტი ეფექტისთვის). ზღურ-  
ბლზე ფეხის გადადგმა (ვიწრო ქვედაბოლო მეცვა), ხელის მომარჯვება კარის  
სახელურზე და ზღართანი მხოლოდ წამის მესაღებებში ასცდა ერთმანეთს:  
ცოცხალი თუ ავდგებოდი, არც მე მეგონა, არც ბავშვებს, სიცილიც კი გადა-  
ავიწყდათ. ავდექი.

**გაკვეთილი 1-ლი:** არავითარ შემთხვევაში, არანაირი ფორმით არ შეიძლება  
ბავშვთან ურთიერთობაზე თავის არიდება, თორემ აუცილებლად მოიტეხ  
კისერს.

**გაკვეთილი მე-2:** არა რაა, არ უხდება სკოლას განრისხებები, მეტისმეტად  
ვიწრო ქვედაბოლოები და კარის გაჯახუნებები!



მგონი, ახალბედობა არ სრულდება ჩვენს პროფესიაში, ეს კრიალოსანი  
უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. მთავარია, წრეზე არ დავბრუნდე და  
იგივე შეცდომები არ გავიმეორო.

# დათოს ფიქრის გეოგრაფია და ერთი თემის ნაღვლიანი ისტორია

ამ ამბის დაწერას ოთხი მიზანი აქვს:

**პირველი და უმთავრესი** – უნდა დავამშვიდო ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის კაცობრიობა, რომ ახალი თაობა სულაც არ არის ჩვენზე მეტად ხელიდან წასული, წიგნს დაშორებული, პასუხიმგებლობასა და შრომისმოყვარეობას მოკლებული. პირიქით, ყველაფერი ბევრად უფრო კარგადაა მათთან, რადგან, მგონია, რომ ეს „ყველაფერი“ პიროვნული თავისუფლების უკუპროპორციულია, რაც უფრო დიდია შინაგანი თავისუფლების ხარისხი, მით უფრო ცოტა ადგილი რჩება სულიერ თუ გონებრივ სიცარიელეს. ფაქტია, ისინი ჩვენზე თავისუფლები არიან. და თუ საუკუნემ ღირებულებები და პრიორიტეტები გადააფასა ან უკუღმა დააყენა, ეს სულაც არ არის მათი ბრალი.

**მიზანი მეორე:** დავარწმუნო მასწავლებლები, რომ შესაძლებელია, მოსწავლე დაგვეხმაროს და ისე დაგვეხმაროს, ჩვენ რომ ვერც კი წარმოვიდგენდით და ყველა ეს დახმარება კი არ აკნინებს, ასჯერ, ათასჯერ ზრდის მასწავლებლის ღვაწლსა და ავტორიტეტს.

**მესამე:** თუ რაიმეს ისე არ აკეთებენ ჩვენი შვილები თუ მოსწავლეები, როგორც ჩვენ გვინდა და გვეიდეალურება, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბრალია და სხვა არავისი!

**მეოთხე და ძალიან პრაგმატული მიზანია,** გამცნოთ მოსწავლის მიერ შექმნილი მოსწავლე-მასწავლებლისთვის საჭირო ერთი რესურსის შესახებ.



სამი წლის განმავლობაში მიტრიალებდა ეს იდეა თავში, რამდენჯერაც „დიდოსტატის მარჯვენას“ სწავლებას დავიწყებდი და „დაატყდებოდათ თავზე“ მოსწავლეებს ამდენი გეოგრაფიული ადგილი, ციხე, ეკლესია... ცალკე ტექსტის სიღრმეს უნდა მიჰყვებოდა, ცალკე სიტყვებს უნდა უკირკიტო, ცალკე ისტორიას, ცალკე კიდევ ეს გეოგრაფია გიღრღნის ტვინს.

ვეძებდი მოსწავლეს, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ამ არცთუ ისე ადვილ საქმეს. ინტერესიანი, პასუხისმგებელი და უნარიანი მოსწავლე ბევრია, მაგრამ ერთი უხერხულობა იყო, მეთერთმეტეები „დიდოსტატის მარჯვენას“ არ სწავლობენ, უბრალოდ წაკითხვა კი არ იყო საკმარისი, ხოლო მეთორმეტეებს თემებისა და კონფერენციებისთვის, როგორც წესი, არ სცალიათ ხოლმე.

ჰოდა, კიდევ ერთხელ რომ შევერკინეთ მე და ჩემი მოსწავლეები გამსახურდიას სამყაროს, რომ მომაცარეს, სხვა კითხვებთან ერთად, გეოგრაფიული კითხვებიც, დავიწუწუნე კლასში, ამდენი ხანია ვეძებ ბავშვს, ვინც ამ საქმისთვის მოიცლის, ამოწერს ყველა გეოგრაფიულ სახელს შესაბამისი კონტექსტით და მერე რუკაზე გადაიტანს – მეთქი. ჩემდა გასაოცრად, დათომ სხვათა შორის თქვა, რა უნდა, მე გავაკეთებო და... დაიწყო. შევდიოდით თანდათან ტექსტის სიღრმეში და დათო რვეულის ბოლოს იწერდა ყველა ციხისა თუ ეკლესიის სახელს თავისი უწვრილესი, თითქოს ბრინჯის მარცვალზე საწერად საგანგებოდ შემუშავებული ასოებით. რომ დავასრულეთ ნაწარმოები, დამიდო ეს რვეული. ახლა დაიწყე მასალების მოძიება და თემაზე მუშაობა – მეთქი. თვალეები შუბლზე აუვიდა, რა თემაზეო (ოღონდ კონფერენციას, ტურსა და აუდიტორიას ნუ უხსენებ, თავისთვის ყველაფერს გააკეთებს). აბა, რისთვის დაიწყე – მეთქი? თქვენ მითხარიო. მოკლედ, ცოტა წავგამათდით (გვჩვევია), გავნაწყენდი, კარგი, არ გინდა, არ გააგრძელო – მეთქი და გავედი კლასიდან. მეორე დღეს, გაკვეთილი რომ დამთავრდა, იწრიალა ცოტა ხანს და კარგი, მას, ვიმუშავებო, – მითხრა. ცა გამეხსნა და დავიწყეთ.

ყოველ დღე რაღაც ახალი მოთხოვნა მიჩნდებოდა, ჩვენი დიდი მეგობარი და უფრო დიდი გეოგრაფი მიშა ჩავრთეთ საქმეში და ვფაცურობდით, დავტრიალებდით ორივე ქორივით თავზე ისედაც #ახლახანექსტერნიაბარებულ, #თავზესამეცადინოდაყრილ, #გამოცდებკარზემომდგარ დათოს და მოსვენებას არ ვაძლევდით.

ერთ საღამოს მივწერე, იქნებ მხოლოდ ხელით შესრულებულ კი არა, რუკის კომპიუტერულ ვერსიაზეც იფიქრო – მეთქი. არადა, არ ვიცოდი, როგორ უნდა გაეკეთებინა. უჩხრეკია მთელი ღამე, მოუძებნია სპეციალური პროგრამა Scribble maps, რომლის საშუალებით კოსმოსიდან დანახული ესა თუ ის ადგილი ადვილად შეგიძლია დააფიქსირო, მონიშნო, დახაზო. ჩემთვის ეს ახალი კონტინენტის აღმოჩენას ჰგავდა, რადგან დათოს ასე სასარგებლო

ნამუშევარი, მხოლოდ მის, ჩემს ან ვინმე კონკრეტული ადამიანის კონკრეტულ კომპიუტერში კი არ დარჩებოდა, ინტერნეტსივრცეში განთავსდებოდა და ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა. თანაც სტატიკურად კი არ ხედავ ამა თუ იმ ადგილსა თუ ძეგლს, როგორი იყო, არამედ ახლა რაა და თუა საერთოდ შემორჩენილი, ზემოდან უყურებ.

დათოს გაუკვირდა ჩემი აღფრთოვანება, რადგან თვითონ „ციფრული სამყაროს მკვიდრია“ და ძნელია გაუგო ამ შემთხვევაში ჩემნაირ „ციფრულ ემიგრანტს“. ჯერ მართო დაჯდა, მისხალ-მისხალ, გოჯი-გოჯ ზომა და ეძება ის ადგილები, რომლებიც რომანში იყო ნახსენები, ადარებდა, ქექავდა, აკვირდებოდა და ელექტრონულ რუკაზე გადაჰქონდა. როცა გაუჭირდა, მიშას მიაშურა. მერე ერთად ისხდნენ და ასჯერ გაბომილის გატრას მაინც აგვიანებდნენ. კარგა ხანს გაგრძელდა ასე, სანამ ფინალამდე მივიდოდით. მერე ბლოგიც მოვთხოვე, მერე ღია გაკვეთილი, მერე კონფერენციაზე გატანა... აპროტესტებდა, მაგრამ აკეთებდა. თებერვალის დასაწყისში რომ გავგაზაფანეთ თემა, ვიცოდი, პასუხს აპრილამდე უნდა დავლოდებოდით. ველოდით. „თ“ რა, მე და მიშა ველოდით, თორემ დათო არც ელოდა, ან ელოდა (ნაკლებ სავარაუდოა) და არ ამბობდა.

აღდგომის დღეებში გავიგე, რომ დათო გამარჯვებულების სიაში არ ეწერა. თემის პატივმოყვარე ხელმძღვანელის ნათქვამივით კი ჟღერს, მაგრამ ძალიან დამწყდა გული (აღმოჩნდა, რომ ლიტერატურის სექციაში გაგზავნილი თემა, რუკის გამო გადაუგზავნიათ გეოგრაფია – გეოლოგიის სექციაში და რადგან ლიტერატურისთვის იყო უფრო განკუთვნილი, მეორე ხარისხზე მეტი ვერ მიანიჭეს).

მაგრამ მე რა, მთავარი დათოა.

დათოს გული არ დაწყვეტია (ან არ გამიმხილა), რადგან მისი შინაგანი მე იდეალურად ეხამება და ემორჩილება დანიנג-რუგერის ეფექტს (რაც უფრო ფართოა ადამიანის თვალსაწიერი და ცოდნა, მით უფრო დაბალია თვითშეფასება), არც ველოდიო, მითხრა. ახსნა მოვთხოვე, რატომ-მეთქი და არ ამიხსნა. თუმცა, მე ისედაც ვიცი – მისი ფიქრის გეოგრაფია ხომ ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე ჩემი ან მისი თემის გამსწორებელ გეოგრაფიასა თუ გეოლოგიის...

არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ მხოლოდ ერთ კონკრეტულ დათოზე ვწერ. ჩემ გარშემო უამრავი „დათო“ ტრიალებს, ზოგი წავიდა უკვე სკოლიდან და თავისი გზა ნახა, ზოგი ახლა მიდის, ზოგი ხვალ ან ზევ დაიწყებს თავისი



გზის ძებნას და ზუსტად ვიცი, სანამ მათი ჩემ შორიახლო ტრიალი მავსებს, მახალისებს და ინტერესს მიჩენს, სანამ ისინი გრძნობენ ამ ყველაფერს, მანამ არ მომბეზრდება მასწავლებლობა და არც დავბერდები.

დედაჩემის თაობის რომ ვიყო, ამ სტატიას აუცილებლად დავასრულებდი მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით:

„... ლეილა,  
ლონდა,  
ნათია,  
ნანი,  
ელისო,  
ვაჟა,  
გიორგი,  
გივი  
და ...  
იარონ,იარონ, იარონ  
ამინ!“

მაგრამ მე სხვა თაობა ვარ და ძალიან პრობაულად დავასრულებ: გადა-  
დით ამ ლინკზე <https://didostatismarjvena.wordpress.com/> და იხილეთ, რატომ  
უნდა გვჭეროდეს მომავლის...

# ორშაბათი მძიმე დღეა

„ორშაბათი ჩიოდა,  
საქმით თავი სტკიოდა...“  
მარიამ წიკლაური

თქვენი არ ვიცი და მე მკლავს ორშაბათი. შაბათ-კვირა არ მყოფნის ფიქციური დასვენებისთვის და მოუთმენლად ველი დღეს, როცა კაცობრიობა მივა იმ დასკვნამდე (როგორც ხმები მომდის, დაიწყეს ამაზე ფიქრი), რომ დასვენების 3 დღე აუცილებელია ადამიანობისა და საქმის ხარისხის შენარჩუნებისთვის.

სახელის გატეხის ამბავი სჭირს ორშაბათს და მაინც მაგას მივაწერ ხოლმე მთელ სიმძიმეს, თორემ სინამდვილეში კვირა საღამო უფრო არ მიყვარს. რადგან, როგორც წესი, ყველაფერს კვირა საღამოსთვის ვიტოვებ გასაკეთებლად და ორშაბათს უკვე გვარიანად დაღლილი და გამოუძინებელი ვხვდები. რა ორშაბათის ბრალი ეგ არის?!

ასეა თუ ისე, მთელი მასწავლებლური ცხოვრებაა (არ მახსოვს, მოსწავლეობისას ან სტუდენტობისას თუ მიჭირდა ან მიჭერდა ორშაბათი) ცვდილობ, ორშაბათი შევიმსუბუქო, რომ მთელი კვირის სამყოფი ენერგია და განწყობა გამოვიზოგო.

ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი ვნახე: ორშაბათი არასტანდარტული გაკვეთილების დღეა.

ბანალურად დავესესხები გურამ რჩეულიშვილს – „პირობას გიდებთ, არ ვიქნები ორიგინალური, /ვეცდები ვიყო მორიდებული ზედმიწევნით/ და თავმდაბალი“ და ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ თემაზე: როგორ შევიმსუბუქოთ ორშაბათი.

ყველაზე არაორიგინალური და მგონი, საყოველთაოდ აღიარებული ისაა, რომ ორშაბათობით კითხვის დღე გვაქვს ხოლმე. ჩემი კიდეც ერთი ოცნებათაგანია, ჩემმა მოსწავლეებმა „დაუჯერებელი“ დამიჯერონ: კითხვაც დასვენების ერთგვარი ფორმაა! ჰოდა, მივცემ რომელიმე, ჩემი აზრით, კარგ მოთხრობას წასაკითხად, მოკალათდნენ, როგორც უნდათ, წაიკითხონ, იფიქრონ და მძიმე ორშაბათს დაესხდეთ, ვილაპარაკოთ, ან რამე დავხატოთ იმ მოთხრობის მიხედვით, ან ვიქტორინა შევადგინოთ, ან „მოთხრობის / წიგნის რუკა“ შევქმნათ (ძალიან

ჰგავს განძის საპოვნელ რუკას – დიდი ფორმატის ქაღალდზე ნახატებითა და ციტატებით გადაიტანონ ის მნიშვნელოვანი მომენტები, რომლებიც ქმნიან ამბავს თუ მთავარ სათქმელს, დასაწყისიდან ფინალამდე.) ან უბრალოდ გადაშალონ თავიანთი „ლიტერატურული დღიურები“, იქვე დაწერონ, რისი სახლში დაწერაც დაეხარათ / ვერ მოასწრეს / ვერ მოიფიქრეს. მერე წავიკითხავთ.

ან კიდევ ავსებენ **პერსონაჟის კითხვარს**, მაგალითად, ასეთს:

### პერსონაჟის კითხვარი

|                                                    |       |
|----------------------------------------------------|-------|
| სახელი, გვარი                                      | _____ |
| დაბადების თარიღი, ადგილი                           | _____ |
| წარმომავლობა, ასაკი                                | _____ |
| ოჯახური მდგომარეობა                                | _____ |
| საყვარელი ფრაზა                                    | _____ |
| თვისება, რომელიც სხვებისგან გამოგარჩევთ            | _____ |
| რა გიყვართ ყველაზე მეტად                           | _____ |
| რას ნანობთ                                         | _____ |
| რაზე ოცნებობთ                                      | _____ |
| წარსულის შეცვლა რომ შეგეძლოთ                       | _____ |
| მოსმენა რომ შეეძლოთ, რას უსაყვედურებდით ადამიანებს | _____ |
| რისთვის გადაუხდით მადლობას ადამიანებს              | _____ |
| ადამიანი, რომლის გარეშეც სიცოცხლე არაფრად გიღირთ   | _____ |
| ცხოვრებამ გასწავლათ, რომ...                        | _____ |

ეს კითხვარი შეგიძლიათ, ცვალოთ ნაწარმოების ხასიათისა და არსის მიხედვით, რომ მოსწავლემ მაქსიმალური ამოიღოს ტექსტიდან, რა თქმა უნდა, კრიტიკული აზროვნებისა და ფანტაზიის მოშველიებით.

მძიმე ორშაბათს მაინც სხვაგვარი მრავალფეროვნება სჭირდება, ამიტომ ხანდახან წერის ორშაბათები გვაქვს. ესეები თავისთავად სხვადასხვა სახისაა და ეს ხელს გვიწყობს: ხან არგუმენტირებულს წერენ, ხან – ანალიტიკურს, ხან კიდევ მხატვრულად შლიან ფრთებს.

**არგუმენტირებული ესესთვის უფროსკლასელებს რამდენიმე ცნობილი ადამიანის გამონათქვამს ვაწვდი. მაგალითად, ასე:**

ა) *„ვინც გრძნობს, მისთვის ცხოვრება ტრაგედიაა, ხოლო ვინც აზროვნებს – კომედია“*

*ჟან დე ლა ბრუერი*

ბ) *„მანამდე მაინც დავრჩეთ ადამიანებად, სანამ მეცნიერებას არ აღმოუჩენია, რომ რაღაც სხვანი ვართ“.*

*ვოლტერი*

ირჩევენ ორიდან ერთს, ჯერ უნდა განმარტონ თავიანთი სიტყვებით, მერე არგუმენტირებულად ან დაეთანხმონ, ან უარყონ. არაა ადვილი, რთულია, მაგრამ შესაძლებელი. სახლში წყნარად, მშვიდად დაიწყებენ ჯერ ფიქრს, მერე წერას. ორშაბათს მოვლენ და ერთმანეთს მოუსმენენ. განსხვავებულია მაინც.

**ანალიტიკურ ესეებს სტატიებზე ვწერთ.** ეს ის სფეროა, რომელსაც არ ეკარებიან მასწავლებლის დავალების გარეშე. არადა, სტანდარტით გათვალისწინებულია, არამხატვრულ ტექსტებზე მუშაობაც უნდა შეძლონ. საინტერესო სტატიებს თუ შევარჩევ, ეხალისებათ წერა. განსაკუთრებული მოთხოვნები არ მაქვს: ა) უნდა გამოკვეთონ პრობლემები, რომლებსაც სტატია ეხება; ბ) ციტატების დახმარებითა და მსჯელობით დამარწმუნონ, რომ ნამდვილად ადეკვატურად გაიაზრეს სტატია; გ) გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება წამოჭრილი პრობლემის მიმართ; დ) აუცილებლად უნდა აღნიშნონ, თუ რა-იმე გაუგებარი იყო მათთვის სტატიაში.

ასე ვწერეთ, მაგალითად, ალექსანდრე ლორთქიფანიძის ძალიან ემოციურ წერილზე „ბალიბულინგი“ <http://mastsavlebeli.ge/?p=3216> და საინტერესო რე-

ჟისორისა და მწერლის, ნანა ექვთიმიშვილის, ბევრისმთქმელ სტატიაზე „არა-ბედნიერად ცხოვრების პერმანენტული განცდა“ <https://www.radiotavisupleba.ge/a/nana-ekvtimishvili-blog-post/28817008.html>

რაც გაიგეს, იმაზე დაწერეს, რაც ვერა – გაკვეთილზე ვისაუბრეთ და მგონია, ამ სტატიების დახმარებით მნიშვნელოვან თემებზე დავაფიქრე.

როგორც ანალიტიკური, ისე არგუმენტირებული ესეს დაწერა შესაძლებელია პატარ-პატარა ვიდეოებზე, რომლებიც უხვადაა ინტერნეტში და ამა თუ იმ კონკრეტულ პრობლემას ეხება.

<https://www.youtube.com/watch?v=6qpcB82aUz4> – ამ ვიდეოზე წერენ არგუმენტირებულ ესეს: „შეუძლია თუ არა სიტყვებს ადამიანის სამყაროს შეცვლა“, ხოლო მეორე ვიდეოზე ( <https://www.youtube.com/watch?v=PUOSAqDDC60> ), რომელიც საკმაოდ საკამათო საკითხს ეხება, ანალიტიკური ესეს დაწერას არჩევენ.

უმცროსკლასელებისთვის მეტისმეტად მოკლემეტრაჟიანი ანიმაციების ჩვენება შეიძლება (<https://www.youtube.com/watch?v=CZA4NCUPck>). იქვე, გაკვეთილზე, უყურებენ და მერე წერილობით აანალიზებენ ხოლმე. მივუთითებ, რომ წერისას ყურადღება მიაქციონ შემდეგ პუნქტებს:

- ამოიცნონ მთავარი სათქმელი;
- დაახასიათონ პერსონაჟები;
- დააკვირდნენ დეტალებს, რომლებიც მნიშვნელოვან რამეებზე მიგვანიშნებენ;
- ყურადღება მიაქციონ ფერებსა და მუსიკას.

კომპანია Apple-ის სარეკლამო ანიმაცია „share the gift“ (<https://www.youtube.com/watch?v=3dJCroCMBPM&t=93s>) ერთნაირად საინტერესო აღმოჩნდა როგორც დაწყებითი, ისე საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის და მშვენიერი ანალიტიკური ესეებიც „გამოაცხვეს“ მცირეხნიანი განხილვის შემდეგ.

თუ ანიმაცია საკმაოდ ვრცელია, ასეთ შემთხვევაში, გავალებ, რომ სახლში ნახონ შაბათ-კვირას და ისე მოამზადონ ანალიზი.

ვთვლი, რომ ერთ-ერთი უმთავრესი უნარი, რომლის დეფიციტიც თვალშისაცემია ჩვენს საზოგადოებაში და რომელიც ადამიანებს პატარაობიდანვე უნდა გამოუმუშავდეთ, აქტიური მოსმენაა. არადა, საგნობრივ სტანდარტში მხოლოდ 3 მიმართულებაა გამოყოფილი: გეპირმეტყველება, კითხვა, წერა.

შესაბამისად, უცხოური ენების სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო არაფერს გვთავაზობს საინტერესოს ამ მხრივ. რა თქმა უნდა, იმ მოტივით, რომ ქართული მშობლიური ენაა. ვთვლი, რომ ამ უნარის განვითარება რთულად მისაღწევია. სწორედ ამას ვითვალისწინებ და ზოგჯერ ვავალებ ხოლმე სახლში მოუსმინონ სხვადასხვა საინტერესო ლექციას თუ საჯარო გამოსვლას. არსებობდა ასეთი, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო გადაცემა „ჩაის თემა“; ასევე პატარ-პატარა ჩანაწერები „1 წუთი მაესტროზე“, დიდი ხანი არაა, რაც საქართველოში დაიწყო პროექტი TEDxTbilisi – თითოეული მათგანის ჩანაწერთა უმეტესობა განთავსებულია YouTube-ზე; ყოველთვის შეიძლება, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის საინტერესო და გასაგები თემების შერჩევა, ისინი უსმენენ (იქვე, გაკვეთილზე ან სახლში) და მსჯელობენ ან წერენ ანალიტიკურ ესეს იმავე პრინციპით, რომლითაც სტატიებზე მუშაობენ.

ყველაზე მეტად მაინც მხატვრული თხზულებების წერა ეადვილებათ. აქ ფოტოგრაფია და მხატვრობა გვხმარება. რა უნდა?! აჩვენე 1-2 მრავლისმთქმელი და დამაფიქრებელი ფოტო/ნახატი, ან ორივეზე ერთად დაწერონ და გამაერთიანებელი თხზულება მოიფიქრონ, ან ერთ-ერთი აირჩიონ და იმას ჩაუღრმავდნენ.

მეტისმეტი წერა რომ არ გამოუვიდეთ და მოსაწყენად არ იქცეს, მალე მონოლოგების ორშაბათი უნდა მოვაწყო. ეს ორი ხერხით შეიძლება მომზადდეს:

- ა) თავად ირჩევენ სალაპარაკო თემებს და ამზადებენ 3-3 წუთიან მონოლოგებს. ამ ხერხს უარყოფითი ისა აქვს, რომ, დიდი ალბათობით, რამდენიმე თემა განმეორდება. დადებითია ის, რომ ერთსა და იმავე საკითხს სხვადასხვა ადამიანის თვალით შეხედავენ.
- ბ) წინასწარ ჩამოვწერ თემებს, რომლებზეც მინდა, რომ ისაუბრონ. გაინაწილებენ და მოამზადებენ. უარყოფითი – არჩევანი ერთგვარად შეზღუდული აქვთ; დადებითი – იძულებული გახდებიან, ისეთ თემებზე დაფიქრდნენ და სალაპარაკოდ მოემზადონ, რომლებზეც მანამდე არ უფიქრიათ.

კრიტერიუმები:

- უნდა ჩანდეს, რომ თემას საფუძვლიანად გაეცნო და ისე მოამზადა მონოლოგი;

- დაუკავშიროს საკუთარ გამოცდილებას/ ცხოვრებას;
- წარმოაჩინოს პრობლემა და მისი გადაჭრის გზა;
- მოიფიქროს ეფექტური დასაწყისი და დასასრული.

დასასრულს რომ მივუახლოვდი, დაწერილს გადავხედე – დამძიმებული ორშაბათის შთაბეჭდილება უფრო დარჩება ადამიანს, მგონი, მაგრამ მერწმუნეთ, ეს მრავალფეროვნება ნამდვილად აუმჯობესებს მოსწავლეთა საორშაბათო განწყობას და ჩემსას ხომ ფრთებს ასხამს: კვირა საღამოთი დაღლილ-დამძიმებულ თვალებს ორშაბათის დილა რომ გამახელინებს, ვიცი, აუცილებლად უნდა ავდგე და მხნეობა მოვიკრიბო დღეში 6 გაკვეთილის ჩასატარებლად, გამეფიქრება უცებ, რომ ექვსივე გაკვეთილზე სხვადასხვანაირად, საინტერესოდ მსუბუქი, ძირითადად, ჩემი მოსმენითა და რჩევებით შემოფარგლული გაკვეთილები მელოდება და განწყობა მიხდება ისეთი, ლამის ასკინკილით დავადგე ახლომდებარე სკოლის გზას.

